ISSN 2587-4713 1-2 2019

ECONOMICS

ეკონომიკა

1918

მეცნიერება, პრაქტიკა, გამოცდილება

ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный рецензируемый и реферируемый научный журнал

“ECONOMICS ” - Monthly International reviewed and refereed scientific journal

1-2, 2019

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; ხ. ბერიშვილი; მ. გვიჩია; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (**უკრაინა**); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; გ. ყუფუნია; ნ. შენგელია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია.

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Беришвили Х., Гвичия М., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (**Россия**), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А,. Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (**Украина**), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Читанава Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Шубладзе Г., Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; KH. BERISHVILI; M. GVICHIA; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა
და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი.

თბილისი - 2019

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

ია ყოლბაია - საინვესტიციო გარემო საქართველოში
და სახელმწიფოს როლი მის სრულყოფაში ---------- 6
ბექა ჯაყელი – შემოსავლების სამსახურის საქმიანობის
ძირითადი მიმართულებები და შედეგები ----------15

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

თამარი გელაშვილი, გიორგი ნაცვლიშვილი –
პროტექციონიზმის გავლენა ქვეყნის განვითარებაზე ----------24
ზურაბ ჩხაიძე – საწარმოების
ანტიკრიზისული მართვის სპეციფიკა ----------34
გიორგი ნაცვლიშვილი, თამარი გელაშვილი –
„უხილავი ხელის“ გავლენა გაჭირვებულთა მდგომარეობაზე ------44
შორენა მინდიაშვილი – ინვესტიციების მოზიდვის პრობლემების
სისტემატიზაცია საქართველოს მრეწველობაში ----------54
გიორგი ასათიანი - ნუღარ ვძარცვავთ საქართველოს ისედაც
ღარიბ მოსახლეობას არასამართლიანი გადასახადებით ----------61
ზაირა ღუდუშაური, მარიამ ერისთავი – საქართველოს
გრძელვადიანი აქტივების შექმნაში უცხოური ინვესტიციების
მონაწილეობის შეფასება ----------74

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

სალომე ქურასბედიანი – საბანკო პოლიტიკის –
„იცნობდე შენს კლიენტს“ მნიშვნელობა ----------86
ნიკოლოზ დარჩიაშვილი – საბანკო სექტორი
ფინანსური გლობალიზაციის პირობებში----------91

რეგიონული ეკონომიკა

ქეთევან თურმანიძე, ირაკლი გაბიძაშვილი –
გეოეკონომიკა სამხრეთ კავკასიაში----------98
ევგენი ბარათაშვილი, თამარ მაჭარაშვილი - სამხრეთ კავკასიის

ქვეყნებში ბიზნეს პოტენციალის ანალიზი
ბიზნესის კეთების ინდექსის გამოყენებით ---------- 107

დარგობრივი ეკონომიკა

ალექსანდრე გაგუა - კლიმატის ცვლილების შემცირების ღონისძიებები - შენობის ენერგოეფექტიანობა ---------- 114
მარინა მეტრეველი, ირაკლი თავბერიძე - საქართველოს ტურიზმის შრომის ბაზრის პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობები დასაქმების თანამედროვე ფაქტორის – „ტურიზმის ტალანტის“ დანერგვის საშუალებით ---------- 123
მარინა მეტრეველი, ირაკლი თავბერიძე - ტურიზმის მდგრადი განვითარების ძირითადი ფაქტორები ---------- 141
ნანა ნადარეიშვილი - ტურიზმის მდგრადი განვითარების ამოცანები საქართველოში ---------- 157

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

ინგა გიგაური – რისკების გავლენა და პროგნოზირება კომპანიათა ანტიკრიზისულ მართვაში---------- 165
მაია ჩეჩელაშვილი, ლაშა ჯინჯიხაძე – ორგანიზაციის ეფექტიანობის შეფასების სტრატეგიული მეთოდები ---------- 171

მსოფლიო ეკონომიკა

ანა ლომაია, კახა ყიფიანი – ჩინეთის ეკონომიკური ფენომენი --- 181
ლია ბაღდოშვილი, მარიამ კოზოლაშვილი - ტრანსნაციონალური კორპორაციების უარყოფითი და დადებითი გავლენები ---------- 189
მერი ზანდუკელი, ია შაშვიაშვილი – გერმანიის ეკონომიკური სასწაული---------- 194
უჩა ჩიტიძე – ჩინეთის როლი ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკურ განვითარებაში ---------- 201
მაია გიოგრაძე, ნათია ფერაძე – ეკონომიკური სანქციების გავლენა; ქეისი: “აშშ – ის სანქციები ირანის წინააღმდეგ”--------- 208
ლიკა ილურიძე, ალექსანდრე შახნაზაროვი – „თურქეთის ეკონომიკური და სატრანზიტო ინტერესები სამხრეთ კავკასიაში“ ---------- 217
სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი----- 226

CONTENTS

ECONOMIC REFORMS:
ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Ia Kolbaia - Investment Eenvironment in Georgia and
The Government's Role in Its Improvement ---------- 6
Beqa Djakeli - The Activities, Main Directions and Results
of The Revenue Service----------15

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Tamari Gelashvili, Giorgi natsvlishvili - The Impact
of Protectionism on the Development of a Country ----------24
Zurab Chkhaidze - Specifics of Anti-crisis
Management of Enterprises ----------34
Giorgi Natsvlishvili, Tamari Gelashvili - The impact of
"Invisible Hand" on the Condition of the Poor People----------44
Shorena Mindiashvili - The Systematization
of the Problems of Attracting Investments in the Georgian Industry ---54
Giorgi Asatiani - Do Not Rub People Of Georgia With Unfair Taxes ----61
Zaira Ghudushauri, **Mariam Eristavi -** Assessment
Of Foreign Investments In Establishing Long - term Assets Of Georgia-- 74

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Salome Kurasbediani - The Importance
of Banking Policy - „Know Your Customer"----------86
Nikoloz Darchiashvili - Banking Sector
under Financial Globalization----------91

REGIONAL ECONOMY

Qetevan Turmanidze, Irakli Gabidzashvili -
Geo - economics in South Caucasus----------98
Evgeni Baratashvili, Tamar Matcharashvili -
The Analysis of the Business Potential of South
Caucasus Countries according to Doing Business Index---------- 107

SECTORAL ECONOMY

Alexandre Gagua - The Climate Change Reduction Measures - Building Energy Efficiency ---------- 114
Marina Metreveli, Irakli Tavberidze - The Opportunities for Addressing the Tourism Labor Market Problems in Georgia by Means of Establishment of the Modern Employment Factor – "Tourism Talent" ---------- 123
Marina Metreveli, Irakli Tavberidze - The Key Factors for Sustainable Development of Tourism ---------- 141
Nadareishvili Nana - The Tasks of Sustainable Development of Tourism in Georgia ---------- 157

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Inga Gigauri - The Impact and Prediction of Risks in Anti-crisis Management of Companies ---------- 165
Maia Chechelashvili, Lasha Jinjikhadze - Strategic Methods of Evaluating the Efficiency of the Organization --- 171

WORLD ECONOMY

Ana Lomaia, Kakha Kipiani - China's Economic Phenomenon ------- 181
Lia Bagdoshvili, Mariam Kozolashvili - Advantages And Disadvantages Of Transnational Corporations ---------- 189
Meri Zandukeli, Ia Shavshiashvili - German Economic Miracle ----- 194
Ucha Chitidze - China's Role in the Middle East's Economic Development ---------- 201
Maia Giorgadze, Natia Peradze - The impact of Economic Sanctions; Case: "USA sanctions against Iran" ---------- 208
Lika Iluridze, Aleksandre Shakhnazarov - "Turkey's Economic and Transit Interests in the South Caucasus" ---------- 217

The Publication Requirements ---------- 226

საინვესტიციო გარემო საქართველოში და სახელმწიფოს როლი მის სრულყოფაში

ია ყოლბაია
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

საინვესტიციო გარემო ეს არის კაპიტალდაბანდებაზე მოქმედი ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ინვესტიციების მოზიდვის პროცესზე, არეგულირებს მას. საინვესტიციო გარემო ზოგადად შეიცავს ქვეყნის ან რეგიონის ობიექტურ შესაძლებლობებს და პირობებს ინვესტორის საქმიანობისთვის. საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ფაქტორები შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგნაირად: პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და ინსტიტუციონალური. საინვესტიციო გარემოს დახასიათება ძირითადად შემდეგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით შეიძლება: მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე.

რაც შეეხება საქართველოში საინვესტიციო გარემოს, ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით საქართველოს გააჩნია გარკვეული უპირატესობანი წარმოების ზოგიერთი ფაქტორის სიიაფის მხრივ, გეოსტრატეგიული მდებარეობა და სხვა, ხოლო ნაკლოვანებებს წარმოადგენს დამატებითი ხარჯების მაღალი დონე, ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ა. შ. უცხოური კაპიტალის კონცენტრაციის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია მიზანდასახული საგადასახადო პოლიტიკის საკითხების გატარება.

საკვანძო სიტყვები: საინვესტიციო გარემო, მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, მშპ, ინვესტორი, კაპიტალის მოზიდვა, საგარეო პოლიტიკა, საგარეო ვაჭრობა, ინფლაცია, საგარეო ვალი, საგადასახადო პოლიტიკა.

ძირითადი ტექსტი

საინვესტიციო გარემო წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების სისტემას, რომლებიც ყალიბდება მიკრო და მაკრო ეკონომიკაზე საკმაო რაოდენობით ურთიერთდაკავშირებული პროცესების გავლენის საფუძველზე და იწვევს მდგრადი საინვესტიციო მოტივების წარმოქმნას. იმის გამო, რომ საინვესტიციო პროცესი გრძელვადიანი ხასიათის მატარებელია, მისთვის დამახასიათებელია გარკვეული სტატიკურობა და არ განიცდის ძალიან სწრაფ ცვლილებებს. აქედან გამომდინარე, საჭიროა შეიქმნას საინვესტიციო გარემოზე მოქმედი მაჩვენებლების ისეთი ნუსხა, რომლებიც გარკვეული მდგრადობით ხასიათდება და რეალურად ახდენს გავლენას ქვეყანაში კაპიტალის შემოდინებაზე.

საინვესტიციო გარემოს განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მდგომარეობა, ხოლო ამ უკანასკნელის მახასიათებელს სტაბილური ეკონომიკური გარემო წარმოადგენს.

საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ფაქტორები შეიძლება შემდეგნაირად იყოს დაჯგუფებული (ლ.ქოქიაური, გვ. 87-88, 2017):

- პოლიტიკური, რომელიც მოიცავს პოლიტიკური სიტუაციებით შექმნილ რისკს და ფორსმაჟორული სიტუაციების შექმნის საშიშროებას;
- ეკონომიკური, რომელშიც ასახულია ქვეყნის მაკროეკონომიკური პარამეტრები, აგრეთვე მთავრობის მიერ ეკონომიკური პროცესების ტაქტიკური მართვის ეკონომიკური ნორმატივები, მეთოდებისა და ინსტრუმენტების ერთობლიობა;
- სამართლებრივი, რომელიც მოიცავს სახელმწიფოში საკუთრების ფორმების განვითარების ისტორიულ ასპექტებს, საუკუნეების მანძილზე ფორმირებულ სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს და მეწარმეობის განვითარებულ ტრადიციებს;
- ინსტიტუციონალური, რომელიც მოიცავს სახელმწიფოში არსებული ეკონომიკის რეგულირების სახელმწიფო ორგანოებს და ეკონომიკის ინფრასტრუქტურის ფონზე წარმოქმნილ ინსტიტუტებს.

უცხოელი კაპიტალის მესაკუთრე ინვესტიციის შეფასებისას პირველ რიგში ყურადღებას სწორედ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს აქცევს, რადგან ისინი ნათელ წარმოდგენას იძლევიან ქვეყანაში რეალურად არსებულ სურათზე და ქმნიან გარკვეული პროგნოზების გაკეთების შესაძლებლობას.

საინვესტიციო გარემოს დახასიათება შემდეგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით შეიძლება: მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი შიდა პროდუქტი გაანგარიშებული მოსახლეობის ერთ სულზე. ეს მაჩვენებლები ასახავენ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას და ბაზრის შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას იძლევიან.

სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკამ ნელი ტემპით, მაგრამ მაინც დაიწყო აღმავლობა. ბოლო წლებში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის და მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი და საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე

	2014	2015	2016	2017	2018-IIIკვ.
მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი	29150,5	31755,6	34028,5	37846,6	29827,4
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი	7837,4	8524,3	9129,0	10152,0	7997,7

წყარო: www.geostat.ge

თუ უცხოელი ინვესტორი ხედავს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი უარყოფითი ტენდენციით ხასიათდება, იგი რეალურად დაეჭვდება ინვესტიციათა განხორციელების აუცილებლობაში. ამასთან აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ უცხოელი კაპიტალის მესაკუთრე ყურადღებას აქცევს მთლიანი შიდა პროდუქტის განვითარების ხანგრძლივ ტენდენციას და ისე არ დააბანდებს კაპიტალს ქვეყანაში, თუ დარწმუნებული არ იქნება რომ ეს ტენდენცია შენარჩუნებული იქნება მინიმუმ მისი პროექტის მსვლელობის დროს მაინც.

არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა უფრო წარმატებით უზრუნველყოფს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. აქედან გამომდინარე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლი, რომელიც უცხოელი ინვესტორის თვალთახედვის არეში ექცევა, ეს არის ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკა.

საქართველოს ეკონომიკა ექსპორტ-იმპორტის მოცულობის, ანუ საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ზრდის შედეგად უფრო გახსნილი ხდება ეკონომიკური ოპერაციებისათვის. როგორც ბოლო რამდენიმე წლის მონაცემები გვიჩვენებს საქართველოში მუდმივად შეინიშნება სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2
საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები
(მლნ აშშ დოლარი)

	2014	2015	2016	2017	2018
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	11462,9	9505,0	9407,7	10674,7	12484,4
საქონლის რეგ-ისტრირებული ექსპორტი (FOB)	2861,0	2204,7	2112,9	2735,5	3362,1

საქონლის რეგ-ისტრირებული იმპორტი (CIF)	8601,8	7300,3	7294,0	7939,2	9122,3
საგარეო ვაჭრობის სალდო	-5740,8	-5095,6	-5181,1	-5203,7	-5760,2

წყარო: www.geostat.ge

საგარეო ვაჭრობის დეფიციტის მაღალი ტემპით ზრდის ტენ-დენცია ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, მისი ჩამოყალიბებუ-ლი, მდგრადი ხასიათი უაღრესად დამაფიქრებელია. იგი ამცირებს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, ზრდის საგარეო ვა-ლის მოცულობას და აუარესებს საგადასახდელო ბალანსს.

სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობის სარკეს წარმოად-გენს მისი ფინანსური მდგომარეობა, რომელშიც განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: ინფლაციის ტემპი, სავალუტო კურსის მდგომარეობა, საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობა და სხვა.

2018 წლის დეკემბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0,5 პროცენტი შეადგინა, ხოლო წლიური ინფლაციის დონე 1,5 პროცენტით განისაზღვრა (www.geostat.ge). 2014-2018 წლებში საქართველოში ინფლაცი-ის მაჩვენებლები მოყვანილია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია)

	2014	2015	2016	2017	2018
საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	103,1	104,0	102,1	106,0	102,6
დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან	102,0	104,9	101,8	106,7	101,5

წყარო: www.geostat.ge

საქართველოში უმეტესი ძალისხმევა მიმართულია ინფლაციური პროცესების აღმოფხვრისაკენ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეტად რთული პროცესია და საბოლოო ჯამში ინფლაციის დაძლევა გამოიხატება იმაში, რომ იგი პროგნოზირებადი და რეგულირებადი გახდება, რაც საშუალებას აძლევს მომავალ ინვესტორს რეალურად შეაფასოს კაპიტალდაბანდებათა მომავალი შემოსავალი.

საინვესტიციო გარემოზე მოქმედ მნიშვნელოვან ფინანსურ ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის სავალუტო კურსი და განსაკუთრებით კი მისი ცვლილების ტენდენცია. მართალია დებიტორ ქვეყანაში ვალუტის კურსის ვარდნა მომგებიანია უცხოელი ინვესტორისათვის, რადგან მისი კაპიტალით წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე იზრდება, მაგრამ როდესაც ქვეყნის ვალუტას მუდმივი ვარდნის ტენდენცია გააჩნია და თან ამ ვარდნის ტემპები საკმაოდ მნიშვნელოვანია, ინვესტორი უფრო ხშირად თავს იკავებს ასეთ ქვეყანაში კაპიტალდაბანდებებისაგან.

ის რაც ყველაზე უფრო უარყოფითად მოქმედებს საინვესტიციო გარემოზე და რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის, ეს არის ვალუტის კურსის უწესრიგო, უპროგნოზო მოძრაობა.

საქართველოში თავისუფალ სავალუტო კურსზე გადასვლამ არსებითად შეცვალა მაკროეკონომიკური გარემო. თუ ფიქსირებული სავალუტო კურსის პირობებში ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად საბიუჯეტო - საგადასახადო პოლიტიკა გვევლინებოდა, ახალ სიტუაციაში მკვეთრად იზრდება სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მნიშვნელობა.

სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გულისხმობს არა მარტო ეროვნული ვალუტის კურსის შენარჩუნებას, არამედ, საბანკო სისტემის განვითარებასა და საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობას, რაც საინვესტიციო გარემოზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფინანსური ფაქტორია. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას განვითარებად ქვეყნებში, სადაც საბანკო ინფრასტრუქტურა ცუდათაა განვითარებული და კრედიტები მიუწვდომელია ან ძალიან ძვირი ღირს.

საინვესტიციო გარემოზე მოქმედი ერთ-ერთი ფაქტორია ქვეყნის დავალიანება და ვალების მომსახურება. ის, თუ რა მოცულობის საგარეო ვალი აქვს ქვეყანას და როგორ ახდენს მის გასტუმრებას, საშუალებას აძლევს უცხოელ ინვესტორს განსაზღვროს თუ რა პერსპექტივა აქვს მის ინვესტიციას, შეძლებს თუ არა ქვეყანაში ჩადებული თანხების დაბრუნებას. ამ მხრივ არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, შესწევს თუ არა ქვეყანას დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარი, თუ იმყოფება რომელიმე მევალის გავლენის ქვეშ. საქართველოს ფინანსთა სამინიტროს მონაცემებით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 14 544 890 ლარს (5 434 092 აშშ დოლარი) შეადგენს (www.mof.ge).

ქვეყნის საინვესტიციო გარემოს შეფასებისას ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდებარეობა. ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა უცხოელი ინვესტორების სტიმულირებისათვის.

კაპიტალის უცხოელი მესაკუთრენი ყოველნაირად ცდილობენ გადაიტანონ თავიანთი საქმიანობა პოტენციურ ბაზრებთან რაც შეიძლება ახლოს, იმ ქვეყნებში რომლებსაც განვითარების დიდი პერსპექტივა გააჩნიათ. ამიტომ ძალზედ დიდ მნიშვნელობას იძენს ქვეყნების, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნების მოხერხებული გეოსტრატეგიული მდებარეობა, კერძოდ მათი სიახლოვე აუთვისებელ ბაზრებთან ან მათ დამაკავშირებელ მნიშვნელოვან გზაჯვარედინებზე ყოფნას. მაგალითად, საქართველო მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე მეტად ხელსაყრელ მდგომარეობაშია, მეზობელ (აზერბაიჯანი, სომხეთი) რესპუბლიკებთან შედარებით, ვინაიდან მხოლოდ მას გააჩნია შავ ზღვაზე გასვლის შესაძლებლობა.

2005 წლიდან საქართველოში ახალი საგადასახადო კოდექსი ამოქმედდა, რომლის გაცხადებული მიზანი ლიბერალური საინვესტიციო გარემოს მხარდაჭერაა (www.georgia.gov.ge). ამ მიზნით საქართველოს საგადასახადო კოდექსი უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორებს მნიშვნელოვან შეღავათებს სთავაზობს, პირდაპი-

რი უცხოური ინვესტიციების მიმართ ლიბერალური პოლიტიკის კიდევ ერთი დამატებითი ინსტრუმენტია „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ შეთანხმებები, რომლებიც დადებულია ქვეყნის ძირითად სავაჭრო და ეკონომიკურ პარტნიორ ქვეყნებთან (www.mof.ge).

დასკვნა: ამრიგად, საინვესტიციო გარემოს საბოლოო შეფასებისას ერთი რამის თქმა შეიძლება; მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ცალკეულ ფაქტორს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე, ცალკეულ მაჩვენებელს მაინც არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაწყვიტოს ქვეყნის ბედი. ამიტომ, ქვეყნის საინვესტიციო გარემო განხილული უნდა იქნეს, როგორც ერთიანი სისტემა, რომლის ფაქტორები მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებაში არიან და ქმნიან საერთო ვითარებას ქვეყანაში, რომელიც ხელს შეუწყობს ან შეუშლის უცხოური კაპიტალის შემოდინებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. ქოქიაური, უცხოური ინვესტიციები, 2017;
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ. გვერდი;
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ. გვერდი;

REFERENCES:

1. L. Qoqiauri, Foreign Investments, 2017;
2. www.geostat.ge;
3. www.mof.ge;

THE INVESTMENT ENVIRONMENT IN GEORGIA AND THE GOVERNMENT'S ROLE IN ITS IMPROVEMENT

Ia Kolbaia, PhD Student of GTU

RESUME

The Investment environment is the unity of objective and subjective factors influencing the capital, which affects the process of attracting investments and regulates them. The investment environment generally contains the objective possibilities and conditions of the country or region for the investors' activity. The factors operating in the investment environment can be grouped as follows: political, economic, legal and institutional. The characteristics of the investment environment can be determined by the following macroeconomic indicators: Gross Domestic Product, Gross Domestic Product per Population Calculation and etc.

In terms of attracting investments in Georgia, it has some advantages over price of some of the factories of production, geostrategic location and other, and the lack of investment expenses is the high level of additional costs, socio-economic conditions in the country, etc. In terms of concentrating foreign capital in Georgia, it is of utmost importance to carry out the issues of tax policy.

Key words: Investment environment, macroeconomic indicators, GDP, investor, attract capital, foreign policy, foreign trade, inflation, foreign debt, tax policy.

.

შემოსავლების სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და შედეგები

ბექა ჯაყელი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოში, საგადასახადო კოდექსით დაწესებული გადასახადების ადმინისტრირების ერთიან პროცესს ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური, მის შემადგენლობაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით. შემოსავლების სამსახურის სტრატეგიული ამოცანები არის ხედვით გათვალისწინებული ძირითადი მიზნის აღსრულებისაკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობა, რომელთა თანმიმდევრული შესრულება განაპირობებს როგორც სამსახურის, ასევე ჩვენი ქვეყნის წარმატებას.

საკვანძო სიტყვები: შემოსავლების სამსახური, სახელმწიფო ბიუჯეტი, გადასახადები, სამართალდარღვევები, გადასახადების ადმინისტრირება.

ძირითადი ტექსტი

გადასახადის გადამხდელთა, საზღვრის მკვეთ პირთა უმეტესობა, ნებაყოფლობით იხდის კუთვნილ გადასახადს, ასრულებს საზღვრის კვეთის წესებით გათვალისწინებულ პირობას და თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარების საქმეში; თუმცაღა ყოველთვის არსებობენ პირები, რომლებიც შეგნებულად ან მართლსაწინააღმდეგო განზრახვის გარეშე არ ასრულებენ კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო. ამასთან, გადასახადის გადამხდელთა, საზღვრის მკვეთ პირთა რაოდენობა და შემოსავლების სამსახურის რესურსი არათანაზომიერია. სწორედ ამიტომ შემოსავლების სამსახურის სტრატეგია ეფუძნება

მსოფლიოს მოწინავე შემოსავლების ორგანოებში აპრობირებულ თანამედროვე მიდგომებს, რათა მაქსიმალურად გამარტივდეს კანონმორჩილება და იმავდროულად გართულდეს კანონის დარღვევის შესაძლებლობა. გასათვალისწინებელია, რომ სამსახურის ფუნქცია გადაჯაჭვულია ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის ფუნდამენტურ პრინციპებთან. გადასახადების გარეშე წარმოუდგენელია დაფინანსდეს ნებისმიერი სახელმწიფო ხარჯი: გზების, ხიდების, სკოლების, საავადმყოფოების მშენებლობა, შენახვა, თავდაცვა, წესრიგის დაცვა, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა, ხელფასების, პენსიების გაცემა და სხვა უამრავი მიმართულება. შესაბამისად, აუცილებელია გასიგრძეგანებულ იქნას, რომ ყოველი გადაუხდელი ლარი არის არა მხოლოდ საგადასახადო კანონდარღვევა და შემოსავლების სამსახურის საზრუნავი, არამედ ეს არის საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის, მისი მომავალი თაობისთვის მოპარული, დაკარგული რესურსი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ზემოთ აღნიშნული რომელიმე ღონისძიების გაწევა. საქართველოს უნიკალური ადგილმდებარეობა წარმოადგენს ბუნებრივ უპირატესობას და იმავდროულად დიდ გამოწვევას ქვეყნის უსაფრთხოებისთვის. შესაბამისად, არსებობს საშიშროება, რომ ყოველდღიურად საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ათასობით სატრანსპორტო საშუალებით გადაიზიდოს ადამიანის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის, გარემოსთვის საშიში, ზიანის მომტანი საგანი. ყურადღების მოდუნებამაც კი შესაძლებელია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს საქართველოს ფლორასა და ფაუნას. აქედან გამომდინარე, სამსახური ურთიერთქმედებს უამრავ სხვადასხვა ინტერესის მქონე პირთან, რომელთაც გააჩნიათ სხვადასხვა კანონიერი ინტერესი. კანონდარღვევის დროული გამოვლენა-აღკვეთასთან ერთად უწყების ყოველდღიური ამოცანაა ხსენებული სხვადასხვა ინტერესის დაბალანსება. ამრიგად, სამსახურს უხდება კონფლიქტური მიზნების კონტროლის და იმავდროულად ხელშეწყობის თავსებადობის უზრუნველმყოფი გარემოს შექმნა. ბუნებრივია, ასეთი რთული წინააღმდეგობრივი ფუნქციის შესრულება მოითხოვს

პროცესში ჩართული ყველა პირის იდენტიფიცირებას, მათი საჭიროებების შესწავლას და ადეკვატურ რეაგირებას.

შემოსავლების სამსახურისთვის დაკისრებული მისიის შესასრულებლად და დასახული მიზნების მისაღწევად, ხელმძღვანელობს ღირებულებებით, რომელთა განუხრელად დაცვა, დაინტერესებულ პირებთან ნებისმიერი ფორმატით წარმოებული ურთიერთობისას, შემოსავლების სამსახურის ყველა თანამშრომლის ვალდებულებაა. შემოსავლების სამსახურის უმთავრესი ღირებულებებია: პარტნიორობა და გამჭვირვალობა; სამსახური უდიდეს პატივს სცემს თითოეული თანამშრომლის მიერ უწყების განვითარების საქმეში შეტანილ წვლილს;

ზემოთ მოცემულ პირამიდაზე გამოსახულია დაინტერესებულ პირთა ძირითადი ტიპები და, თითოეული ტიპის მიმართ, სამსახურის ზოგადი მიდგომა. პირამიდის უკიდურეს ზედა ნაწილში მოქცეულნი არიან სამართალდამრღვევი პირები, რომლებიც განზრახ არ ასრულებენ ვალდებულებებს, ხოლო პირამიდის ქვედა ნაწილში - კეთილსინდისიერი პირები. სამსახურის ძირითადი მიზანია, შეიქმნას მაქსიმალურად ხელშემწყობი

გარემო, რათა პირამიდის ზედა ნაწილში მოქცეულმა პირებმა გადაინაცვლონ ქვედა ნაწილისაკენ. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოს გააჩნია კანონშესრულების უზრუნველმყოფელი იძულების მრავალი საშუალება, აღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოიყენებს თითოეულ ჯგუფზე მორგებულ, ადმინისტრირების განსხვავებულ მიდგომებს, რომლებიც ხელს უწყობს კანონშესაბამისობის მიღწევისკენ მიმავალ ურთულეს გზაზე ნებაყოფლობითობის ფაქტორის გაძლიერებას. შესაბამისად, სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებები უზრუნველყოფენ ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების მაჩვენებლის გამაუმჯობესებელი ამოცანების პრიორიტეტულად შესრულებას. პირი ნაკლებად კანონმორჩილი იქნება, თუკი მან არ იცის საკუთარი უფლებები და ვალდებულებები. სამსახური, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით, სისტემატიურად ახორციელებს დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას კანონმდებლობაში შესული ცვლილებების, დანერგილი სიახლეების და სამსახურში არსებული მიდგომების თაობაზე; სისტემატურად ტარდება გადამხდელებთან/დაინტერესებულ პირებთან შეხვედრები, ღია კარის დღეები; წარმოებს კითხვა-პასუხის ელექტრონული სერვისი, სატელეფონო ცენტრის მეშვეობით კომუნიკაცია და სხვა. 2017-2020 წლებში შემოსავლების სამსახური დიდ ყურადღებას დაუთმობს მომავალი თაობის ცნობიერების ამაღლებას ქვეყნისთვის გადასახადების გადახდის მნიშვნელობასთან დაკავშირებით; ამასთან სამსახური ორიენტირებული იქნება დაინტერესებულ პირთა საჭიროებების დადგენასა და შესაბამისი მომსახურების მიწოდებაზე. სტრატეგიით გათვალისწინებულია საგადასახადო და საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების კიდევ უფრო გამარტივება და მეთოდოლოგიური მიდგომების დახვეწა.

შემოსავლების სამსახური დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დაადგინოს სამართალ-დარღვევის გამომწვევი მიზეზები და მეტი ძალისხმევა მიმართოს კანონდარღვევის მიზეზების გასანეიტრალებლად იმისათვის, რომ შემცირდეს არასასურველი

შედეგები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა არარეგისტრირებული გადა–მხდელების გამოვლენასა და მათ კანონის მიერ რეგულირებად სივრცეში მოქცევას. საგადასახადო დავალიანების შესრულების ტექნიკური საშუალებების კუთხით, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე ქვეყანას წარმოადგენს. ავტომატურად, მინიმალური ძალისხმევით, შესაძლებელია განხორციელდეს დავალიანების მქონე პირებზე იძულებითი ღონისძიებების გავრცელება; როგორც ქონების რეგისტრაციის ორგანოებში, ასევე ბანკში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ძალიან ეფექტური იარაღია ადმინისტრირებისას, ასევე არსებობს დავალიანების სამართავი ისეთი სხვა საშუალება, როგორიცაა საგადასახადო შეთანხმებები, თავდებობა, ცრუმაგიერ მფლობელებზე გადახდევინების მიქცევა და სხვა. სამსახურის ქმედებები მიმართული იქნება დავალიანების ეფექტიანად მართვისკენ.

შემოსავლების სამსახური არის ქვეყნის მასშტაბით ერთადერთი საგადასახადო ორგანო, რომელსაც უფლება აქვს განახორციელოს გადასახადის გადამხდელების საგადასახადო კონტროლი. ამ პროცესში მიდგომა იქნება უაღრესად მკაცრი იმ გადამხდელებთან ურთიერთობისას, რომლებიც განზრახ ცდილობენ, თავი აარიდონ გადასახადების გადახდას, რისთვისაც იგონებენ სხვადასხვა სქემებს. სამსახური, რისკზე დაფუძნებული მიდგომებით, მოახდენს გადამხდელთა დეკლარირებული მონაცემების სიზუსტის უზრუნველყოფას აუდიტისა და მონაცემთა გადამოწმების სხვა მეთოდების გამოყენებით. არ დაუშვებს საბაჟო წესების დარღვევით აღურიცხველი საქონლის მიმოქცევას ქვეყანაში. გარდა აღნიშნული ვალდებულებისა, რომელიც შემოსავლების სამსახურს აკისრია საგადასახადო კოდექსით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელდება საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული აკრძალვებისა და შეზღუდვების ეფექტურ მართვა იმისათვის, რომ უკეთ იყოს დაცული თითოეული ჩვენი თანამოქალაქის უსაფრთხოება.

ზემოთ მოცემული წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის

სტრატეგიულ მიზანს, რომელიც სტრატეგიაში მოცემულია, როგორც: „რისკზე დაფუძნებული მიდგომებით საგადასახადო და სახელმწიფო საზღვრის კვეთის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული კანონშესაბამისობის ამაღლება“. აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნება თუ შემოსავლების სამსახური არ იქნება ინსტიტუციურად განვითარებული და მდგრადი სახელმწიფო ორგანო. დაკისრებული მისია აიძულებს იყოს ერთ-ერთი საუკეთესო და სამაგალითო ორგანიზაცია საქართველოს მთავრობაში, რომელიც გამოირჩევა პროფესიონალი კადრებით, ეფექტური მმართველობით, სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობითა და ინოვაციური მიდგომებით. ქვეყნის განვითარებასთან ერთად, შემოსავლების სამსახური წლების მანძილზე ეტაპობრივად ვითარდებოდა და იხვეწებოდა, რათა მიეღწია აღნიშნული შედეგისთვის. მიუხედავად ამისა, არ წყვეტს განვითარებას და მუდმივად აგრძელებს ინოვაციური მიდგომების დანერგვას, ტექნოლოგიების განვითარებას და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

იმისათვის, რომ შემოსავლების სამსახური იყოს სანდო პარტნიორი ბიზნესისთვის, საჭიროა კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მიერ ხორციელდებოდეს გადამხდელთა კონსულტირება, რომელთაც ნებისმიერ კითხვაზე ექნებათ პასუხი. შემოსავლების სამსახურის ყველაზე დიდი აქტივი არის იქ დასაქმებული ადამიანები, რომლებიც ქმნიან ორგანიზაციისა და ქვეყნის წარმატებისთვის აუცილებელ პროდუქტს. სამსახურში დასაქმებულთა რიცხვი აჭარბებს 3 500-ს. აუცილებელია, რომ გაგრძელდეს სამსახურში პროფესიონალი და კვალიფიციური კადრების დამაგრება. შემოსავლების სამსახურში დაინერგება თანამშრომელთა შეფასების სისტემა, რომლის საშუალებითაც გამოვლინდება სუსტი და ძლიერი მხარეები; ჩამოყალიბდება თანამშრომელთა შორის ჯანსაღი კონკურენცია და მენეჯერებს დაეხმარება საქმის სწორად გადანაწილებაში. ფართომასშტაბიანი გახდება ელექტრონული სწავლების პროექტი; გამარტივდება საკადრო საქმის წამოება, შეიქმნება სამოტივაციო

და კარიერის მართვის სისტემები.

ეფექტურობისათვის უმნიშვნელოვანესია შემოსავლების სამსახური იყოს აღჭურვილი უახლესი ტექნოლოგიით როგორც მატერიალური, ისე საინფორმაციო-ტექნოლოგიური თვალსაზრისით. შემოსავლების სამსახური, მონაცემთა ელექტრონული ბაზის სიდიდის მიხედვით, ქვეყნის მასშტაბით ლიდერი ორგანიზაციაა, რაც განპირობებულია იმით, რომ მოხდა გადასახადის გადამხდელებთან ურთიერთობის სრულად გადაყვანა ელექტრონულ ფორმატში - გადამხდელები სარგებლობენ ელექტრონული დეკლარირების, ელექტრონული პირველადი დოკუმენტების და სხვა უამრავი სერვისით. 2017-2020 წლებში სამსახურისთვის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს მონაცემთა საინფორმაციო ბაზებისა და ელექტრონული სისტემების დახვეწა. ინფორმაცია არის ისეთი მონაცემი, რომლის ანალიზის შედეგადაც ხდება დასკვნების გაკეთება და გადაწყვეტილებების მიღება. სწორედ ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის ხარისხსა და მის მოქნილ სტრუქტურას. უწყებაში ინფორმაციის გაცვლა უნდა ხდებოდეს უწყვეტად და მარტივად, რათა მოხდეს გადამხდელზე განხორციელებული ყველა ღონისძიების ერთმანეთთან დაკავშირება.

იმისათვის, რომ გადამხდელთა მოთხოვნები მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს, აუცილებელია, მოხდეს არსებული ფინანსური და მატერიალური რესურსის ეფექტურად გამოყენება. შემოსავლების სამსახურში დასაქმებული თითოეული თანამშრომლის სწრაფად და ხარისხიანად მუშაობა დიდ წილად დამოკიდებულია თანამედროვე ტექნიკასა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე.

სტაბილურობისათვის აუცილებელია, მოხდეს უწყებრივი რისკების შეფასება, რომელიც საფრთხეს უქმნის როგორც თანამშრომლების სიცოცხლეს, ასევე სისტემის გამართულ მუშაობას. შემოსავლების სამსახურის უწყვეტ და გამართულ მუშაობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის კუთხით. არსებობს უამრავი ფაქტორი (რისკი), რომელიც საფრთხეს უქმნის სისტემის უწყვეტ მუშა-

ობას. სწორედ ამიტომ, აუცილებელია მზადყოფნა თითოეული ასეთი შემთხვევისთვის რათა მაქსიმალურად შემცირდეს ნეგატიური ეფექტი, რომელიც შესაძლოა მოყვეს ამა თუ იმ მოვლენას. არსებობს რისკები, რომელთა მოხდენა დამოკიდებული არ არის სამსახურის ქმედებებზე და რთულია მათი გაკონტროლება; მაგალითად, სტიქიური კატაკლიზმები (მიწისძვრა, მეწყერი, წყალდიდობა და ა.შ). უწყების თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ, როგორ მოიქცნენ ფორსმაჟორულ სიტუაციაში და რა უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ არ შეფერხდეს სისტემის მუშაობა. რისკის გამომწვევი მიზეზი შესაძლებელია მომდინარეობდეს მესამე მხრიდანაც და ეს ქმედება იყოს გამიზნული იმისათვის, რომ მოხდეს სისტემის პარალიზება. აუცილებელია, სისტემა დაზღვეული იყოს ასეთი რისკისგან; მაგალითად, საინფორმაციო სისტემები, მატერიალური აქტივი და სხვა. ასევე არსებობს რისკები, რომელთა გამომწვევი მიზეზი შესაძლოა იყოს უშუალოდ სამსახურში დასაქმებული თითოეული თანამშრომელი - დაკისრებული მოვალეობის შესრულების დროს საკუთარი მოქმედებიდან გამომდინარე ე.წ. „საოპერაციო რისკები". მნიშვნელოვანია, მოხდეს ასეთი რისკების იდენტიფიცირება და გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა, ან მოსალოდნელი უარყოფითი შედეგის მინიმიზაცია.

იმისათვის, რომ იყოს სამართლიანი, შემოსავლების სამსახურში არსებობს დავების გადაწყვეტის დამოუკიდებელი ორგანო. ამასთან, მნიშვნელოვანია მოხდეს დავების დროული გადაწყვეტა და გადაწყვეტილებების შემოსავლების სამსახურის სტრატეგიულ მიმართულებებთან თანხვედრა.

კიდევ უფრო მეტი წარმატებისთვის, მნიშვნელოვანია მოხდეს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. ამ თვალსაზრისით, შემოსავლების სამსახურს უდიდეს დახმარებას უწევს ევროკავშირი, აშშ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, იაპონიის მთავრობა და სხვა. ასევე მნიშვნელოვანია, მიღწეული წარმატებები გავუზიაროს სხვა ქვეყნებს, რათა საქართველო კიდევ უფრო ცნობადი და მიმზიდველი ქვეყანა გახდეს.

შემოსავლების სამსახური სრულად ჩართულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების საკმაოდ რთულ მისიაში. აღნიშნული პირობები ითვალისწინებს როგორც კონკრეტულ ევრო დირექტივებთან, რეგულაციასთან მიახლოებას, ისე რიგ საერთაშორისო კონვენციებთან მიერთებას, ასევე საგადასახადო კანონმდებლობის პოლიტიკის საერთაშორისო პრინციპების დანერგვასა და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

WWW.RS.GE
WWW.MOF.GE
WWW.GEOSTAT.GE

THE ACTIVITIES, MAIN DIRECTIONS AND RESULTS OF THE REVENUE SERVICE

Beqa Djakeli
PhD student of GTU

RESUME

In Georgia, the unified process of tax administration is imposed by the legal entity of the public law Revenue Service through its structural units existing under the Ministry of Finance of Georgia. The Strategic Objectives of the Revenue Service are a combination of measures aimed enforcing the main objectives, which correspond to consistent performance as well as the success of our country.

Key words: Revenue Service, state budget, tax, offenses, Tax administration.

პროტექციონიზმის გავლენა ქვეყნის განვითარებაზე

თამარი გელაშვილი,
გიორგი ნაცვლიშვილი
თსუ სტუდენტები

რეზიუმე

პროტექციონიზმი არის პოლიტიკა, რომლის მიზანია ადგილობრივ ბაზარზე იმპორტული საქონლის ფასის განსაზღვრითა და მაღალი კვოტების, ტარიფების დაწესებით ადგილობრივი პროდუქციის, წარმოების დაცვა და მხარდაჭერა. ესაა თავისუფალი ვაჭრობის საწინააღმდეგო პოლიტიკა, როდესაც მთავრობა ნებას რთავს თავის მოქალაქეებს, რომ შეიძინონ ან გაყიდონ სხვა ქვეყნის საქონელი და მომსახურება სახელმწიფოს შეზღუდვისა და ჩარევის გარეშე. პროტექციონიზმის მიზანია დაიცვას სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ინტერესები, როგორიცაა: საკვანძო ინდუსტრიები, პროდუქტი და სამუშაო ადგილები.

პროტექციონიზმს აქვს რამდენიმე მეთოდი, რომელთა მიზანია ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა ან გაუმჯობესება, მათ შორისაა: ტარიფები, კვოტები, სუბსიდიები, გაცვილითი კურსის კონტროლი და ა.შ.

მიგვაჩნია, რომ პროტექციონიზმის პოლიტიკას ძირითადად უარყოფითი შედეგები მოაქვს ქვეყნის განვითარებისთვის, თუნდაც ის, რომ მომხმარებლებს ეზღუდებათ არჩევანი და უწევთ მეტის გადახდა საქონელსა თუ მომსახურებაში, რთულია იმის განსაზღვრა თუ როდის აღარ სჭირდებათ ახალგაზრდა ეკონომიკებს დაცვა, გაცვლითი კურსის კონტროლი იწვევს ინფლაციას გრძელვადიან პერსპექტივაში და შესაძლებელია სავაჭრო ომების დაწყება.

საკვანძო სიტყვები: პროტექციონიზმი, სავაჭრო ომი, შეზღუდული არჩევანი, ინდუსტრია

ძირითადი ტექსტი:

შეზღუდული არჩევანი და გაზრდილი ფასები

პროტექციონიზმის პოლიტიკის მთავარი უარყოფითი შედეგი ისაა, რომ მომხმარებლებს ეზღუდებათ არჩევანი და უწევთ მეტის გადახდა საქონელსა თუ მომსახურებაში. დაწესებული კვოტების გამო მომხმარებლებს აქვთ შეზღუდული არჩევანი როგორც რაოდენობაში, ასევე ხარისხსა და პროდუქტის სახეობაში, რაც სხვაგვარად, პროტექციონიზმის არარსებობის პირობებში შეუზღუდავი იქნებოდა. პროტექციონიზმი, რომელიც მიზნად ისახავს, რომ დაიცვას ქვეყნის შიდა წარმოება, კომპანიები და სამუშაო ადგილები, რეალურად ზღუდავს მომხმარებელს, რის შედეგადაც მათ შესაძლოა მიეწოდოთ დაბალი ხარისხის მომსახურება ან საქონელი. კიდევ ერთი პრობლემა, რასაც მომხმარებელი წააწყდება ისაა, რომ თუ მათ მოუწევთ შეზღუდული რაოდენობის საქონელსა და პროდუქტში მეტის გადახდა, ეს გაზრდის ინფლაციას. თუკი ბაზარზე იქნება შეზღუდული არჩევანი, დაბალი ხარისხის პროდუქცია და ეღირება მეტი, ამის გამო მომხმარებელმა შესაძლოა შეიძინოს ნაკლები რაოდენობის პროდუქტი ან საქონელი ან კიდევ საერთოდ უარი თქვას მათ შეძენაზე. შიდა ფირმებიც შესაძლოა არ დატოვოს ამ პროცესმა ფინანსური ზარალის გარეშე იმის გამო, რომ ინფალია გაზრდის მათ დანახარჯებს, შედეგად ისინი გაზრდილ დანახარჯს გადასცემენ მომხმარებლებს ბაზარზე. გლობალური კონკურენცია კი ის უმთავრესი ფაქტორია, რაც საქონელს უნარჩუნებს დაბალს ფასს და აძლევს მომხმარებელს ფულის დახარჯვის საშუალებას.

კონკურენცია ხელს უწყობს მომხმარებელთათვის ახალი სახის პროდუქტის შექმნას, მის გარეშე ინდუსტრია სტაგნაციის საფრთხის წინაშე დგება. პროტექციონიზმი ქმნის მო-

ნოპოლიზაციის შესაძლებლობას, ამ დროს კი ხდება ფასების ხელოვნურად გაზრდა. უცხოური მწარმოებლები ავითარებენ თავიანთ პროდუქტს და ამავე დროს ცდილობენ დანახარჯის შემცირებას, მთავრობის მიერ დაცული ინდუსტრიები კი კიდევ უფრო მეტად დამოკიდებული ხდებიან სამთავრობო დახმარებებსა და სუბსიდიებზე. იმის გამო, რომ პროტექციონიზმი იწვევს ფასების ზრდას მცირდება ცხოვრების სტანდარტებიც. მაგალითისთვის, 1984 წელს იაპონურ მანქანებზე დაწესებული ტარიფები აშშ-ს მომხმარებლებს $4.5 მლრდ. დაუჯდა, ტანსაცმლისა კი - $8.5 მლრდ. (FEE)

პროტექციონიზმის ერთ-ერთი მეთოდია ვალუტის კურსის კონტროლი. ვალუტის კურსის კონტროლი იწვევს ინფლაციას, რადგანაც მთავრობა ინარჩუნებს ვალუტის დაბალ კურსს. ვალუტის ღირებულების შემცირებით ქვეყანას შეუძლია უცხოურ ბაზარზე პროდუქტი და მომსახურება გაყიდოს უფრო იაფად, შესაბამისად კი, იმპორტირებული პროდუქტის ფასი ქვეყნის ბაზარზეც გაიზრდება. მომხმარებელი იძულებული იქნება უფრო მეტი გადაიხადოს ნებისმიერი ტიპის საქონელსა თუ მომსახურებაში. პრობლემა ისაა, რომ ქვეყნის განზრახვა, დაიცვას საკუთარი წარმოება იწვევს მისივე მოქალაქეებისთვის ფასის ზრდასა და არჩევანის შეზღუდვას გრძელვადიან პერსპექტივაში.

სავაჭრო დაპირისპირებები

პროტექციონიზმის პოლიტიკას შესაძლოა მოჰყვეს სავაჭრო ომები ქვეყნებს შორის, რადგანაც ერთი ქვეყნის მიერ პროტექციონიზმის პოლიტიკის გატარებას ახლავს საპასუხო ქმედებები სხვა სახელმწიფოების მხრიდანაც. პრობლემა ისაა, რომ ქვეყნები რეაგირებას ახდენენ, თუ მათ აღარ შეუძლიათ გაყიდონ თავიანთი საქონელი და პროდუქტი იმ ბაზრებზე, სადაც მათ წინათ დაუბრკოლებლად შეეძლოთ. არ აქვს მნიშვნელობა იმას ქვეყნები არიან პოლიტიკური თუ სამხედრო მოკავშირეები თუ არა, ისინი საპასუხოდ მაინც დააწესებენ ტარიფებს, კვოტებს, მოახდენენ წარმოების სუბსიდირებას და გაცვილითი კურსის კონტროლს.

სავაჭრო ომი განსაკურებით აქტუალური თემაა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. საქმე ეხება სავაჭრო დაძაბულობას აშშ-სა და ჩინეთს შორის. აშშ-ს პრეზიდენტი ტრამპის თქმით, აშშ-მ დაკარგა 3 მილიონამდე სამუშაო ადგილი მრეწველობის სხვადასხვა დარგში, ფოლადის სამუშაოს თითქმის ნახევარი და 60,000 ქარხანა მას შემდეგ , რაც ჩინეთი შეუერთდა მსოფლიო სვაჭრო ორგანიზაციას (World Trade Organization, შემდგომში WTO). „ჩვენ გვჯერა, რომ ვაჭრობა უნდა იყოს სამართლიანი და ურთიერთმომგებიანი. ათწლეულების განმავლობაში, აშშ-მ გახსნა თავისი უმსხვილესი ეკონომიკა მხოლოდ რამდენიმე პირობით. ჩვენ ნებას ვრთავდით უცხოურ საქონელს, რომ დაუბრკოლებლად გადმოელახა ჩვენი საზღვრები. ამ დრომდე სხვა ქვეყნებმა არ დაგვრთეს ნება მათ ბაზრებზე სამართლიან და ორმხრივ წვდომაზე. უფრო მეტიც, ზოგიერთმა ქვეყანამ ბოროტად გამოიყენა ჩვენი გახსნილობა.“ (UN) ტრამპის თქმით ამ ყველაფრის გამო ჩინეთთან სავაჭრო დეფიციტმა წელიწადში თითქმის $800 მილიარდს მიაღწია. ამის გამო ამ დრომე ტრამპის ადმინისტრაციამ $250 მლრდ. ღირებულლების ჩინურ ექსპორტს დაუწესა ტარიფები. ჩინეთმა ამას უპასუხა საკუთარი ტარიფების დაწესებით აშშ-ს სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული სექტორის საიმპორტო საქონელზე. (Foreign Affairs) ეს პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება და იმის გამო, რომ ამ სავაჭრო ომში მსოფლიოს ორი უმსხვილესი ეკონომიკაა ჩართული, მას მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემაზეც შეუძლია დიდი გავლენის მოხდენა. ცხადია, რომ ტრამპი ეკონომიკური ნაციონალიზმის იდეებით საზრდოობს, რაც გულიხმობს იმას, რომ ეკონომიკა არის პოლიტიკური მიზნების მიღწევის ინსტრუმენტი და ეკონომიკა, პირველ რიგში, უნდა ემსახურებოდეს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს,(nplg.gov.ge) ისევე, როგორც ეს ტრამპმა არაერთხელ განაცხადა. (UN)

სავაჭრო ომი ზრდის იმპორტის ღირებულებას, რასაც ასევე შეუძლია გავლენა მოახდინოს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტზე (მშპ). საერთაშორისო სავალუტო ფონდის (International Monetary Fund (IMF)) კვლევის თანახმად, ამერიკის ტარიფების

მუდმივმა 10%-იანმა ზრდამ ყველა ქვეყნის იმპორტზე, შეუძლია მისი მშპ შეამციროს 1%-ით. აშშ-ს ისტორიაში ყველაზე ცნობილი სავაჭრო ომი გამოიწვია სმუთ-ჰოლეის აქტმა, როემლიც მიღებულ იქნა 1931 წლის ივნისში. აქტს ხელი მოაწერა აშშ-ს პრეზიდენტმა ჰერბერტ ჰუვერმა, რომლითაც დააწესა სასოფლო-სამეურნეო საქონელსა და პროდუქტზე ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მაღალი ტარიფები, რასაც სხვა სახელმწიფოების საპასუხო ქმედებებიც მოჰყვა. შედეგად, ნაცვლად იმისა, რომ ამ აქტს დაეცვა ამერიკული კომპანიები და საწარმოები, ამან საშუალოდ 20%-ით გაზარდა ტარიფები 20 000-ზე მეტი სახეობის პროდუქტზე, რამაც გლობალური ვაჭრობა შეამცირა 67%-ით, ამერიკული ექსპორტი კი 75%-ით.

„ჩვილი ინდუსტრიები“

„ჩვილი ინდუსტრიების“ დაცვის არგუმენტი პირველად ამერიკელმა პოლიტიკოსმა და სახელმწიფო მოღვაწემ ალეგზანდერ ჰამილტონმა წამოაყენა 1792 წელს. ეს იდეა ნიშნავს იმას, რომ ახალ მეწარმეებს უჭირთ განვითარებული ქვეყნების კარგად ჩამოყალიბებულ, კონსოლიდირებულ და მომგებიან კომპანიებთან კონკურენციის გაწევა. განვითარებად ქვეყნებში ახალ მეწარმეებს შესაძლოა არ გააჩნდეთ ეკონომიკური და ფინანსური რესურსები, ასევე არც ტექნოლოგიები, კვლევისა და განვითარების პრაქტიკა იმისთვის, რომ კონკურენცია გაუწიონ ძველ და კარგად ჩამოყალიბებულ ფირმებს. „ჩვილი ინდუსტრიების“ დაცვის, კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისა და ბაზარზე ადგილის დამკვიდრების მიზნით, მთავრობები მათთვის აწესებენ მოკლევადიანი დახმარების პროგრამებს მანამ, სანამ ისინი შეძლებენ დიდ, უცხოურ ფირმებს გაუწიონ კონკურენცია. „ჩვილ ინდუსტრიებში“ მთავრობის ჩარევა შესაძლოა გამოიხატოს ტარიფების, სუბსიდიების, ადმინისტრაციული სავაჭრო პოლიტიკისა თუ კვოტების მექანიზმის გამოყენების საშუალებით.

თუმცა, საქმე იმაშია, რომ მთავრობის პროტექციონიზმის პოლიტიკის შედეგად შესაძლოა ვერასოდეს გაიზარდოს „ჩვი-

ლი ინდუსტრიები“. საკვანძო კითხვებია: როდის აღარ დასჭირდება „ჩვილ ინდუსტრიებს“ მთავრობისგან დაცვა? როდის მიიღებენ ისინი ჩამოყალიბებული კომპანიების სახეს და შეძლებენ საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებას და უცხოური ფირმებისთვის კონკურენციის გაწევას?

სახელმწიფომ შესაძლოა გამოიყენოს „ჩვილი ინდუსტრიების“ დაცვის პოლიტიკა, მაგრამ მთავარი საკითხია ის, თუ რამდენ ხანს შეიძლება გააგრძელოს მან ეს პოლიტიკა. ახალი ინდუსტრიის დაცვა საბოლოოდ მთავრობას შესაძლოა დაუჯდეს ძალიან ძვირი. ეს, ფაქტობრივად, ხელს შეუწყობს ასეთი ინდუსტრიის არაეფექტურობას გამომდინარე იქიდან, რომ ის არ იქნება წახალისებული განახორციელოს ეფექტური და გრძელვადიანი ინვესტიციები. ამ სახის პროტექციონიზმი ხელს შეუშლის საწარმოების ჩამოყალიბების პროცესს, რაც უმნიშვნელოვანესია ახალი ინდუსტრიებისთვის, რადგანაც მათ უნდა გამოცადონ საკუთარი თავი და იცოდნენ, როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში, შეძლებენ თუ არა იყვნენ წარმატებული და კონკურენტუნარიანი და მოიპოვონ შედარებითი უპირატესობა გლობალურ ბაზარზე. კონკურენციის პირობებში კი არსებობს მოტივაცია განვითარებისა და წარმატების მიღწევისათვის და როგორც უკვე ვახსენე, კონკურენციის არარსებობის პირობებში ნებმისმიერი სახის წარმოება სტაგნაციას განიცდის. ვფიქრობ, „ჩვილი ინდუსტრიების“ დასაცავად პროტექციონიზმის პოლიტიკის გამოყენება არასწორია, რადგანაც პროტექციონიზმი არ უწყობს ხელს კონკურენციას.

დასკვნა

მაშინ, როდესაც ზოგიერთი ეკონომისტი და პოლიტიკოსი ფიქრობს, რომ პროტექციიონიზმს შეუძლია ქვეყნის ეკონომიკის დაცვა და გაძლიერება, სხვების აზრით ამ პოლიტიკას შეუძლია ქვეყნისთვის ძალიან დიდი ზიანის მოტანა. მაგალითად, Citi- ის (Citibank - ფინანსური მომსახურების კომპანია) მთავარმა ეკონომისტმა უილიამ ბუიტერმა განაცხადა, რომ ვაჭრობის დაცვის პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს გლობალური სავაჭ-

რო ომი , რომელიც მარტივად გამოიწვევს მსოფლიო რეცესიას. როგორც ვხედავთ, პროტექციონიზმი საკმაოდ საკამათო საკითხია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მას საბოლოო ჯამში ბევრი უარყოფითი შედეგის მოტანა შეუძლია, როგორც ეს ზემოთ განხილულიდანაც კარგად ჩანს. პროტექციონიზმის პოლიტიკამ შეიძლება მიგვიყვანოს გლობალურ სავაჭრო ომამდე, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს არა მარტო ერთი ქვეყნის, არამედ მასში ჩართული ყველა ქვეყნის ეკონომიკაზე, ისევე, როგორც ეს სმუთ-ჰოლეის ტარიფების დაწესებას მოჰყვა. პროტექციონიზმი უზღუდავს მომხმარებელს არჩევანს, მათ უწევთ იგივე ან უფრო ნაკლები ხარისხის საქონელსა და მომსახურებაში უფრო მეტი თანხის გადახდა, გაცვლითი კურსის კონტროლი გრძელვადიან პერსპექტივაში იწვევს ინფლაციას, რაც შეეხება იმ არგუმენტს, რომ პროტექციონიზმით მთავრობები „ჩვილ ინდუსტრიებს“ იცავენ, ესეც ძალიან საკამათო საკითხია, რადგანაც ამა თუ იმ დარგის სუბსიდირება არ იწვევს მის წახალისებას და ხელის შეწყობის ნაცვლად აფერხებს მის განვითარებასა და საკუთარი თავის გამოცდის პროცესს. საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვა, რომ ადამიანური კეთილდღეობა მიიღწევა გლობალური თავისუფალი ბაზრის ექსპანსიით სუვერენული სახელმწიფოს საზღვრების გავლით და ამ საზღვრების მნიშვნელობის შესუსტებით. საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალური თეორიის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ვაჭრობის ღია სისტემა მოითხოვს ქვეყნებმა განახორციელონ სამართლიანი და დისკრიმინაციისგან თავისუფალი შეღწევა ერთმანეთის ბაზრებზე. ამისათვის ქვეყნები უნდა შეეცადონ შეუქმნან სხვა ქვეყნებს ხელსაყრელი პირობები თავის ბაზრებზე შესაღწევად - შეამცირონ თავიანთი სავაჭრო ბარიერები მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებების დადების გზით. საერთაშორისო ვაჭრობა მშვიდობის გარანტიაა, და რაც მეტი ქვეყანაა ჩაბმული მასში, მით უფრო უსაფრთხო და სტაბილურია მსოფლიო. (nplg.gov.ge)

გამოყენებული ლიტერატურა

- აკობია ეკა, 2006, *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია*, სოციალურ მეცნიერებათა ცენრტი, თბილისი

http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL3.1.6&d=HASH011d8dcef9e5ffa0469c4593&x=1

- ჟვანია ნინო, 2006, *საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია*, სოციალურ მეცნიერებათა ცენრტი, თბილისი

http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4-----4---0-1l--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4.1&d=HASH0efc7ef1128bd0c35f5382.fc

- Foreign Affairs, The Security Risks of a Trade War with China, https://www.foreignaffairs.com/articles/china/2018-08-06/security-risks-trade-war-china, ბოლო ნახვა - 27 იანვარი, 2019 წ.

- FOCUSECONOMICS, The Economic Effects of Trade Protectionism, https://www.focus-economics.com/blog/effects-of-trade-protectionism-on-economy , ბოლო ნახვა - 27 იანვარი, 2019 წ.

- General Assembly of the United Nations, United States of America

- H.E. Mr. Donald Trump, President, https://gadebate.un.org/en/73/united-states-america, ბოლო ნახვა - 27 იანვარი, 2019 წ.

- Foundation for Economic Education, Protectionism: A Threat to Individual Freedom, https://fee.org/articles/protectionism-a-threat-to-individual-freedom/, ბოლო ნახვა - 27 იანვარი, 2019 წ.

REFERENCES

- Akobia Eka, 2006, Theory of International Relations, Center for Social Sciences, Tbilisi

http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-

00&cl=CL3.1.6&d=HASH011d8dcef9e5ffa0469c4593&x=1

- Foreign Affairs, The Security Risks of a Trade War with China, https://www.foreignaffairs.com/articles/china/2018-08-06/security-risks-trade-war-china

- FOCUSECONOMICS, The Economic Effects of Trade Protectionism, https://www.focus-economics.com/blog/effects-of-trade-protectionism-on-economy ,

- General Assembly of the United Nations, United States of America

- H.E. Mr. Donald Trump, President, https://gadebate.un.org/en/73/united-states-america,

- Foundation for Economic Education, Protectionism: A Threat to Individual Freedom, https://fee.org/articles/protectionism-a-threat-to-individual-freedom/

- Zhvnia Nino, 2006, International Political Economy, Center for Social Sciences, Tbilisi http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-1l--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4.1&d=HASH0efc7ef1128bd0c35f5382.fc

THE IMPACT OF PROTECTIONISM ON THE DEVELOPMENT OF A COUNTRY

Tamari Gelashvili, Giorgi natsvlishvili
TSU Students

RESUME

Protectionism is a policy aimed at determining the price of imported goods on the local market and promoting and supporting local products and production by promoting high quotas and tariffs. This is against free trade policy, when the government allows its citizens to buy or sell goods and services of other countries without limitation and interference of the state. The goal of protectionism is to protect the most important economic interests of the state, such as key industries, products and job places. Protectionism has several methods aimed at achieving or improving the economic well-being of the country, including: tariffs, quotas, subsidies, control of the exchange rate, etc. I think that protectionist policies have mostly negative consequences for the country's development, even the fact that the users are limited in choice and they have to pay more for goods or services. It is difficult to determine when the young economies no longer need a protection, the exchange rate control causes inflation in the long run and may start trade wars, about which I will talk about below.

Key words: Protectionism, trade war, limited choice, industry.

საწარმოების ანტიკრიზისული მართვის სპეციფიკა

ზურაბ ჩხაიძე
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

განხილულია საწარმოს ანტიკრიზისულ მართვასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. ნაშრომის ფარგლებში განსაზღვრულია ორგანიზაციის ძირითადი პრობლემები და ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სტრატეგიები, რომელთაც ანტიკრიზისული მართვა ეფუძნება. სტატიაში ავტორის მიერ კრიზისის დასაძლევად შემოთავაზებულია სხვადასხვა ღონისძიებები.

საკვანძო სიტყვები: ანტიკრიზისული მართვა, მართვის სტრატეგიები.

შესავალი

საწარმოთა ანტიკრიზისული მართვა ქართული ბიზნეს-სინამდვილისათვის ახალი ცნებაა. იგი ნაკლებად ცნობილია ქართულ სამეცნიერო წრეებში და, შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში სათანადოდ არ არის შემუშავებული და დანერგილი ქართულ საწარმოებში. აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში სამეცნიერო წრეები დიდი ხანია დაინტერესდნენ ამ საკითხით და ამ მხრივ მრავალი კვლევა ჩატარდა.

ამავე დროს, მსოფლიო წამყვან მეცნიერთა სხვადასხვა პუბლიკაციები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც ქართულ სამეცნიერო წრეებში ერთიანი ანტიკრიზისული კონცეფციის შემუშავებას ხელს უშლის. საქართველოში ამ სფეროში ძირითადად არ ხდება ინოვაციური იდეების დანერგვა და კრიზისულ სიტუაციებთან ბრძოლის თაობაზე ძირითადად უცხოურ მეცნიერთა მოსაზრებებს ეყრდნობიან.

საწარმოების ანტიკრიზისული მართვის სპეციფიკა. საწარმოს ანტიკრიზისული პროგრამის ძირითადი მიზანი ბაზარზე საწარმოს მდგრადი პოზიციების შენარჩუნება და განმეორები-

თი კრიზისის თავიდან აცილებაა. ანტიკრიზისული მართვის დანიშნულება ძირითადად ორი ამოცანის გადაწყვეტაა. პირველ რიგში, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების მეშვეობით კრიზისის თავიდან აცილებაა სასურველი. ასევე საოპერაციო საქმიანობის სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, კრიზისის გარკვეულწილად შერბილება ან სრული ლიკვიდაციაა სასურველი.

კომპანიის საქმიანობის ანალიზის საფუძველზე, კომპანიის განვითარების სტრატეგია შემუშავდება. ასეთი სტრატეგია საწარმოო საქმიანობის კომპლექსური, დაწვრილებითი და ყოვლისმომცველი გეგმაა, რომლის მიხედვითაც პოსტკრიზისულ ეტაპზე როგორც მთლიანობაში მეღვინეობის კომპანია, ასევე მისი ყველა ქვედანაყოფი და სტრუქტურული ერთეული უნდა ფუნქციონირებდეს.

თუ მეღვინეობის საწარმოს მენეჯმენტს არ გააჩნია იმის ნათელი ხედვა, თუ როგორ უნდა გააგრძელოს საწარმომ კრიზისის შემდგომ პერიოდში ფუნქციონირება, განმეორებითი კრიზისის თავიდან აცილება პრაქტიკულად შეუძლებელია. ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე გასაწევი ხარჯი მისაღებ სარგებელს უნდა შეუდარდეს. რუსეთის ბაზრის დაკარგვის შემდეგ ქართული მეღვინეობის კომპანიები სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ახალი ბაზრების ძიებას კერძო ბიზნესთან ერთად სახელმწიფოც შეუდგა. იმ შემთხვევაში, თუ ახალი ბაზრების მოძიება არ იყო მოსალოდნელი, ან რუსული ბაზარი კვლავ არ გაიხსნებოდა ქართული ღვინისათვის, ბევრი კომპანიის ფუნქციონირებას და ანტიკრიზისული მართვის გეგმის შემუშავებას აზრი დაეკარგებოდა.

საწარმოო საქმიანობის კომპლექსური ანალიზის შემდეგ, თუ საწარმოს მენეჯმენტი გადაწყვეტს, რომ კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებას აზრი აქვს, შესაბამისი ტაქტიკური გეგმის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვაა საჭირო. ანტიკრიზისული მენეჯმენტის მეოთხე ეტაპზე გეგმა პრაქტიკაში რეალიზდება. ანტიკრიზისული ღონისძიებების დაგეგმვისა და პრაქტიკაში დანერგვაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინე-

ბა, რომ ზემოთხსენებული ღონისძიებები რაც შეიძლება სწრაფად უნდა გატარდეს წარმოებაში.

თუ საწარმოს გრძელვადიანი ან მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის პრობლემა გააჩნია, ისე უნდა დაიგეგმოს კომპანიის საქმიანობა, რომ ვალდებულებების დასაფარად ყველაზე უფრო ოპტიმალური წყაროდან მოხდეს სახსრების მოძიება. კომპანიის სამომავლო პერსპქტივებიდან გამომდინარე, ასეთი სახსრები საწარმოს მენჯმენტმა შესაძლოა მოიზიდოს, ან ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან, ანდა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის მეშვეობით.

ყველა საწარმოს საკუთარი მიდგომა გააჩნია ანტიკრიზისული მართვის მიმართ. ეს მიდგომები სხვადასხვა ფაქტორის გავლენით ყალიბდება, როგორიცაა კომპანიის საქმიანობის სპეციფიკა, ქვეყნის მაკროეკონომიკური პარამეტრები, სოციალურ-კულტურული ფონი, ა.შ. რაც უფრო გამოცდილია კომპანიის მენეჯმენტი კრიზისების გადალახვის მხრივ, მით უფრო სავარაუდოა, რომ ანტიკრიზისული მიდგომა ეფექტიანი აღმოჩნდეს. მეხუთე ეტაპზე ექვემდებარება ანალიზს ანტიკრიზისული მენჯმენტის მეშვეობით სიტუაციის ნორმალიზების ღონისძიებები.ანტიკრიზისული მენეჯმენტის მეხუთე ეტაპზე მეღვინეობის კომპანიასთან დაკავშირებული სიტუაციის ნორმალიზების ღონისძიებები ფასდება და ანალიზს ექვემდებარება.

თუ საწარმოს მენეჯმენტმა წარსული საწარმოო კრიზისების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება ეფექტურად შეუძლია, კრიზისების პრევენციისათვის დამატებითი ღონისძიებების შემუშავებას შესძლებს. კრიზისების თავიდან ასაცილებლად შესაბამისი ღონისძიებების წინასწარ შემუშავება კომპანიის მენეჯმენტს ბევრად უფრო იაფი დაუჯდება, ვიდრე კრიზისის შემდგომი შედეგების ლიკვიდაცია.

დღეისათვის ქართული მეღვინეობის კომპანიების საქმიანობაზე სხვადასხვა ენდოგენური თუ ეგზოგენური ფაქტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და მათ საოპერაციო საქმიანობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. საერთაშორისო ბაზრებზე ქა-

რთული მეღვინეობის საწარმოების არასტაბილური მდგომარეობა, მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მენეჯმენტის არქაული სისტემები ქართული მეღვინეობის კომპანიების განვითარებას ართულებს. ქართული მეღვინეობის პრობლემატიკიდან გამომდინარე, ანტიკრიზისულ მართვის არსენალში არსებული ყველა შესაძლო გზის და ვარიანტის მოსინჯვაა სასურველი ქართული მეღვინეობის კომპანიების კრიზისიდან გამოსაყვანად.

კრიზისული მდგომარეობის დაძლევის ტრადიციული და ყველაზე უფრო გავრცელებული გზა კონსერვატიული მიდგომაა. ამ მეთოდის პირობებში, პირველ რიგში, საწარმოს მოკლევადიანი პრობლემების მოგვარებაა სასურველი. ეს მიდგომა ძირითადად იმ მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით ხასიათდება, რომლებიც მოკლევადიან პერიოდში საწარმოს კრიზისიდან გამოსვლას განაპირობებს. კრიზისის დასაძლევად ამა თუ იმ მიდგომის შერჩევა ძირითადად დამოკიდებულია საწარმოს მენეჯმენტის გადაწყვეტილების მიღების უნარზე და ხედვაზე, ასევე საწარმოო სპეციფიკაზე, კომპანიის ზოგად ფინანსურ მდგომარეობაზე, პროდუციის წარმოებისა და რეალიზაციის პროცედურებზე და, რათქმაუნდა, კრიზისის იმ ეტაპზე, რომელშიც საწარმო იმყოფება.

თანამედროვე ანტიკრიზისული მართვის თეორიაში ასევე გაფართოებული მიდგომა განიხილება. ამ მიდგომის მიხედვით, ანტიკრიზისული მართვა კომპანიის საქმიანობის ნებისმიერ კრიზისულ ასპექტს უნდა მოიცავდეს გამომწვევი ფაქტორებისა და კრიზისის პერიოდულობის მიუხედავად.

კრიზისის შესწავლის და შესაბამისი მეთოდიკის შერჩევის მიზნით საწარმოს საქმიანობის კომპლექსური შესწავლაა სასურველი. იმის მიხედვით, თუ რომელმა ფაქტორმა განაპირობა საწარმოს კრიზისულ ვითარებაში შესვლა, სხვადასხვა ღონისძიებების სიღრმე და თანმიმდევრობა განისაზღვრება. ანტიკრიზისულ მართვის თეორიაში განასხვავებენ, როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ ფაქტორებს.

საწარმოო საქმიანობის რეორგანიზაციის, მოდერნიზაციის

და განახლების აუცილებლობა ობიექტური ფაქტორებია. საწარმოს კრიზისში შესვლა ასევე განპირობებულია სუბიექტური ფაქტორებით. მაგალითად საწარმოს მენეჯმენტის მხრიდან დაშვებული შეცდომებითგამოწვეული კომპანიის საოპერაციო საქმიანობის გაუარესება სუბიექტური ფაქტორია.

ობიექტური ფაქტორებით განპირობებული საწარმოს მდგომარეობის გაუმჯობესება ძირითადად გრძელვადიან პერიოდშია შესაძლებელი, რაც ამავე დროს მნიშვნელოვან ხარჯებთანაა დაკავშირებული. სუბიექტური ფაქტორებით გამოწვეული პრობლემების მოგვარება შედარებით მარტივი და ნაკლებხარჯიანია. სუბიექტური ფაქტორებით განპირობებული პრობლემების დიაგნოსტიკაც მნიშვნლოვან ძალისხმევასა და გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ასეთი ანალიზის ჩატარებაც მხოლოდ საწარმოს საოპერაციო და ფინანსური საქმიანობის კომპლექსური ანალიზის საფუძველზეა შესაძლებელი. საწარმოო კრიზისის დაძლევის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ეტაპი იმ მიზეზების განსაზღვრაა, რომლებმაც საწარმოს კრიზისში შესვლა განაპირობეს.

თუ ფინანსური ანალიზის პროცესში საწარმოს კრიზისში ყოფნის რაიმე ნიშნები დადგინდა, სასურველია საწარმოს მენეჯმენტმა მათზე დროული რეაგირება მოახდინოს. პირველ რიგში საჭიროა ძირითადი ფონდების მიმდინარე მდგომარეობა განისაზღვროს. ძირითადი ფონდების ღირებულების დაცემა ერთ-ერთი პირველი ნიშანია იმისა, რომ საწარმო კრიზისს განიცდის. საწარმოს მდგომარეობის შესაფასებლად ასევე რალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, მომგებიანობისა და რენტაბელობის კოეფიციენტი უნდა შეფასდეს.

კრიზისის ნიშნების შესწავლის მიზნით ასევე მნიშვნელოვანია საწარმოს საფინანსო განყოფილების თანამშრომლების საქმიანობის შეფასება. განსაკუთრებით კრიზისის პერიოდშია მნიშვნელოვანი ასეთი პერსონალის საქმიანობის შესწავლა. კრიზისის დაძლევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონიტორინგი გაეწიოს საწარმოს საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებს:

1) ფინანსური ანალიზისა და დაგეგმვის პროცესის განხორციელება;

2) საწარმოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის განსაზღვრა (დაფინანსების წყარობის მართვა);

3) ფინანსური რესურსების გადანაწილების პრაქტიკის დანერგვა (ინოვაცური პოლიტიკა).

ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანია საწარმოს ხელმძღვანელობის ფინანსური ხასიათის ამომწურავი ინფორმაციით უზრუნველყოფა. თუ ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები სანდოა, ხშირ შემთხვევაში ასეთი ინფორმაციაც საკმარისია გადაწყვეტილების მიღებისათვის.

საწარმოო პერსონალის ეფექტიანობის უფრო დეტალური შეფასების მიზნით სასურველია ფულადი ნაკადების მართვის ხარისხი შეფასდეს. სამუშაო კაპიტალის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ელემენტის ანუ ფულადი სახსრების მართვაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ის, თუ რამდენად შეუძლია კომპანიის მენეჯმენტს მიმდინარე და გრძელვადიანი საქმიანობის მართვა. თუ ფულადი სახსრების მართვისას საწარმოს მენეჯმენტმა მრავალჯერ დაუშვა შეცდომები, საწარმოს საერთო საოპერაციო ეფექტიანობა შეიძლება მნიშვნელოვნად დაეცეს.

საწარმოო ოპერაციებისა და შიდა კონტროლის გარემოს შესწავლის შემდეგ კრიზისის დაძლევისათვის მაკორექტირებელი ღონისძიებების კომპლექსი უნდა შეირჩეს. კრიზისის დაძლევის ყველაზე უფრო რადიკალური გზა საწარმოო პროცესების რესტრუქტურიზაციაა. რესტრუქტურიზაცია ანტიკრიზისული მართვის სხვა მეთოდებისაგან იმით განსხვავდება, რომ ასეთი ტიპის მაკორექტირებელ ღონისძიებებში საწარმოს საქმიანობის სრული რესტრუქტურიზაცია იგულისხმება.

საწარმოს კრიზისიდან გამოყვანის ძირითადი ეტაპებია:

• გადახდისუუნარობის თავიდან აცილება - საწარმოს ფინანსური კრიზისის დაძლევის პროცესში ყველაზე უფრო აუცილებელი და გადაუდებელი ეტაპი საწარმოს გადახდისუნარია-

ნობის შემცირებაა. იმის მიუხედავად თუ როგორია საწარმოს გადახდისუნარიანობა, მცირე თუ მნიშვნელოვანი, პირველ რიგში სწორედ გადახდისუუნარობის შემცირებას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი.

• საწარმოს ფინანსური მდგრადობის აღდგენა-მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს მენეჯმენტმა შიძლება საწარმოს გადახდისუუნარობა მოკლევადიან პერიოდში შეამციროს, საწარმოს ზოგადი ფინანსური არამდგრადობა შეიძლება მაინც შენარჩუნდეს. ამდენად მიზეზები, რომლებიც საწარმოს გადახდისუუნარობას იწვევენ შეიძლება უცვლელი დარჩეს, რის გამოც დროთა განმავლობაში საწარმოს გადახდისუნარიანობა შეიძლება კვლავ გაუარესდეს. ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესების პირობებში საწარმოს გადახდისუნარიანობა, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში შენარჩუნდება.

• გრძელვადიან პერიოდში ფინანსური სტაბილურობის მიღწევა-ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნების პარალელურად კომპანიის მენეჯმენტმა კომპანიია განვითარებაზე და გაფართოებაზე უნდა იზრუნოს. ფინანსური სტაბილურობა შესანიშნავ ნიადაგს ქმნის საწარმოს ეფექტიანობის ამაღლებისათვის. კრიზისის პერიოდში საწარმოს მთლიანი სტრატგია უნდა შეიცვალოს. საწარმოს მენეჯმენტმა საკუთარი სტრატეგია არახელსაყრლი ფაქტორების გათვალისწინებით უნდა გადააკეთოს.

საწარმოს კრიზისული მდგომარეობის დაძლევას გარკვეული მექანიზმები შეესაბამება. საწარმოს საქმიანობის პერიოდებისა და გადასაწყვეტი ამოცანების პრიორიტეტულობიდან გამომდინარე ანტიკრიზისული მართვის ოპერატიულ, ტაქტიკურ და სტრატეგიულ მექანიზმებს განასხვავებენ.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სტაბილიზაციის სტრატეგიულ მექანიზმებში საწარმოო საქმიანობის ძირითადი პარამეტრების ოპტიმიზაცია იგულისხმება. საწარმოს ფინანსური მდგრადობის ძირითადი მექანიზმების უზრუნველყოფის შემთვევაშიც კი გრძელვდიან პერიოდში საწარმოს გადახდისუნარიანობა შეიძლება არ შენარჩუნდეს.

ტაქტიკური მექანიზმის ძირითადი მიზანი მოკლევადიან პერიოდში საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მიღწევაა. თუ ფინანსური კრიზისის გამო საწარმოს მდგომარეობას განსაკუთრებული საფრთხე ემუქრება, სწორედ ტაქტიკური მექანიზმების ამოქმედებაა სასურველი უარყოფითი შედეგების მინიმიზაციისათვის. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მიზანი მოკლევადიან პერიოდში მაინც ფინანსური სტაბილურობის მიღწევაა.

ანტიკრიზისული მექანიზმის ოპერატიული შემადგენლის მიზანი ისეთი ქმედებების გატარებაა, რომელთა მეშვეობითაც საწარმოო საქმიანობის უარყოფითი შედეგების შემცირება გახდება შესაძლებელი. ამავე დროს სხვადასხვა წვრილი ოპერატიული პრობლემების გადაწყვეტის შედეგად ნაყოფიერი ნიადაგი იქმნება მომავალშიც პრობლემების პრევენციისათვის. ოპერატიული მექანიზმი არანაკლებ მნიშვნლოვანია საწარმოს ფუნქციონირებისათვის, ვიდრე ტაქტიკური და სტრატეგიული. მაგალითად დებიტორული დავალიანების სიჭარბე სხვა სახის საბრუნავი აქტივების წარმოებიდან ამოღებას განაპირობებს. კომპანიის საოპერაციო საქმიანობის გაურესებამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეუშალოს ხელი საწარმოს სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

ქართული საწარმოებისათვის და მათ შორის მეღვინეობის კომპანიებისათვის მნიშვნლოვანი პრობლემაა საიმედო ინფორმაციის მოძიება. აღნიშნული ეხება დებიტორული დავალიანებების მართვასაც. მყიდველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ კომპანიის მენეჯმენტს ხშირ შემთხვევაში არ გააჩნია ინფორმაცია ან მსხვილი კლიენტის მოზდვის სურვილის გამო კომპანიის მენეჯმენტი მზად არის მნიშვნელოვანი დებიტორული დავალიანებები გასცეს. სხვადასხვა დარგის კომპანიებს რისკები მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის, რაც პირველ რიგში გამოწვეულია არაზუსტი და არასრული ინფორმაციის მოძიებით. თუ სანდო ინფორმაციის მოძიება გახდა შესაძლებელი, დიდია იმის ალბათობა რომ მიმდინარე პრობლემების დასაძლევად გონივრული პრედიქტიული მენეჯმენტი დაინერგება წარმოებაში.

ქართული საწარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფულადი სახსრების მოძრაობის ეფექტიანი გეგმის შედგენა. ამის შედეგად საოპერაციო საქმიანობიდან დამატებითი სახსრების ამოღება გახდება შესაძლებელი, რაც საწარმოების კრიზისიდან გამოყვანას მნიშვნლოვანწილად განაპრობებს.

დასკვნა

ანტიკრიზისული მართვა საწარმოო საქმიანობის და ზოგადად კომპანიის მთლიანი სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს ნაწილად განისაზღვრა. კრიზისის ფაქტორის გათვალისწინება მენეჯერს საშუალებას მისცემს რაციონალური და ზუსტი სტრატეგია შეადგინოს. პირველ რიგში კრიზისის პრევენციაა სასურველი.

ანტიკრიზისულმა მართვამ საწარმოო საქმიანობის ყველა ასპექტი და სფერო უნდა მოიცვას. კრიზისის დაძლევის ოპერატიული, ტაქტიკური და სტრატეგიული მექანიზმების კომპლექსურად განხილვისა და საწარმოო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის დეტალური გააზრების მეშვეობით საწარმოს თუნდაც მოკლევადიან პეროდში კრიზისიდან გამოყვანაა შესაძლებელი. განსაკუთრებით მნიშვნლოვანია საწარმოს მოკლევადიანი პრობლემების მოგვარება, რადგან მოკლევადიანი პრობლემები საწარმოს ფუნქციონირებას ეჭვის ქვეშ აყენებენ. ამავე დროს კრიზისის დაძლევის მოკლევადიანი მექანიზმები საწარმოს გრძელვადიანი მდგრადობის და განვითარებისათვის მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Chong J., Sex steps to better crisis management, Journal of Business Strategy, Volume 25, Issue 2, pp 14-18

2. Groh M., Strategic Managementin,Times of Crisis, American Journal of Economics and Business Administration, Volume 6, Issue 2, 2014, pp 6-9

3. Klodane A., The Role and Importance of Company Crisis

Diagnosis in Anticrisis Managment, Journal of Social Sciences, No 1 (8), 2008, pp 4-7

4. Nedelea S., Paun L., The Importance of the Strategic Management Process in the Knowledge-Based Economy, Review of International Comparative Management, Volume 10, Issue 1, 2009, pp 7-10

5. Seliuchenko N., Kozyk V., Masiuk V., Considering the negative factors in enterprise management, ECONTECHMOD, Vol. 3. No. 2., 2014, pp 2-5

6. Арсланова Э.Р., риск-менеджмент в системе антикризисного управения, Вестник АГТУ, Сер. Экономика, № 1, 2010, стр 2-4

7. Гренева Т.А., Особенности управления инновационными процессами на кризисном предприятии, Альманах современной науки и образования, № 1 (32), 2010, стр 1-3

8. Евдокимова А.В., Крюкова О.Г., Превентивное антикризисное управление: цели, задачи, особенности, журнал стратегии бизнеса, № 2(10), 2015, стр 2-4

SPECIFICS OF ANTI-CRISIS MANAGEMENT OF ENTERPRISES

Zurab Chkhaidze
The Doctoral Student of
Georgian Technical University

RESUME

The article discusses various issues related to anti-crisis management of the enterprise. Within the framework of the work the main problems of the organization are defined and various strategies are based on anti-crisis management. In the article, various events are offered to overcome the crisis by the author.

Key words: Anti-crisis management, management strategies.

„უხილავი ხელის“ გავლენა გაჭირვებულთა მდგომარეობაზე

გიორგი ნაცვლიშვილი,
თამარი გელაშვილი
თსუ სტუდენტები

რეზიუმე

1789 წლის საფრანგეთის რევოლუციამ გზა გაუხსნა ახალ იდეებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ აზროვნებაში. პირველად კაცობრიობის ისტორიაში, ადამიანი, ნაცვლად სახელმწიფოსი, გახდა მთავარი ღირებულება, რომელსაც გააჩნია გაუსხვისებელი ფუნდამენტური უფლებები და სახელმწიფოს მთავარი მისია ამ უფლებების დაცვაა. ამ თვალსაზრისით, ყველაზე სრულყოფილი ხედვა ჩამოაყალიბა ლიბერალიზმმა, რომელიც ადამიანის სიცოცხლეს, თავისუფლებას და საკუთრების უფლებას აყენებდა ყველა სხვა უფლებასა და მოვალეობაზე მაღლა და თვლიდა, რომ საზოგადოების კეთილდღეობა სწორედ ამ ფუნდამენტური უფლებების უზრუნველყოფაზეა დამოკიდებული.

კლასიკური ლიბერალიზმის ერთ-ერთ მთავარ პოსტულატს წარმოადგენს ეკონომიკური თავისუფლების იდეა, რომელიც ზემოთნახსენებ უფლებებზეა დაფუძნებული და რომელიც პირველად ჩამოაყალიბა შოტლანდიელმა ეკონომისტმა, ადამ სმითმა თავის ნაშრომში *ხალხთა სიმდიდრის შესახებ* (Wealth of Nations). მისი მტკიცებით, თავისუფალი ადამიანები ეკონომიკურ საქმიანობაში ერთვებიან და გადაწყვეტილებებს იღებენ ნებაყოფლობით, მათ მიერვე მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამგვარი ადამიანების ერთიანობა ქმნის ბაზარს, რომელიც ისეთი კომპლექსურია, რომ მისი ხელოვნურად დარეგულირების ნებისმიერი მცდელობა უშედეგოა. სმითი თვლის, რომ ბაზრები თვითრეგულირებადია (იმართება „უხილავი ხელის“ მიერ) და წონასწორობას აღწევს რესურსების გადანაწილების ყველაზე ეფექტურ წერტილში, რაც ხელს უწყობს სიმდიდრის სწრაფად დაგროვებას.

თავისუფალი ბაზრის ეფექტურობა მრავალჯერ იქნა დატესტილი და დადასტურებული სხვადასხვა ქვეყანაში (მე-19 საუკუნის აშშ, ჩილე, სინგაპური, ბოტსვანა...) სხვადასხვა დროს, რამაც მისი ხანგრძლივი პოპულარულობა განაპირობა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას მოწინააღმდეგეები არ ჰყავს. მემარცხენე ეკონომისტები, პოლიტიკოსები თუ სოციალური აქტივისტები, რომლებიც მხარს უჭერენ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას, ხშირად აპელირებენ იმაზე , რომ თავისუფალი ბაზარი ხელს უწყობს უთანასწორობის ზრდას, რის შედეგადაც მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან, ხოლო ღარიბები - უფრო ღარიბდებიან. ისინი ამას მიაწერენ სოციალურ დარვინიზმის „გულქვაობას", რომლის მიხედვითაც ნიჭიერი და შრომისმოყვარე ადამიანები იღებენ სიმდიდრის უმეტესობას, ხოლო უნიჭოებსა და ზარმაცებს საზოგადოებისგან გარიყვა ელით.

აღნიშნულ ნაშრომში თეორიულ და პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით განხილულია, რამდენად შეესაბამება სიმართლეს ზემოთხსენებული დებულება, რომ თავისუფალი ბაზარი ხელს უწყობს ადამიანების კიდევ უფრო გაღარიბებას.

საკვანძო სიტყვები: კეთილდღეობა, თავისუფალი ბაზარი, სიღარიბე

ძირითადი ტექსტი

არის თუ არა სახელმწიფოს ჩარევა გამოსავალი?

ადამიანის საყოფაცხოვრებო პირობებს გაუმჯობესება იყო ის მთავარი მოტივი, რის გამოც მოხდა ლიბერალური ეკონომიკური მოდელის წარმოშობა და პოპულარიზება. მეცხრამეტე საუკუნის ინდუსტრიულ რევოლუციამდე ისეთი ელემენტარული საყოფაცხოვრებო სიკეთეები, როგორებიცაა კანალიზაცია, წყალმომარაგება, გათბობა და სხვა, ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მდიდარი და დაწინაურებული მოქალაქეებისთვის, ხოლო ქალაქების ძირითადი ნაწილი დღევანდელ ჯურღმულებს წააგავდა. სახელმწიფო ინტერვენციის შესუსტებამ და ადამიანებისთვის მეტი თავისუფლების მინიჭებამ განაპირობა ახალი იდეებისა და

წარმოების წახალისება, რამაც უფრო მეტი სოციალური ფენის სურვილები და საჭიროებები დააკმაყოფილა. დროთა განმავლობაში, თავისუფალი ბაზრის წყალობით გახდა ხელმისაწვდომი ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის ელექტროენერგია, შიდა წვის ძრავი, ტელეფონი, რადიო, ტელევიზორი და ინტერნეტი.

ამის მიუხედავად, თავისუფალი ბაზრის ოპონენტები ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ ისეთ მდიდარ და თავისუფალ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, არსებობს უამრავი ადამიანი, რომელთაც არ მიუწვდებათ ხელი ხარისხიან განათლებაზე, ჯანდაცვაზე, არ გააჩნიათ სტაბილური შემოსავალი და თავშესაფარი, ამიტომ მათზე უნდა იზრუნოს სახელმწიფომ სხვადასხვა სოციალური პროგრამებით. ისინი აღიარებენ კაპიტალიზმის ეფექტურობას სიმდიდრის სწრაფად დაგროვების თვალსაზრისით, თუმცა თვლიან, რომ ამ სიმდიდრეს შემდეგ დიდი კორპორაციები და მდიდარი ფენები ინაწილებენ, ხოლო გაჭირვებულებს მცირედი ხვდებათ. ამის გამო, ისინი მხარს უჭერენ კაპიტალიზმის „მორჯულებას“ სახელმწიფოს მიერ, რაც გამოიხატება მაღალი გადასახადების, რეგულაციებისა და შეზღუდვების დაწესებაში როგორც მწარმოებლებზე, ისე მომხმარებლებზე, რაც მათი აზრით უზრუნველყოფს სოციალური დახმარებებისთვის საჭირო ფინანსების მოძიებას და ზოგადად, უფრო ხარისხიანი მომსახურების/პროდუქციის მიწოდებას.

პრობლემა, რაც ამგვარ რიტორიკას ახლავს თან, არის ის, რომ აშშ არ არის კლასიკური გაგებით თავისუფალი ეკონომიკა. უფრო მეტიც, ის ასეთი არ ყოფილა XX საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ. კლასიკური გაგებით თავისუფალი ეკონომიკა გულისხმობს მინიმალურ გადასახადებს, მინიმალურ რეგულაციებს, მცირე მთავრობას და მწარმოებლებისთვის და მომხმარებლებისთვის მაქსიმალური თავისუფლების მიცემას. თუ ასე შევაფასებთ, ამერიკის ეკონომიკა საკმაოდ შეზღუდულია: საგადასახადო სისტემის სირთულით აშშ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქვეყანაა და იყოფა ფედერალურ, შტატისა და ლოკალურ დონეებად. გადასახადები მოიცავს პროგრესულ

საშემოსავლო გადასახადს როგორც ინდივიდუალურ, ისე ოჯახის დონეზე (10%-37%), მოგების გადასახადს (35%), ხელფასის გადასახადს, კაპიტალის გადასახადს, დღგ-ს, ტარიფებს და ა.შ. მაღალი გადასახადები ხელს უშლის ფულადი კაპიტალის ბრუნვას ეკონომიკის ჯანსაღ სექტორებში და შედეგად მცირდება როგორც წარმოება, ისე სამუშაო ადგილების რაოდენობა. ასევე მოქმედებს მინიმალური ხელფასის კანონი, რაც გულისხმობს, რომ დამსაქმებელი ვალდებულია საათში $7.25-ზე მეტი გადაუხადოს დასაქმებულს. ამგვარი კანონები ხელს უშლის დაბალკვალიფიციურ პირებს (ძირითადად ახალგაზრდებს ან უმცირესობებს), იმუშაონ დაბალანაზღაურებად სამსახურში და დააგროვონ გამოცდილება, ამის მაგივრად კი დამოკიდებულს ხდის სოციალურ დახმარებებზე. უამრავი რეგულაციაა დაწესებული მცირე და საშუალო ბიზნესის დასაწყებად, რაც უმეტესწილად სწორედ მოსახლეობის დაბალ ფენებს აზარალებს.

ინტერვენციონისტები, რომლებიც ამგვარი შეზღუდვებით დატვირთულ ეკონომიკას თავისუფალს უწოდებენ, ცდილობენ, გარკვეული გარემოებების უგულებელყოფის ხარჯზე მათთვის საინტერესო პოლიტიკური დღის წესრიგის ლობირებას. სინამდვილეში კი მთავარი ფაქტორი, რაც ხელს უშლის ადამიანებს, თავი დააღწიონ სიღარიბეს, არის სწორედ მათ მიერ მხარდაჭერილი სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკურ საქმიანობაში. მაგალითისთვის, ღარიბ ამერიკელს უამრავი პროცედურის გავლა მოუწევს (რაც საკმაო ხარჯებთანაა დაკავშირებული), რათა შეძლოს საკუთარი ავტომობილით ადამიანების ტრანსპორტირება - „ტაქსაობა“; ახალგაზრდა ამერიკელს, რომელსაც არ აქვს სამსახურეობრივი გამოცდილება და რომელიც თანახმაა დაბალანაზღაურებად სამსახურზე, კანონმდებლობით აქვს აკრძალული $7.25-ზე ნაკლებად მუშაობა, რაც კიდევ უფრო აფერხებს მის კარიერულ წინსვლას.

რას გვიჩვენებს პრაქტიკა?

„კეთილდღეობის სახელმწიფოს“ მომხრეები უმეტესწილად აპელირებენ უთანასწორობაზე, როგორც სიღარიბის მთავარ

გამომწვევ ფაქტორზე. არასამთავრობო გლობალური ორგანიზაცია ოქსფამი (Oxfam), რომლის საქმიანობას სიღარიბესთან ბრძოლა წარმოადგენს, თავის 2017 წლის პუბლიკაციაში *An economy for the 99 percent* აკეთებს დასკვნას, რომ ნეოლიბერალური ეკონომიკური სისტემა ხელს უწყობს სიმდიდრის კონცენტრაციას მსოფლიო მოსახლეობის 1%-ში, რაც გაჭირვების მთავარი მამოძრავებელი ძალაა, ხოლო გამოსავალი მდგომარეობს ძლიერ მთავრობასა და „სამართლიან" დაბეგვრაში.

აღნიშნული პუბლიკაციის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ის არ ასახავს, როგორ იწვევს უთანასწორობა სიღარიბეს. ერთი მხრივ, ის აცხადებს, რომ მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან, თუმცა ეს მას არ/ვერ აძლევს საშუალებას დაასკვნას, რომ ღარიბები კიდევ უფრო ღარიბდებიან. მათივე სიტყვებით, ღარიბთა 10%-ის შემოსავალი 1988-2011 წლებში ყოველწლიურად იზრდებოდა $3-ით, ხოლო მდიდართა 1%-ის - 182-ჯერ. თვით ის მეთოდოლოგია, რომელსაც ოქსფამი იყენებს ადამიანთა სიმდიდრის გამოსათვლელად, შეიცავს საკმაოდ საეჭვო გარემოებებს: ისინი სიმდიდრეს უწოდებენ სხვაობას ჯამურ ქონებასა და ჯამურ ვალს შორის და ასკვნიან, რომ მსოფლიო მოსახლეობის 50%, რომელსაც უფრო მეტი ვალი აქვს, ვიდრე შემოსავალი, გაცილებით ცუდ პირობებშია, ვიდრე სხვა ფენის წარმომადგენლები. ამ მიდგომით, მათ, ვისაც აქვთ დაბალი შემოსავალი, თუმცა არ აქვთ ბანკის ვალი, უფრო მდიდრები არიან, ვიდრე მსოფლიო მოსახლეობის 50%.

ამის მიუხედავად, რომ ჩავთვალოთ, რომ ოქსფამის მთავარი დებულება მართებულია, ეს მაინც არ ამტკიცებს, რომ უთანასწორობა იწვევს სიღარიბეს. პირიქით, შემოსავლის ზრდა ყოველწლიურად $3-ით ამტკიცებს, რომ ღარიბები მდიდრდებიან ისევე, როგორც მდიდრები, თუმცა უფრო ნელა, ვიდრე ეს უკანასკნელნი. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი ($1.9 დღეში) იმავე 1988-2011 წლებში საგრძნობლადაა შემცირებული (35.4%-დან 13.7%-მდე), ხოლო 2015 წელს ამ მაჩვენებელმა 10%-ს მიაღწია. იმავე მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ე.წ. „გლობალურ ჩრდილოეთში" უკიდუ-

რესი სიღარიბე საერთოდაც აღარ არსებობს. ადამიანები სულ უფრო ხშირად აღწევენ თავს სიღარიბეს და ინაცვლებენ სოციალურად მაღალ ფენებში, რაც განპირობებულია იმ სტიმულით, რომელსაც თავისუფალი ეკონომიკური გარემო იძლევა სიმდიდრის დასაგროვებლად.

ფრეიზერის ინსტიტუტის 2018 წლის მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ანგარიშის მიხედვით, იმ ქვეყნებში, რომლებიც ეკონომიკური თავისუფლების მაღალი ხარისხით გამოირჩევიან, მოსახლეობის უღარიბეს 10%-ს 8-ჯერ უფრო მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკა შეზღუდულია. კერძოდ, ეკონომიკური თავისუფლების მიხედვით გამოყოფილია 4 ტიპის სახელმწიფო, რომელთაგან ყველაზე მეტად შეზღუდულ ეკონომიკებში ღარიბთა საშუალო წლიური შემოსავალი შეადგენს $1,345-ს, ნაკლებად შეზღუდულში - $2,774-ს, კიდევ უფრო ნაკლებად შეზღუდულში - $3,721-ს, ხოლო ყველაზე თავისუფალში - $10,660-ს. მსგავსი შედეგებია ღარიბი ($3.10 დღეში) და უკიდურესად ღარიბი ($1.90 დღეში) მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელის მხრივაც: ყველაზე მეტად შეზღუდულ სახელმწიფოებში ღარიბები შეადგენენ მოსახლეობის 48.1%-ს და უკიდურესად ღარიბები - 30.6%-ს, ხოლო ყველაზე თავისუფალ სახელმწიფოებში - ღარიბები შეადგენენ 2.3%-ს და უკიდურესად ღარიბები - 1.9%-ს.

თავისუფალი ბაზრის ეფექტურობის დინამიკაში აღსაწერად ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია სამხრეთ აფრიკული სახელმწიფო - ბოტსვანა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბოტსვანის მთავრობამ მიზნად დაისახა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი ეკონომიკისგან (მშპ ერთ სულ მოსახლეზე დაახ. $70) სწრაფად მზარდი ეკონომიკა შეექმნა, რაც მოახერხა კიდეც აფრიკის კონტინენტზე ყველაზე თავისუფალი ეკონომიკური გარემოს შენარჩუნების ხარჯზე. 1966-1999 წლებში ბოტსვანას ეკონომიკა საშუალოდ 9%-ით იზრდებოდა, რაც 33 წელიწადში ეკონომიკის 16-ჯერ გაზრდას უდრის. ხოლო უკანასკნელ 10 წელიწადში ზრდამ 5%-ს მიაღწია. მშპ ერთ სულ მოსახლეზე $18,000-ს შეადგენს, ხოლო საშუალო შემოსავალი

დაახ. $10,000-ს, რითაც ბოტსვანა მექსიკის სტანდარტს უტოლდება. რაც შეეხება უკიდურეს სიღარიბეს, მსოფლიო ბანკის მონაცემებით 1985 წელს ეს მაჩვენებელი 42.6%-ს შეადგენდა, 2009 წელს კი შემცირდა 18.2%-მდე. ასეთი რადიკალური ცვლილების მიზეზი იყო სახელმწიფოსთვის კონკრეტული ჩარჩოების განსაზღვრა, სტაბილური ფისკალური პოლიტიკისა და ფინანსური სისტემის შენარჩუნება და დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობა.

დასკვნა

კაცობრიობის განვითარება სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად განაპირობა სულ უფრო მეტი თავისუფლების მოპოვებამ. დროთა განმავლობაში ადამიანები გათავისუფლდნენ სახელმწიფოს, ეკლესიისა თუ ფეოდალების ბატონობისგან და დაიწყეს საკუთარი კეთილდღეობისთვის ზრუნვა, რამაც შეუქცევადი გახადა ახალი იდეების გენერირებისა და წარმოების ინტენსიფიკაციის პროცესი. ამან, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ადამიანების ამოსვლას უკიდურესი გაჭირვებიდან.

ამის მიუხედავად, სახელმწიფოს ჩარევისა და ადამიანების თავისუფლების შეზღუდვის მომხრეები აკრიტიკებენ თავისუფალ ბაზარს იმის გამო, რომ მის მიერ წარმოქმნილი სოციალური უთანასწორობის ფონზე ხდება მდიდარი ფენების კიდევ უფრო გამდიდრება, ხოლო ღარიბთა კიდევ უფრო გაღარიბება. ამგვარი რიტორიკა ძირითადად დამახასიათებელია მემარცხენე ეკონომისტების, პოლიტიკოსებისა და აქტივისტებისთვის, რომლებიც თავს მიიჩნევენ გაჭირვებული ფენების ინტერესების დამცველებად. ხშირ შემთხვევაში, რასაც ისინი ყურადღების მიღმა ტოვებენ, არის კონკრეტული ფაქტები, რომლებიც მეტყველებენ თავისუფალი ეკონომიკური გარემოს წვლილზე საყოველთაო სიღარიბის დაძლევის საქმეში.

თუმცა, მათ სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ პოლიტიკურ დებატებში მართლაც არსებობს მემარცხენე იდეოლოგიების საჭიროება. თავისუფალ საზოგადოებებში ადამიანების უფრო მეტ რაოდენობას აქვს საშუალება, გამოსცადონ საკუთარი

შესაძლებლობები ერთზე მეტ სფეროში, რაც უფრო მეტ გარანტიას იძლევა, რომ რომელიმე მათგანში შეძლებენ წარმატების მიღწევას და ღირსეული ცხოვრების მოწყობას. თუმცა არსებობენ ისეთი ადამიანები, რომელთაც ობიექტური მიზეზების გამო არ აქვთ შესაძლებლობა, მიაღწიონ წარმატებას რომელიმე სფეროში. მემარცხენე მოაზროვნეების არსებობა საჭიროა სწორედ ამ ადამიანების ინტერესებისთვის საბრძოლველად, რომელთაც ლიბერალური ეკონომიკური მოძღვრება განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევს. ლიბერალები ფოკუსირებული არიან, შეინარჩუნონ ე.წ. კომპეტენციის იერარქიები და ხელი შეუწყონ მათ მრავალფეროვნებას, რათა მოხდეს ნიჭიერი და შრომისმოყვარე ადამიანების წახალისება მაღალი შემოსავლითა და აღიარებით. ამგვარი ვითარება განსაკუთრებით საშიშია საზოგადოების სტაბილურობისთვის, რადგან არსებობს გარკვეული ზღვარი, რომლის მიღმაც საზოგადოებისგან გარიყულ ადამიანებს უბრალოდ აღარაფერი აქვთ დასაკარგი და მზად არიან, მთელი საზოგადოების თავდაყირა დაყენებით მოიპოვონ ის, რასაც ისინი სხვაგვარად ვერ მოიპოვებდნენ.

თუმცა, კვლავაც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი დისკუსია შესაძლებელია შედეგიანი იყოს მხოლოდ უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ადამიანების დასახმარებლად, რომელთაც ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური შესაძლებლობები არ აძლევთ საშუალებას, თავი დააღწიონ სიღარიბეს. სხვა შემთხვევაში „უხილავი ხელის“ ეფექტურობა ეჭვგარეშეა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. McMaken, Ryan. 2015. *How Truly Free Markets Help the Poor.* Mises Institute.

https://mises.org/library/how-truly-free-markets-help-poor

2. Andreou, Evangelos. 2018. *Why Poor People in the Freest Nations Have Incomes 8x Higher Than Poor People in the Least Free.* Foundation for Economic Education. https://mises.org/library/how-truly-free-markets-help-poor

3. McMaken, Ryan. 2017. *Inequality Doesn't Create Poverty.* Mises

Institute. https://mises.org/wire/inequality-doesnt-create-poverty

4. Oxfam. 2017. *An economy for the 99 percent.* https://www.oxfamamerica.org/explore/research-publications/an-economy-for-the-99-percent/

5. Salmon, Felix. 2017. *What Oxfam's misleading stat gets wrong about inequality.* Splinter. https://splinternews.com/what-oxfams-misleading-stat-gets-wrong-about-inequality-1793858140

6. The World Bank. Poverty headcount ratio at $1.90 a day (2011 PPP) (% of population). https://data.worldbank.org/topic/poverty

7. Kastle, Klaus. 2009. *GNI PPP table.* Nationsonline.org. https://www.nationsonline.org/oneworld/GNI_PPP_of_countries.htm

THE IMPACT OF "INVISIBLE HAND" ON THE CONDITION OF THE POOR PEOPLE

Giorgi Natsvlishvili, Tamari Gelashvili.
PhD Students of TSU

RESUME

The French Revolution of 1789 paved the way for new ideas in political, economic and social thinking. For the first time in human history, the man, instead of the state, has become the main value that has the undivided fundamental rights and the main mission of the state is to protect these rights. From this point of view, the most comprehensive vision has been developed by liberalism, for which human life, liberty and ownership are over all other rights and obligations, assumed that the well-being of society depended on these fundamental rights.

One of the main postulates of classical liberalism is the idea of economic freedom, based on the above-mentioned rights, which was first created by Scottish economist Adam Smith in his work-Wealth of Nations. According to him, free people are involved in economic activity and are making decisions based on the information they

have obtained voluntarily. The unity of such people creates the market that is so complex that any attempt to regulate it artificially is ineffective. Smith believes that markets are the self-regulated (managed by "invisible hand") and reaches the equilibrium in the most efficient point of resource distribution, contributing to rapid accumulation of wealth.

The free market efficiency has been tested and proven many times in various countries (the 19th century US, Chile, Singapore, Botswana ...), which has led to long-term popularity, but does not mean that it has no opponents. The Left-wing economists, politicians or social activists supporting the state's intervention in the economy, often claiming that the free market promotes the growth of inequalities, its result is that the rich get richer and the poor get poorer. We will dicuss about how true is the abovementioned provision based on the theoretical and practical examples in this work.

Key words: Welfare, free market, poverty.

ინვესტიციების მოზიდვის პრობლემების სისტემატიზაცია საქართველოს მრეწველობაში

შორენა მინდიაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელი გახდა ყველა დარგის გადახალისება. ამ პრობლემამ განსაკუთრებით იჩინა თავი მრეწველობის სექტორში, რომელიც მოითხოვს სრულ გადაიარაღებას, ახალი სისტემის ჩამოყალიბებას და განვითარებას. ყველაფერი ამის უზრუნველსაყოფად აუცილებელია არსებული თუ მოზიდული ინვესტიციები, რომელთა საშუალებითაც უფრო სრულყოფილად გადაწყდება შექმნილი პრობლემა. თემის აქტუალურობა მდგომარეობს იმაში, რომ დღესდღეობით ინსვესტორი არსებული რთული საინვესტიციო გარემოს- არც თუ ისე სახარბიელო საკანონმდებლო ბაზის, დაბალი მყიდველობითუნარიანი მომხმარებლის, ნაკლებად განვითარებული სამრეწველო ბაზრის და სხვა ობიექტურ- სუბიექტური მიზეზების გამო ინვესტიციების ჩადების გადაწყვეტილების მიღებას ან ვერ ახერხებს, ან მაღალი რისკით აწარმოებს.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციები, მრეწველობა, ეფექტიანობა, მაღალტექნოლოგიურინწარმოება, ეკონომიკური ეფექტიანობა, საინვესტიციო გარემო.

ძირითადი ნაწილი

საინვესტიციო პორტფელის მიზანმიმართული ფორმირება და მართვა პირდაპირ კავშირიშია დაბანდებული კაპიტალის ეფექტიანობასთან:კომპანია მაშინ აღწევს დადებით ეფექტს, როცა გარანტირებული აქვს სისტემატიური მოგება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის მისაღწევად აუცილებელია ინვესტორმა წინასწარ განსაზღვროს გარე და შიდა რისკები, რომელიც უნდა შეაფასოს და მართოს კოორდინირებულად და თანმიმდევრულად.

საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის შესაფასებლად აუცილებელია გამოყენებული იქნას **კომერციული, საბიუჯეტო და ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები**. თუმცა, საქართველოში საინვესტიციო პორთფელების მართვა წარმოადგენს პრობლემას, დღემდე განვითარების საწყის ეტაპზეა ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომელიც ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილია პირველად და მეორად ბაზრებად, მეორადი ბაზარი - საქართველოს საფონდო ბირჟა - სავაჭრო გარიგებების დეფიციტს განიცდის. 1999 წლიდან დღემდე, შეადგენს 2,479,159,630.62 ლარს. 2018 წლის 1 ივნისის მდგომარეობით სსბ-ის სავაჭრო სისტემაში დაშვებულია 74 კომპანიის ფასიანი ქაღალდი, რომელთა საერთო საბაზრო კაპიტალიზაციამ შეადგინა 1.160 მილიარდი აშშ დოლარი.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, ადგილი ქონდეს როგორც კორპორაციული, ისე სახლმწიფო ფასიანი ქაღალდების მეტი სიხშირით წარდგენას საქართველოს საფონდო ბირჟაზე, რაც ხელს შეუწყობს საინვესტიციო პორტფელის ეფექტურ ფორ მირებისა და მართვის პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ინვესტორებს სჭირდებათ მყარი გარანტიები, რომ მოახდინონ გრძელვადიანი ინვესტირება ქვეყანაში და ეს გარანტიები, თავის მხრივ, მოიცავს საკანონმდებლო და სასამართლო სისტემის მოწესრიგებას, სახელმწიფო რეგულაციების შერბილებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, საექსპორტო პოტენციალის ზრდას, სამუშაო ძალის ხარისხის გაუმჯობესებას და ფინანსური ბაზრების განვითარებას. ამ მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები კი თავისთავად, სახელმწიფოს ვალდებულებაა.

აუცილებელია საინვესტიციო პოლიტიკის სწორად შემუშავება, რაც ნიშნავს იმას, რომ იყოს სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, რაც ინვესტორებს მისცემს გარანტიას ინვესტიციის ნორმალური განხორციელებისათვის, იყვნენ დაცულები კორუფციისგან, ინფლაციისგან და სხვა უარყოფითი მოვლენებისგან. ასევე აუცილებელია შევქმნათ სწორი კონკურენტუნარიანი ბაზარი, რაც საშუალებას მისცემს ინ-

ვესტორს ინვესტიციის ეფექტურ განხორციელებასა და ჩადებული კაპიტალის სწრაფ უკუგებაში;

საქართველოში საინვესტიციო პრობლემები რიგი თავისებურებებით გამოირჩევა, განსაკუთრებით ეს ითქმის სამრეწველო ინვესტიციებზე და მათ პრობლემებზე, რომელთაგან უპირველესია დენაციონალიზაცია და ეროვნული დამოუკიდებლობით წარმოქმნილი ობიექტური სირთულეები. საქართველოს მრეწველობის მინიმალური ზრდა, ძირითადად გამოწვეულია მრეწველობის დარგების ექსტენსიური ზრდით, რაც ნიშნავს გამოყენებული რესურსების რაოდენობის შესაბამისად დოვლათის გადიდებას შრომის დანახარჯების, ძირითადი კაპიტალისა და საბრუნავი კაპიტალის ზრდის ხარჯზე. ამ შემთხვევაში ეკონომიკური ზრდის ტემპი მოხმარებული რესურსების რაოდენობის გადიდების ტემპის ტოლია. საქართველოს მრეწველობისთვის და ზოგადად ეკონომიკისთვის საჭიროა ინტენსიური ზრდა. ინტენსიური ეკონომიკური ზრდა კი წარმოების ეფექტიანობის, ანუ რესურსების გამოყენების გაუმჯობესებით და შედეგიანობის გადიდებით მიიღწევა.

საინვესტიციო გარემოსთვის მნიშვნელოვანია სტაბილური და პროგნოზირებადი საკანონმდებლო პროცესი. ხელისუფლება, რასაც დაგეგმავს ყველა იმ რეფორმის შესახებ ინფორმირებული და ჩართული უნდა იყოს ყველა მხარე, ვისაც შეეხება ცვლილებები, რათა სამიზნე ჯგუფებმა ადვილად დაძლიონ გარდამავალი პერიოდი და დროულად მოახდინონ ახალ რეალობასთან ადაპტაცია; ხელისუფლებამ თავი მაქსიმალურად უნდა შეიკავოს ისეთი კანონების მიღებისაგან, რომლებიც ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს უწესებენ გაუმართლებელ შეზღუდვებს და აფერხებენ მათ განვითარებას. ხელისუფლებამ უნდა შეიკავოს თავი ისეთი რეგულაციების მიღებისგან, რომლებიც კონკრეტულ ბაზრებზე ზღუდავს კონკურენციას და უპირატეს მდგომარეობაში აყენებს ცალკეულ კომპანიებს.

ფართომასშტაბიანი და კაპიტალტევადი საინვესტიციო პროექტების რეალიზებისას, რომლებიც საჭიროებს ძალიან დიდი მოცულობის დაბანდებებს და, როგორც წესი, კერძო

და სახელმწიფო სექტორების ერთიან მოქმედებას, უცხოურ პრაქტიკაში გამოიყენება ორგანიზაციისა და მართვის სპეციალური ფორმები. ასე მაგალითად, აშშ-ში სახელმწიფოს მონაწილეობით რეალიზებადი დიდი საინვესტიციო პროექტების მართვის მიზნით შემუშავებულია ე.წ. „დემონსტრაციული მეთოდი". აღნიშნული მიდგომა, რომელიც შეიქმნა, როგორც სახელმწიფო სტიმულირების ინსტრუმენტი აშშ კორპორაციებში მასშტაბური ინოვაციების დანერგვის დასაჩქარებლად, შემდგომში პრაქტიკაში გამოიყენეს მასშტაბური საინვესტიციო პროექტების რეალიზების შესაძლებლობებისა და პერსპექტივების აპრობაციის მიზნით.

მთავრობის როლი მდგომარეობს მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეკონომიკური გავლენის შეფასებაში. სასარგებლო ინვესტიციები უნდა წახალისდეს, ხოლო საეჭვოზე უარი უნდა ითქვას.

კაპიტალის მთლიან შემოდინებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაღალი წილი, შეიძლება ასახავდეს მიმღები ქვეყნის ინტიტუტების სისუსტეს და არა მათ ძალას. როგორც ავღნიშნეთ, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან მიმართებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული სარგებლის რეალური ეფექტი, ყოველთვის ერთნაირი არ არის და დამოკიდებულია მოზიდული ინვესტიციების ხარისხზე.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოკლევადიან პერიოდში ქვეყანაში უცხოური ვალუტის მარაგების შევსების წყაროდ მიჩნეული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, გრძელვადიან პერიოდში შესაძლოა უცხოური ვალუტის ქვეყნიდან გატანის წყაროდ იქცეს, რადგანაც ყოველი ინვესტორი ნებისმიერ ქვეყანაში სახსრების დაბანდებისას, მისგან მაქსიმალური მოგების მიღებაზეა ორიენტირებული, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უცხოურ ინვესტიციებს უარი უნდა ეთქვას. პირიქით, საჭიროა ამ ინვესტიციების მაქსიმალურად გამოყენება, რომ რაც შეიძლება მეტი დოვლათი შეიქმნას ადგილზე. ყოველივე ეს შემდგომ სხვა დარგების გამოცოცხლებასა და წინსვლას შეუწყობს ხელს. შედეგად, უცხოელი ინვესტორის მიერ მოგებაზე გას-

ვლის და უცხოური ვალუტის ქვეყნიდან გატანის დროს, ადგილობრივი ეკონომიკა არ დაზარალდება. მას უკვე ექნება ქვეყანაში შექმნილი იმხელა დოვლათი, რომ მარტივად გადაიფარება ინვესტორის მიერ ქვეყნიდან გატანილი მოგება.

მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის პირდაპირ დაფინანსების წყაროს წარმოადგენს, მას საშუალოვადიან პერიოდში შესაძლოა უარყოფითი გავლენა ქონდეს მიმდინარე ანგარიშზე. უცხოური ინვესტიციები ხშირად ახალისებს იმპორტს და თუ ის საექსპორტო პროდუქტის წარმოებაზე არ არის მიმართული, მაშინ გააუარესებს მიმდინარე ანგარიშის ბალანსს.

დასკვნა

საქართველოს კონკურენტუნარიანობის დონე, არცთუ ისე სახარბიელოა როგორც ტექნოლოგიური განვითარების, ასევე ეროვნული ბიზნესგარემოს ხარისხის მიხედვით. გლობალური ბაზარი საჭიროებს გლობალური პროდუქტებით მომსახურებას. აუცილებელია, საქართველომ გაზარდოს მონაწილეობა გლობალურ საწარმოო და გასაღების ქსელებში. მიზანშეწონილი იქნებოდა, მაღალტექნოლოგიურ და სპეციალიზებულ დარგებში გლობალურ კომპანიებთან ალიანსების შექმნა. საქართველომ, ისევე, როგორც ნებისმიერმა ეკონომიკურად მზარდმა ქვეყანამ, განვითარებისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია სცადოს სპეციალიზაციის ადაპტირება გარე სამყაროსთან და შეფარდებითი უპირატესობა მოიპოვოს არა მხოლოდ ტრადიციულ დარგებში, არამედ აგრეთვე მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული წარმოების სფეროებშიც, ვინაიდან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კონკურენტუნარიანობის გრძელვადიანი ზრდა და გლობალურ ბაზრებზე ინტერნაციონალიზაციის პროცესი.

საქართველოში გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურად დიდი ოდენობით ინვესტიციების განხორციელება **ადამიანური კაპიტალის** განვითარების მიმართულებით, რაც სტიმულს

მისცემს ქვეყნის აღორძინებასა და კეთილდღეობას. აუცილებელია გაძლიერდეს განათლების სისტემა და გაგრძელდეს განათლების, მეცნიერებისა და ტრენინგების სფეროში რეფორმები ქვეყნის ძირიათადი აქტივის: ადამიანური კაპიტალის მყარი განვითარების ხელშეწყობის მიზნით. საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვან მიმართულებას მოწინავე ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის სტიმულირება წარმოადგენს. ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სტრატეგიის შემუშავება, რაც ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს, განავითაროს პრიორიტეტული დარგები და აამაღლოს მისი კონკურენტუნარიანობა. თანამედროვე პერიოდში საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: - განისაზღვროს ის დარგები, რომელიც გახდება ინდუსტრიული განვითარების საფუძველი; ამასთან, იქნება ინოვაციური და ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრია, სადაც გამოიყენება მოწინავე ტექნოლოგიები;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი, ე., მაგრაქველიძე, დ. (2009). საქართველოში საინვესტიციო
გარემოს სრულყოფის პრინციპები. თბილისი
2. თეიმურაზ გვეტაძე: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობა საქართველოში (2018)
3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანი პროგრამა „სტრატეგია-2020''
4. www.forbes.ge
5. www.fund.ge
6. WWW.GEOSTAT.GE

REFERENCES:

1. Batatashvili, E., Magraqvelidze, D. (2009).The principles of improving the Investing environment in Georgia Tbilisi
2. Teimuraz Gvetadze The effectiveness of Foreign Direct Investment in Georgia (2018)
3. Socio – Economical 5 year development program in Georgia „Strategy-2020''
4. www.forbes.ge
5. www.fund.ge
6. WWW.GEOSTAT.GE

THE SYSTEMATIZATION OF THE PROBLEMS OF ATTRACTING INVESTMENTS IN THE GEORGIAN INDUSTRY

Shorena Mindiashvili,
PhD Student of GTU

RESUME

In the conditions of the market economy, it has become necessary to renew every existing field. This problem was especially evident in the industry sector, which requires the full upgrade of the equipment, the formation and the development of the new system. In order to provide all of this, the existing or attracted investments are necessary, with the help of which the problem would be fully solved. **The effective harness of the rich resources of the country should become the main direction of the development of the industry field.** The topic has actuality, as the investor, because of the difficult investing environment not in a good shape codex, consumer with the low purchasing power, the not so developed industrial market and due to other subjective or objective reasons, makes the investing decisions either with risk or can't make the decision of capital placement at all.

The key words: Investments, industry, effectiveness, the high technological production, the economic effectiveness, the investing environment.

ნულარ ვძარცვავთ საქართველოს ისედაც ღარიბ მოსახლეობას არასამართლიანი გადასახადებით

გიორგი ასათიანი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში ფიზიკურ პირთა გადასახადის საქართველოში მოქმედი პროპორციული სისტემა განხილულია ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის კონტექსტში. სხვადასხვა კომპეტენტურ მეცნიერთა გამოკვლევების შედეგების მოხმობით, სტატიის ავტორი გვამცნობს, რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის 45-50% ღარიბ-ღატაკია. მისივე გაანგარიშებით, საქართველოში სიღარიბის ზღვარზეა მოსახლეობის მესამედი – 1145205 ადამიანი, რომლებიც დღეში 2 დოლარით და მასზე ნაკლებით ირჩენენ თავს.

სტატიაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მოსახლეობაში შემოსავლების განაწილების უთანაბრობის კოეფიციენტი კი არ მცირდება, არამედ, იზრდება. დღეს იგი კრიტიკულ დონეზეა (0.43-0.46). ამას ავტორი საგანგაშოდ თვლის. ეს ნიშნავს, რომ მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან, ღარიბები კი – კიდევ უფრო ღარიბდებიან.

მოსახლეობის ცხოვრების დონის ასეთ პირობებში, ავტორი არასამართლიანად მიიჩნევს მდიდარ და ღარიბ ფიზიკურ პირთა პროპორციული წესით დაბეგვრას და აყენებს პროგრესულ დაბეგვრაზე დროულად გადასვლის რეკომენდაციებს.

საკვანძო სიტყვები: დაბეგვრა; პროპორციული დაბეგვრა; პროგრესული დაბეგვრა; სიღარიბე; არათანასწორობა; სამართლიანობა; გადასახადის განაკვეთი.

შესავალი

დღეს მეცნიერებიც და პრაქტიკოსებიც ბევრს საუბრობენ საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და საგადასახადო

პოლიტიკის ჰარმონიზაციაზე, აგრეთვე, ქვეყნის ეკონომიკის ზრდისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელობაზე. მაგრამ ყურადღების მიღმა რჩება გადასახადის სიდიდისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის ურთიერთშესაბამისობის საკითხი, მათი გადახდისუნარიანობა, რომელიც ისეთ ღარიბ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მეტად პრობლემატურია.

1. სიღარიბე და ცხოვრების დონე საქართველოში

საქართველო ღარიბი ქვეყანაა. მისი მოსახლეობის 11.5% უმუშევარია. კერძო გამოკვლევებით კი უმუშევრობის დონე 40%-ზე მეტია. საქართველოს მთავრობა დასაქმებულად თვლის თვითდასაქმებულებსაც. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის ინფორმაციით თვითდასაქმებულების სულადობრივი თვიური შემოსავალი 2016-2017 წლებში 25-28 ლარს შეადეგენდა (შინამეურნეობისა – შესაბამისად 87-98 ლარს). ახლა ვკითხულობთ: ასეთი შემოსავლის მქონე ადამიანს შეიძლება დასაქმებული ვუწოდოთ? შედეგად გაიზარდა მათხოვრების რიცხვი, ქურდობა. 2018 წელს საქართველოში საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილია კრიმინალი 32.5%-ით 22525 შემთხვევამდე, ანუ 2017 წელთან შედარებით 81%-ით გაიზარდა [1, გვ. 1].

საქართველოში მოსახლეობის თვიური სულადობრივი საშუალო შემოსავალი 2013-2017 წლებში 247-317 ლარის დიაპაზონში, ხარჯები კი, 241-312 ლარის დიაპაზონში მერყეობდა. ამ პერიოდში შემოსავლები 28.3%-ით არის გაზრდილი, ხარჯები კი, უფრო მეტად – 29.4%-ით. ყოველთვიური დანაზოგი, რომელიც ისედაც მიზერულ თანხას – თვეში საშუალოდ 5-7 ლარს შეადგენდა, 2017 წელს 2013 წელთან შედარებით 9.1%-ით არის შემცირებული (ცხრილი 1).

ამასთან, ეს მიზერული შემოსავალიც კი, საქართველოს ყველა მოქალაქეს არა აქვს. აქ წარმოდგენილი ინფორმაცია სტატისტიკური საშუალოს გამოყენებით საქართველოს მთელ მოსახლეობაზე გაშუალებული მაჩვენებლებია. საქართველოში მოსახლეობის თითქმის ნახევარი ღარიბ-ღატაკია და სოციალური შემწეობით

ცხრილი 1

მოსახლეობის თვიურ სულადობრივი შემოსავლები და ხარჯები საქართველოში 2013-2017 წლებში [2, გვ. 51-56]

წლები	სულადობრივი შემოსავალი თვეში (ლარი)			სულადობრივი ხარჯები თვეში (ლარი)			დანაზოგი (ლარი)		
	ქალაქად	სოფლად	სულ	ქალაქად	სოფლად	სულ	ქალაქად	სოფლად	სულ
2013	278.6	216	246.6	274.5	211.2	241.1	+4.1	+4.8	+5.5
2014	309.9	238.3	273.1	304.8	228.1	265.4	+5.1	+10.2	+7.7
2015	324.4	246.1	284.4	315.2	244	279.4	+9.2	+2.1	+4.9
2016	337.7	253.8	302.2	335.4	246.4	237.7	+2.3	+7.4	+4.5
2017	351.9	269.7	317.2	347.6	263.7	312.2	+4.3	6.0	+5.0
დინამიკა 2017 წ. %-ად 2013 წელთან	126.6	125	128.3	127	125.1	129.1	104.9	125	90.9

ირჩენს თავს, რომელიც ასევე მიზერულია. ამ საკითხში ქართველ პროფესორებს – რ. ასათიანს და ი. არჩვაძეს კვლევების თითქმის ერთნაირი შედეგები აქვთ. პირველი თვლის, რომ საქართველოს მოსახლეობის 50% ღარიბია, 15% კი – ღატაკი [3, გვ. 95], მეორეს გამოკვლევით კი – საქართველოს მოსახლეობის 42.2% ღარიბ-ღატაკია [4, გვ. 23].

გარდაქმნის შემდგომ პერიოდში, საქართველოს ეკონომიკა ყოველ წელს გარკვეული ზომით იზრდება. ამას მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა ადასტურებს, მაგრამ მოსახლეობაში შემოსავლების განაწილების უთანასწორობა, რომელიც ჯინის კოეფიციენტით იზომება, არის ძალზე მაღალი. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის ყველა ფენა ვერ ღებულობს იმ სარგებელს, რომელსაც ეკონომიკური ზრდა იძლევა.

2017 წლის ინფორმაციით ჯინის კოეფიციენტი საქართველოში შეადგენდა [5, გვ. 59]:

- მთლიანი შემოსავლების მიხედვით – 0.41-ს;
- მთლიანი ფულადი სახსრების მიხედვით – 0.45-ს;
- მთლიანი სახსრების მიხედვით – 0.43-ს;
- მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით – 0.40-ს;
- მთლიანი ფულადი ხარჯების მიხედვით – 0.47-ს;
- მთლიანი ხარჯების მიხედვით – 0.46-ს

თუ ამ კოეფიციენტებს წინა წლებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ უთანასწორობა საქართველოში კი არ მცირდება, არამედ, კიდევ უფრო იზრდება და ღრმავდება (იხ. ცხრილი 2). მართლაც, ჯინის კოეფიციენტი საქართველოში მისი გამოანგარიშების ყველა ფორმის მიხედვით 2013-2017 წლებში გაზრდილია და როგორც აღვნიშნეთ, იგი კრიტიკულ დონეზე დგას.

ცხრილი 2

ჯინის კოეფიციენტი საქართველოში [5, გვ. 59]

წლები	მთლიანი შემოსავლების მიხედვით	მთლიანი ფულადი სახსრების მიხედვით	მთლიანი სახსრების მიხედვით	მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით	მთლიანი ფულადი ხარჯების მიხედვით	მთლიანი ხარჯების მიხედვით
2013	0.40	0.43	0.41	0.39	0.45	0.42
2014	0.40	0.43	0.41	0.39	0.47	0.44
2015	0.40	0.43	0.41	0.38	0.45	0.43
2016	0.40	0.43	0.41	0.39	0.46	0.43
2017	0.41	0.45	0.43	0.40	0.47	0.45
ცვლილება 2013-17 წ.წ.	+0.01	+0.02	+0.02	+0.01	+0.02	+0.03

ცნობილია, რომ თუ ჯინის კოეფიციენტი მისწრაფვის 1,0-კენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობაში შემოსავლების განაწილე-

ბაში უთანასწორობა იზრდება, ხოლო თუ 0-კენ, მაშინ პირიქით, უთანასწორობა – მცირდება. ცხრილის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ 2013-2017 წლებში ჯინის კოეფიციენტი მისწრაფვის 1,0-კენ. ეს განსაკუთრებით დაეტყო 2017 წელს, როცა ის მკვეთრად გაიზარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ 2017 წელს საქართველოს ღარიბები კიდევ უფრო გაღარიბდნენ, მდიდრები კი, კიდევ უფრო გამდიდრდნენ.

უთანასწორობის გარკვეული დონე შეიძლება არ იყოს პრობლემა, რადგან ის არის მოტივაცია ადამიანებისთვის, რომ საქმით შეეჯიბრონ ერთმანეთს, დაზოგონ დრო და ინვესტიცია ჩადონ უკეთესი ცხოვრების მისაღწევად. „...უთასწორობამ შეიძლება პოზიტიური ზეგავლენა იქონიოს ეკონომიკურ ზრდაზე, რადგან იგი წარმოშობს მოტივაციას ინოვაციისა და მეწარმეობისთვის“ [6]. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგან საშუალებას აძლევს ინდივიდების გარკვეულ რაოდენობას, დააგროვონ ბიზნესის დასაწყებად აუცილებელი კაპიტალი და მიიღონ კარგი განათლება [7].

არსებობს სხვა მოსაზრებებიც. ნობელიის პრემიის ლაურეატის ჯ. სტიგლიცის აზრის „მზარდი უთანასწორობა (საქართველოში უთანასწორობა სწორედ მზარდია, გ. ა.) არის შეშფოთების საგანი. უთანასწორობის მაღალმა და სტაბილურმა დონემ, განსაკუთრებით შესაძლებლობათა უთანასწორობამ, შეიძლება გამოიწვიოს დიდი სოციალური ხარჯები, მან შეიძლება სერიოზულად იმოქმედოს ინდივიდის პროფესიულ და საგანმანათლებლო არჩევანზე. გარდა ამისა, ეკონომიკური უთანასწორობა არ ქმნის „სწორ“ მოტივაციას, თუ ის გადასახადებზეა დამყარებული. ამ შემთხვევაში ინდივიდებს უჩნდებათ მოტივაცია ძალისხმევა მიმართონ პროტექციის უზრუნველყოფისკენ, რასაც შედეგად მოსდევს რესურსების არასწორი განკარგვა, კორუფცია და ნეპოტიზმი“ [8].

ზოგადად ცნობილია, რომ ეკონომიკური ზრდა იწვევს ქვეყანაში სიღარიბის შემცირებას, მაგრამ სპეციალისტები წერენ, რომ „ეკონომიკის ზრდა ნაკლებ ეფექტურია სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით იმ ქვეყნებში, სადაც უთანასწორობის მაღალი

საწყისი მაჩვენებელია, ან სადაც ეკონომიკური ზრდით მიღებული სარგებლის განაწილების სტუქტურა მდიდართა და საშუალო კლასის სასარგებლოდაა. მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკა პერიოდულად ექვემდებარება სხვადასხვა სახის შოკებს, რომლებიც ძირს უთხრიან ზრდას, მაღალი უთანასწორობა მოსახლეობის კიდევ უფრო მეტ ნაწილს უქმნის გაღარიბების საფრთხეს [9].

სწორედ ასეთი მდგომარეობაა დღეს საქართველოში. კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოში უთანასწორობის საწყისი კოეფიციენტიც მაღალი იყო და იგი კიდევ უფრო იზრდება, სხვადასხვა სახის შოკები კი საქართველოს არც ეკონომიკაში აკლია და არც პოლიტიკაში. სწორედ ამიტომ ქვეყნის მთავრობის მხრიდან სასწრაფო ღონისძიებებია მისაღები, რადგან სიღარიბის დაძლევა იმ რანგის საქმეა, რომელსაც ამ საქმის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ეიზენჰაუერი მის მიერვე შედგენილ შესასრულებელ სამუშაოთა მატრიცაში „მნიშვნელოვან და სასწრაფო საქმეების“ ბლოკში მოახვედრებდა“ [10, გვ. 91].

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის 2017 წლის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის 21,9% აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვევით ცხოვრობდა. ფარდობითი სიღარიბე კი შეადგენდა: მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობისა – 22,3%-ს, ხოლო მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობისა – 8,5%-ს. 2013 წელთან შედარებით ერთიც გაზრდილია და მეორეც (ცხრილი 3), რაც იმას ნიშნავს, რომ ფარდობითი სიღარიბე საქართველოს მოსახლეობაში ზრდადია. 2017 წელს მან მოიცვა მოსახლეობის 22,3 + 8,5 = 30,8%, 2013 წელს კი იგი 30%-ს შეადგენდა (ცხრილი 3).

2017 წელს საქართველოში მედიანურმა მოხმარებამ, თვეში 268,4 ლარი შეადგინა. არსებობისთვის ამ თანხის 60%-ზე ნაკლებს (ანუ 160,8 ლარს, ან მასზე ნაკლებს ხარჯავდა მოსახლეობის 22.3%, ანუ 829158 ადამიანი, ხოლო 40%-ზე ნაკლებს (ანუ 107,3 ლარს ან მასზე ნაკლებს) მოსახლეობის 8,5% ანუ 316047

ცხრილი 3

ფარდობითი სიღარიბე საქართველოში 2013-2017 წლებში [5, გვ. 59]

№		2013	2014	2015	2016	2017
1	მედიანური მოხმარების სიდიდე	220.8	237	241.2	248.1	268.4
2	მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (%)	21.5	21.4	20.2	21.0	22.3
3	მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (%)	8.5	8.1	7.2	7.2	8.5

ადამიანი. პირველი ნაწილი დღეში მოიხმარდა 5,36 ლარს (160,8:30 დღეზე) ანუ 2017 წლის ლარის კურსით დოლართან მიმართებაში (1$ = 2,5 ლარი) – 2,1 დოლარს (5,36:2,5), მეორე ნაწილი კი 3,6 ლარს (107,3:30 დღეზე) ანუ 1,4 დოლარს (3,6:2,5).

მსოფლიო ბანკის მონაცემებით აბსოლუტური სიღარიბის ზღვარი დღიურად ერთ ადამიანზე დღეში 2 დოლარია, სიღატაკისა კი, 1,25 დოლარი [11, გვ. 444]. ამ მიდგომით დღეში 2,1 დოლარის ხარჯვით საქართველოს 829158 მცხოვრები ჩაითვლება ღარიბად, დღეში 1,4 დოლარის მხარჯველი 316047 ადამიანი კი ღატაკად. ორივე ერთად კი, ღარიბ-ღატაკად.

ეს ვითარება ნამდვილად საგანგაშოა. რადგან მოსახლეობის სიღარიბე იწვევს სათანადო სამედიცინო მომსახურებაზე და განათლების მიღებაზე ხელმიუწვდომობას, კლებულობს ქორწინებები და შობადობა, მცირდება სიცოცხლის ხანგრძლივობა, იზრდება განქორწინებები და სიკვდილიანობა. ამ ვითარებაში ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის გადახდასთან მიმართებაში საქართველოს მთავრობა ყველას „ერთი საზომით“ უდგება

– მდიდარსაც და ღარიბსაც ახდევინებს დასაბეგრი შემოსავლის 20%-ს. არც დაუბეგრავი მინიმუმია ქვეყანაში დადგენილი.

2. შემოვიღოთ დაუბეგრავი მინიმუმი და გადავიდეთ დაბეგრვის პროგრესულ სისტემაზე

ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი საქართველოში სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა იყო. იყო 12%, 25%-იც, ეხლა კი მოქმედებს 20%-იანი განაკვეთი. იყო დაპირება, რომ იგი შემცირდებოდა 15%-მდის და შემცირების წელიც იყო დასახელებული, მაგრამ ჯერჯერობით ეს არ მოხდა და იგი სოციალური გადასახადის გაუქმებით გამართლდა.

1992 წელს ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი დროებითი დებულების მიხედვით ქვეყანაში პროგრესული საგადასახადო სისტემა დაწესდა [12, გვ. 69]. 350 მანეთამდე შემოსავალი იყო დაუბეგრავი მინიმუმი, 351-დან 2000 მანეთამდე შემოსავალი იბეგრებოდა 12%-ით, ანუ 198 მანეთით, 2001 მანეთიდან 3000 მანეთამდე შემოსავალი იბეგრებოდა 198 მანეთს დამატებული 2000 მანეთზე მეტი თანხის 15% და ა. შ. გადასახადის მაქსიმალური განაკვეთი იყო 40%. 40%-იან საშემოსავლო გადასახადს იხდიდა 15000 მანეთზე მეტი შემოსავლის მქონე.

საქართველოს რესპუბლიკის კანონით „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ 1993 წელს დადგინდა საშემოსავლო გადასახადის შემდეგი განაკვეთები [13, გვ. 73]: 10 000 000 კუპონამდე – დასაბეგრი შემოსავლის 12% ანუ 1 200 000 კუპონი. 10 000 001-დან 20 000 000 კუპონამდე 1 200 000 კუპონს დამატებული 10 000 000 კუპონს ზემოთ შემოსავლის 15%, ანუ 2 700 000 კუპონი, 20 000 001-დან 30 000 000 კუპონამდე – 2 700 000 კუპონს დამატებული 20 000 000 კუპონს ზემოთ შემოსავლის 17%, ანუ 4 400 000 კუპონი და 30 000 001 და მეტ კუპონზე – 4 400 000 კუპონს დამატებული 30 000 000 კუპონს ზემოთ შემოსავლის 20%.

მაშასადამე, დასახელებული კანონით გაუქმდა დაუბეგრავი მინიმუმი, საშემოსავლო გადასახადების სისტემა კვლავაც დარჩა პროგრესული, მაგრამ შეიცვალა გადასახადის განაკვეთის დიფერენცირება შემოსავლების სიდიდის მიხედვით – ნაცვლად 5 ჯგუ-

ფის – 12, 15, 20, 30, 40 საგადასახადო განაკვეთებისა, შემოღებულ იქნა 4 ჯგუფის – 12, 15, 17, 20 განაკვეთები და თანაც მაქსიმალური განაკვეთი 40%-დან შემცირდა 20%-მდე.

1998 წლიდან ამოქმედა და 2004 წლამდე იმუშავა პირველმა საგადასახადო კოდექსმა. 2005 წელს, იგი შეცვალა ახალმა საგადასახადო კოდექსმა, 2011 წელს კი კვლავაც ახალი საგადასახადო კოდექსი იქნა მიღებული. 2008 წლიდან საქართველოში პროგრესული დაბეგვრის სისტემა გაუქმდა და შემოღებული იქნა პროპორციული სისტემა. გაუქმდა სოციალური გადასახადი და შემოღებული იქნა ერთიანი 25%-იანი საშემოსავლო გადასახადი. 2009 წლიდან იგი შემცირდა 20%-მდე, 2011 წელს – 15%-მდე [14], ხოლო 2013 წლის 1 იანვრიდან კვლავაც გახდა 20% [15, გვ. 76]. ამის გარდა, ამოქმედდა დაუბეგრავი მინიმუმი იმ ფიზიკური პირებისთვის, რომელთა წლიური დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატებოდა 6 000 ლარს. თუმცა, დაუბეგრავი მინიმუმიც მალევე გაუქმდა და ის დაპირებაც დაპირებად დარჩა, რომ შემდეგ წლებში 20%-აინი განაკვეთი აუცილებალდ შემცირდებოდა.

თუ საქართველოს საშემოსავლო გადასახადის 20%-იან განაკვეთს შევადარებთ ევროპის ქვეყნებს, იგი ჩვენთან მართლაც არ არის მაღალი (ნორვეგიაში იგი 40%-ია, შვედეთში – 56,6%, ფინეთში – 49%, საფრანგეთში – 46,8%, საბერძნეთში – 49%, ნიდერლანდებში – 52%, ავსტრიაში – 50%, ხოლო მთლიანად საშუალოდ ევროკავშირში – 43,1% [16]. დაახლოებით ჩვენი დონის ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადების განაკვეთი აქვთ ჩვენ მსგავს პოსტსოციალისტურ ქვეყნებს. ესტონეთს (21%), ლიტვას (15%), რუმინეთს (16%), სლოვაკეთს (19%), უნგრეთს (20,3%), ჩეხეთს (15%), ბულგარეთს (10%), იმ განსხვავებით, რომ მათთან საშემოსავლო გადასახადის პროგრესული შკალა მოქმედებს, ანუ მაღალშემოსავლიანი მოსახლეობა უფრო მაღალი განაკვეთით იბეგრება, ვიდრე დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა.

2018 წლის შემოდგომაზე საქართველოს მთავრობამ დააანონსა პროგრესულ დაბეგვრაზე გადასვლის მზადყოფნა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს განცხადება განცხადებათ დარჩა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რადგან ითქვა ამის შესახებ, აუცილებლად გა-

ტარდება კიდეც, მაგრამ არ უნდა დაგვიანდეს, რადგან დაპირების შესრულების დაგვიანებით მთავრობისადმი მოსახლეობის ნდობა მცირდება. ეს კი ქვეყნის მმართველი პარტიისთვის როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით დიდი დანაკარგია.

დასკვნა

წინადადებას ვიძლევით საშემოსავლო გადასახადის პროგრესული შკალა იწყებოდეს დაუბეგრავი მინიმუმის განსაზღვრით, ხოლო შემდეგ 5 დონიანი განაკვეთის დაკანონებით. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი განაკვეთების შემდეგნაირი დიფერენციაცია:

400 ლარი შემოსავალი – 0%;

401-დან 1000 ლარამდე – 5%, ანუ 30 ლარი;

1001 ლარიდან 1500 ლარამდე – 10%

(ანუ 30 ლარს+(1500-1000)*10%= 80 ლარს);

1501 ლარიდან 2500 ლარამდე – 15%

(ანუ 80 ლარს+(2500-1500)*15%= 230 ლარს);

2500 ლარიდან 3500 ლარამდე – 20%

(ანუ 230 ლარს+(3500-2500)*20%= 430 ლარს);

3500 ლარს ზევით – 25%

(ანუ 430 ლარს დამატებული 3500 ლარს ზევით მიღებული შემოსავლის 25%).

მიზანშეწონილია ეს განაკვეთები დამატებით დიფერენცირდეს იმის მიხედვით თუ გადასახადის გადამხდელი მარტოხელაა, თუ ოჯახიანი, ოჯახის რამდენი წევრი (შვილები) ჰყავს კმაყოფაზე და ა. შ. საშემოსავლო გადასახადის დიფერენცირების ეს სქემა ევროპის ქვეყნებში კარგად არის დამუშავებული. ასე რომ, ჩვენ ახალი „ველოსიპედის“ მოგონება არ დაგვჭირდება. საჭიროა მხოლოდ მთავრობის დროული გადაწყვეტილება ამ მიმართულებით.

როცა საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის სისტემა საქართველოში ასე შეიცვლება, ღარიბ მოსახლეობას მნიშვნელოვნად შეუმცირდება საგადასახადო ტვირთი. ანუ აღდგება დაბეგვრის სამართლიანობა – ყველას გადახდისუნარიანობის მიხედვით. ასეა ყველა ცივილიზებულობაზე პრეტენზიამქონე ქვეყანაში და ასე უნდა იყოს ჩვენთანაც.

ლიტერატურა:

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 12-13/01-2019 წ.

2. 2015-2018 წლების საქართველოს სტატისტიკური წელიწდეულები, გვ. 51-56.

3. არჩვაძე ი. თაობათაშორისი ურთიერთობები როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ფაქტორი, ჟ. „ეკონომისტი“, №10, 2018, ტ. XIV, გვ. 95.

4. ასათიანი რ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XXI საუკუნის II ათწლეულის დასაწყისში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერთა აკადემია, შრომები – 10, თბ., 2012, გვ. 23.

5. საქართველოს სტატისიკური წელიწდეული, თბ., 2018.

6. Lazear E., Rosen S., 1981. “Rank_Order Tournaments as Optimum Labor Contracts”. Journal of Political Economy-89(5): 841-64.

7. Barro R., 2000. “Inequality and Gramth in a Panel of Countries”. Journal of Economic Grouth. 5(1): 5-32.

8. Stiglitz J. 2012. The Price of Inequality: How Todays divided sociality Endongers Our Future. New-York: w.w.Norton.

9. Ravailion M., 2011, “Rpo-Poor Growth: A Primer”, Policy Research working Paper Series 3242, World Bank, Washington.

10. ხარხელი მ. დროის მართვა, თბ., 2015, გვ. 91.

11. ოთინაშვილი რ. საქართველოს ეკონომიკა, თბ., შპს „დანი“, 2016, გვ. 404.

12. ახალი საგადასახადო სისტემა საქართველოში, თბ., 1992, გვ. 69.

13. გადასახადები საქართველოში 1996 წლის 1 მარტის მდგომარეობით, თბ., 1996, გვ. 73.

14. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (ძალაშია 2011 წლის 1 იანვრიდან), თბ., 2012, გვ. 91.

15. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (2013 წლის 25 იანვრის მდგომარეობით), თბ., 2013, გვ. 76.

16. www.ec.europa.eu

REFERENCES:

1. Newspaper, "Georgian Republic", 12-13/01-2019.

2. Georgian Statistic Yearbook in 2015-2018, 51-56 p.

3. Archvadze I. -Generation relationships as a factor of economical development in our contry and increase of Georgian population's income, magazine "Economist", #10, 2018, XIV V., 95.

4. Asatiani R. Social-Economical situation in Georgia in the beginning of the second decade in XXIst century, Georgian Academy of Economic Science, works, -10, Tb.2012, 23p.

5. Georgian Statistic Yearbook, Tb.2018.

6. Lazear E., Rosen S., 1981. "Rank_Order Tournaments as Optimum Labor Contracts". Journal of Political Economy-89(5): 841-64.

7. Barro R., 2000. "Inequality and Gramth in a Panel of Countries". Journal of Economic Grouth. 5(1): 5-32.

8. Stiglitz J. 2012. The Price of Inequality: How Todays divided sociality Endongers Our Future. New-York: w.w. Norton.

9. Ravailion M., 2011, "Rpo-Poor Growth: A Primer", Policy Research working Paper Series 3242, World Bank, Washington.

10. Kharkheli M. Time management, Tb, 2015, 91p.

11. Otinashvili R. Georgian Economics, Tb. LTD "Dani", 2016, 404p.

12. New taxation system in Georgia, Tb. 1992, 69p.

13. Taxes in Georgia (according to the situation from 1st March of 1996), 73p.

14. Georgian Tax Code (implemented from 1st of 2011), Tb, 2012, 91p.

15. Georgian Tax Code (according to the situation from 25th of January in 2013, 76p.

16. www.ec.europa.eu

DO NOT ROB THE POOR PEOPLE OF GEORGIA WITH UNFAIR TAXES

Giorgi Asatiani,
PhD Student of GTU

RESUME

In the article - **"Do not rob the poor people of Georgia with unfair taxes"** - the proportional system of taxes in Georgia in the context of the living standards of the country's population. According to the findings of various competent researchers, the author of the article informs that almost 45-50% of Georgian population is poor. According to his calculation, in Georgia there is a third of population - 1145205 people who spend less than $ 2 a day and less than that.

The article notes that the coefficient of equity distribution in Georgia's population is not decreasing, but rising. Today it is at critical level (0.43-0.46). The author considers it alarming. This means that the rich are even richer, the poorest even worse.

In such conditions of life of the population, the author considers the unfair way to tax and proportionate to the rich and poor individuals and make recommendations on time to move on to progressive taxation.

Key words: Taxed; Proportionate taxation; Progressive taxation; Poverty; Inequality Justice; Tax rate.

საქართველოს გრძელვადიანი აქტივების შექმნაში უცხოური ინვესტიციების მონაწილეობის შეფასება

ზაირა ღუდუშაური
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი
მარიამ ერისთავი
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში ჩატარებულია 2007-2017 წლებში საქართველოში შემოსული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობის, დინამიკის და სტრუქტურის ანალიზი, გამოკვეთილია სფეროები, რომლებიც უფრო მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისთვის (ტრანსპორტი, ენერგეტიკა, მშენებლობა), დადგენილია, რომ 2007-2017 წლებში საქართველოს ძირითად კაპიტალში უცხოური ინვესტიციების მონაწილეობის დონე შემცირებულია 62.9%-დან 33.7%-მდე და უცხო ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან პარალელების გავლებით, ეს ვითარება უარყოფითად არის შეფასებული. თუმცა, სტატიის ავტორები ყურადღებას აქცევენ იმ მდგომარეობას, რომ საქართველოში უცხოელი ინვესტორები ადვილად ახერხებენ საკუთარი ინტერესების რეალიზაციას. ეს ჩანს საქართველოსთვის პრიორიტეტული დარგებით (სოფლის მეურნეობა) და პრიორიტეტული რეგიონებით (სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი და სხვები) მათი ნაკლები დაინტერესებით. ყოველივე ამიტომ, სტატიის ავტორები ადგილობრივი ინვესტორების მიმართ მეტ კეთილგანწყობას გამოხატავენ.

საკვანძო სიტყვები: გრძელვადიანი აქტივები; გრძელვადიანი ინვესტიციები; უცხოური ინვესტიციები; უცხოელი ინვესტორი; ინვესტორი; ძირითადი კაპიტალი; პრიორიტეტული დარგები და რეგიონები.

შესავალი

ყველასათვის ცნობილია, რომ ნებისმიერი საქმე, პატარაა იგი თუ დიდი, ფულად ხარჯს, ანუ ინვესტიციას საჭიროებს. ასეთ დროს ინვესტორი მოგებაზეა ორიენტირებული და რისკის თვალსაზრისით, მისთვის უფრო მოკლევადიანი ინვესტირება იქნება მისაღები, ვიდრე გრძელვადიანი. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა უპირატესად გრძელვადიანი პროექტებით ხორციელდება. ეს პროექტები თაობიდან თაობებს გადაეცემა და მათგან მოსული სიკეთით ათეული წლების განმავლობაში სარგებლობენ მომავალი თაობები. ამიტომ არის, რომ ცივილიზებული ქვეყნები ინვესტიციების „ლომის წილს“ გრძელვადიან პროექტებში აბანდებენ და აშენებენ ელექტროსადგურებს, ღრმაწყლიან პორტებს, რკინიგზებსა და ავტომაგისტრალებს და სხვა სტრატეგიულ ობიექტებს.

ძირითადი ტექსტი

1. საქართველოში განხორციელებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ანალიზი

საქართველოს ძირითად კაპიტალში განხორციელებულ ინვესტიციებს წარმოშობის რამდენიმე წყარო აქვთ - სახელმწიფო ბიუჯეტი, მოსახლეობის დანაზოგები, უცხოური ინვესტიციები და სხვა. მათ შორის ყველაზე მოცულობითია უცხოური ინვესტიციები.

გლობალიზაციისა და გამძაფრებული კონკურენციის პირობებში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში (2007-2017 წლები), ადგილი ჰქონდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალოდ 8,1%-იან ზრდას და მისი მოცულობა 2017 წელს გაუტოლდა 1894.5 აშშ. მილიონ დოლარს (ცხრილი 1).

ცხრილი 1. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები [1]

წელი	ინვესტიცია (მლნ. აშშ დოლ)	დინამიკა	
		%-ად 2007 წელთან	%-ად წინა წელთან
2007	1 752.6	-	-
2008	1 569.7	89,5	89,5
2009	664.2	37,2	42,3
2010	845.1	48,2	127,2
2011	1 129.9	64,4	133,7
2012	1 022.9	58,3	90,5
2013	1 020.5	58,2	99,8
2014	1 817.7	98	178,1
2015	1 665.6	95	91,5
2016	1 565.8	89,3	94
2017	1 894.5	108,1	121,0

მაშასადამე, 2017 წელს საქართველოში უცხოეთიდან შემოვიდა 8,1%-ით მეტი პირდაპირი ინვესტიცია, ვიდრე 2007 წელს. 2007 წლის შემდეგ 2017 წელი იყო პირველი წელი, როცა იმატა შემოსულმა უცხოურმა ინვესტიციებმა საწყის 2007 წელთან შედარებით. ამას გვიჩვენებს ნახაზი 1-იც.



ნახაზი1. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დინამიკა 2007 წელთან შედარებით

უცხოური ინვესტიციების ანალიზისას, რა თქმა უნდა, საინტერესოა თუ რომელ დარგებში იხარჯება ისინი. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით ირკვევა, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში მთლიანად განხორციელდა 14 948 მილიონი აშშ დოლარის უცხოური ინვესტიცია. საქართველოს სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეს მოცულობა შემდეგნაირად იყო განაწილებული (ცხრილი 2 და ნახაზი 2).

ცხრილი 2. საქართველოში 2007-2017 წლებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით [1]

სექტორი	ინვესტიცია (ათასი. აშშ დოლ)	ინვესტიციების სტრუქტურა (%)
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	154 476	1,3
სამთომოპოვებითი მრეწველობა	529 799	3,5
დამამუშავებელი მრეწველობა	1 730 966	11,6
ენერგეტიკა	1 970 821	13,2
მშენებლობა	1 499 318	10
სასტუმორები და რესტორნები	924 294	6,2
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	3 551 239	23,7
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	206 493	1,4
უძრავი ქონება	1 298 285	8,7
საფინანსო სექტორი	1 596 627	10,7
დანარჩენი სექტორები	1 486 333	9,9



ნახაზი 2. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების განაწილება (%-ით) საქართველოს ეკონომიკის სექტორებში 2007-2017 წლებში ერთად

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, უცხოური ინვესტიციების 23,7% დაიხარჯა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში, 13,2% - ენერგეტიკაში, 19,7% - საფინანსო სექტორში, 10% - მშენებლობაში, 8,7% - უძრავ ქონებაში, 11,6% - გადამამუშავებელ მრეწველობაში, 1,3% - სოფლის მეურნეობაში, 3,5% - სამთო მრეწველობაში, 6,2% - რესტორნებსა და სასტუმროებში, 1,4% - ჯანდაცვაში და დანარჩენი 9,9% - დანარჩენ დარგებში. ამ ჩამონათვალიდან საქართველოსთვის №1 პრიორიტეტი არის სოფლის მეურნეობა. უცხოელი ინვესტორები 10 წელია ამ დარგში მიზერულ თანხებს (1,3%) აბანდებენ. მათთვის უფრო მომგებიანია ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მშენებლობა, გადამამუშავებელი საწარმოები, უძრავი ქონების შესყიდვა. უცხოელი ინვესტორები არ ითვალისწინებენ არც საქართველოს რეგიონულ პრიორიტეტებს. 2007-2017 წლებში, მათ ქ. თბილისში 8385 მლნ აშშ დოლარი დააბანდეს ანუ მთელი უცხოური ინვესტიციების 76,5% (იხ. ცხრილი 3). ამ ფონზე უკიდურესად ჩამორჩენილი რე-

გიონებია მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი. სამცხე-ჯავახეთში დახარჯულია მთელი შემოსული ინვესტიციების 1,9%, მცხეთა-მთიანეთში (შიდა ქართლის რეგიონთან ერთად) – 0,3%, რაჭა-ლეჩხუმში (იმერეთის რეგიონთან ერთად - 2,2%. მათი ასეთი ქმედება საქართველოშიც და სხვა განვითარებად ქვეყნებშიც მათ მიმართ გარკვეულ ეჭვებს იწვევს. როგორც ქართველი მეცნიერი გ. ურუშაძე წერს: „უცხოური ინვესტიციები თითქმის ყოველთვის იწვევს მოუსვენრობისა და ეჭვების გრძნობებს და ეს არ არის საფუძველს მოკლებული. ობიექტურად და რეალურად თუ ვიმსჯელებთ, უეჭველად არსებობს გარემოებები, რომლებიც ზემოთ აღნიშნულ ეჭვებს განაპირობებს და არცთუ იშვიათად ეს ეჭვები მართლდება კიდევაც“ [2, გვ. 77]. უცხოელი ინვესტორები არც მალავენ, რომ მათ ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში თავიანთი ინტერესები აქვთ და თუ საშუალება მიეცათ, შეეცდებიან იგი მოახვიონ ადგილობრივ კომპანიებს და მთელ ამ ქვეყნის ეკონომიკას. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად ინვესტიციების მიმღები ქვეყნის ხელმძღვანელობა მოწოდების სიმაღლეზე უნდა დადგეს და არ დაუშვას იგი. ჩვენი აზრით, ნებისმიერი ღირსების მქონე ქვეყნისთვის უცხოური ინვესტიციებით ადგილობრივი წარმოების განვითარება უნდა იყოს პირველი რიგის ამოცანა. ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში მოზიდვა. უცხოური ინვესტიციები სამამულო ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით უნდა შემოდიოდეს და ასევე იხარჯებოდეს.

ცხრილი 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით 2007-2017 წლებში [1]

რეგიონი	**თანხა ათასი აშშ. დოლარი**	**%-ში**
ქ. თბილისი	11435220	76,5
აჭარა	1895365	12,6

კახეთი	67 540	0,4
სამცხე-ჯავახეთი	288 960	1,9
ქვემო ქართლი	441 686	4,1
სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია	445 106	4,1
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	326 794	2,2
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	47 333	0,3
სულ	**14948000**	**100,0**

2. საქართველოს ძირითად კაპიტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაწილეობის შეფასება

უცხოური ინვესტიციებით რომ ქვეყნები არნახულად ვითარდებიან, ეს უკვე დიდი ხნის დადასტურებულია. ასე განვითარდნენ სინგაპური, ჰონკონგი, სამხრეთ კორეა და სხვები. ჩინეთი ხომ ამის საუკეთესო მაგალითია. ჩინეთის გამოცდილება მართლაც უნიკალურია ამ მიმართულებით. ინვესტიციების მიღების მოცულობით იგი აშშ-ს შემდეგ მეორე ქვეყანა. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ გზით ჩინეთი ისე ვითარდება, რომ საერთაშორისო ბაზრებზე უკვე აშშ-ს კონკურენტად გვევლინება. ამით იმის თქმა გვინდა, რომ უცხოური ინვესტიციები ჩვენც უნდა მივიზიდოთ, მაგრამ ჩვენს ეკონომიკაში მათ დაბანდებაში ჩვენი ინტერესი უნდა გავითვალისწინოთ. თუ ინტერესთა დაბალანსება არ მოხდა, რაც ამჟამად სოფლის მეურნეობის მაგალითით აშკარად ხდება, საქართველო უცხოური ინვესტიციების შემოდინებით არ აყვავდება. ასე თუ გაგრძელდა, სარგებლობაში უცხოელები იქნებიან და არა ჩვენ. საქართველოს მთავრობის მიერ არაერთხელ იქნა ნათქვამი, რომ საქართველოს ეკონომიკის ზრდა უცხოურ ინვესტიციებზეა დამოკიდებული. ნათქვამია ისიც, რომ საქართველოს რეალური ზრდის ტემპი საშუალოდ უნდა შეადგენდეს 7%-ს და მის უზრუნველსაყოფად ინვესტიციების ყოველწლიურმა ზრდამ უნდა შეადგინოს 10% და მეტი [3, გვ. 67].

ამ მიმართებით დღეს ასეთი მდგომარეობაა: 2017 წელს 2016 წელთან შედარებით ძირითად კაპიტალში განხორციელდა 14,1%-ით მეტი ინვესტიცია (მ.შ. უცხოური ინვესტიციები ამავე

წლებში გაიზარდა 20,9%-ით). ორივე შემთხვევაში ზრდის პროცენტი აღემატება ნავარაუდევ 10%-ს. რაც შეეხება 7%-იან ეკონომიკურ ზრდას, საქართველოს მთავრობამ 2019 წელი 4.9%-იან ზრდაზე დაგეგმა და არა 7%-იან ზრდაზე.

ასე არის თუ ისე, ამ 4,9%-იან ზრდასაც სათანადო ფინანსური უზრუნველყოფა ანუ ინვესტიციები სჭირდება. საჭირო იქნება საკმარისი მოცულობით მათი მობილიზება. ეს ადგილობრივი ბანკებიდან მოზიდული ინვესტიციებიც იქნება და უცხოურიც, მთავარია, მთავრობამ შეძლოს ისეთი მიმზიდველი გარემოს შექმნა, რომ ინვესტორები დაინტერესდნენ თავიანთი ფულადი კაპიტალის საქართველოში დაბანდებით. მიმზიდველ გარემოში შედის ინვესტორებისთვის მისაღები პირობების შექმნა, რაც ჩადებული და მკაცრად დაცული უნდა იყოს საქართველოს საინვესტიციო კანონმდებლობაში.

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. უცხოურ ინვესტიციებს საქართველოში განხორციელებულ მთელ ინვესტიციებში 2007 წელს 62,9%, ხოლო 2014 წელს 53,6% ეკავა [3, გვ. 98]. ჩვენი გამოანგარიშებით 2017 წელს მან დაიკავა 33,7% (ცხრილი 4 და ნახაზი 3).

ცხრილი 4. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების წილი საქართველოს ძირითად კაპიტალში განხორციელებულ ინვესტიციებში

		2017 წელი
1	ძირითად კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციები - სულ (ლარებში)	11238300000
2	უცხოური პირდაპირი ინვესტ.საქართველოში: ლარებში დოლარებში	1894491000 1894491000·2,0=3788982000
3	დოლარებში უცხოური ინვესტიციების ხვ. წონა საქართველოს ძირითად კაპიტალში განხორციელებულ ინვესტიციებში	$\frac{3788982000 \cdot 100}{11238300000} = 33{,}7\%$



ნახაზი 3. უცხოური ინვესტიციების წილი საქართველოს კაპიტალში განხორციელებულ ინვესტიციებში

არც ერთ ქვეყანას არ აქვს დადგენილი უცხოური ინვესტიციების ხვედრითი წილის რაღაც ზღვარი. არც ის არის გამოანგარიშებული, თუ რა სჯობს - ქვეყანას საკმარისი რაოდენობით საკუთარი ინვესტიცია ჰქონდეს, თუ პირიქით - უცხოური.

ჩვენი აზრით, კარგია რომ საქართველოში მთლიანად ინვესტიციების დინამიკა ზრდადია. ალბათ, არც ის არის ცუდი, რომ მასში საკუთარი ინვესტიციების წილი იზრდება, უცხოური კი მცირდება. ქართველი ინვესტორი აუცილებლად გაუწევს ანგარიშს საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებს და ინვესტირებას ამ დარგებში, კერძოდ სოფლის მეურნეობაში მოახდენს. ამას უცხოელი ინვესტორები არ აკეთებენ. არის მეორე, უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორიც. უცხოელები ერიდებიან გრძელვადიან ინვესტირებას, რადგან მომავალში საქართველოს ეკონომიკური თუ პოლიტიკური მდგრადობის იმედი არ აქვთ. ადგილობრივი ინვესტორისთვის საქართველო მისი სამშობლოა. მან იცის, რომ მისი ქვეყნის სტაბილურობა უპირატესად ინვესტიციებზეა დამოკიდებული და იგი გაბედულად დააბანდებს კაპიტალს გრძელვადიან პროექტებში. ქართველი ინვესტორი იზრუნებს იმაზე, რომ არა მხოლოდ მისი შვილების, არამედ შვილიშვილების მომავალი მოთხოვნილებები იყოს დაკ-

მაყოფილებული. ამის უზრუველნყოფა კი მხოლოდ გრძელვადიანი პროექტების (და არა მოკლევადიანის) განხორციელებით შეიძლება. ქართველი მეცნიერი ვ. კაკაბაძე წერს: „ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობა იმათთვის ვინც გონივრულად განაგებს ამ სახსრებს ანუ ათავსებს გრძელვადიან წარმოებაში, არის ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობა“ [5, გვ. 27]. უცხოელ ინვესტორს საქართველოში ეს მიზანი არ აქვს. იგი არჩევანს მეტწილად დღევანდელ მოგებაზე აკეთებს.

დასკვნა

საქართველოს გრძელვადიანი აქტივების შექმნაში უცხოური ინვესტიციების მონაწილეობის ანალიზით დავადგინეთ, რომ მისი ხვედრითი წილი 2007-2017 წლებში 62,9%-დან 33,7%-მდე არის შემცირებული. ასეთ დროს, ცალკე აღებული არც მთლიანად ძირითად კაპიტალში ინვესტირების შემცირებას აქვს ადგილი (პირიქით, იგი 2007-2017 წლებში გაზრდილია 257,1%-ით) და არც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლას საქართველოში. ეს უკანასკნელი მაჩვენებელიც 2007-2017 წლებში 8,1%-ით არის გაზრდილი. შექმნილი ვითარება გამოიწვია ადგილობრივი ინვესტიციების ზრდამ. ეს ტენდენცია კვლავაც უნდა გაგრძელდეს, თუმცა, უცხოური ინვესტიციების შემოდინებასაც უნდა შეეწყოს ხელი. საქართველოს მხრიდან უცხოელ ინვესტორებთან ურთიერთობებში წინა პლანზეა წამოსაწევი საქართველოს გრძელვადიანი მიზნები და ინტერესები და არა მოკლევადიანი, სადღეისო სარგებლები. სამწუხაროდ, დღეს მხოლოდ ასეთ პოლიტიკას ვატარებთ.

ლიტერატურა:

1. http://www.geostat.ge

2. ურუშაძე გ. უცხოური ინვესტიციები და საქართველოს ეკონომიკის განვითარების გზები, თბ., 2015, გვ. 77.

3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო - 2020“, თბ., 2013, გვ. 67.

4. ბერუაშვილი ბ. ინვესტიციების ადგილი და როლი საქა-

რთველოს სამშენებლო ბიზნესის განვითარებაში, თბ., 2017, გვ. 98.

5. კაკაბაძე ვ. ინვესტიციების და პროექტების მართვა, თბ., 2011, გვ. 27.

REFERENCES:

1. http://www.geostat.ge

2. Urushadze G., Foreign Investment and Ways of Economic Growth of Georgia, Tb., 2015, p. 77.

3. Social-Economic Development Strategy of Georgia- "Georgia – 2020", Tb., 2013, p. 67.

4. Beruashvili B., The Role and Area of Investment in the Developmend of Construction Business of Georgia, Tb., 2017, p. 98

5. Kakabadze V. Investment and Project Management, Tb., 2011, p. 27

THE ASSESSMENT OF FOREIGN INVESTMENTS IN ESTABLISHING THE LONG-TERM ASSETS OF GEORGIA

Zaira Ghudushauri,
Professor of Georgian Technical University
Mariam Eristavi,
PhD Student of Georgian Technical University

RESUME

In the article has been conducted analysis of the volume, dynamics and structure of foreign direct investments in Georgia in 2007-2017, the areas which are more attractive for foreign investors (transport, energy, construction) are estimated to be 2007. In this year they should participate in the level of fixed capital investments decreased by 62.9% to 33.7%, and according to the similar figures

by foreign countries, the situation is evaluated negatively. However, the authors of the article pay attention to the fact that foreign investors in Georgia easily manage their interests. This is seen by the priority areas of Georgia (agriculture) and their priority regions (Samtskhe-Javakheti, Mtskheta-Mtianeti and others). Therefore, the authors of the article express more favor with local investors.

Key words: Long-term assets Long-term investments; foreign investments; foreign investor; Basic capital; Priority fields and regions.

საბანკო პოლიტიკის - „იცნობდე შენს კლიენტს“ მნიშვნელობა

სალომე ქურასბედიანი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

საბაზრო ეკონომიკის განვითარების და ბიზნესის გლობალური ხასიათის გამო, სულ უფრო მნიშვნელოვანი, სრულყოფილი და მასშტაბური ხდება ფინანსურ ოპერაციებზე მონიტორინგის და არალეგალური შემოსავლების დაკანონების წინააღმდეგ ბრძოლა.

საბაზრო ეკონომიკის თითოეული სუბიექტი ცდილობს შეიმუშავოს მუდმივად დახვეწილი ინფორმაციული თუ ფინანსური სისტემა. ერთ-ერთ ასეთს წარმოადგენს ფინანსურად ყველაზე აქტიური სუბიექტების - ბანკების ცნობილი პოლიტიკა „იცნობდე შენს კლიენტს“ (KYC).

სტატიაში საფინანსო სექტორში არსებულ რისკებზე დაკვირვების საფუძველზე განხილულია პოლიტიკის - „იცნობდე შენს კლიენტს“ მნიშვნელობა შემდგომში ისეთი პრობლემების თავიდან ასარიდებლად, როგორიცაა ფულის გათეთრება და ზოგადად ფინანსური დანაშაული.

საკვანძო სიტყვები: ფულის გათეთრება, ფინანსური მონიტორინგი, საბანკო ზედამხედველობა, მონაცემთა ბაზა.

ძირითადი ტექსტი

„იცნობდე შენს კლიენტს“ (KYC – Know Your Customer) პოლიტიკის არსი მდგომარეობს ფინანსური ტრანზაქციების მონაწილე სუბიექტების შესახებ სრული და ზუსტი მონაცემთა ბაზების შექმნაში. მისი მიზანია ფულის გათეთრების ხელშემწყობი

ნებისმიერი საქმიანობისთვის ან ტერორისტული საქმიანობისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობენ სხვადასხვა ანტიტერორისტული და AML (Anti Money Loundering) ორგანიზაციები. სწორედ მათი ერთ-ერთი პოლიტიკაა „იცნობდე შენს კლიენტს“. ყველა ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ფლობს საქმიანობის ლიცენზიას და კონტროლდება შესაბამისი ორგანოების მიერ, ვალდებულია იხელმძღვანელოს აღნიშნული სტანდარტებით და ჩაერთოს ამ მიმართულებით საერთაშორისო პრობლემის - არალეგალური შემოსავლების დაკანონების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ფინანსური ინსტიტუტები და მათი ხელმძღვანელები, თანამშრომლებისგან მოითხოვენ KYC პოლიტიკის პრინციპების დაცვას, რათა შემდგომში მათი რეპუტაციული რისკი თუ ჯარიმის ალბათობა თავიდან იქნას აცილებული. ასევე ამ გზით ფინანსური სუბიექტები ცდილობენ თავიდან აიცილონ მათი მომსახურების გამოყენება ფულის გათეთრების მიზნებისთვის.

KYC კითხვარები, რომლითაც ხელმძღვანელობს ესა თუ ის ფინანსური სუბიექტი, მოიცავს ფაქტობრივად სრულ ინფორმაციას ტრანზაქციების მონაწილე მხარეებზე, ეს შეიძლება იყოს მომხმარებლის ვინაობა, მისამართი, საქმიანობის სფერო, ტრანზაქციების დანიშნულება, წლიური შემოსავალი და ბრუნვა, მომხმარებლის პოლიტიკური აქტიურობა, თანხების წარმომავლობის დადგენა და სხვა.

გარდა იმისა, რომ მომსახურების გამწევი თანამშრომლის მიერ ინფორმაციის მოპოვება ხდება პირველწყაროდან, მნიშვნელოვანია ინფორმაციის სისწორის და სიზუსტის გადამოწმება. ამ მიმართულებით არსებობს სხვადასხვა საიდენტიფიკაციო პროგრამები, რომელთა გამართული მუშაობაც მნიშვნელოვანია შემდგომში ცდომილების თავიდან ასაცილებლად.

KYC პოლიტიკის სწორი გამოყენება განაპირობებს სანდო ინფორმაციის შეგროვებას, რაც საბოლოო ჯამში ამარტივებს ტრანზაქციების და ბიზნეს საქმიანობის მონიტორინგს.

თითოეული თანამშრომელი, რომელიც ჩართულია სხვადას-

ხვა ეტაპზე KYC ინფორმაციის მოპოვებაში, უნდა აცნობიერებდეს თავის პასუხისმგებლობას და მუდმივად იყოს ინფორმირებული შესაბამის ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც მოითხოვება ამ მიმართულებით საერთაშორისო AML სტანდარტით.

ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა გამოიჩინონ მუდმივი სიფრთხილე, კლიენტის შესახებ ინფორმაციის ერთხელ შემოწმება საკმარისი არ არის, სავალდებულოა ისეთი პროგრამების არსებობა და ფლობა, რომელიც მუდმივ რეჟიმში ამოწმებს მომხმარებელს. არსებობს ე. წ. „ჭკვიანი პროგრამები", რომლებიც ახორციელებენ მუდმივ მონიტორინგს ტრანზაქციებზე და მონაცემებზე, ზღურბლოვანი მონაცემების საფუძველზე.

მომხმარებლები KYC სტანდარტის მიხედვით უნდა გადიოდნენ შემდეგ ეტაპებს:

1. მომხმარებლის იდენტიფიკაცია პირველწყაროდან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, ინფორმაციის მიმღების მიერ CIP პროგრამის საშუალებით პიროვნების ნამდვილობის დადასტურება და მონაცემების შედარება საერთაშორისო ბაზაში არსებულთან.

2. მომხმარებლის მიმართ სანდოობის შეფასება. უნდა მოხდეს იმის შეფასება, თუ რამდენად შეიძლება პოტენციურ კლიენტზე ნდობა. არსებობს სიფრთხილის სამი დონე: გამარტივებული სათანადო სიფრთხილე, მომხმარებელთა ძირითადი სათანადო სიფრთხილე და გაძლიერებული სათანადო სიფრთხილე.

3. მუდმივი მონიტორინგი. ინფორმაციის ერთხელ სრულად მოპოვება არ განაპირობებს მის სანდოობას, მნიშვნელოვანია მუდმივი მონიტორინგი და კონტროლი.

დღევანდელი რეალიის გათვალისწინებით, ყველა საფინანსო დაწესებულება, რომელიც ჩართულია საერთაშორისო ტრანზაქციების განხორციელებაში და ემსახურება საერთაშორისო ბაზრის სუბიექტებს, მეტ-ნაკლებად ჩართულია KYC პოლიტიკის დახვეწაში და აქტიურად ცდილობს ინფორმაციის მიწოდებას AML კუთხით.

თუმცა აღსანიშნავია სუბიექტური ფაქტორები, რომელთა გაკონტროლებაც საკმაოდ რთულია. ეს შეიძლება იყოს თუ-

ნდაც პროფესიული უპასუხისმგებლობა, რომლისგანაც დაზღვეული არცერთი ორგანიზაცია არ არის.

მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მუდმივად მიმდინარეობდეს თანამშრომლებთან შესაბამისი კომუნიკაცია და მათთვის იმის გაცნობიერება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათ მიერ მოპოვებული და მოწოდებული ინფორმაციის სისწორე. სხვადასხვა კვლევის და შეფასების თანახმად, პროფესიული გულგრილობა დღეს ამ მიმართულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

ინფორმაციის სრულყოფისთვის უმნიშვნელოვანესია უშუალოდ პირველწყაროსთან მომუშავე თანამშრომლების კვალიფიკაცია, მისი მუდმივი ამაღლება და პასუხისმგებლობა, რაც საბოლოოდ სწორად განხორციელებული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Committee of Experts on the Evaluation of Anti-Money Laundering Measures and the Financing of Terrorism. (41 Plenary Mitting of Counsil Europe, Strasbourg, 12.04.2013)

2. European Bank for Reconstruction and Development. 2008. EBRD Regional AML Traning Seminar. Tbilisi, Georgia.

3. Stumbauer S. 2017. Five steps for anti-money-laundering compliance in 2017. International Banker. https://internationalbanker.com/finance/five-steps-anti-money-laundering-compliance-2017

4. Extract from Instruction for procedures against Money Laundering and Terrorist Financing for the SEB Group – 20.11.2017

5. http://www.finra.org (15.12.20018)

6. https://www.cclcompliance.com (15.12.2018)

THE IMPORTANCE OF BANKING POLICY - „KNOW YOUR CUSTOMER"

Salome Kurasbediani
PhD student of GTU

RESUME

Because of the market economy development and the global characteristics of the business, the more importantly, comprehensive and scalable action is to fight against financial transactions and legalization of the illegal revenue.

Every subjects of the market economy are trying to develop a consistent, informative and financial system. One of these is financially the most active subjects - the banks' famous policy "Know Your Client" (KYC).

The article reviews the risks associated with the financial sector in the article - "Know Your Client" Importance to avoid problems such as money laundering and financial crimes in general.

Key words: Money laundering, financial monitoring, bank supervision, database.

საბანკო სექტორი ფინანსური გლობალიზაციის პირობებში

ნიკოლოზ დარჩიაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

უკანასკნელ წლებში, დაჩქარებული გლობალიზაციის, პოლიტიკური არასტაბილურობისა და მსოფლიოში კრიზისის წარმოშობის რეციდივების საფრთხის გამო, სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს და მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა, როგორც ფინანსური სისტემის მთლიანად, ასევე მისი ცალკეული კომპონენტების ფინანსური სტაბილურობის პრობლემებს, ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც ფინანსური სისტემის ფუძემდებლურ ელემენტს, ენიჭება საბანკო სექტორს.

საკვანძო სიტყვები: საბანკო სექტორი, ფინანსური გლობალიზაცია, ბანკი, რეიტინგი.

შესავალი

ფინანსურ გლობალიზაციას თან სდევს საბანკო საქმიანობის დერეგულირება და ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაცია. ამასთან იშოლება ინსტიტუციონალური საზღვრები სხვადასხვა სახის საბანკო და საფინანსო საქმიანობას შორის, როგორებიცაა: კომერციული, საინვესტიციო, სადაზღვევო და ა.შ. შედეგად მნიშვნელოვნად იცვლება ფინანსურ ბაზრებზე კონკურენციის ხასიათი და ფორმები. ბანკები იძულებულნი არიან კონკურენცია გაუწიონ არა მხოლოდ ერთმანეთს, არამედ სხვა ფინანსურ ინსტიტუტებსაც - სადაზღვევო და საინვესტიციო ფონდებს, საფინანსო კომპანიებს და ა.შ. ხოლო ლიბერალიზაციის პირობებში - როგორც რეზიდენტებს, ასევე არარეზიდენტებს.

საბანკო ბიზნესის გლობალურ ცვლილებებში განსაკუთრებული როლს თამაშობს საინფორმაციო ტექნოლოგიები. ჯერ კიდევ ახლო წარსულში საინფორმაციო სისტემები და ტექნოლოგიები გამოიყენებოდნენ უპირატესად საბანკო ინფორმა-

ციის შეგროვებისა და გადამუშავების ავტომატიზაციისათვის, ხოლო მცირე მასშტაბით ბანკებში დაგეგმვისა და კონტროლისათვის და განიხილებოდნენ, როგორც ხელის შრომის შემცირებისა და საბანკო დანახარჯების ოპტიმიზაციის საშუალება. დღესდღეობით საინფორმაციო ტექნოლოგიები გახდა საბანკო ბიზნესში რადიკალური სტრუქტურული ცვლილებების მამოძრავებელი ძალა. ისინი ფარავენ სივრცესა და დროს, და უხსნიან ბანკებს გასასვლელს დღეღამის ნებისმიერ დროს გეოგრაფიულად დაცილებულ ბაზრებზე.

ახასიათებდნენ რა გლობალურ ფინანსურ სფეროს ჯონ დენიელსი (John D. Daniels) და ლი რადება (Lee H. Radebaugh) აღნიშნავდნენ, რომ საერთაშორისო ოპერაციების განვითარების საკვანძო ასპექტს წარმოადგენს იმ საბანკო მომსახურების რიცხვის გაზრდა, რომელსაც სთავაზობენ კლიენტებს ტრანსნაციონალური ბანკები. ბანკები თანამედროვე პირობებში გავლენას ახდენენ არა მხოლოდ კორპორაციული რესურსების ნაკადების მოძრაობაზე, არამედ უზრუნველყოფენ საკრედიტო დაფინანსებას ადგილობრივ და გლობალურ დონეზე. [1]

ძირითადი ტექსტი

ყოველწლიურად სარეიტინგო სააგენტოები, ანალიტიკოსები და საფინანსო კომპანიები ადგენენ ყველაზე საიმედო, მომგებიან და წარმატებული ბანკების რეიტინგს, მაგრამ ფილტრაციის კრიტერიუმები საკმაოდ სპეციფიურია იმისათვის, რომ დარწმუნებით გამოვყოთ მსოფლიოს ყველაზე მსხვილი ბანკი. ამიტომ ახდენენ რეიტინგების ფორმირებას სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით, ამიტომაც ერთი და იგივე ბანკი რომელიმე პარამეტრით შესაძლოა ლიდერობდეს, ხოლო ჩამორჩებოდეს სხვა პარამეტრის მიხედვით. ჩვენ გავაანალიზეთ სხვადასხვა ქვეყნის ბანკები საკვანძო მახასიათებლების მიხედვით: თანხა ჩადებული აქტივებში, საბაზრო კაპიტალიზაცია, კაპიტალი, თანამშრომლების რაოდენობა და ბრენდის ღირებულება, ქვეყნები რომლებშიც აწარმოებენ საქმიანობას და ბაზარზე ყოფნის წლების რაოდენობა. (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1.

მსოფლიოს 5 უმსხვილესი ბანკი საკვანძო მახასიათებლების მიხედვით 2016 წლის რეიტინგი*

	ქვეყანა	აქტივები ტრილ. $	კაპიტალიზაცია მილიარ.$	კაპიტალი მილიარ. $	დაარსების წელი	თანამშრომელთა რაოდენობა	ქვეყნების რაოდენობა
Industrial and Commercial Bank of China	ჩინეთი	3,42	224.08	274.43	1984	466000	132
JP Morgan Chase & Co	აშშ	2.5	234.2	200.48	1799	240000	100
HSBC Holdings	დიდი ბრიტანეთი	4.41	133	153.3	1865	235000	85
Mitsubishi UFJ Financial Group	იაპონია	2.64	73.5	131.75	1880	108153	40
BNP Paribas	საფრანგეთი	2.51	66.8	98.55	1848	189000	31

***ცხრილი შედგენილია მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის, S&P Global Intelligence-ის და სააგენტო Tmn-ის მონაცემებზე დაყრდნობით.**

ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად, რომლის მიხედვითაც წამყვანი სააგენტოები და საფინასო ორგანიზაციები ადგენენ მსოფლიოს უმსხვილესი ბანკების რეიტინგს წარმოადგენს ჯამური აქტივების მოცულობა. საინვესტიციო პორტალმა Invest Rating-მა გამოაქვეყნა მსოფლიოს უმსხვილესი ბანკების რეიტინგი S&P Global Intelligenc-ის მიხედვით. დიაგრამაზე მოცემულია აქტივების მიხედვით მსოფლიოს უმსხვილესი ბანკების ტოპ 5-ლი (იხ. დიგრამა 1).

დიაგრამა 1. მსოფლიოს უმსხვილესი ბანკების ტოპ 10-ლი აქტივების მიხედვით 2018 წლის 15 იანვრისათვის (ტრილიონ $-ში).



***დიაგრამა შედგენილია S&P Global Intelligenc-ის მონაცემებზე დაყრდნობით**

რეიტინგში უპირატესობა მოპოვებული აქვთ ძირითადად მსხვილ სავალო ბანკებს. ხოლო ისეთი საინვესტიციო ბანკინგის გიგანტები, როგორებიცაა Goldman Sachs და Morgan Stanley ვერ მოხვდნენ ტოპ-28-ში, მათ უკავიათ შესაბამისად 32 და 37 ადგილები. [2]

ჩინური ბანკები რჩებიან მსოფლიოში უმსხვილეს კორპორაციებად. მაგალითად, ბანკი Industrial and Commercial Bank of China უკვე ზედიზედ მე-5 წელია ლიდერობს კომპანია Global 2000-ის რეიტინგში, იგი აკონტროლებს ჩინეთის საბანკო სექტორის მეხუთედს. კომპანიის აქციების 70% ეკუთვნის სახელმწიფოს.

საქართველოს ბანკები მართალია უკვე მოხვდნენ მსოფლიო რეიტინგებში მაგრამ მათი შედეგები საკმაოდ მოკრძალებულია. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით ქვეყანაში 2018 წლის 1 აგვისტოსათვის სულ იყო 15 ლიცენზირებული საბანკო დაწესებულება. მათ შორის ორი ბანკის საქართველოს ბანკისა და თიბისი ბანკის აქციები განთავსებულია ლონდონის

საფონდო ბირჟაზე პრემიუმ სეგმენტში.[3]

საკმაოდ მოკრძალებულია საქართველოში ლიცენზირებული ბანკების საკვანძო მახასიათებლები. მაგალითისათვის განვიხილოთ ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი საქართველოს ბანკის მონაცემები: მისი მთლიანი აქტივები შეადგენს 5671.7 მილიონ ლარს, საბაზრო კაპიტალიზაცია 961.4 მილიონ დოლარს (მონაცემი მოცემულია 2013 წლის 7 აგვისტოს მდგომარეობით) მისი ოფისები განლაგებულია მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე (197 სერვისცენტრი), მოსამსახურეთა რაოდენობა შეადგენს 11507 თანამშრომელს. ბანკის აქციების 92%-ს ფლობენ უცხოური ინვესტორები. როგორც ვხედავთ საქართველოს ბანკებს ჯერ კიდევ მოკრძალებული ადგილი უკავიათ მსოფლიო საფინანსო სისტემაში. [4]

დასკვნა

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში ჩამოყალიბდა სამი მთავარი ფინანსური რეგიონი, სადაც მოხდა უმსხვილესი ტრანსნაციონალური ბანკების თავმოყრა, ეს რეგიონებია: აშშ, დასავლეთ ევროპა და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი. ჩამოყალიბებულ თანამედროვე პირობებში საბანკო სტრუქტურები არა მხოლოდ გავლენას ახდენენ კორპორაციული რესურსების ნაკადების მოძრაობაზე, არამედ უზრუნველყოფენ საკრედიტო დაფინანსებას ადგილობრივ და გლობალურ დონეებზე. ტრანსნაციონალური ბანკები იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო საბანკო ოპერაციებში საკორესპონდენტო ურთიერთობების დამყარების ან საზღვარგარეთ თავისი ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნის ხარჯზე, ასევე აყალიბებენ კონსორციუმებს სხვა ქვეყნების ბანკებთან ერთად.

ნებისმიერი სახელმწოფო ჩართული მსოფლიო პროცესებში, მნიშვნელოვანწილად განიცდის გლობალიზაციის გავლენას. მისი შედეგები მოქმედებს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე, განსაკუთრებით საბანკო სექტორზე. საბანკო სექტორი - არის ერთ ერთი ის სფერო, სადაც ყველაზე უფრო იგრძნობა საფინანსო გლობალიზაციის გავლენა. გავითვალისწინებთ

რა გლობალური განვითარების ყველა დადებით მხარეს, საქართველომ უნდა გაატაროს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებაზე, თანდათან უცხოურ ინვესტორებზე დამოკიდებულების შემცირებაზე, რაშიც ლომის წილი უნდა მიუძღოდეს ქვეყნის საბანკო სექტორს. აუცილებელია გამოყენებულ იქნეს ყველა შიდა რესურსი, საბანკო კაპიტალი მიმართულ უნდა იქნეს ინოვაციური ტექნოლოგიების, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ინფრასტრუქტურის, გადამამუშავებელი და მსუბუქი მრეწველობის განვითარებაზე. ყოველივე ამისათვის კი აუცილებელია ქვეყანაში გამართული საბანკო სექტორის ფუნქციონირება, რაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბანკო სისტემის რეგულირების სისტემის დახვეწასა და გამართულ ფუნქციონირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Daniels J. D., Radebaugh L H. International Business : environments and operations. 67 Citations. https://www.researchgate.net/publication/31647153_International_Business_environments_and_operations_J_D_Daniels_Lee_H_Radebaugh

2. Фирбейн Ф. ТОП 100 крупнейших банков в мире. М. 2017. Invest Rating. https://www.invest-rating.ru/financial-forecasts/?id=7903

3. საქართველოს ეროვნული ბანკი. საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებები. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403

4. საქართველოს ბანკი. SOLO- საქართველოს ბანკის შესახებ. http://solo.ge/ge/about-solo/about-bank-of-georgia/references

REFERENCES

1. Daniels J. D., Radebaugh L H. International Business : environments and operations. 67 Citations. https://www.researchgate.net/publication/31647153_International_Business_environments_and_operations_J_D_Daniels_Lee_H_Radebaugh

2. Firbeyn F. TOP 100 largest banks in the world. M. 2017. **Invest Rating**. https://www.invest-rating.ru/financial-forecasts/?id=7903

3. National Bank of Georgia. Licensed banking institutions in Georgia. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403

4. Bank of Georgia. SOLO-Bank of Georgiahttp://solo.ge/ge/about-solo/about-bank-of-georgia/references

BANKING SECTOR UNDER FINANCIAL GLOBALIZATION

Nikoloz Darchiashvili
PhD Student of GTU

RESUME

In recent years, the accelerated globalization, political instability and crisis in the world because of the threat of recurrence, are becoming more important. The significant attention is paid to the financial system as a whole, as well as to its individual components of financial stability issues, with special importance, as the Financial Systems as its fundamental element, is attached to the banking sector.

Key words: Banking sector, financial globalization, bank, rating.

გეოეკონომიკა სამხრეთ კავკასიაში

ქეთევან თურმანიძე,
ირაკლი გაბიძაშვილი
თსუ სტუდენტები

რეზიუმე

XX საუკუნის მიწურულს, საუკუნის დასაწყისის მსგავსად, აქტუალური გახდა დასავლეთის ბაზრებზე აზერბაიჯანული ნავთობის ტრანსპორტირების საკითხი. რკინიგზით ტრანსპორტირება ნელი და ძვირი იქნებოდა. ამ შემთხვევაში მილსადენით ტრანსპორტირება უალტერნატივო იყო. აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანის კონსორციუმი (AIOC) და აზერბაიჯანის მთავრობა ორი მილსადენის ვარიანტზე შეთანხმდნენ: „ჩრდილოეთ მიმართულების საექსპორტო მილსადენი“ (ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენი), რომელიც 1997 წელს გაიხსნა და „დასავლეთ მიმართულების საექსპორტო მილსადენი“ (ბაქო-სუფსას მილსადენი), რომლის მშენებლობაც 1998 წელს დასრულდა. თანამედროვე სამხრეთ კავკასიაში რეალიზდება ის გეოეკონომიკური პროექტები, რომლებიც დაკავშირებულია რეგიონული და რეგიონთაშორისი საკომუნიკაციო და სათბობ-ენერგეტიკული არეალების ფორმირებასთან.

საკვანძო სიტყვები: გეოეკონომიკა, ვაჭრობა, ენერგორესურსები, სამხრეთ კავკასია

შესავალი

1998 წელს, ადრეული მარშრუტების განსაზღვრის შემდეგ, დასავლური კონსორციუმისათვის მთავარი გადასაწყვეტი საკითხი იყო, თუ რომელი მარშრუტი იქნებოდა ძირითადი აზერი-შირაგი-გუნაშლის საბადოდან ნავთობის დიდი მარაგის

ექსპორტისთვის. აშშ-ის საგარეო პოლიტიკისთვის კასპიის რეგიონის მნიშვნელობაზე მეტყველებს სპეციალური თანამდებობის შექმნა - „პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის სპეციალური მრჩეველი კასპიური ენერგოდიპლომატიის საკითხებში“. კლინტონის ადმინისტრაციისთვის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის მხარდაჭერა დაკავშირებული იყო აშშ-ს ახალ კასპიურ პოლიტიკასთან. ვაშინგტონს სურდა, რეგიონული მილსადენების პოლიტიკიდნ რუსეთისა და ირანის გამორიცხვით, შეემცირებინა მათი გავლენა საქართველოსა და აზერბაიჯანზე.

ძირითადი ტექსტი

1999 წელს ექსპლუატაციაში შევიდა **ბაქო-სუფსის** ნავთობსადენი, 900 კილომეტრიანი მონაკვეთი, რომელსაც დღე-ღამეში 115 ბარელი ნავთობის გატარება შეუძლია, ხოლო წელიწადში 5.7 მილიონი ტონა ნავთობის. მოცემულ ნავთობსადენს კიდევ აქვს პოტენციალი გაზარდოს საკუთარი გამტარუნარიანობა.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობას, რომელიც ბაქო-სუფსის ნავთობსადენს 10-ჯერ აღემატება, განხორციელება დაიწყო 1998 წლის 29 ოქტომბერს, როდესაც ანკარაში ხელი მოეწერა დეკლარაციას. ხელმომწერები იყვნენ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი, თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი და უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი, აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრის ბილ რიჩარდსონის თანდასწრებით. ნავთობსადენის მშენებლობას სათავე დაედო 2002 წლის 18 სექტემბერს

1990-იან წლებში ევროპაში ალტერნატიული გაზსადენების მშენებლობის იდეა გაჩნდა. გაზის ყველაზე სავარაუდო წყარო აზერბაიჯანი და თურქმენეთი უნდა გამხდარიყო. ტერმინი **„სამხრეთის გაზის დერეფანი“** 2008 წლისთვის გაჩნდა. ამ ტერმინს იყენებს ევროკომისია იმ დადგენილი ინფრასტრუქტურული პროექტების აღსაწერად, რომლებიც კასპიური და ახლო აღმოსავლური გაზის ევროპაში ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს

და ამით ენერგორესურსების მიწოდების უსაფრთხოებას აუმ-ჯობესებს. მრავალწლიანი მოლაპარაკებების შედეგად და და-სავლური კომპანიების ჩართულობით, შაჰ-დენიზის საბადოს დამუშავების მეორე ფაზიდან გაზის ექსპორტისთვის ახალი მილსადენის მშენებლობა გადაწყდა, რომელიც „სამხრეთის გა-ზის დერეფანში გაივლის“. ახალი მილსადენები თურქეთისა და საბერძნეთის გავლით აზერბაიჯანული გაზის პირდაპირ ევრო-პაში (იტალია) ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს.

სამხრეთ კავკასიის ინფრასტრუქტურული პროექტებიდან სომხეთი დისტანცირებულია. სომხეთი ვერ გახდა სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო ინფრასტრუქურის ნაწილი, რომელიც აღმოსავლეთ–დასავლეთ კავშირებს აძლიერებს. ამის ძირი-თადი მიზეზი ისაა, რომ რუსეთი ხელს უწყობს დაძაბულობას აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მთიანი ყარაბახის ტერი-ტორიის გარშემო, რის გამოც ეს ორი მეზობელი სახელმწიფო შეურიგებელ კონფლიქტშია ერთმანეთთან. სომხეთს ასევე არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობები თურქეთთან, და სატრა-ნზიტო დერეფნის ორ ძირითად მოთამაშესთან (აზერბაიჯანი, თურქეთი) გართულებული ურთიერთობების გამო ვერ ერთვე-ბა კასპიის ზღვის ენერგო რესურსების სატრანზიტო გადაზიდ-ვებში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიის რე-გიონმა დაიწყო გეოეკონომიკური მნიშვნელობის შეძენა. ამის ნათელი მაგალითია ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც ითვალისწინებს ევროპისა და აზიის ქვე-ყნებს შორის ტვირთის გადაზიდვასა და მგზავრების გადაყვა-ნის ერთიან სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ამ რეგიონის სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტუ-რულ ურთიერთობათა განვითარებას. ტრასეკა შეიქმნა 1993 წელს და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა ეკონომიკური, სო-ციალური და პოლიტიკური განვითარების მძლავრ მამოძრავე-ბელ ფაქტორად ჩამოყალიბდა.

აღსანიშნავია ტექნიკური დახმარების პროგრამა **(TACIS),** რომელიც 1991 წლიდან ხორციელდებოდა და ითვალისწინებდა

აღმოსავლეთ ევროპის 12 ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, სომხეთისა, აზერბაიჯანის და ცენტრალური აზიის ქვეყნების ფინანსურ დახმარებას სხვადასხვა ტექნიკური პროექტის განსახორციელებლად. მაგალითად, ამ პროექტის ფარგლებში განახლდა ბორანი ფოთი-ილიჩევსკი-ვარნა, ასევე ბაქო-თურქმენბაში-აქტაუ საბორნე ტერმინალი. პარალელურად, იქმნებოდა გეოეკონომიკური დოქტრინები **„აბრეშუმის გზის სტრატეგია - 1999“**; **„შავი ზღვის ეკონომიკური თანამეგობრობა - 1993.**

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) განახლებული კვლევის თანახმად, აზერბაიჯანს ყველაზე მაღალი მშპ აქვს ერთ სულ მოსახლეზე, დაახლოებით, 4.58 ათასი აშშ დოლარი. მეორე ადგილასაა საქართველო, 4.37 ათასი და ბოლოს სომხეთი, 4.02 ათასი აშშ დოლარი. **აზერბაიჯანის** ეკონიმიკის 50%-ზე მეტს ნავთობისა და გაზის ინდუსტრია შეადგენს, ხოლო ნავთობპროდუქტების და გაზის ექსპორტი მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 85%-ია. ნავთობრპოდუქტებზე დამოკიდებულება გახდა მიზეზი ბოლო 2 წლის მანძილზე ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შემცირებისა, გამომდინარე ნავთობზე ფასების დაცემიდან. ამასთანავე გაუფასურდა აზერბაიჯანული მანათიც.

ყოველივე ამის ფონზე, ქვეყნის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა, რომ მხოლოდ ნავთობის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი სანახევრო წარმატებაა და საჭიროა ეკონომიკის დივერსიფიცირება. შესაბამისად, ქვეყანამ დაიწყო ალტერნატიული ეკონომიკური სექტორების განვითარება, როგორებიცაა მაგალითად, ტურიზმი. უცხოელი ვიზიტორების გაზრდის მიზნით, ქვეყანამ 90-მდე ქვეყანასთან აამოქმედა უვიზო მიმოსვლის რეჟიმი. შედეგად, გასულ წელს, ტურიზმის სექტორში 20%-იანი ზრდა დაფიქსირდა აზერბაიჯანში. 2017 წელს 2016 წელთან შედარებით, 300 ათასი ტურისტით მეტი ჩავიდა. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ყველაზე მეტი ტურისტი რუსეთის ფედერაციიდან (32%) და საქართველოდან (19.2%) ჩავიდა, ასევე ირანიდან (14%).

სომხეთის შემთხვევაში ეკონომიკა ძირითადად ტრანსფერებზე დგას, რომელსაც რუსეთიდან და სომეხი ბიზნესმენე-

ბისგან იღებენ, რომლებიც საქმიანობას უცხოეთში ეწევანიან. აქ დიასპორას დიდი წვლილი მიუძღვის და რუსეთის ბაზარიც დიდ როლს თამაშობს ეკონომიკის განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან, ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანების შემდეგ, სომხეთის ექსპორტი 53%-ით გაიზარდა ევრაზიული კავშირის ქვეყნებში. ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სექტორი ტურიზმი გახლავთ. ყოველწლიურად დაახლოებით ნახევარ მილიონზე მეტი ტურისტი სტუმრობს, თუმცა ძირითადად ეთნიკური სომხები დიასპორებიდან. როგორც სომხეთის ეკონომიკის სამინისტრო იუწყება, ტურისტების უდიდესი ნაწილი დსთ-ის ქვეყნებიდან, ძირითადად რუსეთიდან, მოდის.

რაც შეეხება **საქართველოს,** გარდა მილსადენების გატარებით ფულადი და ნედლეულის სახით მიღებული სარგებელისა, ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი დარგები, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა, მეტალურგია, ტურიზმი, ჰიდრორესურსები, თუმცა დიდწილად პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზეა დამოკიდებული. ბუნებრივი რესურსების კუთხით, ტრადიციულ სექტორს განეკუთვნება სამთომოპოვებითი მრეწველობა (ტყიბულის, ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოები, ჭიათურის მანგანუმის საბადო).

აღსანიშნავია ევროკავშირთან 2014 წელს გაფორმებული ხელშეკრულება ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო შეთანხმების შესახებ. მხოლოდ 2018 წლის იანვარ-აპრილის მონაცემებით, სავაჭრო ბრუნვამ საქართველოსა და ევროკავშირს შორის 1070.1მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2017 წელთან შედარებით 25.7%-იანი ზრდაა. ექსპორტი ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტებსა და მინერალურ რესურსებზე მოდის. 2017 წელს საქართველოს 4.1 მლნ. ტურისტი ეწვია და ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 2.8 მილიარდი აშშ დოლარს გადააჭარბა, რამაც 2017 წლის მშპ-ს 6.9% შეადგინა.

ევროკავშირის აქტიურობა რეგიონში რამდენიმე ძირითადი მიმართულებით არის გამოხატული. ფინანსურ ასპექტში ყველაზე მნიშვნელოვანია ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარება, რომელსაც ევროკავშირი TACIS-ისა და ETAC-ს პროგრამე-

ბის მეშვეობით ახორციელებდა 1992 წლიდან მოყოლებული. მნიშვნელოვანია ევროკავშირსა და რეგიონის სამივე ქვეყანას შორის დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება. ევროკავშირი რეგიონის სამივე სახელმწიფოსთან კეთილგანწყობაშია, თუმცა საქართველოსთან გამოკვეთილად აქტიური ურთიერთობები აქვს, ვინაიდან მას გაცხადებული აქვს თავისი ევროპული ინტეგრაციის კურსი.

კომპანია Buzz and company-მ თავის კვლევაში დასალეთ ევროპასა და აღმოსავლეთ აზიას შორის არსებულ მიჯნას „ციფრული გამყოფი ხაზი უწოდა". კომპანიამ ეს მობილური აპარატების სტაციონალური კომპიუტერების და ინტერნეტის შეღწევადობის მიხედვით გაზომა. ვითარების სწორად დანახვისთვის არსებული „ციფრული ველი" ალბათ ევრაზიის შუაგულში უნდა დავინახოთ. აზერბაიჯანი ტრასეროვნული ინფორმაციული სუპერმაგისტრალის ინიციატივით გამოვიდა, რომელიც ითვალისწინებს 11.000 კმ-ის სიგრძის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გაყვანას, დასაწყისისთვის წამში 2 ტერაბაიტის ფართოზოლიანი გადაცემით ფრანკფურტსა და ჰონკონგს შორის. ეს ამბიციური პროექტია, რომელიც შეესაბამება იმ მნიშვნელოვან ნაბიჯებს, რომლებიც გადაიდგა იმისათვის, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი 21-ე საუკუნის ყოვლისმომცველ მაგისტრალად იქცეს.

დასკვნა

1990-იანი წლების დასაწყისში კასპიურ რესურსებზე დიდ იმედებეს ამყარებდნენ, რეგიონს „მეორე სპარსეთის ყურედ" მოიხსენიებდნენ. რეალურად, კასპიური რესურსების მარაგი ახლო აღმოსავლეთის მარაგებს კონკურენციას ვერ უწევს და მისი მოპოვებაც შედარებით ძვირი ჯდება. გასულ წელს „ბრიტიშ პეტროლიუმის" მიერ გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, აზერბაიჯანული გაზისა და ნავთობის მარაგების წილი მსოფლიო მარაგებში 1%-საც კი არ შეადგენს, განსხვავებით მაგალითად თურქმენეთისა, რომელიც მსოფლიო გაზის მარაგების 9.4%-ს ფლობს.

მსოფლიო მასშტაბით ენერგორესურსების ტრანსპორტი-

რების თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფანი მოკრძალებულ ადგილს იკავებს, თუმცა ბოლო წლებში წარმოქმნილმა გეოპოლიტიკურმა ფაქტორებმა მას დასავლეთში გარკვეული პოლიტიკური მხარდაჭერა მოუპოვა. მიუხედავად იმისა, რომ უახლოეს წლებში აზერბაიჯანის წილი ევროპის ენერგორესურსებით მომარაგებაში დაბალი იქნება, აზერბაიჯანული რესურსების იმპორტი და სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფანი დასავლეთისთვის მნიშვნელობას შეინარჩუნებს, რადგან იგი რუსეთზე დამოკიდებულების ხარისხის შემცირებას უზრუნველყოფს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კვინიკაძე გიორგი - „გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები“. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2014. გვ.68, 69, 76.

2. დევიდ ჯ.სმიტი, „ექსპერტის აზრი“. „აზერბაიჯანი და საქართველო სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ-დასავლეთ დერეფნის მყარი სტრატეგიული მნიშვნელობა“. Vol.19. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2014, გვ. 8, 10.

3. მამუკა კომახია. „ექსპერტის აზრი“. „სამხრეთ კავკასიის ენერგო დერეფანი: პერსპექტივები და გამოწვევები“. Vol.79. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. 2017. გვ. 3, 4, 5

4. Vusal Gasimli. Sam Review. The New Geo-economics in the Azerbaijan-led South Caucasus. Vol.14. Center for Strategic Studies. 2014. Pg. 9, 15.

5. FORBES. 2014. „ევრაზიის ენერგოსატრანსპორტო დერეფანი და საქართველოს პოლიტიკური როლი“, Online. Home Page On-line. http://forbes.ge/news/187/evraziis-energosatransporto-derefani-da-saqarTvelos-politikuri-roli ბოლო ნახვა 20 მაისი 2018;

6. EUROPARL.EUROPA. 2015. “South Caucasus”Online. Home

Page On-line. http://www.europarl.europa.eu/jointstatement/ruparliament/htm ბოლო ნახვა 15 ივნისი 2018.

BIBLIOGRAPHY:

1. Kvinikadze Giorgi. "Actual topics of Geo-economics and Economic Geography. Tbilisi. University Publishing. 2014. Pg. 68, 69, 76.

David J. Smith Azerbaijan and Georgia: The Enduring Strategic Importance of the South Caucasus East-West Corridor. Vol. 19. GFSIS publication. 2014. Pg. 8, 10.

Komakhia Mamuka. Expert Opinion. South Caucasus Energy Corridor: Perspectives and Challenges. Vol. 79. GFSIS publication. 2017. Pg. 3-5.

2. Vusal Gasimli. Sam Review. The New Geo-economics in the Azerbaijan-led South Caucasus. Vol.14. Center for Strategic Studies. 2014. Pg. 9, 15.

3. FORBES. 2014. Eurasian energy transport corridor and political role of Georgia", Online. Home Page On-line. http://forbes.ge/news/187/evraziis-energosatransporto-derefani-da-saqarTvelos-politikuri-roli Retrieved. December. 2018;

4. EUROPARL.EUROPA. 2015. "South Caucasus"Online. Home Page On-line. http://www.europarl.europa.eu/jointstatement/ruparliament/htm Retreived December 2018.

GEO-ECONOMICS IN SOUTH CAUCASUS

Qetevan Turmanidze, Irakli Gabidzashvili
Phd Shtudents of GTU

RESUME

By the end of the 20th century, as in the beginning of the century, the issue of transporting Azerbaijani oil to the western markets was essential. The Railway transportation would be slow and expensive. Thus, the pipeline transportation didn't have competitors. Azerbaijan's International Operational Component Consortium (AIOC) and the Government of Azerbaijan agreed on two pipeline options: "The North Ports Export Pipeline" (Baku-Novorossiysk Pipeline) opened in 1997 and the "Western Direction Pipeline" (Baku Supsa pipeline) of which construction was finished in 1998. In the modern South Caucasus those geo-economic projects are implemented that are related to formation of regional and inter-state communication and energy areas.

Key words: Geo-economics, Trade, energy resources, South Caucasus.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ბიზნეს პოტენციალის ანალიზი ბიზნესის კეთების ინდექსის გამოყენებით

ევგენი ბარათაშვილი
ემდ, სტუ პროფესორი,
თამარ მაჭარაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ბიზნესის კეთების ინდექსი აღიარებული და სანდო ინდიკატორია ქვეყნის ბიზნეს გარემოს შესასწავლად. ამ ინდექსის საშუალებით ანიჭებენ ქვეყანას ქულას და ახდენენ მის რანჟირებას სარეიტინგო პოზიციის მიხედვით. ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით ქვეყანაში აუცილებელია არსებობდეს კონკურენტული ბიზნეს გარემო, ლიბერალური საკანონმდებლო ბაზა და ინვესტორების უფლებების გარანტირებული დაცულობა. ამ კუთხით შსწავლილია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების-საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მდგომარეობა 2014-2018 წლებში.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე აღნიშნული ინდექსის კვლევის პროცესში საინტერესო ტენდენცია გამოვლინდა: საქართველო ლიდერობს არამხოლოდ ამ რეგიონში, არამედ უსწრებს რიგ ქვეყნებს ევროკავშირის მასშტაბითაც. ამ 5 წლის მანძილზე ტენდენციები უცვლელი დარჩა იმ კუთხით, რომ რეგიონში ლიდერობს საქართველო, მას მოჰყვება სომხეთი და შემდგომ აზერბაიჯანი. საქართველოს უკეთესი პოზიციები განპირობებულია გატარებული რეფორმებით.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს ჯერ კიდევ აქვთ გასატარებელი მთელი რიგი ინსტიტუციური რეფორმები, რათა შეძლონ უკეთესი ბიზნეს გარემოს ფორმირება და განვითარების უფრო მაღალი შედეგების მიღწევა. ამისათვის საქართველოს ორ მეზობელ ქვეყანასთან ერთად კვლავაც სჭირდება მუშაობის ეფექტურად წარმართვა მიღწეულის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესის განვითარება, ბიზნესის კეთების ინდექსი, სამხრეთ კავკასია, რეფორმები.

ძირითადი ტექსტი

ბიზნესის კეთების ინდექსის (ბკი) მონაცემებს ყოველწლიურად აქვეყნებს მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა.[1] ამ ინდექსის გამოყენებით პირველი ანგარიში გამოქვეყნდა 2003 წელს. ბკი ზომავს თუ რამდენადაა ბიზნესი რეგულირებული ქვეყნაში. მსოფლიო ბანკი ბკი ათი სხვადასხვა ინდიკატორით ადგენს და აფასებს იმ რეგულაციებს, რომელიც აძლიერებს ან აფერხებს ბიზნეს საქმიანობას. მათ შორის არის: ბიზნესის დაწყება, მშენებლობის ნებართვის გაცემა, ელექტროენერგიაზე წვდომა, ქონების რეგისტრაცია, კრედიტის აღებაზე წვდომა, ინვესტორების დაცვა, გადასახადების გადახდა, ვაჭრობა საზღვრებს მიღმა, კონტრაქტების აღსრულება და ვალაუვალობა. ბკი შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს რამდენად ადვილია კონკრეტულ ქვეყანაში ბიზნესის დაწყება და ხომ არ უშლის ხელს შექმნილი ბიუროკრატიული ბარიერები ახალი კომპანიის ბაზარზე შესვლას.

გრაფიკი 1: 2014-2018 წლებში ბკი სამხრეთ კავკასიის რეგიონში



1 http://urtashvilig.blogspot.com/

თუ დავაკვირდებით ბოლო 5 წლის ტენდენციას ვნახავთ, რომ საქართველოს ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა 2014 წელს, ხოლო ყველაზე უარესი 2016 წელს. თუმცა 2018 წელს მისი პოზიცია 7 პუნქტით გაუმჯობესდა წინა წელთან შედარებით და მე-16 პოზიციიდან მე-9 პოზიციაზე გადმოინაცვლა. საქართველო უპირობო ლიდერია სამხრეთ კავკასიის ამ 3 ქვეყანას შორის, ვინაიდან მისი რეიტინგული პოზიციები მერყეობდა 8-დან 24-მდე. სომხეთს საუკეთესო პოზიცია აქვს 2016 წელს-35-ე, ხოლო ყველაზე უარესი 2018 წელს 47-ე. აზერბაიჯანის შემთხვევაში პოზიციები მერყეობს 57-დან 80-მდე. კერძოდ მისი ყველაზე დაბალი პოზიცია გამოვლინდა 2015 წელს, ხოლო საუკეთესო 2018 წელს.

სამხრეთ კავკასიის რეგიონს გააჩნია უზარმაზარი პოტენციალი, როგორც ეკონომიკური, ისე სატრანსპორტო მიმართულებით. სწორი ეკონომიკური და ბიზნეს სტრატეგიის ფორმირების პირობებში აღნიშნული რეგიონის ქვეყნები გათავისუფლდებიან გარე ძალების ზეგავლენისგან და მოახდენენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას. აღნიშნული მათ მოუტანთ გავლენებისგან თავისუფალი განვითარების შესაძლებლობას და განსაზღვრავს მათ წარმატებას საერთაშორისო ასპარეზზე.

ბკი განსაზღვრა იძლევა შესაძლებლობას, შეფასდეს რამდენად ადვილია კონკრეტულ ქვეყანაში ბიზნესის დაწყება და რამდენად უშლის ხელს ბიუროკრატიული ბარიერები ახალი კომპანიის ბაზარზე შესვლას. ხშირად ინვესტორები ქვეყანაში ძალიან კარგი წინადადებით შედიან და მათ ბიზნეს საქმიანობას მართლაც გააჩნია პერსპექტიული მომავალი, თუმცა სახელმწიფო დონეზე შეიძლება არსებობდეს იმ მასშტაბის ხელოვნურად შექმნილი ბარიერები, რომ ინვესტორების მხრიდან წამოსულმა ინტერესმა რეალიზება ვერ ჰპოვოს. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ტრენდი მთლიანობაში გვაძლევს საიმედო დინამიკას, რომელიც შექმნის უკეთეს ბიზნეს გარემოს, მოიზიდავს ინვესტორებსა და მატერიალურ სახსრებს, რათა განვითარდეს ეკონომიკა და დაიძლიოს ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის ერთ ძლიერ გაერთიანებად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი წინაპირობაა ინვესტორებისათ-

ვის ღია გარემოს არსებობა, მათი საქმიანობის ხელის არ შეშლა და ლიბერალური საკანონმდებლო ბაზა. ამასთანავე, აუცილებელია არსებობდეს პოლიტიკური ნება და პოტენციურ ინვესტორებს გააჩნდეთ უსაფრთხოების განცდა, რაც ასე მნიშვნელოვანია მათთვის, სანამ რეალურად დააბანდებენ ქვეყანაში ფულად რესურსებს.

საჭიროა სამხრეთ კავკასიის რეგიონში შეიქმნას სტაბილური გარემო, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და გაძლიერებას. სამხრეთ კავკასიის რეგიონს გააჩნია უზარმაზარი პოტენციალი, როგორც ეკონომიკური, ისე სატრანსპორტო მიმართულებით. რეგიონის, როგორც სატრანსპორტო კვანძისადმი ინტერესი ისტორიულად არსებობდა და ამ ბუნებრივი უპირატესობის დათმობა არ იქნება მართებული საქციელი.

სწორი ეკონომიკური და ბიზნეს სტრატეგიის ფორმირების პირობებში აღნიშნული რეგიონის ქვეყნები განთავისუფლდება გარე ძალების ზეგავლენისგან და მოახდენენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას. თავისუფლების მიღწევის გზა კი არის ეკონომიკური გაძლიერება და საკმარისი რესურსების ფლობა.

რეგიონის ეკონომიკური გაძლიერება და ბიზნეს პოტენციალის ჯეროვნად ათვისება საშუალებას მისცემს რეგიონს გახდეს ექსპორტზე ორიენტირებული და არ იყოს მხოლოდ მომხმარებელი. წარმოების განვითარება და ქარხნების გახსნა შეამცირებს უმუშევრობას და გაზრდის მოსახლეობის კეთილდღეობას.

სათანადო ეკონომიკური რეფორმები აუცილებლად მოიტანს ამ შედეგს, რადგან ბაზრების ღიაობა და ინვესტორებისადმი კეთილგანწყობა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ამ მიმართულებით.

აღნიშნული კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება რეგიონის წინსვლისა და განვითარების საქმეში, რათა გაძლიერდეს რწმენა იმისა, რომ რეგიონს დამოუკიდებლად შეუძლია სირთულეების დაძლევა და სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

რეგიონში სტაბილურობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინვესტორთა დაინტერესების საქმეში და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური წინსვლის, გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის მომავალში.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის ერთ ძლიერ გაერთიანებად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი წინაპირობაა ინვესტორებისათვის ღია გარემოს არსებობა. მათი საქმიანობის ხელშეწყობა და ლიბერალური საკანონმდებლო ბაზა. აღნიშნული ხელს შეუწყობს რეგიონის, როგორც მნიშვნელოვანი აქტორის პოზიციების წინ წამოწევას და ჩამოაყალიბებს მას ანგარიშგასაწევ ძალად.

რეგიონის ძლიერებისათვის აუცილებელია კორუფციული საქმიანობისადმი ნულოვანი ტოლერანტობა. რეგიონის ეკონომიკური გაძლიერება და ბიზნეს პოტენციალის ჯეროვნად ათვისება საშუალებას მისცემს რეგიონს გახდეს ექსპორტიორი. წარმოების განვითარება და ქარხნების გახსნა შეამცირებს უმუშევრობას, რაც გაზრდის მოსახლეობის კეთილდღეობას. რეგიონში ცხოვრების სტანდარტების ამაღლება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს და ამ მიმართულებით აუცილებელია აქტიური და მიზანმიმართული სამთავრობო პოლიტიკის გატარება.

და ბოლოს, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვთ გასავლელი მაღალი ეკონომიკური სტანდარტების მისაღწევად. სწორედ ამიტომ, მსგავსი ინდიკატორების ანალიზს აქვს დიდი მნიშვნელობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ბიზნეს გარემოს შესწავლის მიზნით. აღნიშნული საშუალებას იძლევა დაძლეულ იქნას გამოვლენილი ნაკლოვანებები და დაისახოს სათანადო გეგმა სამომავლოდ მათი გამოსწორებისათვის. Eეს კი სავარაუდოდ ხელს შეუწყობს ინვესტორების მოზიდვას და შესაბამისად ინვესტიციების ზრდას. ჩგაზრდილი ეკონომიკური შემოსავლები კი რეგიონის წინსვლისა და გაძლიერების საქმეში უმნიშვნელოვანესი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

1. Staff of the World Bank with external contributions, Doing Business 2014, 11th edition, Washington DC, 2013, 316 pages.

2. Staff of the World Bank with external contributions, Doing

Business 2015, 12th edition, Washington DC, 2014, 331 pages.

3. Staff of the World Bank with external contributions, Doing Business 2016, 13th edition, Washington DC, 2016, 348 pages.

4. Staff of the World Bank with external contributions, Doing Business 2017, 14th edition, Washington DC, 2017, 356 pages.

5. Staff of the World Bank with external contributions, Doing Business 2018, Washington DC, 2018, 312 pages.

6. ბარათაშვილი ე., ბულია ლ., „ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეტროსპექტივა და პერსპექტივა" (შედარებითი ანალიზი), თბილისი, 2011, 170 გვ. (Baratashvili E., Bulia L., "Retrospective and perspective of the social-economic development of transition economics" (Comparative analyze) , Tbilisi, 2011, 170 pages).

THE ANALYSIS OF THE BUSINESS POTENTIAL OF SOUTH CAUCASUS COUNTRIES ACCORDING TO DOING BUSINESS INDEX

Evgeni Baratashvili,
Doctor of Economics, Professor of GTU,
Tamar Matcharashvili,
PhD student of GTU

RESUME

The Doing Business Index (DBI) is a well-known indicator and gives a clear reflection of Business Environment. According to this index each Country is ranked with points and rating positions. The competitive Business environment is vital for Doing Business in any country. Besides, investor rights should be defended and guaranteed by the rule of law. So we have based our analysis on the Doing Business Index in Georgia, Armenia and Azerbaijan in 2014-2018 years.

We have recognized a very interesting tendency while analyzing this

index in South Caucasus Region. Namely, it was found that Georgia is not only a leader of this region, but has better rating comparing to several EU countries. Focusing on the analysis of recent DBI data we concluded that during last five years the regional leader is Georgia, followed by Armenia and Azerbaijan. This achievement of Georgia is a result of the reforms that have been conducted in our Country.

At the same time, south Caucasus countries still should conduct institutional reforms to support and strengthen better their Business Environment and in order to ensure a better development in future. In spite of the recent achievements, Georgia as well as Armenia and Azerbaijan should go on working hard to maintain their position and also make progress in the ranking.

Key Words: Business development, Doing Business Index, (DBI), South Caucasus, Reforms.

კლიმატის ცვლილების შემცირების ღონისძიებები - შენობის ენერგოეფექტიანობა

ალექსანდრე გაგუა
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

საქართველოს ვალდებულება აქვს აღებული საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად განახორციელოს ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს ნახშირორჟანგის ემისიის შემცირებას, კლიმატის ცვლილების და გარემოზე ზემოქმედების შერბილებას. ენერგეტიკის სექტორში შემავალი ქვესექტორებიდან გარემოსა და კლიმატის ცვლილებაზე გავლენის შემცირების გზებია: „მწვანე ენერგეტიკის“ განვითარება, ენერგიის დაზოგვა საყოფაცხოვრებო, კომერციულ და სამრეწველო სექტორებში, ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვა, ძველი მოწყობილობების განახლება, ახალი შენობებისთვის სამშენებლო ნორმების შემოღება და გათბობა-გაგრილების „ჭკვიანი“ სისტემების შექმნა. შენობების ენერგოეფექტიანობის გაანგარიშებისთვის ფართოდ გამოიყენება „გრადუს-დღეების” მეთოდი, რომელიც ამყარებს კავშირს შენობის „შიგა” და „გარე” ტემპერატურებს შორის. ჩნაშრომში განხილულია ამ მეთოდის გამოყენების როგორც ტრადიციული, ასე კომპიუტერული გაანგარიშების ალგორითმი.

საკვანძო სიტყვები: კლიმატის ცვლილება, ენერგოეფექტიანობა, გრადუს-დღე.

შესავალი

კვლევებმა აჩვენა, რომ საშუალო ტემპერატურამ საქართველოში 0,3 გრადუსით მოიმატა და კლიმატის ცვლილების შედეგები სულ უფრო მრავალფეროვანი და ინტენსიური ხდება.

საქართველოს ვალდებულება აქვს აღებული საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად განახორციელოს ღონისძიებები, რათა წვლილი შეიტანოს კლიმატის ცვლილების პრობლემის გადაჭრის საქმეში.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

სათბურის გაზების ძირითადი წყაროებიდან აღსანიშნავია ელექტროენერგიის და სითბოს მიღების პროცესი - ეს არის ჰიდრო და თბო ელექტროსადგურები, ელექტროენერგიის და სითბოს სამრეწველო წყაროები. ქვანახშირის, ბუნებრივი გაზისა და სხვა წიაღისეული საწვავის წვა მთელ მსოფლიოში სათბურის გაზების ემისიების უდიდესი წყაროა. ელექტროსადგურის ფუნქციონირებისას ქვანახშირიდან ბუნებრივი გაზზე გადასვლა უდავოდ არის გაუმჯობესება, მაგრამ აუცილებელია ელექტროენერგიისა და სითბოს მიღების ნულოვანი (მზის, ქარის, გეოთერმული ან ბიომასის) ემისიის წყაროებზე აქცენტირება. სოფლის მეურნეობა და მიწათსარგებლობა: გლობალური სათბურის გაზების დაახლოებით ერთი მეხუთედი მიიღება ტყეების გაჩეხვისაგან, საწვავის გამოყენებისაგან სოფლის, სატყეო და თევზჭერის მეურნეობაში, ასევე ნიადაგის ემისიებისა და ტყის ხანძრებისგან. მრეწველობა: დღევანდელი მსოფლიოს სამრეწველო წარმოების პროდუქცია უზრუნველყოფს ბევრ სათბურის გაზებს, ასეთია ლითონების, ქიმიური წარმოება და გამოყენება, ცემენტის წარმოება და მრავალი სხვა პროდუქტი. ტრანსპორტი: ნიშანდობლივია საგზაო საცობები და გამონაბოლქვი ქალაქების თავზე. სავარაუდოდ, გამონაბოლქვის ყველაზე თვალსაჩინო წყარო მოდის ტრანსპორტიდან. ესენია: საავიაციო, სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტი. ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილების წილი მართალია, იზრდება, მაგრამ არასაკმარისად. აქროლადი ემისიები: სანამ სათბობი დაიწვება, ის უკვე ასწრებს ატმოსფეროში ემისიების გაფრქვევას, ასეთია ნავთობგადამამუშავებელი წარმოების პროდუქტების და მეთანის გაჟონვისგან წარმოქმნილი ემისიები, რაც სერიოზული და რთული საკითხებია. სურსათის ნარჩენები: კვების პროდუქტებიდან და სურსათის

ნარჩენებისგან წარმოქმნილი ემისიები იწყება ჯერ კიდევ იქიდან, სანამ ფერმას დატოვებს და განაგრძობს განაწილებას, შენახვას და გამოყენებას ბაზრებსა და რესტორნებში და მოსახლეობის სამზარეულოებში. სათბურის გაზების ერთ-ერთი წყაროა ინდუსტრიული, კომერციული და საცხოვრებელი ნაგებობები, მათ შორის საჯარო ადმინისტრირების შენობები, სამინიტროები, მუნიციპალური შენობები, სახელმწიფო უწყებები, სკოლები, უნივერსიტეტები და კოლეჯები, სადაც ფართოდ გამოიყენება ჰაერის გამათბობელი, გამაგრილებელი, სამაცივრო და სავენტილაციო მოწყობილობები, რომლებიც ხელს უწყობს გლობალური ემისიების გამოფრქვევას. საქართველოში სათბურის გაზების ემისიების ინვენტარიზაცია სექტორებისა და ქვესექტორების მიხედვით [1] აჩვენებს, რომ პირველ ადგილს იკავებს ენერგეტიკა ტრანსპორტის ქვესექტორის ჩათვლით -57%, მეორე ადგილზეა სამრეწველო საწარმოო პროცესები 18% და მესამე ადგილზეა სოფლის მეურნეობა 17%-ით.

ცხრ.1. საქართველოში სათბურის გაზების ემისიები სექტორებისა და ქვესექტორების მიხედვით

1	ენერგეტიკა (ტრანსპორტის ქვესექტორის ჩათვლით)	57
2	სამრეწველო პროცესები	18
3	გამხსნელების და სხვა პროდუქტების მოხმარება	4
4	სოფლის მეურნეობა	17
5	მიწათსარგებლობა და სატყეო მეურნეობა	3
6	ნარჩენები	1
7	სხვა	0.0001
	სულ, პროცენტულად	100

მეორე ცხრილში წარმოდგენილია საქართველოში სათბურის გაზების ემისიები ენერგეტიკის სექტორის მიხედვით [1], საიდანაც ჩანს, რომ ენერგეტიკის დარგში შემავალი ქვესექტორებიდან ლიდერობს ტრანსპორტის ქვედარგი 33%-ით, შემდეგ მოჰყვება

გადამამუშავებელი მრეწველობა და სამშენებლო მასალათა წარმოება 21%-იანი მაჩვენებლით, ხოლო მესამე ადგილს იკავებს ენერგეტიკული წარმოება 10%-ით.

ცხრ.2 საქართველოში სათბურის გაზების ემისიები ენერგეტიკის სექტორის მიხედვით

	A. საწვავის წვა	
1	ენერგოინდუსტრია (ელექტროენერგიის და სითბოს წარმოება)	10
2	გადამამუშავებელი მრეწველობა და სამშენებლო მასალათა წარმოება	21
3	ტრანსპორტი	33
4	სხვა სექტორები (სავაჭრო/საყოფაცხოვრებო/სოფლის მეურნეობა, თევზრეწვა და სატყეო მეურნეობა)	15,7
	B. აქროლადი ემისიები მყარი საწვავიდან	
1	მყარი საწვავი	1,1
2	ნავთობი და ბუნებრივი გაზი	19,2
	სულ, პროცენტულად	100

შენობებში ენერგიის მოხმარებაზე დიდ გავლენას ახდენს მოქალაქეთა ცხოვრების სტილი, კულტურა და ქცევის ნორმები. შენობებში გარდა ენერგეტიკული სარგებელისა, შეიძლება მივიღოთ ეგრეთ წოდებული „არაენერგეტიკული სარგებელი“, როგორიცაა ენერგოუსაფრთხოების ამაღლება, ჯანმრთელობა, მუშაობის პროდუქტიულობა, დამატებითი სამუშაო ადგილები. არაენერგეტიკული სარგებლის მიღწევის ბარირებია მობინადრეების და მშენებლების განსხვავებული ინტერესები, განუვითარებელი ბაზარი და ინფორმაციას ნაკლებობა. 2010/31/E დირექტივა შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ (EPBD) მიმარ-

თულია შენობების ენერგოეფექტურობის გაზრდისკენ, რაც გამოიწვევს არა მხოლოდ სათბური გაზების ემისიის შემცირებას, არამედ ბევრ ისეთ სასიკეთო შედეგს, როგორიცაა ჰაერის, წყლის და მიწის დაბინძურების შემცირება, ადამიანთა კომფორტის დონის გაზრდა, მოხმარებულ ენერგიაზე გადასახადების შემცირება და ფინანსური დანაზოგების გადიდება. დირექტივის მიხედვით უნდა შემუშავდეს შენობების ენერგოეფექტურობის მოთხოვნები და კონტროლს დაექვემდებაროს შენობების თბური მახასიათებლები, როგორიცაა დათბუნება, გათბობა, გაგრილება, ცხელი წყალმომარაგება, განათება, კლიმატური პირობები და სხვა. შენობების სექტორში ენერგიის გამოყენების შემცირებას ხელს შეუწყობს სამშენებლო ნორმების დაწესება ახალი შენობებისათვის. დადგენილი ნორმები შეეხება ყველა ახალ და იმ არსებულ შენობებს, რომლებიც კაპიტალურად რემონტდება, გამონაკლისია ამ მხრივ, ისტორიული და რელიგიური დანიშნულების ნაგებობები. ამ დირექტივის ფარგლებში დაგეგმილია ენერგოეფექტურობის სერტიფიკატების შემუშავების სისტემა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას შენობის მიერ მოხმარებული ენერგიის შესახებ და ასევე იძლევა რეკომენდაციებს ენერგიის მოხმარების შემცირების და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების მიმართულებით. საზოგადოებრივ, სამრეწველო, კომერციულ და საყოფაცხოვრებო შენობებში ელექტროენერგიის მოხმარების რაოდენობაზე მოქმედებს გათბობის (Heating Degree Days) და გაგრილების (Cooling Degree Days) ტემპერატურები [2]. შენობების შიგა კომფორტული ტემპერატურა საყოფაცხოვრებო შენობებში დამოკიდებულია მაცხოვრებელთა ინდივიდუალურ მოთხოვნაზე (მაგ. 20-24^{0}C), ხოლო საზოგადოებრივ, სამრეწველო, კომერციულ შენობებში შესაძლებელია უფრო ნაკლები ტემპერატურა, (მაგ. 18^{0}C) ჩაითვალოს კომფორტულ ტემპერატურად. „გრადუს-დღეების" მეთოდი ამყარებს კავშირს შენობის „შიგა" და „გარე" ტემპერატურებს შორის. დადგენილია ნორმები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ზამთრის და ზაფხულის კომფორტული ტემპერატურები საყოფაცხოვრებო, საზოგადოებრივი, სამრეწველო და სხვა ობიექტებისათვის.

მაგალითად, საყოფაცხოვრებო შენობებში ზამთრის კომფორტულ ტემპერატურად მიღებულია 20-22^{0}C ხოლო ზაფხულის კომფორტულ ტემპერატურად კი 23-24^{0}C. გათბობის ჩართვის ტემპერატურა 5^{0}C-ით ნაკლებია ზამთრის კომფორტულ ტემპერატურაზე, ხოლო გაგრილების ჩართვის ტემპერატურა 5^{0}C-ით მეტია ზაფხულის კომფორტულ ტემპერატურაზე. აქედან გამომდინარე, გათბობა ჩაირთვება როცა გარემოს ტემპერატურაა 20-5=15^{0}C, ხოლო გაგრილება ჩაირთვება, როცა გარემოს ტემპერატურაა 24+5=29^{0}C. საშუალოდ, ზამთრის შიგა ტემპერატურა არის 15^{0}C, ხოლო ზაფხულის საშუალო შიგა ტემპერატურაა 29^{0}C. „გარე" საშუალო თვიური ტემპერატურა შესაძლებელია განისაზღვროს აეროპორტების სინოპტიკური ცენტრების მონაცემებით.

გრადუს-დღეების გაიანგარიშება რამდენიმე საფეხურად:

1. განისაზღვრება საანგარიშო წლის თითოეულ თვეში „შიგა'' კომფორტული ტემპერატურა, ^{0}C;

2. განისაზღვრება საანგარიშო წლის თითოეულ თვეში „გარე'' კომფორტული ტემპერატურა, ^{0}C;

3. განისაზღვრება გათბობა-გაგრილების ჩართვის ტემპერატურა, ^{0}C;

4. გაიანგარიშება სხვაობა გათბობა-გაგრილების ჩართვის და გარემოს ტემპერატურებს შორის;

5. აღნიშნული სხვაობა გამრავლდება საანგარიშო წლის თითოეულ თვეში დღეების რაოდენობაზე. გამარტივებისთვის შესაძლებელია კომპიუტერული პროგრამის www.degreedays.net გამოყენება, რომელიც აეროპორტის მითითების შემთხვევაში ავტომატურად გამოთვლის გრადუს-დღეებს. ჩვენს მაგალითში მითითებულია ნოვო ალექსეევკას თბილისი აეროპორტის სინოპტიკური ცენტრი.

მესამე ცხრილში წარმოდგენილია 2018 წლის თვეების მიხედვით გათბობის და გაგრილების გრადუს-დღეები, გაანგარიშებული კომპიუტერული პროგრამის მიერ, საბაზისო ტემპერატურად აღებულია 15 ^{0}C (იხ. ცხრილი №3).



ნახ.3. კომპიუტერული პროგრამის www.degreedays.net გამოყენება

ცხრ. 3

თვე	„შიგა" კომფ. ტემპ ^{0}C	გათბ. -გაგრ. ჩარ. ტემ ^{0}C	დღ. რაოდ. თვეში	გათბობის გრადუს-დღეები	გაგრილების გრადუს-დღეები
იანვარი	20	15	31	351,0	0,0
თებერვალი	20	15	28	263,0	0,0
მარტი	20	15	31	175,0	7,0
აპრილი	20	15	30	88,0	33,0
მაისი	20	15	31	6,0	166,0
ივნისი	24	29	30	1,0	247,0
ივლისი	24	29	31	0,0	377,0
აგვისტო	24	29	31	0,0	294,0
სექტემბერი	20	15	30	0,0	194,0
ოქტომბერი	20	15	31	41,0	61,0
ნოემბერი	20	15	30	201,0	1,0
დეკემბერი	20	15	31	305,0	0,0

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

ენერგეტიკის სექტორში შემავალი ქვესექტორებიდან გარემოსა და კლიმატის ცვლილებაზე გავლენის შემცირების გზებია: „მწვანე ენერგეტიკის“ განვითარება ანუ ელექტროენერგიის გამომუშავება განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებით, ენერგოეფექტიანობა ანუ გამოყენებული ენერგიის დაზოგვა საყოფაცხოვრებო და სამრეწველო სექტორებში, ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვა გადამამუშავებელ მრეწველობასა და საშენ მასალათა წარმოებაში, სამრეწველო ობიექტებში ძველი მოწყობილობების შეცვლა ან განახლება, ძველ საზოგადოებრივ და კომერციული დანიშნულების შენობებში ენერგოეფექტური ღონისძიებების გატარება; შენობების ენერგოეფექტიანობა ანუ ახალი შენობებისთვის სამშენებლო ნორმების შემოღება და გათბობა-გაგრილების „ჭკვიანი“ სისტემების შექმნა; ტრანსპორტის ეფექტიანობა, ანუ საწვავის სტანდარტის შემოღება ან გამკაცრება; ყველა სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური შემოწმება და განახლება; საბოლოოდ, ყველა ეს ღონისძიება გამოიწვევს ნახშირორჟანგის ემისიის შემცირებას, შედეგად კლიმატის ცვლილების და გარემოზე ზემოქმედების შერბილებას.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. საქართველოს პირველი ორწლიური განახლებული ანგარიში კლიმატის ცვლილების შესახებ. თბილისი: საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტრო. 2016წ, www.moe.ge;

2. გ.არაბიძე, მ.გუდიაშვილი, თ.ჯიშკარიანი. ენერგეტიკა და კლიმატის ცვლილება (სახელმძღვანელო). თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015წ. -189გვ;

3. გ.არაბიძე, მ.არაბიძე, მ.გუდიაშვილი, თ.ჯიშკარიანი. სუფთა განვითარების მექანიზმის (სგმ) პროექტები (სახელმძღვანელო). თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015წ. -113 გვ;

4. გ.არაბიძე, მ.გუდიაშვილი, თ.ჯიშკარიანი. ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალი (სახელმძღვანელო). თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015წ. -253 გვ;

REFERENCES:

1. The First „Two-Year Renewed Report on Climate Change in Georgia“. Tbilisi: Ministry of Agriculture and Environment of Georgia. 2016. www.moe.ge;

2. 2. G.Aarbidze, M. Gudiashvili, T. Jishkariani. Energy and Climate Change (Guidebook). Tbilisi: Publishing House , “Technical University”, 2015. -189 p.;

3. G. Aarbidze, M. Arabidze, M. Gudiashvili, T. Jishkariani. Clean Development Mechanism (CDM) Projects (Guidebook). Tbilisi: Publishing House „Technical University”, 2015. -113 p.;

4. G. Aarbidze, M.Gudiashvili, T.Jishkariani. International Law on Energy and Environment (Guidebook). Tbilisi: Publishing House „Technical University”, 2015. -253 p.

THE CLIMATE CHANGE REDUCTION MEASURES-BUILDING ENERGY EFFICIENCY

Alexandre Gagua
Doctorate Student of GTU

RESUME

Georgia has been committed to carrying out measures together with the international community, which will facilitate reduction of CO_2 emissions, climate change and environmental impacts. The ways of reducing impact on climate change from Energy sector are: development of `green energy~, energy savings in household, commercial and industrial sectors, introduction of energy efficient technologies, upgrading old equipment, establishing of construction norms for new buildings and implementing heating-cooling “smart” systems. The method of `Degree - Days” is widely used to calculate the energy efficiency of the buildings, which establishes the connection between the `internal” and `external” temperatures of the building. In this paper it is reviewed the use of both traditional and the computer calculation algorithm.

Key words: climate change, energy efficiency, degree-day.

საქართველოს ტურიზმის შრომის ბაზრის პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობები დასაქმების თანამედროვე ფაქტორის - „ტურიზმის ტალანტის“ დანერგვის საშუალებით

მარინა მეტრეველი
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ პროფესორი
ირაკლი თავბერიძე,
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში ტურიზმის დარგი წარმოდგენილია, როგორც შრომის ბაზრის განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი ძირითადი სექტორი. დღევანდელ ბიზნესგარემოში, როგორც სხვა სექტორების, ასევე ტურიზმის დასაქმების ბაზარიც ითხოვს განსაკუთრებულ უნარებს, რომლით უზრუნველყოფა ევალება განათლების სხვადასხვა დონის ორგანიზაციებს. აღსანიშნავია, ეკონომიკის სხვა სექტორებისაგან განსხვავებით, სწორედ ტურიზმში ადამიანური რესურსი ქმნის მაღალი ხარისხის მომსახურებასა და პროდუქტს, რომელსაც უპირველესი როლი აკისრია დარგის კონკურენტუნარიანობისა და ზოგადად, ეკონომიკური ზრდის მიმართულებით. ნაჩვენებია “ტურიზმის ტალანტის” როგორც **დასაქმების თანამედროვე ფაქტორის** მნიშვნელოვანი როლი ტურიზმის შრომის ბაზრის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისბალანსის აღმოფხვრის მიმართულებით.

კვლევის მიზანია საქართველოს ტურიზმის შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის გამომწვევი მიზეზებისა და პრობლემების კვლევა და ანალიზი. კვლევის ამოცანებია: ტურიზმის ინტერესის კვლევა ე.წ. “ტურიზმის ტალანტის” სხვა დარგებიდან ტურიზმში მიზიდვის და დამკვიდრების ღონისძიებებთან დაკავშირებით; ტურიზმის ინდუსტრიის, განათლებისა და მთავრობის კოოპერირების მოდელის შედგენა „ტურიზმის ტალანტების“ მიზიდვის მიმართულებით;

საკვანძო სიტყვები: ტურიზმის ტალანტი, პროფესიული განათლება, ადამიანური რესურსები, შრომის ბაზრის მოთხოვნა-მიწოდება, ტურიზმის ინდუსტრიის დამსაქმებლები.

შესავალი

უმუშევრობა და სიღარიბის დაძლება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევასა და პრიორიტეტს წარმოადგენს. ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორის, რომლებიც დაკავშირებულია მოგზაურობასა და ტურიზმთან, განვითარების ხელშეწყობის ძირითადი მიზანია შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები და ტურისტთა დანახარჯებით გაიზარდოს საბიუჯეტო შემოსავლები. როგორც ცნობილია ტურისტული პროდუქტის წარმოება ხდება მცირე და საშუალო საწარმოების მიერ. სწორედ ამ საწარმოების რენტაბელობისა და მათგან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის განვითარებისათვის. აღნიშნული კი უკავშირდება ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას ტურიზმის სექტორში დასაქმების მიმართულებით.

ძირითადი ტექსტი

ბიზნესლექსიკონის მიხედვით „ტალანტი“ განიმარტება, როგორც: 1. ადამიანის ბუნებრივი შესაძლებლობა იყოს წარმატებული საქმიანობაში; 2. ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ განსაზღვრული ამოცანების გადაწყვეტის განსაკუთრებული უნარები. [1]

ტალანტების მართვა (ანუ ე.წ. „ნიჭიერი მენეჯმენტი“) მენეჯერს აკისრებს განსაკუთრებულ როლს სასურველი პერსონალის მიზიდვის, განვითარებისა და შენარჩუნების მიმართულებით. შესაბამისად, რაც მეტი იქნება კომპანიაში ასეთი პერსონალი, მით მეტი შანსი აქვს კომპანიას იყოს კონკურენტუნარიანი და წარმატებული.

დღევანდელ ბიზნესგარემოში, როგორც სხვა სექტორების, ასევე ტურიზმის დასაქმების ბაზარიც ითხოვს განსაკუთრებულ უნარებს, ე.წ. „ტურიზმის ტალანტს“, რომლებიც არც თუ ადვილი

მოსაძებნია შრომის ბაზარზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, 2015 წელს, მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭომ (WTTC) 46 ქვეყანაში ჩაატარა კვლევა - Global Talent Trends for Travel&Tourism Sector, რომელშიც პირველად იქნა გამოკვეთილი „ტურისტული ნიჭის - ე.წ. ტალანტის“ რესურსის დეფიციტი და მისი გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე. აღნიშნულ ქვეყნებზე მოდის ტურიზმში დასაქმების 81% და მსოფლიოს მთლიანი დასაქმების 88%. კვლევაში აღნიშნულია, რომ თუ პრობლემას ქვეყნების მთავრობების მიერ დღესვე არ მიექცა ყურადღება, მომავალი 5-იდან 10 წლის განმავლობაში ტურიზმის სექტორში იგი გამოიწვევს ადამიანური რესურსების დეფიციტის მნიშვნელოვან ზრდას. 2024 წლის პროგნოზით, ადამიანური რესურსები, ე.წ. „ტალანტების“ დეფიციტით მიღებული ზემოქმედებით გლობალურ ეკონომიკას დააკლდება: პირდაპირი ინდუსტრიიდან 5,5 სამუშაო ადგილი და მშპ-ში 270 მლრდ აშშ დოლარი (2013 წლის გაცვლითი კურსით) ანუ გლობალურ მოგზაურობასა და ტურიზმში დასაქმებულთა ზრდა შემცირდება 4,4%-ით, ხოლო ტურიზმის წილი მშპ-ში 8,0%-ით. 2024 წლამდე ტურიზმში დასაქმების ყოველწლიური ზრდა შემცირდება 2,0%-იდან 1,6%-მდე, ხოლო მშპ - 4,2%-იდან 3,3%-მდე (იხ. ცხრილი). შესაბამისად, 2024 წლისთვის მთლიანი ინდუსტრიიდან დააკლდება 14,1 მლნ სამუშაო ადგილი და მშპ-ში დაახლოებით 607 მლრდ აშშ დოლარი (2013 წლის გაცვლითი კურსით). ასეთია მსოფლიოში იმ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნა, რომელიც აერთიანებს ქვეყნების მთავრობებსა და ბიზნესს და ხელს უწყობს ტურიზმისა და მოგზაურობის მდგრად განვითარებას მსოფლიოში. [2]

არაოპტიმისტური დასკვნები, მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს აძლევს იმედს, რომ აღნიშნული პრობლემისა და გამოწვევის დროული ანალიზი და მათი გათვალისწინება ქვეყნებს მისცემს საშუალებას მიმართონ იმ ღონისძიებებს, რომელიც შექმნის სასურველ გარემოს ტურიზმში მეტი პროფესიონალის ე.წ. „ტალანტის“ მიზიდვის ან მათი დარგში დამკვიდრების მიმართულებით.

ცხრილი. ადამიანური რესურსების (ტალანტის) დეფიციტის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე

	რაოდ	**პირდაპირი**	**მთლიანი**
მოგზაურობასა და ტურიზმში დასაქმებულთა რაოდენობა	მლნ	-5,5	-14,1
	%	-4,4%	-4,0
ტურიზმის წილი მშპ-ში	მლრდ, 2013 წლის გაცვლითი კურსით	270	607
	%	-8,0%	5,5%

წყარო: Global Talent Trends for Travel&Tourism Sector, WTTC, 2015, p.48 https://www.wttc.org/-/media/382bb1e90c374262bc951226a6618201.ashx

„ტალანტი“ ანუ განსაზღვრული უნარები მქონე ადამიანური რესურსი ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობის ზრდას და ზოგადად, წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების ძირითად ფაქტორს. აღსანიშნავია, რომ ტურიზმის განვითარებაში, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების მთავრობები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ ინფრასტრუქტურის განვითარებას და ნაკლებ თანხებს ხარჯავენ ამ ინფრასტრუქტურის მომსახურებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების განვითარებისათვის. ეკონომიკის სხვა სექტორებისაგან განსხვავებით, სწორედ ტურიზმში ადამიანური რესურსი ქმნის მაღალი ხარისხის მომსახურებასა და პროდუქტს, რომელსაც უპირველესი როლი აკისრია დარგის კონკურენტუნარიანობისა და ზოგადად, ეკონომიკური ზრდის მიმართულებით.

კიდევ ერთხელ ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ტურიზმის დარგს შეუძლია ხელი შეუწყოს სხვა სექტორების განვითარებას, უპირველესად ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიმარ-

თულებით, განსაკუთრებით ისეთი მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორებსაც წარმოადგენს ახალგაზრდები და ქალები. ასევე, აღსანიშნავია, რომ ტურისტულ მომსახურებაში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება ტურისტულ შთაბეჭდილებას. სწორედ ტურისტული შთაბეჭდილებაა ის პროდუქტი, რომლის ხარისხი პირდაპირ კავშირშია ტურიზმში დასაქმებულთა პროფესიული განათლების დონესა და მათ პრფესიულ უნარებზე. შესაბამისად, საჭიროა მთავრობების მიერ ტურიზმის დარგის განვითარების სწორი პოლიტიკის დაგეგმვა და იმპლიმენტაცია - მთავრობებისა და კერძო სექტორის კოორდინირებულ მუშაობა დასაქმებისა და განათლების პოლიტიკის თანხვედრისათვის.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ რა ადგილი უჭირავს ზემოაღნიშნულ საკითხს საქართველოს ტურიზმის განვითარების პოლიტიკაში, განვიხილოთ „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“, განსკუთრებით, დოკუმენტის სტრატეგიული ამოცანების ნაწილი: „დაინტერესებულ პირებთან აქტიური კონსულტაციების შედეგად ჩამოყალიბდა 50 პრიორიტეტული აქტივობა, რომლებიც დაჯგუფდა 8 სტრატეგიულ ამოცანად, რომელიდანაც გამოვყოთ ტურიზმის განათლების განვითარებასთან დაკავშირებული ამოცანა „4.3. ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სფეროსთან დაკავშირებული ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამების შემუშავება/გაუმჯობესება“.[3] სამწუხაროდ წარმოდგენილი ჩანაწერი ზოგადი სახისაა და მისი განხორციელება ტურიზმში „ტალანტების“ მიზიდვას ან მათთვის შესაბამისი უნარების მიცემას არ გულისხმობს.

ცნობილია, რომ ქვეყნის ტურიზმის განვითარების დღეს არსებული პოლიტიკიდან გამომდინარე მთავრობა უმეტეს ყურადღებას ამახვილებს და საბიუჯეტო ასიგნებების ლომის წილს ხარჯავს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მარკეტინგულ ღონისძიებებზე (რაც თავისთავად საჭირო და მისასალმებელია). ზოგადი სურათის წარმოდგენისათვის, აღნიშნული მიმართულებით, საკმარისია წარმოვადგინოთ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს 2016 წლის ანგარიშიდან მხოლოდ 1

წლის აქტივობები: 1. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება; 2. ახალი ტურისტული პროდუქტი და მიმართულებები; 3. მარკეტინგული კვლევა და საერთაშორისო ბაზარზე გატანა. სამწუხაროდ ანგარიში არ გულისხმობდა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებულ აქტივობებს.

ნამდვილად საჭირო და მისასალმებელია ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარება, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ტურისტული ინფრასტრუქტურაში, ახალ პროდუქტსა და მარკეტინგულ ღონისძიებებში ჩადებული მილიონობით თანხები არ არის საკმარისი ტურიზმის სტატეგია-2025-ით გათვალისწინებული ეწ. „მაღალმხარჯველუნარიანი ტურისტები“ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. საქართველოში ტურისტული მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით, ასევე აუცილებელია საქართველოს მასშტაბით განხორციელდეს ინტენსიური ტრენინგები ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისთვის, რაც მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკის სრულყოფას, მიზნობრიობასა და გააქტიურებას საჭიროებს. დღემდე ორგანიზებული ტრეინინგების სისუსტისა და არამიზნობრიობის მაგალითად მოვიყვანოთ წლებში ტურიზმის ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული გადამზადების კურსები, რომელიც 2017 წელს გაიარა ტურიზმის ინდუსტრიის 1,270-მა წარმომადგენელმა საქართველოს მასშტაბით. კურსები მოიცავდა შემდეგ თემებს:

- საგადასახადო კოდექსი და ფინანსური ანგარიშგება;
- სასტუმროს საქმე და მომსახურების უნარ-ჩვევები;
- საოჯახო სასტუმროს მართვა, მარკეტინგი და გაყიდვების ხელშეწყობა;
- ღვინო, როგორც ტურისტული პროდუქტი;
- საბაზისო ინგლისური ენის კურსები;
- სამთო გამყოლის კურსები;
- პირველადი სამედიცინო დახმარება;
- ტურიზმის განვითარების ტენდენციები და განთავსების საშუალებების მართვის საფუძვლები;
- სამთო-საფეხმავლო მარშრუტებზე ადგილობრივი გამყოლების მომზადების კურსი. [4]

როგორც წესი, ზემოაღნიშნული კურსები და ტრეინინგები არა მხოლოდ არასაკმარისი რაოდენობისაა, არამედ, ზოგადი და მოკლევადიანია, არ არის გამიზნული კონკრეტულ პროფესიებზე (გარდა სამთო გიდის) და ნათელია, რომ არ არის შედგენილი დამსაქმებელთა მოთხოვნების მიხედვით, შესაბამისად, არარელევანტურია და სრულად ვერ უზრუნველყოფენ მსმენელთა მიერ იმ უნარების შეძენას, რომელსაც დასაქმების ბაზარი ითხოვს. აღსანიშნავია, რომ ჩატარებული კურსები და ტრეინინგები თავისი შედეგებით, რბილად რომ ვთქვათ, ვერ პასუხობენ ტურიზმის შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს, მაგრამ იხარჯება დიდი თანხები.

სამწუხაროდ, გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტსაც, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმებითაც კი არ იყო გათვალისწინებული ტურიზმის პროფესიებისა და სპეციალობების განვითარებისა და ხელშეწყობის ღონისძიებების ვალდებულება, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ევროპული განათლების სტანდარტებზე გადადის. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ტურიზმის დარგის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს (ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას) მისთვის „საქართველოს კანონით „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ მუხლი 5-ით დაკისრებული ვალდებულების შესრულება: „ტურიზმისა და კურორტების დარგის მართვის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო - ხელს უწყობს არსებული სამეცნიერო-პრაქტიკული პოტენციალის გამოყენებასა და განვითარებას; ასევე, უზრუნველყოფს ტურიზმისა და კურორტების დარგში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელებას, თავისი სპეციალისტების პროფესიულ ზრდასა და სრულყოფას“. [5]

კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ მსოფლიო მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს ექსპერტთა აზრით, „შრომის უნარების კომპონენტს გადამწყვეტი მნიშვნელობის აქვს ტურიზმის პროდუქტისა და მომსახურების მიწოდების ჯაჭვში“.

აშკარაა საქართველოს მთავრობის მიერ დასაქმების პოლიტიკის არასრულყოფილი განხორციელება წარმოშობს შრომითი რესურსების დეფიციტს, რომელიც თავის მხრივ განაპირობებს

მოკლევადიან პერსპექტივაში დასაქმებისა და გრძელვადიან პერსპექტივაში ინვესტიციების მოცულობის ზრდის შენელებას და, შესაძლებელია, დონის დაცემასაც კი. პროფესიონალთა რაოდენობასთან და ხარისხთან დაკავშირებული ერთობლივი პრობლემები და ადამიანური რესურსის დეფიციტი ტურიზმში გავლენას მოახდენს და უკვე ახდენს დარგის რენტაბელობაზე, კონკურენტუნარიანობაზე, განსაკუთრებით მეზობელი ქვეყნების ტურისტულ ბაზარზე.

იმის გამო, რომ ტურიზმი თავის ხასიათით სტრუქტურულია და წარმოადგენს დარგთაშორის კომპლექსს, დარგში სამუშაო ადგილების მრავალფეროვნების დასახასიათებლად წარმოვადგენთ დიაპაზონს, რომელშიც ტურისტული მომსახურების სექტორები ვარირებენ - იგი იწყება ტურისტული კომპანიებიდან, სასტუმროებიდან და მთავრდება ავიატრანსპორტით. ტურიზმის სატელიტურ ანგარიშებზე (TSA-ზე) დაყრდნობით, ტურიზმის ინდუსტრიის სექტორებს წარმოადგენს: განთავსების მომსახურება, სურსათითა და სასმელების მომსახურება, სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურება, სატრანსპორტო საშუალებების გაქირავების მომსახურება, ტურისტული სააგენტოები და დაჯავშნის სხვა მომსახურება, კულტურული ღონისძიებების მომსახურება, სპორტული და დასვენების მომსახურება, გამოფენებისა და კონფერენციების მომსახურება, სხვა ტურისტული მოხმარების პროდუქტების მომსახურება - რომლებიც ტურისტებს საქონელსა და მომსახურებას სთავაზობს: საკვები და სასმელი, ტანსაცმელი, უბაჟო პროდუქტების, ბარგის, კამერების და ტუალეტის სხვა მომსახურება; აგრეთვე, საცალო ვაჭრობა, საფინანსო სექტორის საქმიანობა, როგორიცაა სავალუტო მომსახურება და სამოგზაურო დაზღვევა; და სატელეკომუნიკაციო მომსახურების პროვაიდერები, როგორიცაა სატელეფონო ზარები და ინტერნეტი და ა.შ. [6]

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ მრავალფეროვანია ტურიზმში პირდაპირ დასაქმებულ ადამიანთა პროფესიები და შესაბამისად, მათთვის საჭირო უნარები - დაწყებული დამლაგებლების და ოფიციანტების დამთავრებული ავიალაინერების პილოტების პროფესიულ უნარებამდე.

სწორედ ამიტომ, ტურიზმის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის მიზნობრიობა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია იმ საგანმანათლებლო რეფორმებთან, რომელსაც ბოლო რამდენიმე წელია ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. იმისათვის რომ ნათელი იყოს აღნიშნული რეფორმების უუნარობა და სისუსტე საქართველოს საგანმანათლებლო სისტემასა და ტურიზმში მაღალკვალიფიციური კადრების სიმწირესთან დაკავშირებით, მოკლედ განვიხილოთ და გავაანალიზოთ პროფესიულ განათლებაში ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმები და მათი შედეგები.

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სრატეგია 2017-2021“-ის მიხედვით, 2013 წლის დეკემბერში დამტკიცდა განათლების რეფორმის სტრატეგია და დაიწყო პროფესიულ განათლებაში სისტემური გარდაქმნა, რომელიც მიცავდა პროფესიულ განათლებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის უზრუნვეყოფას, დამსაქმებელთა ჩართულობით ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და ინოვაციური სწავლების ხელშეწყობას. უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმა ინტენსიურად მიმდინარეობდა - გადამზადდა ექსპერტები და ტრენერები, დამსაქმებელთა ჩართულობით დაიგეგმა და განხორციელდა ახალი მოდულები და სასწავლო პროგრამები დაიწყო მათი საპილოტე პროექტების სახით განხორციელება. აღნიშნულ რეფორმას სრულყოფილ განხორციელებამდე მოუსწო ახალმა გადაწყვეტილებამ, რომელიც გულისხმობს პროფესიულსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის გაწყვეტილი „ჯაჭვის“ შევსების იდეას. მიღებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საგანმანათლებლო სისტემა, განსაკუთრებით პროფესიული სასწავლებლები ჯერ კიდევ წინა რეფორმის ეტაპზე იმყოფებოდნენ და არ იყვნენ მზად აღნიშნული რეფორმისთვის. ასევე, სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოდან ამოღებულ იქნა ტურიზმის შრომის ბაზარზე ისეთი მოთხოვნადი პროფესიების სწავლება კოლეჯებში, როგორებიცაა ტუროპერატორი და გიდი. პროფესიულ სწავლებაში დარჩა მხოლოდ: სასტუმროს მომსახურება, სარესტორნო

მომსახურება, კულინარიის ხელოვნება და კონდიტერია. აღნიშნული ცვლილება განხორციელდა 2018 წელს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შემუშავების შემდეგ, რომელიც ეყრდნობა იუნესკოს დოკუმენტებს: „განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია“ (ISCED-F-2013) და „განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 - დეტალური სფეროების აღწერა“ (ISCED-FoET-2013).

თუ კი გავითვალისწინებთ ახალი რეფორმების უმნიშვნელოვანეს მღწევას, რაც პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლების დამაკავშირებელი „ჯაჭვის“ აღდგენას გუისხმობდა, მაშინ გაუგებარია პროფესიულ განათლებაში არსებული შეფასების სისტემა, რომელიც არ არის თანხვედრაში უმაღლეს სასწავლებლებთან, რომლებშიც შეფასება ხდება კრედიტებით, ხოლო პროფესიულში განათლება დასტურდება მხოლოდ გაიარა თუ ვერ გაიარა სტუდენტმა აღნიშნული კურსი. შესაბამისად, სირთულეს წარმოადგენს და შეუძლებელს ხდის, პროფესიულიდან უმაღლესში გადასვლის შემთხვევაში, სტუდენტის ცოდნის დონე და აღიარება. ამ და სხვა, ჯერ კიდევ არსებული, გაუგებრობების გამო პროფესიულ სასწავლებლებისა და ხშირ შემთხვევაში ტურიზმში უმაღლესი სკოლების კურსდამთავრებულები ეძებენ სამსახურებს მომსახურების სხვა სფეროებში და დარგი კარგავს ადამიანურ რესურსს, იმის მაგივრად, რომ სხვა სფეროებიდან „გადმოიბიროს“ უკვე განათლება მიღებული ახალგაზრდები და მისცეს მათ საშუალება ახალი პროფესიული უნარების შეძენის შემდეგ ჩაერთოს ტურიზმის სექტორში. ასეთი კადრების ტურიზმში „გადმობირების“ აქტუალობა შეიძლება ისტორიული ექსკურსითაც დავადასტუროთ. კერძოდ, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების გამო, სხვადასხვა სექტორები განიცდიან პერიოდულად ზარალს და დაცემას. შესაბამისად, ადამიანური კაპიტალი გადაინაცვლებს ხოლმე სხვა სექტორებში მათი განვითარების პერსპექტივების, მაღალი ანაზღაურებისა და სხვა მიზეზთა გამო.

მაგალითად, 1990-იანი წლებიდან ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგმა მიიზიდა ადამიანური კაპიტალი სწრაფად ზრდისა და მაღალი ანაზღაურების გამო. ამავე დროს 2000 წელს დარგმა

დაცემა განიცადა. იმისდა მიუხედავად, რომ მალევე დაიწყო აღდგენა, მაინც დაკარგა მრავალი უკვე მაღალი დონის უნარების მქონე სპეციალისტები სხვა სექტორებში გადასვლის გამო. აღდგენის პროცესი დაბალი ტემპებით მიმდინარეობდა, რადგან საჭირო გახდა ახალი სპეციალისტებისა და „ტალანტების“ აღზრდა და მიზიდვა.

ტურიზმის ინტერესს წარმოადგენს მაღალი დონის შრომითი უნარების მქონე „ტალანტთა“ ე.წ. „გადმობირება“. მაგალითად, დარგში სხვადასხვა მიმართულებით მნიშვნელოვანია: ისტორიკოსების, გეოგრაფების, ხელოვნებათმოცოდნეების, კულტუროლოგების, ჟურნალისტების, კომპიუტერული ტექნოლოგიის სპეციალისტების, ეკონომისტებისა და ა.შ. მიზიდვა. დარგის პოპულარობიდან და სწრაფი ზრდიდან გამომდინარე, დროული და მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების სხვადასხვა მიმართულებებსა და ფაკულტეტებზე სასწავლო არჩევით კურსად შევიდეს ტურიზმის გაცნობითი კურსი - საფუძვლები. ასევე, მოკლევადიან კურსებსა და ტრეინინგებზე შესაძლებელია მომიჯნავე დარგების სპეციალისტთა გადამზადება, რომელთაც თავისი ძირითადი განათლებითა და უნარებით შეუძლიათ ტურიზმში ნაყოფიერი მუშაობა. აღნიშნული გადამზადების ინტენსიური კურსების დაარსება მთავრობის პრიორიტეტი უნდა გახდეს. კურსები უნდა შეიქმნას თვითმართველობებთან რეგიონის თავისებურებებისა და ტურიზმის პრიორიტეტული მიმართულებებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებით.

დარგში ე.წ. „ტალანტების“ მიზიდვისა და დამკვიდრებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია განვიხილოთ ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაცია, რომელიც წარმოდგენილია ჰაგის დეკლარაციით ტურიზმის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა, 1989 წელს ტურიზმის საპარლამენტთაშორისო კონფერენციაზე. დეკლარაციის პრინციპი IX-ის მიხედვით, „ტურიზმის, როგორც პიროვნებათაშორისი საქმიანობის ხარისხი, დამოკიდებულია გაწეული მომსახურების ხარისხზე. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია შესაბამისი განათლების მიცემა ფართო საზოგადოებისათვის სკოლის ასაკიდანვე, ტურიზმის სფეროში მომუშავე

პროფესიონალების განათლება და სწავლება, ამ პროფესიის ახალი კადრების მომზადება ტურისტული ინდუსტრიისა და ტურიზმის განვითარებისათვის.“[7]

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ტურიზმის ინდუსტრიის, განათლების სისტემისა და მთავრობის (აღმასრულებელი ხელისუფლებისა და თვითმართველობების) ერთობლივი ღონისძიებები შეიძლება შემდეგი სახით ჩამოვაყალიბთ:

ა) მოგზაურობისა და ტურიზმის კადრებისთვის მომზადდეს ადამიანური რესურსი, სკოლებისა და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში ტურიზმის ჩართვით;

ბ) ამაღლდეს ტურისტული პროფესიების პრესტიჟი და, უპირველესად, ხელი შეეწყოს ახალგაზრდობას იმოღვაწეოს ტურიზმის სფეროში;

გ) შეიქმნას სასწავლებლების ქსელი, სადაც განხორციელდება არა მარტო ტურიზმის პროფესიული სწავლება, არამედ განათლების მიღებაც საერთაშორისო დონის სტანდარტიზებული სასწავლო გეგმის შესაბამისად, რაც თავის მხრივ გაადვილებს დიპლომების აღიარებას და ტურისტული პერსონალის გაცვლას ევროპულ სივრცეში;

დ) გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკოს) რეკომენდაციების შესაბამისად, ხელი შეეწყოს, ტურისტული სფეროს ნებისმიერი დონის პესონალისათვის უწყვეტი სწავლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების პედაგოგებისა და ტრენერების მომზადებას;

დ) მომზადდეს მასწავლებლები ტურიზმის დარგში, განხორციელდეს განათლების უწყვეტი პროცესი, ხელი შეეწყოს მთელი ტურისტული პერსონალის ან მასწავლებლების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ნებისმიერი დონის კურსების ჩატარებას.

ტურიზმის ინდუსტრიის, განათლებისა და მთავრობის პოლიტიკის სტრატეგიულ თანხვედრას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სექტორში ე.წ. „ტალანტების“, განსხვავებული უნარების მქონე კადრების მიზიდვის საქმეში. სასწავლო პროგრამების დაგეგვისა და იმპლიმენტაციის პროცესში მთავრობის, ტურიზმის ინდუს-

ტრიის, საგანმანათლებლო ინსტიტუციებისა და დარგის სხვა მონაწილეების კოორირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტურიზმის კადრების (ტალანტების) აღზრდისა და მიზიდვის საქმეში, აღნიშნულ კოოპერირებასთან დაკავშირებთ, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა მოდელი, რომელიც წარმოდგენილია სურათზე.

სურათი. ტურიზმის ინდუსტრიის, განათლებისა და მთავრობის კოოპერირების მოდელი „ტურიზმის ტალანტების“ მიზიდვის მიმართულებით



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, 2018

მოდელში მთავრობას წარმოადგენს თვითმართველობები და ყველა ის ორგანიზაცია და უწყება, რომელის კომპეტენციას განეკუთვნება ტურიზმში დასაქმებისა და განათლების განვითარების პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და სხვ.);

ზოგადად, ამ მიართულებით მთავრობა შეიმუშავებს სამუშაო ძალის საჭიროების დაგეგმვის პერსპექტიული გეგმას და

ახორციელებს „ტურიზმის ტალანტების“ კვლევას, მათ შორის საჭირო ინვესტიციების მიზიდვისა და პრობლემის გადაწყვეტის მიმართულებით; შეიმუშავებს „ტურიზმის ტალანტების“ მიზიდვის სტრატეგიას განათლების ყველა დონეზე, მათ შორის მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების ფარგლებშიც; რეგულარული კავშირი აქვს ტურიზმის ინდუსტრიასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან; ნერგავს მხარდამჭერ საიმიგრაცო პოლიტიკას, რომელიც დაკავშირებულია ტალანტების ნაკლებობის მქონე ინდუსტრიებსა და პროფესიებში „ტურიზმის ტალანტების“ დეფიციტის აღმოფხვრასთან.

ტურიზმის ინდუსტრიის დამსაქმებლებს - ტურიზთან პირდაპირ და არაპირდაპირ დაკავშირებული დარგების ორგანიზაციები და საწარმოები (ტურისტული კომპანიები, სასტუმროების, ვებისა და სატრანსპორტო კომპანიების და სხვ.); ისინი ძირითად ნაკადებად და პრიორიტეტებად ჰყოფს ტალანტების მართვას, როგორც მთავარი კორპორატიული ამოცანას, რომელსაც თავისი ადგილი უჭირავს ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიაში; ტალანტების რესურსის კვლევას ახდენს ტურიზმის სექტორის გარეთ; პარტნიორული ურთიერთობას აყალიბებს, სამუშაო დროის გაყოფის შეთავაზების გზით, ტურიზმის ბიზნესის ან სხვა სექტორების მუშაკთათვის; სხვადასხვა მუშახელისთვის ახდენს სამუშაო ვარიანტების შეთავაზებას (მაგ., ქალებისთვის, ხანდაზმულთათვის და ა.შ.); მომავალი ტალანტებისთვის ახდენს კონკრეტული კარიერული მითითებების მიწოდების უზრუნველყოფას ეფექტური ინფორმაციისა და კომუნიკაციის გზით; ახალგაზრდებისათვის ტურიზმში ახდენს ეფექტური წინსვლის ვარიანტის, როგორც კონკრეტული კარიერული გზების შეთავაზებას; ახდენს მეტი სტაჟირების შეთავაზებას; ქმნის კორპორატიული შენატანს ტურიზმის განათლებაში, ტრეინინგებსა და სწავლებაში.

სხვა მონაწილეებს - დარგობრივ NGO-ებს - საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობენ ტურიზმში დასაქმებისა და საგანმანათლებლო პროექტებში; საგანმანათლებლო ინსტიტუციებს - საშუალო

სკოლები, პროფესიული და უმაღლესი სკოლები, გადამზადებისა და ტრეინინგების სკოლები და ა.შ., რომლებიც უზრუნველყოფს ტურიზმის პროფესიულ სწავლებას, ტრეინინგებასა და სასწავლო პროგრამებს საკმარისი რაოდენობითა და ხარისხით; ამზადებს საკმარისი რაოდენობის პედაგოგებს ტურიზმის მიმართულებით, მათზე შეზღუდვის გარეშე; შეიმუშავებს ტურიზმის თანამედროვე კურსების სასწავლო გეგმას და ახდენს კვალიფიკაციების სტანდარტიზირებას/სერტიფიცირებას; მომავალი დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით, ინდუსტრიასთან და მთავრობასთან ერთად ჩართულია სწორი უნარების შესწავლის ხელშეწყობაში;

„ტურიზმის ტალანატს“-სხვადასხვა პროფესიის ადამიანები და საგანმანათლებლო ინსტიტუტების მსმენელები, სამუშაოს მაძიებლები. მათი მჭიდრო კავშირი და კოოპერირება, როგორც უმაღლესი, ასევე პროფესიული კოლეჯებისა და ტრეინინგ ცენტრების დონეზე სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით შესაძლებელს გახდის შრომის ბაზარს მიეწოდოს მაღლკვალიფიციური კადრები და გადაიჭრას, როგორც შრომის ბაზარზე არსებული პრობლემები, ასევე ხელი შეეწყოს დასაქმებისა და შესაბამისად, ქვეყანში სიღარიბის აღმოფხვრის არსებულ გამოწვევის დაძლევას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტურიზმის დასაქმების ბაზრის განვითარებისათვის ე.წ. „ტალანტების“ არა მხოლოდ მიზიდვის, არამედ სექტორში დამკვიდრების მიმართულებით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტურიზმის ინდუსტრიის, განათლებისა და მთავრობის ერთობლივ სტრატეგიასა და ღონისძიებებს.

მხოლოდ სახელმწიფო დონეზე ჩატარებული კვლევის ანალიზით გამოკვეთილ უნდა იქნას ტურიზმში ტალანტების საჭირო რაოდენობა და ქვესექტორები, არამედ, უნდა დადგინდეს რომელი დონის განათლება და პროფესიული უნარებია საჭირო დარგის განვითარებისათვის მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში. მხოლოდ ასე იქნება შესაძლებელი ტურიზმში შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის აღმოფხვრა.

დასკვნები

ტურიზმის დასაქმების ბაზრის სრულყოფისათვის ე.წ. „ტალანტების“ არა მხოლოდ მიზიდვის, არამედ სექტორში დამკვიდრების მიმართულებით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი განათლების მიცემას ფართო საზოგადოებისათვის სკოლის ასაკიდანვე, ტურიზმის სფეროში მომუშავე პროფესიონალების განათლებასა და სწავლებას, ამ პროფესიის ახალი კადრების მომზადებას ტურისტული ინდუსტრიისა და ტურიზმის განვითარებისათვის. აღნიშნული კი შესაძლებელია მხოლოდ ტურიზმის ინდუსტრიის მონაწილეების, საგანმანათლებლო ინსტიტუციებისა და მთავრობის მიერ ერთობლივი კვლევის საფუძველზე გამოვლენილი პრიორიტეტული ღონისძიებების დაგეგმვისა და იმპლემენტაციის პირობებში.

კვლევის ანალიზით გამოკვეთილ უნდა იქნას არა მხოლოდ ტურიზმის ქვესექტორები და მასში ტალანტების საჭირო რაოდენობა, არამედ, უნდა დადგინდეს რომელი დონის განათლება და პროფესიული უნარებია საჭირო დარგის განვითარებისათვის მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში. მხოლოდ ასე იქნება შესაძლებელი ტურიზმში შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის აღმოფხვრა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Business Dictionary,
http://www.businessdictionary.com/definition/talent.html 01.02.2019

2. Global Talent Trends for Travel&Tourism Sector, WTTC, 2015, p.48 https://www.wttc.org/-/media/382bb1e90c374262bc951226a661-8201.ashx

3. „საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“, გვ.: 14, 2015, თბილისი.

4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საქმიანობის ანგარიში - 2016.

5. „საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/17356

6. Understanding the travel and tourism labor market, A report for ABTA, London, July 2014, pp. 5-6

https://www.abta.com/sites/default/files/media/document/uploads/Cebr_-_ABTA_employment_study.pdf

7. მეტრეველი. მ. ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა. გამომც. „ფავორტი პრინტი“. 2011, თბილისი. გვ. 16-17

REFERENCES:

1. Business Dictionary,

http://www.businessdictionary.com/definition/talent.html 01.02.2019

2. Global Talent Trends for Travel&Tourism Sector, WTTC, 2015, p.48 https://www.wttc.org/-/media/382bb1e90c374262bc951226a6618201.ashx

3. “Georgian Tourism Strategy 2025”, pp .: 14, 2015, Tbilisi.

4. The report of the activities of the National Tourism Administration of Georgia - 2016.

http://www.gnta.ge was last updated 01.02.2019

5. “Law of Georgia on Tourism and Resorts”.https://matsne.gov.ge/ka/document/view/17356

6. Understanding the travel and tourism labor market, A report for ABTA, London, July 2014, pp. 5-6

https://www.abta.com/sites/default/files/media/document/uploads/Cebr_-_ABTA_employment_study.pdf

7. Metreveli M., Tourism Economics and Policy, “Favoriti Ptinti, 2011, Tbilisi. pp: 16-17.

THE OPPORTUNITIES FOR ADDRESSING THE TOURISM LABOR MARKET PROBLEMS IN GEORGIA BY MEANS OF ESTABLISHMENT OF THE MODERN EMPLOYMENT FACTOR – "TOURISM TALENT"

Marina Metreveli, PhD, Professor of GTU,
Irakli Tavberidze, PhD shtudent of GTU

RESUME

The work defines tourism as one of the key sectors for development of the labor market and eradication of poverty. In the current business environment, the tourism employment market similar to other sectors, requires special skills to be provided by various educational organizations.

It is noteworthy that unlike other sectors of economy, human resources in tourism create high quality service and product assigned with the primary role in development of competitiveness of this field and economic growth in general.

The Article provides the phenomenon of so-called "Tourism Talent" to play the significant role in elimination of imbalance between the demand and provision of the tourism labor market.

The study aims at analysis of the problems and causes of imbalance between the demand-provision of the tourism labor market in Georgia.

The tasks of the study imply: study of the tourism interests in regards with attraction of so-called "Tourism Talent" from other spheres to tourism and establishment thereof; development of the tourism industry, education and Governmental cooperation model for attraction of "Tourism Talents"; strive to address the tourism labor market problems in Georgia by means of establishment of the modern employment factor – "Tourism Talent".

Key Words: Tourism talent, vocational education, human resources, demand-provision of labor market, employers of tourism industry.

ტურიზმის მდგრადი განვითარების ძირითადი ფაქტორები

მარინა მეტრეველი
ეკონომიკის დოქტორი,
სტუ პროფესორი,
ირაკლი თავბერიძე,
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ნაშრომში ტურიზმის დარგი განსაზღვრულია, როგორც მდგრადი განვითარების ძირითადი ფაქტორი, რომლის დადებითი ზემოქმედება ქვეყნის ეკონომიკაზე განისაზღვრება გარემოს მიმართ არამომხმარებლური დამოკიდებულებით. მდგრადი ტურიზმის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას – ეკოტურიზმს უდიდესი მნიშვნელობა აქვს დაცული ტერიტორიების მიმდებარე რეგიონებში გაზარდოს ეკონომიკური შემოსავლები და გააქტიუროს ადგილობრივი მოსახლეობის მოტივაცია და მათი როლი ეკოსისტემების, ბიომრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-დაცვაში.

სტატიაში წარმოდგენილია ტურიზმის ერთ-ერთი მიმართულების – ეკოტურიზმის განვითარების ტენდენციები საქართველოში და გაანალიზებულია მისი მდგრადობასთან კავშირი, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი აკისრია გარემოსდაცვითი განათლების საქმიანობას.

კვლევის მიზანს წარმოადგენს გარემოსდაცვისა და ტურიზმის მდგრადი განვითარების არსებული ემპირიული მონაცემების საფუძველზე, როგორც ინსტიტუციურ ისე ორგანიზაციულ დონეზე ქვეყანაში არსებული გარემოს დაცვის მდგომარეობის თანამედროვე გამოწვევების იდენტიფიცირება.

კვლევის ამოცანებია**:** ეკოტურისტული პროდუქტის წარმოების გზით რეგიონებში მიღებული ეკონომიკური შემოსავლების კვლევა; დაცულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის გარე-

მოს მიმართ არამომხმარებლური დამოკიდებულების მოტივაციის გააქტიურების ტენდენციების ანალიზი; გარემოსდაცვითი განათლებისა და გარემოს მიმართ ცნობიერების ამაღლების გზით ქვეყანაში ტურიზმის მდგრადი განვითარების თანამედროვე გამოწვევებში არსებული პრობლემების აღმოფხვრის მექანიზმების შემუშავება.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი ტურიზმი, ეკოტურიზმი, გარემოსდაცვითი განათლება, დაცული ტერიტორიები, ტურიზმის სტრატეგია.

შესავალი

XXI საუკუნეში, ტურიზმი გამოკვეთილად ჩამოყალიბდა, როგორც მსოფლიო ეკონომიკაში საერთაშორისო მომსახურებით ვაჭრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და სწრაფად განვითარებადი სექტორი, რომელსაც განსაკუთრებული როლი ეკისრება სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაში, მთლიანი შიდა პროდუქტისა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაში. დარგის სრულფასოვანი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ქვეყნის მოსახლეების ცხოვრების დონე, თავისუფალი დროის ხანგრძლივობა, მოსახლეობის კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილის ზრდა, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა, გარემოს დაცვისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების დონე და სხვ. ამგვარად, ტურიზმი, როგორც დარგი, ქვეყნის, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური განვითარების განმაპირობებელ ფაქტორად გვევლინება.

საერთაშორის ტურიზმის სწრაფი და გლობალური ზრდიდან გამომდინარე, იზრდება, როგორც საერთაშორისო ტურისტული გადაზიდვების, სასტუმროებისა და გასართობის საშუალებების, ასევე, ტურისტული დესტინაციების (ტურისტული დანიშნულების პუნქტების) რაოდენობა. დღეს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არის ტურისტული დანიშნულების პუნქტები, ე.წ. „დესტინაციები“, რომელთა განვითარებით მიღებულ ეკონომიკურ შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მსოფლიოს, არამედ ცალკეული რეგიონებისა და ქვეყნების განვითარებაში.

არასწორად და არათანმიმდევრულად დაგეგმილმა ტურიზმმა, შესაძლებელია უფრო მეტი ზიანი მოუტანოს ქვეყანას ვიდრე მისგან მიღებული შემოსავლები იყოს. სწორედ ამ მიზეზით, ბოლო წლებში, ტურიზმის აღარ განიხილება მდგრადი განვითარების პოლიტკის გარეშე, რაც თავის მხრივ, მჭიდრო კავშირშია გარემოს მდგრად განვითარებასთან.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

მდგრადი განვითარების იდეას, 1987 წელს, გაეროს გარემოს დაცვის მსოფლიო კომისიის თავმჯდომარის გრო ჰარლემ ბრუნტლანდის (Gro Harlem Brundtland 1987) შემდეგი სიტყვებით ჩაეყარა საფუძველი: „კაცობრიობას ძალუძს მდგრადი გახადოს საკუთარი განვითარება და უზრუნველყოს თანამედროვე მოთხოვნების დაკმაყოფილება მომავალი თაობებისათვის მსგავსი შესაძლებლობების წართმევის გარეშე“. [1]

მდგრადი განვითარება ისეთი სისტემაა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას – ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

ზოგადად, ტურიზმის მდგრადი განვითარების დროს რესურსების მოხმარება ხდება ისე, რომ მან დააკმაყოფილოს ეკონომიკური, სოციალური და ესთეტიკური მოთხოვნები, მაგრამ ამავე დროს შეინარჩუნოს ქვეყნის კულტურული თვითმყოფადობა, გარემოს უმთავრესი ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მთავარი სასიცოცხლო სისტემები. ტურიზმის მდგრადი განვითარება უზრუნველყოფს სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური და ეკონომიკური კრიტერიუმების ჰარმონიულ შერწყმას, რაც არა მარტო ბუნებრივი და კულტურული რესურსების შენარჩუნების შესაძლებლობას მოგვცემს, არამედ მომავალი თაობებისათვის მათი შენახვის, განახლებისა და განვითარების წინაპირობა გახდება.

2015 წლის სექტემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 193 წევრი სახელმწიფო მდგრადი განვითარების მიზნებზე შეთანხმების შემდეგ შედგა დოკუმენტი „2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“, რომელიც 17 მიზანს (SDGs) და 169 ამოცანას აერთიანებს. დღის წესრიგი 2030 არის ისტორიული მნიშვნელობის გლობალური შეთანხმება, რომელიც საერთაშორისო თანამშრომლობის ახალ, ყოვლისმომცველ ჩარჩოდ მიიჩნევა. 2016 წელს საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ნიუ-იორკში გაეროს მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმის (HLPF) ფარგლებში მდგრადი განვითარების შესახებ ეროვნული ანგარიში წარადგინა და ამით გამოთქვა მზადყოფნა, მდგრადი განვითარების ეროვნული გეგმა შეუსაბამოს დღის წესრიგის 2030 მდგრადი განვითარების მიზნებს.

ნიშანდობლივია, რომ დოკუმენტში ტურიზმი, როგორც სტრატეგიული დარგი, პირდაპირკავშირშია სამ მიზნობრივ კატეგორიათან. (იხ. ცხრილი №1.)

ცხრილი №1. დღის წესრიგი 2030, ტურიზის მდგრადი განვითარების მიზნები

მიზანი №8	„სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის“,
მიზანი №12	„მდგრადი მოხმარება და წარმოება“
მიზანი №14	„ოკეანისა და ზღვის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება განვითარებისათვის“.

წყარო: ცხრილი შედგენილია დისერტანტის მიერ დღის წესრიგი 2030-ის მასალებზე დაყრდნობით http://www.ungeorgia.ge/geo/sutainable_development_goals#.WzxjsNIzaUk

ცხრილში მოცემული მე-8 მიზანი პირდაპირ კავშირში ტურიზმის განვითარების ამოცანებთან, ხოლო სიყვები: „პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის, მეტყველებს

იმაზე, რომ მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა შესაძებელია, უპირველეს ყოვლისა მაღალი პროფესიული კადრების პირობებში. [2]

2017 წელი, გაერთიანებული ერების ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციამ, „მდგრადი ტურიზმის“ წლად გამოაცხადა. გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ აღნიშნული ინიციატივა უმნიშვნელოვანესი ფაქტი იყო ტურიზმის მსოფლიო მნიშვნელობის ხაზგასასმელად და ხელშესაწყობად.

საამაყო და უმნიშვნელოვანესი ფაქტია საქართველოში ტურიზმის განვითარებითვის, მდგრადი ტურიზმის განვითარების წელთან დაკავშირებით მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციასთან ჩატარებული ერთობლივი ღონისძიებებში ქვეყნის აქტიური მონაწილეობა. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ „ევროპის და აზიის სამთო კურორტების მე-3 საერთაშორისო კონფერენცია“, რომელსაც საქართველომ უმასპინძლა 2017 წლის 4-7 აპრილს. იგი ჩატარდა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციისა (UNWTO) და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და მთის კურორტების სააგენტოს ეგიდით. ᲩᲕᲔᲧᲐᲜᲘᲡ, როგორც ტურისტული დესტინაციის აღიარებისთვის მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ კონფერენციას ესწრებოდა UNWTO-ს გენერალურის მდივანი ტალებ რიფაი და 250-მდე მსოფლიო ტურიზმის სხვადასხვა ქვეყნის ოფიციალური პირები. საქართველოს ტურიზმის ახალ, მსოფლიო მასშტაბებზე გასვლისა და საერთაშორიო დონეზე აღირების დასტურია - 2018 წელს გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურ მდივნად ზურაბ პოლოლიკაშვილის არჩევა.

ზოგადად, მდგრადი ტურიზმის საერთაშორისო წლის მიზანი იყო ტურიზმის როლის ხელშეწყობა ხუთ მთავარ სფეროში: 1. ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდა; 2. სოციალური ჩართულობა, დასაქმება და სიღარიბის შემცირება; 3. რესურსების ეფექტიანობა, გარემოს დაცვა და კლიმატური ცვლილებები; 4. კულტურული ღირებულებები, მრავალფეროვნება და მემკვი-

დრეობა; 5. ურთიერთგაგება, მშვიდობა და უსაფრთხოება.[3]

შესაბამისად, მდგრადი ტურიზმის საერთაშორისო წლის მიზანი იყო გადაწყვეტილების მიმღებთა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იმ გარემოების მიმართ, თუ რამდენად შეუძლია ტურიზმს ხელი შეუწყოს ქვეყნების ინკლუზიურ და მდგრად ეკონომიკურ ზრდა და შესაბამისად, სიღარიბის დაძლევას.

დასახული მიზნების მისაღწევად, გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ დაგეგმა და სხვადასხვა ღონისძიებების საშუალებით განახორციელა, შემდეგი მნიშვნელოვანი აქტივობები: ადვოკატირება და ცნობიერების ამაღლება; ცოდნის შექმნა და გავრცელება; პოლიტიკის შექმნა/შემუშავება; პროფესიული შესაძლებლობების ზრდა და განათლება. [4]

თვითოეული აქტივობა დაკავშირებულია ტურიზმის მდგრად განვითარებაში მოგზაურობისა და ტურიზმის გავლენების შესახებ ცნობიერების ამაღლებასთან; იმ საშუალებებისა თუ მექანიზმების ხელშეწყობასთან, რომლებიც მონიტორინგს გაუწევენ ტურიზმის დადებით თუ უარყოფით გავლენებს; ისეთი საგანმანათლებლო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელების ხელისშეწყობასთან, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მდგრადი ტურიზმის განვითარებაში.

2012 წელს ევროკავშირის მიერ მიღებულ რეზოლუციაში „The future we want" 66/288, ნათქვამია: „კარგად დაგეგმილ და მართულ ტურიზმს, შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მდგრადი განვითარების სამ განზომილებასა და ასპექტში (სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ), სხვა სექორებთან მჭიდრო კავშირის საშუალებით შექმნას ახალი სამუშაო ადგილები და ხელი შეუწყოს სავაჭრო შესაძლებლობების გაზრდას."[5] აღნიშნულის მიღწევა კი შესაძლებელია, მხოლოდ შემდეგი მხარეების აქტიური ჩართულობით: **საზოგადოებრივი სექტორი, ბიზნეს სექტორი (ტურისტული ინდუსტრია), საგანმანათლებლო სექტორი, ადგილობრივი მოსახლეობა.**

ნებისმიერი ტურისტული პროდუქტი იქნება წარმატებული მხოლოდ ზემოხსენებული დაინტერესებული მხარეების მჭიდრო თანამშრომლობით. მათი კარგი კოორდინაცია უზრუნველყოფს

ტურისტული დესტინაციის მდგრად განვითარებას, ინარჩუნებს რა მაღალი ხარისხით კმაყოფილ და დაუვიწყარი შთაბეჭდილებით აღვსილ ტურისტს.

ზემოაღნიშნული მხარეების ჩართვასთან დაკავშირებით, ტურიზმსა და გარემოს შორის კავშირის ყველაზე გავრცელებული რესურსია დაცული ტერიტორიები. აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ საქართველოში არსებობს ვრცელი და კარგად განვითარებული დაცული ტერიტორიების ქსელი, რომელიც დაარსებულია და ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ანგარიშის მიხედვით, 2017 წელს საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობამ - 954 397 მოგზაური შეადგინა, 30%-ით მეტი 2016 წელთან (734 874 ვიზიტორი) შედარებით. ვიზიტორთა შორის 57% იყო ქართველი (541 634 ვიზიტორი), ხოლო 43% უცხოელი (412 763 ვიზიტორი). (იხ. დიაგრამა N1.)

დიაგრამა N 1. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა სტატისტიკა წლების მიხედვით



წყარო: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო 2017 წლის ანგარიში, https://apa.gov.ge/ge/angariSebi

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს საქართველოში იმოგზაურა 7,902,509 ვიზიტორმა (+17% 2016 წელთან შედარებით), რომელთაგან ტურისტული ვიზიტებით მოგზაურთა რაოდენობამ 4,069,354 ადამიანი შეადგინა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული რაოდენობიდან დაცულ ტერიტორიებზე იმოგზაურა თითქმის მეოთხედმა. აღნიშნული ემპირიული მონაცემები ნათელს ხდის, რომ საქართველოში მოგზაურთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ეკომოგზურობა. აღნიშნულის დასტურია ეკოტურისტული მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების რაოდენობა, რომელმაც 2017 წელს შეადგინა 4,504,473 ლარი, 95%-ით მეტი 2016 წელთან შედარებით (2,313,698 ლარი). (იხ. დიაგრამა N2.)

დიაგრამა N2 ეკოტურისტული სერვისებიდან მირებული შემოსავლები 2016-2017წწ.



წყარო: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო 2017 წლის ანგარიში, https://apa.gov.ge/ge/angariSebi

რასაკვირველია დაცული ტერიტორიების პოპულარობის ზრდა იწვევს ახალი ტურისტული სერვისებისა და შესაბამისად, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას, რაც მასტიმულირებლად მოქმედებს რეგიონებში ეკონომიკური შემოსავლების ზრდაზე.

საქართველოს დაცული ტერიტორიების მიმდებარედ ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ 2017 წლის განმავლობაში - 1231 კაცი შეადგინა, 11%-ით მეტი 2016 წელთან შედარებით (1 106 კაცი), ხოლო თუ შევადარებთ 2014 მონაცემებს

- იგი გაორმაგებულია. შესაბამისად, დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის სარგებელმა 2014 წელს შეადგინა 1,136,000 ლარი, 2015 წელს – 2,565,200 ლარი, 2016 წელს 4,381,820, ხოლო 2017 წელს 5,723,621 ლარს მიაღწია. ზემოაღნიშნული ზრდის ტენდენცია ის მთავარი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრების ადგილობრივი მოსახლეობის ბიზნეს საქმინობის გააქტიურებას. 2017 წლის განმავლობაში, 2016 წლის მონაცემებთან შედარებით, დაცული ტერიტორიების მიმდებარედ საოჯახო სასტუმროების რაოდენობა გაზრდილია 38%-ით, მაღაზიების რაოდენობა 30%-ით, კვების ობიექტების რაოდენობა 52%-ით.[6]

ზემოაღნიშნული პოზიტიური სტატისტიკის მიუხედავად, ქვეყანაში გარემოს დაცვის არსებული მდგომარეობის შესაფასებლად საინტერესეოა განვიხილოთ და გავაანალიზოთ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მასალები (ტურიზმის კონკურენტუნარიანობის მახასიათებლები და მაჩვენებლები), რომლის მიხედვითაც, საქართველოს 2013 წლიდან 2015 წლის ჩათვლით, გარემოსა და მდგრადი ტურიზმის განვითარების უმნიშვნელოვანეს, ძირითად მიმართულებებში აქვს გაუარესებული მონაცემები: გარემოს დაცვით რეგულაციებში - 2013წ. – 94 ადგილი, 2015წ. – 113 ადგილი, გარემოსდაცვითი კანონდებლობის აღსრულების უზრუნველყოფაში - 2013წ. – 69-ე ადგილი, 2015წ. – 109 ადგილი, მოგზაურობისა და ტურიზმის თ&თ-ის მდგრად განვითარებაში - 2013წ. – 47-ე ადგილი, 2015წ. – 76 ადგილი, ბუნებრივი რესურსების მაჩვენებელში - 2013წ. – 119-ე ადგილი, 2015წ. – 125-ე ადგილი, დაცული ტერიტორიების მთლიანი რაოდენობის მაჩვენებელში - 2015წ. – 124-ე ადგილი, ბუნებრივი გარემოს ხარისხში - 2013წ. – 59-ე ადგილი, 2015წ. – 67-ე ადგილი (იხ. ცხრილი №2.).

2013-2015 წწ-ების მონაცემების ანალიზით აშკარაა, რომ ქვეყანაში გარემოს დაცვის მდგომარეობა ყველა ინდიკატორით გაუარესებულია. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოგზაურობისა და ტურიზმის მახასიათებლების 47-დან 76-ე ადგილზე გადანაცვლების ფაქტი, რომლითაც დასტურდება, რომ ქვეყანაში

ტურიზმის პოლიტიკა არ იგეგემება და არ იმართება მსოფლიო გამოწვევების შესაბამისად.

ცხრილი №2. საქართველოს გარემოს დაცვის მახასიათებლები და მაჩვენებლები (2013 - 2017წწ.)

მახასიათებლები	**2013 (140 ქვ.)**	**2015 (141 ქვ.)**	**2017 (136 ქვ.)**
გარემოსდაცვითი მდგრადობა	74	52	42
გარემოსდაცვითი რეგულაციები	**94**	**113**	**105**
გარემოსდაცვითი კანონდებლობის აღსრულების უზრუნველყოფა	**69**	**109**	**69**
მოგზაურობისა და ტურიზმის თ&თ მდგრადი განვითარება	**47**	**76**	**64**
საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობები (%)	80	81	82
ბუნებრივი რესურსები	**119**	**125**	**106**
მსოფლიო ბუნებრვი მემკვიდრეობა	**79**	**83**	**86**
ცნობილი სახეობები	101	104	101
დაცული ტერიტორიების მთლიანი რაოდენობა	**-**	**124**	**103**
ბუნებრივი გარემოს ხარისხი	**59**	**67**	**47**

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2013, 2015, 2017წწ-ების მასალებზე დააყრდნობით, The Travel&Tourism Competitiveness Report 2013- 2017 (edition Paving the Way for a More Sustainable and Inclusive Future).

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს 2015 წელთან შედარებით გარემოს თითქმის ყველა მახასიათებელი გაუმჯობესებულია: გარემოსდაცვითი მდგრადობისა და ბუნებრივი რესურსების კომპონენტებში 2015 წელს გარემოსდაცვითი მდგრადობის 52-ე ადგილი

- 2017 წლის 42-ე ადგილით შეიცვალა, 2015 წელს გარემოსდაცვით რეგულაციებში 113-ე ადგილი - 2017 წლის 105-ე ადგილით; 2015 წელს გარემოსდაცვითი კანონდებლობის აღსრულების უზრუნველყოფაში 109 ადგილიდან 2017 წელს ქვეყანამ გადაინაცვლა 69-ე ადგილზე; თ&თ-ის მდგრად განვითარებაში - 2015წ. – 76-ე ადგილიდან - 2017 წლის 64-ე ადგილზე; ბუნებრივი რესურსების 125 ადგილიდან 106-ე ადგილზე; დაცული ტერიტორიების მთლიანი რაოდენობის მაჩვენებელში 125-ე ადგილიდან 103-ე ადგილზე; ხოლო, სულ ცნობილ სახეობებში 104-ე ადგილიდან გადაინაცვლა 101 ადგილზე (იხ. ცხრილი №2.). [7]

ზემოაღნიშნული დადებითი ტენდენციის მიუხედავად, წარმოდგენილი ემპირიული მონაცემები მეტყველებენ იმაზე, რომ დღევანდელი მდგომარეობით, როგორც ინსტიტუციურ ისე ორგანიზაციულ დონეზე, ქვეყანას მაინც რჩება პრობლემები გარემოსდაცვისა და ტურიზმის მდგრადი განვითარების მიმართულებით.

ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ „ტურიზმის სტრატეგიის 2025“-ის სახელმძღვანელო 6 პრინციპიდან ერთ-ერთს წარმოადგენს „მდგრადობა“. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული სტრატეგია არის სამთავრობო და მასში მოცემული აქტივობების განხორციელებაზე მუშაობენ სხვადასხვა სამინისტროები, აუცილებელი იყო მდგრადი ტურიზმის ძირითადი აქტივობები, განსაკუთრებით, ეკოლოგიური განათლებისა და გარემოს მიმართ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები,[1] ასახულიყო საქართველოს ტურიზმის 2025 სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში და გააქტიურებულიყო ამ მიმართულებით მუშაობა.

ქვეყნების მიერ ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარების აქტუალობაზე მეტყველებს, უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, გარემოსდაცვითი განათლებისა და მდგრადი განვითარების კონცეფციის შერწყმა - ტერმინით "განათლება მდგრადი განვითარებისათვის" (ESD). გაერთიანებული ერების ევროპის

1 საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, გარემოს დაცვის საგენტოს შესასრულებლად განსაზღვრული აქვს ეკოლოგიური განათლების, ცნობიერების ამაღლების და საზოგადოების ცალკეული ჯგუფების გარემოსდაცვითი ქცევის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარება.

ეკონომიკური კომისიის (UNECE) თანახმად, განათლება მდგრადი განვითარებისათვის „აფართოებს" გარემოსდაცვით განათლებას მისი ინტეგრირებით სხვა სფეროებთან იმ მიზნით, რომ შეიქმნას "ყოვლისმომცველი კონცეფცია .... რომელიც მოიცავს ურთიერთ-დაკავშირებულ გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და სოციალური საკითხებს" (UNECE, 2005). დღეისათვის, საერთაშორისო დონეზე „განათლება მდგრადი განვითარებისათვის" აღიარებულია, როგორც მდგრადი განვითარების ფუნდამენტური სტრატეგია.

შ. როსი და ჯ. ვოლი (Ross and Wall (1999) თავიანთ კვლევებში განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ეკოტურიზმისა და მდგრადობის - გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებას შორის კავშირს, რომელშიც შემოსავლების გენერირებასა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობასთან ერთად, ცენტრალური ადგილი გარემოსდაცვით ანუ ეკოლოგიურ განათლებას ენიჭება.

ეკოლოგიური განათლება წარმოადგენს მულტიდისციპლინარულ სწავლებას, რომელიც აყალიბებს გარემოსდაცვით შეგნებას, ღირებულებებს და უნარ-ჩვევებს, რომლის საშუალებითაც ადამიანი და მთლიანად საზოგადოება მონაწილეობს გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესების საქმეში. მომავალი თაობების მომზადება და აღჭურვა შესაბამისი გარემოსდაცვითი ცოდნით, უნარ-ჩვევებით და მდგრადი გარემოსდაცვითი დამოკიდებულებებით გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. ეკოლოგიური განათლება ეხმარება ქვეყნის მოსახლეობას გარემოსდაცვითი და მასთან უშუალოდ დაკავშირებული მდგრადი განვითარების პრობლემების გამოვლენაში, ამ პრობლემების შესწავლაში და მათი გადაჭრის აუცილებელი გზების მოძიებაში.

საყურადღებოა, რომ ყველაზე მწირი განათლება არსებობს სასოფლო-სამეურნეო დასახლებების მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი მათ შორის ვინც, „ტურიზმის №1 დესტინაციებთან" - ეროვნულ პარკებთან სიახლოვეს ცხოვრობს (სკოლის ასაკიდან დაწყებული ყველა ასაკისა და სოციალური კუთვნილების მოსახლეობისთვის). ამისათვის საჭიროა მათ ადრეული ასაკიდან მიეწოდოს გარემოსდაცვითი ინფორმაცია, ვინაიდან, როგორც ეროვნული მემკვიდრეობის ბატონ-პატრონთ, მნიშვნელოვანი

როლი ეკისრებათ ამ ტერიტორიების დაცვასა და მოვლაში, განსაკუთრებით ტურისტული ბიზნესის წარმოების პროცესში. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს დაცვითი ინფორმაცია არ არის გარემოსდაცვითი განათლების ანალოგიური. გარემოს დაცვითი განათლება მოსახლეობას აძლევს არა მხოლოდ ინფორმაციას ენდემური სახის ფლორასა და ფაუნაზე, არამედ უმუშავებს მათ გარემოს დაცვისთვის საჭირო პროფესიულ უნარებს. აღნიშნული განათლების მიცემის ვალდებულების შესასრულებლად სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს, 2017 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ჰქონდა მხოლოდ 100 000 ლარი. ცხადია სახლმწიფოს მიერ დაფინანსების მწირი დონე განაპირობებს იმ მდგომარეობას, რომელიც დღეს გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით არის ქვეყანაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო გარემოს მიმართ ჯერ კიდევ დიდი გამოწვევების წინაშე დგას, რაც ხელს უშლის ტურიზმის მდგრად განვითარებას და საფრთხეს უქმნის ქვეყნისა და მისი მოსახლეობის გრძელვადიან კეთილდღეობას. ცხადია, საჭიროა მდგრადი ტურიზმის განვითარების პრაქტიკული განხორციელების ხელშეწყობა, გარემოსდაცვითი განათლების ჩათვლით, იმგვარად, რომ "დაბალანსებული იყოს ეკონომიკური ზრდა, გარემოს დაცვა და სოციალური განვითარება".

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘ

ზოგადსაკაცობრიო ფუნდამენტურ ღირებულებათა მდგრადობა განაპირობებს გარემოს მიმართ ზნეობრივი მრწამსის მრავალსახოვნებას, რაც ეკოტურიზმის საფუძველსა და შედეგს წარმოადგენს. მდგრადი ტურიზმი უნდა გახდეს საქართველოს ტურისტული ბაზრის ძირითადი თვისობრივი მახასიათებელი, რომელიც დარგის ეფექტიანობისა და წარმატების მაღალ დონეს უზრუნველყოფს.

აღნიშნული მიდგომის განხორციელება დაეხმარება საქართველოს ახლანდელ და მომავალ თაობებს შეიძინონ არა მხოლოდ

გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ცოდნა, არამედ სათანადოდ აღიჭურვონ შესაბამისი უნარებითა და ამ უნარების პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობებით (როგორიცაა მაგ. გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა, ადგილობროვ პრობლემებზე დროული და სწორი რეაგირება და ა. შ.).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Our Common Future, Report of the World Commission on Environment and Development, 1987 https://www.are.admin.ch/are/en/home/sustainable-development/international-cooperation/2030agenda/un-_-milestones-in-sustainable-development/1987--brundtland-report.html

2. მდგრადი განვითარების მიზნები, გაერო საქართველოში. http://www.ungeorgia.ge/geo/sutainable_development_goals#.XCRe6lwzaUk

3. International Year of Sustainable tourism for development, 2017 http://www.tourism4development2017.org/

4. A roadmap for celebrating together, UNWTO, http://www.wise.co.th/wise/References/Tourism_Industry/Sustainable_Tourism.pdf

5. 66/288. The future we want, Resolution adopted by the General Assembly on 27 July 2012, p.2 http://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_66_288.pdf

6. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო 2017 წლის ანგარიში, https://apa.gov.ge/ge/angariSebi

7. Metreveli M., Abkhazava-Gerber M., "The Role of Protected Areas towards the Economic Development of Tourism in Georgia", 5th European Ecotourism conference "European Ecotourism Network - Common Attitude towards Sustainable Tourism", p. 57, Tbilisi, 2018

8. მეტრეველი მ. გარემო და ეკოტრიზმის მენეჯმენტი. გამომც. „ფავორტი პრინტი". 2012, თბილისი.

9. მეტრეველი. მ. ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა. გამომც. „ფავორტი პრინტი". 2011, თბილისი.

REFERENCES:

1 Our Common Future, Report of the World Commission on Environment and Development, 1987 https://www.are.admin.ch/are/en/home/sustainable-development/international-cooperation/2030agenda/un-_-milestones-in-sustainable-development/1987--brundtland-report.html

2. Sustainable Development Goals, United Nations in Georgia. http://www.ungeorgia.ge/geo/sutainable_development_goals#.XCRe6lwzaUk

3. International Year of Sustainable tourism for development, 2017 http://www.tourism4development2017.org/

4. A roadmap for celebrating together, UNWTO, http://www.wise.co.th/wise/References/Tourism_Industry/Sustainable_Tourism.pdf

5. 66/288. The future we want, Resolution adopted by the General Assembly on 27 July 2012, p.2 http://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_66_288.pdf

6. Agancy of Protected Area of Georgia, Annual Reports - 2017, https://apa.gov.ge/ge/angariSebi

7. Metreveli M., Abkhazava-Gerber M., "The Role of Protected Areas towards the Economic Development of Tourism in Georgia", 5th European Ecotourism conference "European Ecotourism Network - Common Attitude towards Sustainable Tourism", p. 57, Tbilisi, 2018

8. Metreveli M., Environment and Ecotourism Management. „Favorti printi". 2012, Tbilisi. pp. 300

9. Metreveli M., Tourism Economics and Policy. „Favorti printi". 2011, Tbilisi. pp. 16-17

THE KEY FACTORS FOR SUSTAINABLE DEVELOPMENT OF TOURISM

Marina Metreveli,
PHD in Economics, Professor of GTU,
Irakli Tavberidze, PhD student of GTU

RESUME

The hereby work defines the tourism as the key factor for sustainable development the positive impact of which on economy of the country is measured with the non-consumption approach to the environment. Eco-tourism – being one of the main directions of sustainable tourism – is of utmost importance for increase of the economic incomes in the regions adjacent to the protected areas and for triggering the motivation of the local population and their role in maintenance and preservation of the eco-systems, bio-diversity and cultural heritage. The Article provides the trends of development of one of the directions of tourism – eco-tourism and analyzes its link with sustainability where the key role is imposed on environmental educational activity.

The study aims at identification of the modern challenges of environmental protection in the country on the institutional and the organizational level on the basis of the empiric data available about environmental protection and sustainable development of tourism.

The tasks of the study imply: study of the economic incomes earned in the regions by means of eco-tourism production; analysis of the tendencies of activation of motivation of the non-consumption attitude of the population residing in the protected areas; development of the mechanisms for elimination of the problems of modern challenges of sustainable development of tourism by means of increased awareness on environmental education and environment.

Key words are: sustainable tourism, eco-tourism, environmental education, protected areas, tourism strategy.

ტურიზმის მდგრადი განვითარების ამოცანები საქართველოში

ნანა ნადარეიშვილი,
გეოგრაფიის დოქტორი,
ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის
უფროსი მეცნ. თანამშრომელი

რეზიუმე

2017 წელი „ტურიზმის მდგრადი განვითარების საერთაშორისო წლად" იყო გამოცხადებული გაერო-ს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის (UNWTO) მიერ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგი ავალდებულებს საქართველოს 8.9 მიზნის ჩარჩოში, რომ „შეიმუშაოს და განახორციელოს ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგია, რომელიც ქმნის სამუშაო ადგილებს, ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურისა და პროდუქტების პოპულარიზაციას".

მდგრადი ტურიზმის მნიშვნელობა, როგორც მოსახლეობის დასაქმების მამოძრავებელი ძალის, ადგილობრივი კულტურისა და პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის საშუალება, ხაზგასმულია ამავე დოკუმენტის 12.ბ მიზანში.

ტურიზმი ასევე განისაზღვრება, როგორც ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით „2030 წლისათვის მცირე სახელმწიფოებმა და ნაკლებად განვითარებულმა ქვეყნებმა" შესაძლებელია გაზარდონ ეკონომიკური სარგებელი მდგრადი განვითარების 14.7 მიზნის ფარგლებში.

აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში საქართველომ უნდა შეიმუშაოს მდგრადი განვითარების სტრატეგია, რომელიც მოიცავს ტურიზმის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმასაც. აღნიშნული სტრატეგია იქნება პირველი გრზელვადიანი დოკუმენტი, რომელიც ქვეყანაში განხორციელდება.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, მდგრადი განვითარება, გარემოს დაცვა.

ძირითადი ნაწილი

ტურიზმი ინტენსიურად ვითარდება როგორც მთელს მსოფლიოში, ისე საქართველოში, მიუხედავად სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის წინააღმდეგობებისა.

2017 წელი „ტურიზმის მდგრადი განვითარების საერთაშორისო წლად" იყო გამოცხადებული გაერო-ს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის (UNWTO) მიერ.

საქართველო, რომლის მოსახლეობაც 3.7 მილიონი ადამიანია უკანასკნელ წლებში 8 მილიონამდე (2017 წელს - 7 902 508 ვიზიტორი) სტუმარს მასპინძლობს, საიდანაც 2,7 მლრდ აშშ დოლარის (2 704 340 ათასი - 2017 წელს) შემოსავალს ღებულობს (იხ. №1 და №2 ნახ.). ამჟამად, საქართველოში ტურიზმის ზრდის მაჩვენებელი წელიწადში 19%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში უკანასკნელი წლები, ბევრი მიმართულებით, გამოწვევებით სავსე აღმოჩნდა და მიუხედავად ამისა ტურისტული ნაკადები ზრდის ტენდენციით ხასიათდებიან.



ნახ. №1. საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის დინამიკა.

გამოწვევებს შორისაა ტერორიზმის საფრთხე, სტიქიური მოვლენები. ამ თვალსაზრისით სხვადასხვა სახელმწიფოების ხელისუფლებებს უამრავი ბარიერის გადალახვა მოუხდათ წარმატების მისაღწევად. 2017-2018 წლებში, მთელი სამყარო გაერთიანდა თავისუფალი, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი მოგზაურობის მხარდასაჭერად. დაიწყო ახალი ეტაპი ტურიზმის განვითარებაში. „ტურიზმის მდგრადი განვითარების საერთაშორისო წელი“ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ყველა ერს საერთო გლობალურ გამოწვევებთან გამკლავება უხდება. მათი გადაჭრა მხოლოდ ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გაღრმავებით არის შესაძლებელი. ამ ინიციატივის წამოჭრით, ხაზგასმულია, რომ მდგრადი განვითარების მიზნები სამომავლო განვითარების ამოსავალი წერტილია. ის საშუალებას იძლევა შეიქმნას გრძელვადიანი აქტივები და აცილებულ იქნას რისკები.

ნახ. №2. შემოსავლების დინამიკა საერთაშორისო ტურიზმიდან.

მაინც რა პრინციპებს ეფუძნება ტურიზმის მდგრადი განვითარება? პირველ რიგში საჭიროა განიმარტოს აღნიშნული ტერმინი. ტურიზმის მდგრადი განვითარება –ტურისტული საქმიანობის მონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულებაა, რაც უზრუნველყოფს

გარემოს რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას, არსებული კულ-ტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, მასპინძელი მოსახლეობის ტრადიციული წეს-ჩვეულებების პატივისცემას; გრძელვადიან ეკონომიკურ სარგებელს ყველა დაინტერესებული მხარისათვის, მათ შორის მუდმივ დასაქმებას და შესაძლებლობებს შემოსავლისა და სოციალური მომსახურებისათვის. მდგრადობის პრინციპები ეხება გარემოს დაცვას, ტურიზმის განვითარების ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ასპექტებს. ტურიზმის მდგრადი განვითარების მართვის ნორმები და პრაქტიკა ვრცელდება ყველა ტიპის ტურიზმისა და ყველა სახის მიმართულებაზე, მათ შორის მასობრივ ტურიზმზე და ტურისტული სეგმენტების სხვადასხვა ნიშებზე.

სამეცნიერო-ტექნიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა პროგრესმა გამოიწვია ტურიზმის დაჩქარებული განვითარება. ამის გამო, ტურისტების მიერ მასობრივად მონახულებულ ადგილებში შეიქმნა სერიოზული პრობლემები ეკოლოგიის, კულტურისა და სოციალური განვითარების სფეროში. სწრაფი მოგების სურვილით განპირობებული ტურიზმის უკონტროლო ზრდა, ხშირად იწვევს ნეგატიურ შედეგებს - გარემოს დაზიანებას და ადგილობრივი მოსახლეობის ზარალს. ეს აიძულებს კაცობრიობას, იზრუნოს ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული ფასეულობების შენარჩუნებისათვის.

2015 წლის 25 სექტემბერს გაერო-ს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანსა (იხ.Nნახ. №3.) და 169 ამოცანას. [1] [2].

ახალი მიზნები წარმოადგენენ მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ნაწილს და ორიენტირებული არიან მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე: ეკონომიკურ ზრდაზე, სოციალურ ინკლუზიაზე და გარემოს დაცვაზე [2].

მდგრადი განვითარების მიზნები არის შემდეგი თხუთმეტწლიანი პროცესის საგზაო რუკა, სადაც გათვალისწინებულია ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესი. ეს არის უპრეცენ-

ნახ. №3. გაეროს 2030 წლის დღის წესრიგის 17 მიზანი[4].

დენტო შეთანხმება მდგრადი განვითარების შესახებ 193 წევრ ქვეყანას შორის. ამ მიზნების განხორციელების აუცილებლობას მხარს უჭერენ მსოფლიოს სამოქალაქო საზოგადოება, ბიზნესი და პარლამენტარები.

ამ ეტაპზე საქართველოს გათავისებული აქვს 17-ივე მიზანი, 99 ამოცანა და 200-ზე მეტი ინდიკატორი. საქართველოს მთავრობას გათვალისწინებული აქვს 169 სამიზნის ეტაპობრივად განხორციელება 2030 წლამდე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგი ავალდებულებს წევრ-ქვეყნებს 8.9 მიზნის ჩარჩოში, რომ „შეიმუშაონ და განახორციელონ ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგია, რომელიც ქმნის სამუშაო ადგილებს, ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურისა და პროდუქტების პოპულარიზაციას“ [3].

მდგრადი ტურიზმის მნიშვნელობა, როგორც მოსახლეობის დასაქმების მამოძრავებელი ძალის, ადგილობრივი კულტურისა და პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის საშუალება, ხაზგასმულია ამავე დოკუმენტის 12.ბ მიზანში[3].

ტურიზმი ასევე განისაზღვრება, როგორც ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით „2030 წლისათვის მცირე სახელმწიფოებმა და ნაკლებად განვითარებულმა ქვეყნებმა“ შესა-

ძლებელია გაზარდონ ეკონომიკური სარგებელი მდგრადი განვითარების 14.7 მიზნის ფარგლებში[3].

უნდა განიმარტოს, რომ 2015 წლის 25 სექტემბერს გაერო-ს მიღებულ დოკუმენტს — „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგარდი განვითარებისათვის“, წინ უძღოდა გაეროს მიერვე მიღებული ადრეული გადაწყვეტილებები. კერძოდ, გადაწყვეტილება მდგრადი განვითარების მიზნების შემუშავების პროცესის დაწყების შესახებ მიღებულ იქნა გაერო-ს წევრი ქვეყნების მიერ გაერო-ს კონფერენციაზე მდგრადი განვითარების შესახებ (რიო + 20), რომელიც 2012 წლის 20-22 ივნისს ბრაზილიის ქალაქ რიო-დე-ჟანეიროში ჩატარდა.

აღნიშნულ კონფერენციაზე (რიო+20) მიღებულ დოკუმენტებში, სათაურით - “მომავალი, რომელიც გვინდა”, ტურიზმის მდგრადი განვითარება განისაზღვრა 130-ე პუნქტით. იქ ტურიზმის მდგრადი განვითარება მოცემულია „მდგრადი განვითრების სამი ასპექტით“ , მისი მჭიდრო კავშირებით სხვა სექტორებთან და მისი უნარით შექმნას ღირსეული სამუშაო ადგილები და შექმნას სავაჭრო შესაძლებლობები.

“მომავალი, რომელიც გვინდა”-ს 130-ე პუნქტში ასევე ძირითადი ყურადღება ეთმობა მდგრად ტურიზმს, როგორც საკვანძო ფაქტორს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებისთვის. წევრი ქვეყნები 131-ე პუნქტის თანახმად „ხელს უწყობენ ინვესტიციების წახალისებას მდგრადი ტურიზმის სფეროში, მათ შორის ეკოტურიზმში და კულტურულ ტურიზმში, რომლებიც შეიძლება შეიცავდნენ მცირე და საშუალო საწარმოების შექმნას და ფინანსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, მიკროსაფინანსო ინიციატივების მეშვეობით. ამასთან დაკავშირებით, წევრი სახელმწიფოები ასევე ხაზს უსვამენ სახელმძღვანელო პრინციპებისა და დებულებების შექმნის მნიშვნელობას ეროვნული პრიორიტეტებისა და კანონმდებლობის შესაბამისად, რათა ხელი შეუწყონ და უზრუნველყონ ტურიზმის მდგრადობა.

დასკვნები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ გააჩნია გრძელვა-

დიანი განვითარების ხედვები და სტრატეგიული დოკუმენტები, ის მოვალეა, რომ 2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს -„ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგარდი განვითარებისათვის“, 8.9, 12ბ და 14.7 პუნქტების შესაბამისად შეიმუშაოს მდგრადი განვითარების სტრატეგია, სადაც ტურიზმს დაეთმობა მნიშვნელოვანი ადგილი. ამჟამად, საქართველოში მუშავდება გაეროს წინამდებარე დოკუმენტიდან გამომდინარე შესაბამისი სტრატეგია, რომელიც მოიცავს ტურიზმის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმასაც. იმედია, საქართველოს მთავრობის მიერ გაეროს აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისი სტრატეგიის ფორმირება 2019 წელს არ გასცდება. ეს იქნება პირველი გრძელვადიანი დოკუმენტი, რომელიც ქვეყანაში განხორციელდება.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘ:

1. დღის წესრიგი 2030: https://sustainabledevelopment.un.org/post2015/transformingourworld

2. მდგრადი განვითარების მიზნები: https://www.un.org/sustainabledevelopment/

3. http://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/70/1&Lang=R

4. გაეროს საქართველოს წარმომადგენლობა: http://www.ungeorgia.ge/geo

THE TASKS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF TOURISM IN GEORGIA

Nadareishvili Nana,
Doctor of Geography, Senior Research Fellow
at Vakhushti Institute of Geography

Resume

2017 was the "International Year for Tourism Sustainable Development" announced by the United Nations World Tourism Organization (UNWTO). The United Nations 2030 Sustainable Development Agreement implements Georgia's 8.9 objective to "develop and implement a strategy for sustainable development of tourism that creates jobs, promotes local culture and products". The importance of sustainable tourism, as a driving force for local population, access to local culture and products is highlighted in the 12.b target of the same document. Tourism is also defined as one of the tools to "increase small economies and less developed countries by 2030" to the economic benefits of 14.7 per cent of sustainable development. Within the framework of this document, Georgia should develop a sustainable development strategy, including a tourism sustainable development action plan. This strategy will be the first long-term document that will be implemented in this country.

Key words: Tourism, sustainable development, environmental protection.

რისკების გავლენა და პროგნოზირება კომპანიათა ანტიკრიზისულ მართვაში

ინგა გიგაური
ბიზნეს ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი,
სტუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

კომპანიების ფინანსური მდგრადობა და ეფექტურად მართვა შეუძლებელია რისკების იდენტიფიცირების, თავისებურებათა შესწავლის და საწარმოო ეკონომიკურ ბრუნვაში ოპტიმალურად მორგების გარეშე. რისკების ანალიზი და პროგნოზირება საშუალებას გვაძლევს გამოვააშკარაოთ კომპანიის მენეჯმენტში სუსტი ადგილები და გამოვიმუშაოთ შემდგომი განვითარების სტრატეგიული გზები და მიმართულებები. განუსაზღვრელობის პირობებში ძლიერმა კონკურენციამ სტიქიურად მოქმედი ფაქტორების მრავალმხრივობამ და განსხვავებულობამ, რომელთა გავლენითაც ვითარდება თანამედროვე ორგანიზაციები, ასევე სხვა ობიექტურმა მიზეზებმა წარმოშვა აუცილებლობა ფინანსურ ეკონომიკურ პროცესში სისტემური მიდგომისა. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნულ მოვლენათა უგულებელყოფა უარყოფითად აისახება ფირმების (კომპანიათა) საქმიანობის შედეგებზე, მათ იმიჯზე და კონკურენტუნარიანობის დონეზე.

საკვანძო სიტყვები: რისკების იდენტიფიცირება; ფინანსური მდგრადობა; რისკების პრევენცია; რისკების საფრთხეები

შესავალი

გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც კომპანიებს ფუნქციონირება უხდებათ ერთობ არასტაბილურ და რისკფაქტორებით

მოცულ გარემოში, სულ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს მათი საქმიანობის ფინანსურ მდგრადობაზე, საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა. კომპანია გაკოტრების საფრთხეებიდან გამომდინარე მუდმივად უნდა ახდენდეს ფოკუსირებას რისკებზე, მათ იდენტიფიცირებაზე, გამოვლენასა და მათი ზემოქმედების რადიუსის მინიმუმამდე დაყვანაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნულ მოვლენათა უგულვებელყოფა უარყოფითად აისახება ფირმების(კომპანიათა) საქმიანობის შედეგებზე, მათ იმიჯზე, კონკურენტუნარიანობის დონეზე. ეკონომიკური პროცესების სწრაფად ცვლილების გამო, კომპანიათა უმეტესობა ხშირად ხვდება კრიზისულ ველში, რაც აფერხებს მათი ფინანსური მდგრადობისა და სტაბილიზაციის მდგომარეობაში ყოფნას, ამიტომ ყურადღება უნდა გამახვილდეს ნეგატიურად მომქმედი ფაქტორების დროულ გათვალისწინებაზე; მათ იდენტიფიცირებაზე; ამ დანაკარგებით გამოწვეულ რისკების შერბილებაზე და ასევე ვიმსჯელოთ როგორ დავნერგოთ თითოეული კომპანიის ბიზნეს-საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე პროგნოზირების შიდა მექანიზმები.

ძირითადი ნაწილი

კომპანიათა ფინანსური სიმყარე მეტწილად დამოკიდებულია არა მხოლოდ ანტიკრიზისული მართვის პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე, არამედ რისკების პროგნოზირებასა და მათი ზემოქმედების შერბილებაზე. ალბათ ამიტომაც ჩვეულებრივი მოვლენაა ის,რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში, კომპანითა რისკმენეჯერები, აუდიტორები დროითი რესურსების ნახევარზე მეტს, ფინანსური თუ სხვა რისკების იდენტიფიცირება- გაანალიზებაში ხარჯავენ. კომპანიათა 91%-ზე მეტი ყოველ 3 წელიწადში ერთხელ ახდენს რისკების მართვის რეორგანიზაციას და ამისათვის ცალკე ბიუჯეტს გამოყოფენ. შეგვიძლია აღნიშნული წესი განვაზოგადოთ და ვთქვათ, ყოველი ამოცანის შესრულების დროს, შესაძლებელია მოხდეს გაუთვალისწინებელი შემთხვევები, გამოვლინდეს ახალი გარემოებები,

რომლებმაც შესაძლებელია შეაფერხონ (ან სულაც შეუძლებელი გახადონ) ამოცანის მიზნების მიღწევა ან შექმნას ახალი შესაძლებლობები ორგანიზაციის განვითარებისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ "საწინააღმდეგოდ მოქმედმა ძალამ", კონკრეტულ პირობებში, ორგანიზაციისთვის შეიძლება მოახდინოს, როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი ეფექტი. მიზნების მიღწევის შესაბამისი ამოცანების დაგეგმვის დროს, საფრთხეების და შესაძლებლობების გამოვლენის კვალდაკვალ, ორგანიზაციული სტაბილურობის გაზრდისთვის და განვითარების ახალი შესაძლებლობების გამოვლენისთვის, უნდა შემუშავდეს საფრთხეების / შესაძლებლობების გამოვლენის და მათზე რეაგირების ეფექტური მექანიზმები. იხ.ნახ.№1



მეცნიერებმა ხანგრძლივი დაკვირვებების საფუძველზე გამოავლინეს სამი საუკეთესო გამოცდილება რისკების შეფასებასა და მართვაში: <დავიჭირეთ ბალანსი რისკსა და ჯილდოს შორის; ფოკუსირება მოვახდინოთ გადაწყვეტილებებზე და არა პროცესზე და განუვითაროთ თანამშრომლებს რისკ მენეჯერის თვისებები. რისკის მენეჯერების საქმიანობის პარალელურად ბევრი კომპანია ცვლის ორგანიზაციულ სტრუქტურას. მაგალითად, ზოგიერთი კომპანია იყენებს რისკ მენეჯერისა და სტრატეგიული ოფიცრის ან ოპერაციული ოფიცრის ტანდემს, მთავარი ოფიცრის ან თუნდაც იურიდიული ოფიცრის ნაცვლად. სხვა კომპანიები , რომლებსაც მანამდე რისკის მართვისთვის სხვადასხვა , უამრავი კადრი ჰყავდათ, მაგალითად, დაცვა, უსაფრთხოება, აუდიტი და ა.შ. ერთ სივრცეში ამკვიდრებენ რისკის მართვის კოორდინაციას. ამ ყველაფრის მიზანია რისკის მართვა იქცეს ერთ-ერთ მთავარ, ყოველდღიურ მენეჯმენტად. "დიდი კომპანიები ყველა გადაწყვეტილებაში ხედავენ რისკს და სწორი გათვლების შედეგად ირჩევენ ნაკლებად სარისკო ნაბიჯებს". – ეს არის საკონსულტაციო კომპანიების წამყვანი წევრის CEB-ის ბოლო კვლევა. "ისინი იყენებენ რისკების მართვას, როგორც დაცვას, და არა - როგორც შემაჩერებელ გარემოებას". CEB-ის კვლევის მიხედვით, ინგლისურ სიტყვა "risk"-ს (რისკი) აქვს იტალიური ფესვები -rischiare, რაც ნიშნავს "გაბედვას". ალბათ ეს ყველაფერი დაეხმარება "ძველი სკოლის" მიმდევარ კომპანიებს, რისკების მართვა დაინახონ, როგორც დაცვა და არა შეჩერება.

დასკვნა

ამრიგად რისკების პროგნოზირება და იდენტიფიცირების პროცესის დაწყება უმჯობესია დავიწყოთ ამოცანის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე. პრაქტიკულად იგი მიმდინარეობს პროდუქტის შექმნის და დანერგვის მთელი საციცოცხლო ციკლის განმავლობაში. პროცესებზე დაკვირვების შედეგად, მუდმივად ხდება დაგეგმილი რისკების მართვის შესაბამისი აქტივობების გადახედვა და განახლება. რისკების იდენტიფიცირების

პროცესში უნდა ჩავრთოთ, რაც შეიძლება მეტი წყაროდან მოპოვებული ინფორმაცია. ამოცანის ჩამოყალიბებასთან და მის შესრულებასთან, ფორმალურად და არაფორმალურად შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მრავალფეროვანი სისტემები და ადამიანები. განხსვავებული წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვების დაგეგმვა არის რისკების იდენტიფიცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა.ინფორმაციის მოპოვება უნდა დავიწყოთ, ამოცანასთან დაკავშირებულ მცირე ჯგუფებთან მუშაობით და მოვახდინოთ მისი შემდგომი გაფართოება. უნდა გვახსოვდეს, რომ ინფორმაციის მატარებელი სხვადასხვა წყაროები, შეიძლება იძლეოდენ ურთიერთ გამომრიცხავ ინფორმაციას. სწორედ აღნიშნული, განსხვავებული ინფორმაციის ანალიზი გვეხმარება დავადგინოთ, პრობლების გამომწვევი ძირეული წყაროები (Root Cause of The Problem) და დავგეგმოთ ეფექტური ღონისძიებები.ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება შეიძლება მოვახდინოთ შემდეგი ისტრუმენტებით:

- Brainstorming – ინტელექტუალური დებატები – იდეების განხილვის და ახალი იდეების გენერირების ჯგუფური მეთოდი. იგი ხელს უწყობს იდეების კრიტიკულ შეფასებას მონაწილეთა მხრიდან და მათ საფუძველზე ახალი შესაძლებლობების იდენტიფიცირებას;
- Delphi Techniques – ჩართული მხარეების ანონიმურად გამოკითხვის მეთოდი. იგი ხელს უწყობს განსხვავებული ინფორმაციის მოგროვებას, მათი შემდგომი ანალიზისთვის;
- Interviewing – ინტერვიუ -პროექტის მართვის ჯგუფი, დახურული და ღია კითხვარით აწარმოებს, პროექტთან დაკავშირებული პირების (Shakeholders) და დარგის სპეციალისტების (SMB -Subject Matter Experts) გამოკითხვას, რათა მოახდინოს პროექტთან დაკავშირებული საფრთხეების და შესაძლებლობების იდენტიფიკაცია;
- Root Cause Analysis – პრობლემის ძირეული მიზეზის გამოკვლევა – გვეხმარება, გამოვავლინოთ პრობლემის ძირითადი წყარო, აღვკვეთოთ მისგან გამოწვეული პრობლემების განმეორება, ვივარაუდოთ მასთან დაკავშირებული მომავალი

საფრთხეები და არ შემოვიფარგლოთ მის კერძო გამოვლილებებთან მუშაობით.

გამოყენებული ლიტერატურა/ REFERENCES:

1. https://sodrugestvo.Ru/ABOUT_US/risk/
2. http://www.Catback.Ru/articles/theory/risk/riskman.htm
3. https://www.Ozon.Ru/context/detail/id/31327444/

THE IMPACT AND PREDICTION OF RISKS IN ANTI-CRISIS MANAGEMENT OF COMPANIES

Inga Gigauri
Academic Doctor of
Business Administration,
Associate Professor of GTU

RESUME

Financial sustainability and efficient management of companies is impossible without identifying, studying peculiarities and optimally adjusting to economic turnover of risks. Risk analysis and prediction gives the possibility to identify weak areas in management of the company and outline strategic ways and directions for further development. In the case of indefinite, strong competitiveness, the diversity of differences and disadvantages of the naturally occurring factors, under impact of that are developing modern organizations, as well as other objective reasons have created the necessity for a systemic approach in the financial economical process. Otherwise, neglecting of these events will negatively affect on the results of the firms' (companies) activities, their image and competitiveness level.

Key words: Identify risks; Financial sustainability; Risk Prevention; Risk threats.

ორგანიზაციის ეფექტიანობის შეფასების სტრატეგიული მეთოდები

მაია ჩეჩელაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი, სტუ
ასოცირებული პროფესორი
ლაშა ჯინჯიხაძე,
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განიხილება ორგანიზაციის ეფექტიანობის შეფასების სტრატეგიული მეთოდები სარესურსო და საშედეგო მიდგომა, წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის დონის პარამეტრები, მ. შ. ABPA (Activity-Based Profitability Analysis), ეფექტიანობის პირამიდა, მეთოდი EVA. ავტორები თვლიან, რომ ორგანიზაციების მასშტაბის ზრდასთან ერთად იზრდებოდა და რთულდებოდა მათი სტრუქტურაც. დახვეწილი ტექნოლოგიური და საწარმოო პროცესები ახალ მოთხოვნებს წარმოშობდა კორპორაციული მმართველობითი კონტროლის წინაშე. ფინანსური მაჩვენებლები ასახავდა ადრე მიღებულ გადაწყვეტილებათა შედეგებს, მაგრამ არ შეეძლო ბიზნესის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების პროცესის ადეკვატურად აღწერა.

ავტორები მიიჩნევენ, რომ სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ინტელექტუალური პოტენციალის, ორგანიზაციის საბაზრო პოლიტიკისა და დაგროვილი ცოდნის მართვა. ამიტომაც ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების დროს დღეს აქტუალურად თვლიან სისტემურ მიდგომას, რომელიც იძლევა არსებული რაოდენობრივი მაჩვენებლების სხვადასხვაგვარი ურთიერთობის სფეროში განხილვისა და გამოყენების საშუალებას.

საკვანძო სიტყვები: ორგანიზაციის ეფექტიანობა, სტრატეგიული მეთოდი, სტრატეგიული მიდგომა, ეფექტიანობის შეფასება.

ძირითადი ტექსტი

კორპორაციული მართვის ტექნოლოგიებისა და კონცეფციების განვითარება ბოლო დროის დამხასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტრატეგიულ მართვას. მმართველობითმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ორგანიზაციის წარმატებული ფუნქციონირების საწინდარს კარგად წარმართული სტრატეგიული მენეჯმენტი წარმოადგენს, რომლის არქონა დღეს უდიდეს რისკებთანაა დაკავშირებული, ვინაიდან სტრატეგიული მიდგომის არჩევა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ორგანიზაციის ბიზნეს აქტივობას.

სტრატეგიული ანალიზის მეთოდოლოგიაზე დიდი ზეგავლეა მოახდინა შემდეგმა მეთოდებმა და მოდელებმა:

- SWOT-ანალიზი (ავტორი - კ. რ. ენდრიუსი);
- ხუთი კონკურენტული ძალის მოდელი (ავტორი - მ. პორტერი);
- სტრატეგიის შემუშავებისადმი სარესურსო მიდგომა და „საბაზისო კომპეტენციების“ კონცეფცია (ავტორები ჯ. ჰამელი და ს. პრაჰალადი).

1980--იან წლებში მოხდა მმართველობითი კონტროლის ახალი კონცეფციებისა და ინსტრუმენტების ფორმირება (მაგალითად, ხარისხის საყოველთაო კონტროლის, მოქნილი წარმოებისა და საწარმოო პროცესის რეინჟინირინგის კაიდენისეული კონცეფცია).

არასაფინანსო მაჩვენებლების გამოყენება სიახლეს არ წარმოადგენს. მაგრამ ეკონომიკური საქმიანობის ხასიათის ცვლილების პირობებში მხოლოდ ფინანსური მაჩვენებლების კონტროლი არ გამოდგა საკმარისი, როგორც ეს იყო მმართველობითი კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წლებში. ამ უკანასკნელმა დაიწყო მოქმედება ბაზრების სიმწიფისა და ტექნოლოგიების ნელი ცვლილების პირობებში, როცა ფორმირდებოდა ყველა ძირითადი ინსტრუმენტი, რომელსაც დღემდე ვიყენებთ: ბიუჯეტირება, თვითღირებულების გაანგარიშება „სტანდარტ-ქოსთ“ მეთოდით, ტრანსფერული ფასწარმოქმნა და ა. შ. მმართველობითი კონტროლის როლი დაიყვანებოდა

ორგანიზაციის ფუნქციონირების ეფექტიანობის შენარჩუნებამდე, ამდენად მენეჯერთა ყურადღების ლომის წილი მიემართებოდა დანახარჯებსა და მათი შემცირების გზების ძიებაზე. შესაბამისად, ნაკლები დრო ეთმობოდა გაყიდვების მოცულობის ზრდას.

მაგრამ ორგანიზაციების მასშტაბი იზრდებოდა, ხოლო მათი სტრუქტურა კი სულ უფრო რთული ხდებოდა. დახვეწილი ტექნოლოგიური და საწარმოო პროცესები ახალ მოთხოვნებს წარმოშობდა კორპორაციული მმართველობითი კონტროლის წინაშე. ფინანსური მაჩვენებლები ასახავდა ადრე მიღებულ გადაწყვეტილებათა შედეგებს, მაგრამ არ შეეძლო ბიზნესის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების პროცესის ადეკვატურად აღწერა.

სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა ინტელექტუალური პოტენციალის, ორგანიზაციის საბაზრო პოლიტიკისა და დაგროვილი ცოდნის მართვა. ამიტომაც დღეს ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების დროს აქტუალური ხდება სისტემური მიდგომა, რომელიც იძლევა არსებული რაოდენობრივი მაჩვენებლების სხვადასხვაგვარი ურთიერთობის სფეროში განხილვისა და გამოყენების საშუალებას.

აქ ჩვენ განვიხილავთ რამოდენიმე ყველაზე გავრცელებულ სტრატეგიულად ორიენტირებულ მიდგომას.

მეთოდი BSC

მეთოდი BSC (Balanced Scorecard) - ესაა მაჩვენებელთა დაბალანსებული სისტემა (მაგალითად: დაბალანსებული საანგარიშო ბარათი, შეფასების ინდიკატორთა დაბალანსებული ბარათი, ეფექტიანობის მაჩვენებელთა დაბალანსებული სისტემა, ა. შ.), რომელსაც ორგანიზაციის მისია და საერთო სტრატეგია მაჩვენებელთა სისტემაში გადაყავს.

BSC შეიძლება განვიხილოთ, როგორც საქმიანობის ანალიზის მაჩვენებელთა სისტემა, რომლებიც დაჯგუფებულია ორგანიზაციის მუშაობის ოთხი ასპექტის შესაბამისად: ფინანსები, კლიენტები, შიდა ბიზნეს-პროცესები, სწავლება-გა-

ნვითარება. თითოეულ პერსპექტივაში კაპლანი და ნორტონი გვთავაზობენ სტრატეგიული მიზნებისა და ამ მიზანთა მიღწევაზე ზემოქმედი კრიტიკული ფაქტორების განსაზღვრას, რათა შემდგომში არა მარტო განისაზღვროს დასახული ფინანსური მაჩვენებლების მიღწევის დონე, არამედ გამოიკვეთოს კლიენტებთან ურთიერთობაში მიღწეული პროგრესი (მაგალითად, ლოიალობის ინდექსის მიხედვით); საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა (პროდუქციის მომზადების სასიცოცხლო ციკლის შემცირება); არამატერიალური აქტივების მდგომარეობის კონტროლი. მეთოდის ავტორთა მიერ დღეს შემუშავებულია ფუნქციური სტანდარტები (მოთხოვნათა მინიმალური ნაკრები) - საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის მქონე ექვსი აუცილებელი ელემენტი, რომლებიც ახორციელებენ BSC-სისტემის მხარდაჭერას:

1) პერსპექტივები (perspectives) - კომპონენტები, რომელთა დახმარებით ხდება სტრატეგიის დეკომპოზიცია მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით;

2) სტრატეგიული მიზნები (objectives) - რომლებიც განსაზღვრავს, რომელი მიმართულებით იქნება გამოყენებული სტრატეგია;

3) მაჩვენებელები (measures) - ითვალისწინებს განსაზღვრულ ქმედებებს, რომელბიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად და მიუთითებს, როგორ იქნება განხორციელებული სტრატეგია ამა თუ იმ დონეზე;

4) მიზნობრივი მნიშვნელობა (targets) - იმ დონის რაოდენობრივი მაჩვენებელი, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ესა თუ ის მაჩვენებელი;

5) მიზეზ-შედეგობრივი კავშირები (cause and effect linkages) - ერთიან ჯაჭვად აკავშირებენ ორგანიზაციის სტრატეგიულ მიზნებს ისე, რომ ერთი მიზნის მიღწევა განაპირობებდეს გარკვეულ პროგრესს მეორის მიღწევაში;

6) სტრატეგიული ინიციატივები (strategic initiatives) - პროექტები ან პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობენ სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

სტრატეგიული მართვა, როგორც რეალური პროექტი, აუცილებლად მოითხოვს გაზომვასა და შეფასებას, რათა რამოდენიმე ალტერნატივიდან განხორციელდეს ოპტიმალური სტრატეგიის არჩევა და რეალიზება. ამ თვალსაზრისით BSC-მეთოდს შეუძლია იქცეს სტრატეგიული გაზომვის შესანიშნავ სისტემად.

სარესურსო და საშედეგო მიდგომა

სარესურსო და საშედეგო მიდგომა - ერთერთი ყველაზე გავრცელებულია, რის მიზეზსაც ნაწილობრივ წარმოადგენს ბიზნესის ორგანიზაციის სპეციფიკა. ეს მიდგომა ინტეგრირებული სტრუქტურების ეფექტიანობის ანალიზისათვის ყველაზე უფრო გამოსადეგია, ვინაიდან სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების ერთიან სტრუქტურაში გაერთიანების საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, ერთი პროექტის ფარგლებში იგი წყვეტს დივერსიფიკაციის, ინტელექტუალური და ფინანსური სახსრების აკუმულირების საკითხებსაც.

სარესურსო მიდგომით ეფექტიანობის შეფასება იძლევა საშუალებას, დავაკავშიროთ ერთმანეთთან ეკონომიკურ სისტემათა პარამეტრები - მათი ფუნქციონირების საბოლოო შედეგებთან; ხოლო სარესურსო შესაძლებლობები - მათი გამოყენების შედეგებთან. ორგანიზაცია მით უფრო ეფექტიანია, რაც უფრო დაკმაყოფილებულია მასში ჯგუფური და ინდივიდუალური ინტერესები.

ამდენად, ინტეგრირებული სტრუქტურის ეფექტიანობის ინტეგრირებული მაჩვენებლები შეიძლება წარმოვიდგინოთ ფუნქციის სახით:

$$\mathbf{F}_{\text{ინტეგრალური}} = f\,(F_1, F_2, F_3)\,,$$

სადაც F_1, F_2 და F_3 წარმოადგენს მაჩვენებელთა ჯგუფებს.

წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის დონის პარამეტრები, მ. შ. ABPA (Activity-Based Profitability Analysis)

ორგანიზაციის ეფექტიანობის შესაფასებლად მ. მარშალმა შეიმუშავა ABPA (Activity-Based Profitability Analysis) მეთოდი, რომელიც წარმოადგენს რენტაბელობის პროცესზე ორიენტირებულ ანალიზს. მოცემული მეთოდი გულისხმობს შემოსავლების შეფარდებას ბიზნეს-პროცესებთან და და ცალკეულ მომხმარებელთან. იგი გვაძლევს დეცენტრალიზებული სტრატეგიის შემუშავების საშუალებას, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია იმ მსხვილი ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ქმნიან მრავალფეროვან პროდუქციას ბაზრის სხვადსხვა სეგმენტისათვის.

სხვა ანალოგებისაგან განსხვავებით, ABPA მეთოდიკისათვის დამახასიათებელია კონკრეტული პროდუქციის რენტაბელობის განსაზღვრა, ამით მათთვის რეკომენდაციის გაწევა გასაყიდად ანდა მათზე ფასნამატის დაწესება-არდაწესების შესახებ. კლიენტებთან ურთიერთობა მეთოდიკაში განხილულია, როგორც შემოსავალი, რომელსაც ორგანიზაცია ღებულობს კლიენტისგან პროცესების თვითღირებულების გამოკლებით.

ეფექტიანობის პირამიდა

1993 წელს კ. მაკნეირმა, რ.ლანჩმა, კ. კროსმა წარმოადგინეს მოდელი, რომელსაც უწოდეს „ეფექტიანობის პირამიდა“. ისევე, როგორც სხვა მოდელებში, ძირითად კონცეფციას აქ წარმოდგენს კავშირი კლინტზე ორიენტირებულ კორპორაციულ სტრატეგიასა და ფინანსურ მაჩვენებლებს შორის, რომლებსაც ემატება რამოდენიმე ხარისხობრივი (არასაფინანსო) მაჩვენებელი. ტრადიციული მმართველობითი ინფორმაცია უნდა გამომდინარეობდეს მხოლოდ ზედა დონიდან. ეფექტიანობის პირამიდა აგებულია სამრეწველო რეინჟინირინგის ხარისხის გლობალური მართვის კონცეფციაზე (TQM - Total Quality Management).

ეფექტიანობის პირამიდა უჩვენებს ორგანიზაციის სტრუქტურას ოთხ სხვადასხვა საფეხურზე, რომელიც უზრუნვე-

ლყოფს მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისათვის აუ-ცილებელ ორმხრივ კომუნიკაციებს. მიზნები და მაჩვენებლები აკავშირებენ ორგანიზაციის სტრატეგიას მის ოპერატიულ საქ-მიანობასთან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიზნები გადაეცე-მა ზევიდან ქვევით, მაშინ როდესაც მაჩვენებლები ქვევიდან ზევით გროვდება:

• ზედა დონეზე ორგანიზაციის მმართველობა ახდენს კორ-პორაციული ხედვის ფორმულირებას;

• მეორე დონეზე ფორმირდება ქვედანაყოფების მიზნები კო-ნკრეტული ბაზრისა თუ ფინანსური მაჩვენებლების შესაბამი-სად;

• მესამე, ფაქტობრივად არაორგანიზაციულ, დონეზე მიზნე-ბი და ფუნქციები ორიენტირებულია კლიენტების მოთხოვნი-ლებათა დაკმაყოფილებასა და საწარმოს მოქნილობაზე, ამდე-ნად იგი წამოადგენს დამაკავშირებელ რგოლს პირამიდის ზედა და ქვედა დონეებს შორის;

• პირამიდის ფუძეში, ანუ ოპერაციების სფეროში, ქმედებები ფასდება ყოველდღიურად ანდა ყოველკვირეულად.

გასაგებია, რომ პირამიდის ზედა ნაწილში დომინირებს გრძე-ლვადიანი ფინანსური შეფასებები. ამდენად, კორპორაციული მართვის ეს მოდელი უჩვენებს, რა უდევს საფუძვლად ფინან-სურ შეფასებას და რა მართავს მას.

მეთოდი EVA

EVA (Economic Value Added, ავტორი სტუარტ შტერნი) – ეს არის ეკონომიკური დამატებული ღირებულება, ანუ ფინანსური მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს საწარმოს ფაქტიურ ეკონომიკურ მოგებას. იგი გამოითვლება შემდეგნაირად:

EVA = წმინდა ოპერაციული მოგება - კაპიტალის ღირებულება

ამ სისტემაზე დაყრდნობით მართვის მიზანია კომპანიის მო-გების მატება. მოცემული კონცეფციის სხვებისგან (მაგალითდ, BSC) განსხვავება მდგომარეობს არა ნებისმიერი, არამედ გან-

საზღვრული მიზნის ჩამოყალიბებაში, ხოლო კონცეფციის საფუძველს კი შემდეგი პრინციპები წარმოადგენს:

1. მფლობელები ახდენენ კაპიტალის ინვესტირებას მოგების მიღების მიზნით;

2. კომპანია შექმნილია დამატებითი შემოსავლების მისაღებად;

3. შესაბამისი მოტივირების მეშვეობით კომპანიის პერსონალი მიმართულია სააქციო ღირებულების მომატებაზე.

EVA მაჩვენებელზე დაფუძნებული მართვის სისტემა ეყრდნობა მაჩვენებლის მათემატიკურ ფორმულას. ფორმულის მდგენელთა განსაზღვრის შემდეგ შესაძლებელი ხდება „მიზანთა ხის" აგება და მათ მიღწევაზე პასუხისმგებელი პირების გამოყოფა.

EVA მაჩვენებელზე დაფუძნებული მართვის სისტემის დანერგვის შედეგს სტუარტი და შტერნი განსაზღვრავენ ე. წ. 4M-ით:

1) გაზომვა (Measurement);

2) მართვის სისტემა (Management system);

3) მოტივაცია (Motivation);

4) აზროვნების სტილი (Mindset).

მოცემული სისტემის ძირითად ნაკლოვანებას წარმოადგენს ის, რომ EVA-მაჩვენებლისა და ანაზღაურების მჭიდრო კავშირმა შესაძლოა გამოიწვიოს მოკლევადიანი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მოკლევადიან მიზანზე იქნება მიმართული.

დასასრულ, დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ განხილულთაგან ნებისმიერი მიდგომა საკუთარ მოთხოვნებს აყენებს დროითი ანდა სხვა დანახარჯებისადმი. ჯამში კი, ნებისმიერი მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, შესაძლოა მსგავსი სტრატეგიების გამომუშავება. ამდენად, კონკრეტული შეფასების სისტემის არჩევა დამოკიდებულია არსებულ მონაცემებზე, მათ ხელმისაწვდომობასა და ინფორმაციის შეკრების ღირებულებაზე.

მეთოდების ორგანიზაციებში დანერგვის პრაქტიკული ღირებულება შემდეგნაირად გვესახება:

1. გრძელვადიანი და სტაბილური კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა და მუდმივი შენარჩუნება;

2. ორგანიზაციისათვის მაქსიმალური მოქნილობის უზრუნველყოფა მაჩვენებელთა სისტემის მეშვეობით მიღებული ობიექტურ მონაცემებზე დაყრდნობით;

3. მიღებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა როგორც შიდა, ასევე გარე მონაცემებზე დაყრდნობით;

4. ორგანიზაციის მართვის ეფექტიანობის ზრდა საკვანძო კომპატენციებზე დაყრდნობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Kaplan Robert S., Norton David P. Balanced Scorecard. From strategy to action / https://www.hbs.edu/faculty/Publication%20Files/10-074_0bf3c151-f82b-4592-b885-cdde7f5d97a6.pdf

2. Meyer, Marshal V. Evaluation of business performance http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.105.7194&rep=rep1&type=pdf

3. Niven, Paul R., The Balanced Scorecard - step by step: Maximum efficiency increase and consolidation of the results/ http://www.vra.com/vralibrary/ebooks/Balanced_Scorecard_Step_by_Step.pdf

4. Nils-Goran Olwe, Jean Roy, Magnus Wetter. Evaluation of the effectiveness of the company. Practical guidance on the use of a balanced scorecard/ https://www.wiley.com/en-ge/Performance-+Drivers:+A+Practical+Guide+to+Using+the+Balanced+Scorecard-p-9780471495420

STRATEGIC METHODS OF EVALUATING THE EFFICIENCY OF THE ORGANIZATION

Maia Chechelashvili,
Doctor of Economics,
Associate professor of GTU,
Lasha Jinjikhadze,
The Doctoral Student of GTU

RESUME

The article discusses the strategic methods of evaluating the effectiveness of the organization's performance and resource approach, the level of organization and management organization level, including APPA (Activity-Based Profitability Analysis), efficiency pyramid, method EVA. The authors believe that the growth of the organizations grew and their structure was difficult. The sophisticated technological and manufacturing processes brought the new requirements before corporate governance control. Financial indicators reflected the results of previous decisions, but could not adequately describe the long-term strategic development process of business.

The authors believe that increasing the importance of intellectual potential, organization's market policies and accumulated knowledge. Therefore, when evaluating the effectiveness of an organization, a systematic approach is now considered relevant, which makes it possible to apply and consider quantitative indicators in the field of various relationships.

Keywords: Efficiency of the organization, strategic method, strategic approach, evaluation of efficiency.

ჩინეთის ეკონომიკური ფენომენი

ანა ლომაია,
კახა ყიფიანი
თსუ სტუდენტები,

რეზიუმე

ჩინეთი ჯერ კიდევ უდიდეს კომუნისტურ სახელმწიფოდ რჩება, სადაც სოციალისტური დაგეგმარება და ეკონომიკა ქვეყნის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორს წამოადგენს. მაო ძე-დუნის ხელისუფლებაში მოსვლა რევოლუციური ბრძოლის დაწყების ეპიკური მაგალითია, სადაც მასობრივი მოძრაობა დაბალი ფენების ხარჯზე დაიწყო. მეოცე საუკუნის შუა პერიოდი აზიის ამ უდიდესი სახელმწიფოსთვის სრულიად ახალ პოლიტიკურ სისტემაზე გადასვლას ასახავს. ჩინეთში თანდათანობით ყალიბდება მარქსისეული ეკონომიკის მოდელი, რომელშიც ხალხის მთავარი მტერი არა მონოპოლისტი კაპიტალისტი, არამედ გამდიდრებული და ხარბი მიწათმფლობელია. დღესდღეობით, ჩინეთი მკაცრად კომუნისტურ სახელმწიფოს აღარ წარმოადგენს, მასში სოციალისტური კაპიტალიზმის ფორმა შეერწყა, რამაც დასაბამი სრულიად ახალ, ყველასგან განსხვავებულ პოლიტიკურ სისტემას მისცა.

საკვანძო სიტყვები: ჩინეთის ეკონომიკა; სოციალიზმი; დაგეგმარება; ბაზარი

ძირითადი ტექსტი

დღესდღეობით ჩინეთის მთავარ საექსპორტო პროდუქციას მარცვლეული, ბრინჯი და ბამბა წარმოადგენს. აგრეთვე, იგი აწარმოებს დიდი რაოდენობის ჩაის, ხორცის პროდუქტებს, მსუბუქი მრეწველობის პროდუქციასა და მინერალებს. ქვეყნის მთლიანი ბიუჯეტი 224,800 მლნ dolarს შეადგენს. [1]

სოციალისტურ ქვეყანას კაპიტალისტური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელ ამგვარ შედეგებამდე მარტივად არ მიუღწევია. იმისთვის, რომ ჩინური ეკონომიკისათვის ფენომენი გვეწოდებინა, მან განვითარების სხვადასხვა საფეხური განვლო. გარდამტეხი პერიოდი ჩინეთის კულტურული რევოლუციაა, რომელიც ორ ეტაპად იყოფა: პირველ ეტაპზე ჩინეთის ცხოვრებაში არსებული ყოველგვარი „დეკადენტური" გააქრეს. იმისათვის, რომ ამ მიზანს მიეღწია, მაომ ყველა სკოლა დახურა და თავის ახალგაზრდა მიმდევრებს, რომელთაც წითელ გვარდიას უწოდებდნენ, მოუწოდა ბიუროკრატიული ხელისუფლებისა და დამკვიდრებული პრივილეგიებზე იერიში მიეტანათ. მთელი ქვეყნის მასშტაბით მილიონობით მაოისტი გამოდიოდა. ეს გამოსვლები მრავალი კვირის განმავლობაში აშინებდა და ართობდა გარესამყაროს. მაშინ, როცა ეს არეულობა დასრულდა, რევოლუციის ფაზამ მიაღწია იმას, რაც მაოს თავიდანვე განზრახული ჰქონდა: წითელმა გვარდიამ რესპუბლიკის ბიუროკრატიული ინსტიტუტების უმრავლესობა დაანგრია და მათ ხელისუფლებასა და გამოცდილებას ძალა დაუკარგა. ხალხი ძალიან დაიღალა საჯარო დამცირებებითა და მართული ანარქიით. ტაძრები და ისტორიული სიმდიდრეები განადგურებული იყო, ისევე, როგორც პარტია, მთავრობა და შეირაღებული ძალები.

მოსალოდნელი იყო, რომ კულტურული რევოლუციის მეორე ეტაპი ნაკლებ წარმატებული იქნებოდა, ვიდრე პირველი. მეორე ეტაპისაგან განსხვავებით, პირველი მეტწილად ნეგატიური იყო იმ გაგებით, რომ მის მიზანს არსებულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წესრიგში ერთგვარი არასასურვილი ელემენტების განადგურება წარმოადგენდა. მეორე ეტაპი პოზიტიური ქმედებისაკენ მოუწოდებდა, რათა წარსული წყობა ახლითა და უკეთესით შეცვლილიყო. სამწუხაროდ, ეკონომიკა, განსაკუთრებით ქალაქებში, ძლიერ შერყეული იყო. სკოლები, რომელიც მაოს ახალი რევოლუციური წყობისათვის დაიხურა, აღარ გახსნილა თვეების ან წლების განმავლობაში. შედეგად, ჩინელი ახალგაზრდობის მთელმა თაობამ ვერ შეიძინა ის ცოდნა და

უნარები, რომლებიც ქვეყნის განვითარებად ეკონომიკას ასე სჭირდებოდა. კულტურული რევოლუციის საბოლოო ფასის განსაზღვრა შეუძლებელია. თუმცა ერთი ფაქტი ცხადია: მაოს დაუღალავი მცდელობა, დაემტკიცებინა, რომ ადამიანის ბუნება უკიდურესად მოქნილი იყო და, შესაბამისად, საზოგადოების სრულყოფაც დაუსრულებლად შეიძლებოდა, პოლიტიკური რეალობის კლდოვან ნაპირს შეეჯახა. 1976 წელს მისი სიკვდილით თანამედროვე სამყაროს პოლიტიკური ისტორიის უნიკალური თავი დასრულდა. [2]

რეალურად, მაო ძე-დუნის მიზანს ღარიბ გლეხობაზე აქცენტირება წარმოადგენდა, ვინაიდან მათ ხარჯზე უტოპიური, უკლასო საზოგადოება ჩამოყალიბდებოდა. პოლიტიკოსმა ქვეყანაში ე.წ „დიდი ნახტომის პოლიტიკის“ გატარება დაიწყო, რაც სრულ საზოგადოებრივ მობილიზაციას გულისხმობდა. სწრაფი და უკომპრომისო ცვლილებების შედეგად, ჩინეთის ეკონომიკაში გარკვეული ხარვეზები წარმოიშვა, კერძოდ, 1960-იან წლებში ქვეყნის ეროვნული პროდუქცია ერთი მესამედით შემცირდა. [3]

მაოს მმართველობის დასაწყისში სახელმწიფო დირექტივებს საბჭოთა კავშირისგან იღებდა, ასრულებდა 5 წლიან გეგმებს და ცდილობდა კომუნისტური რეჟიმის უფრო მეტად განმტკიცებას. 50-იან წლებში, ასევე, განხორციელდა მიწების კოლექტივიზაცია, შემდგომში კი ნაციონალიზაცია. სახელმწიფო აპარატმა სრული კონტროლი დაამყარა საზოგადოებაზე. 1956 წლიდან ერთგვარი შეუთანხმებლობა ჩნდება სსრკსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობებში, რის შედეგადაც მაო ძე-დუნმა სრულიად ახალი ეკონომიკური მოდელი დანერგა, რომელიც ორიენტირებული იყო სოფლის მეურნეობის განვითარებაზე.

თანამედროვე ჩინეთის ეკონომიკას ერთ-ერთი წამყვანი როლი აქვს მსოფლიოში, რაც შესაძლოა, რამდენიმე მიზეზით იყოს განპირობებული. პირველი ფაქტორი, მთლიანი შიდა პროდუქტია, რომლის მოცულობამ 2010 წლის კვლევების მიხედვით, 1. 337 ტრილიონი დოლარი შეადგინა, იაპონიის 1.228 ტრილიონთან შედარებით. [4]

თანამედროვე პერიოდს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ 2018 წლის ანგარიშებით, ჩინეთში მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი (მშპ) 6.5 პროცენტია, რაც მეტყველებს მაღალ ხარისხსა და ეფექტურობაზე. ამავე წელს გამართულ სახალხო კონგრესზე ჩინეთის პრემიერმინისტრმა, ლი ქეციანგმა ეკონომიკურ გამოწვევებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ქვეყანა სტაბილიზაციისა და განვითარების გზას აუცილებლად განაგრძობს. ანგარიშში ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ მშპ-ის 2017 წლის მაჩვენებელმა მოსალოდნელს გადააჭარბა და 6.7% შეადგინა. [5]

დღეს გლობალიზებული ჩინეთის პოლიტიკის მთავარი ვექტორი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა და ისეთი სფეროებიც ვითარდება, როგორებიცაა ტელეკომუნიკაცია, ჯანდაცვა, განათლება, ენერგეტიკული სატრანსპორტო საშუალებები და ა.შ.

1990-იანი წლების დასაწყისში ჩინეთის მთავრობამ ახალი პოლიტიკის დაწყება დააანონსა, რომელსაც „ტექნოლოგია ბაზრის სანაცვლოდ“ ეწოდებოდა. ამ მიდგომის თანახმად, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს ადგილობრივი ბაზრის ნაწილი დაეთმობოდათ, ისინი კი ჩინეთს უცხოურ ტექნოლოგიებს მიაწვდიდნენ. დასავლურმა კორპორაციებმა იაფი მუშახელით სა-

რგებლობა გადაწყვიტეს და ჯერ წარმოება, შემდეგ კი სამეცნიერო ცენტრები ჩინეთში აქტიურად შეიტანეს. ასევე, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ჩინური წარმოება იაფ ტანსაცმელთან და კონტრაფაქტთან ასოცირდებოდა. დღეს ჩინური კონვეიერებიდან ყველაზე პოპულარული ელექტრონული გაჯეტები გამოდის. ქვეყანაში 70-ზე მეტი სამეცნიერო-ტექნიკური ზონა ფუნქციონირებს იმ სპეციალისტებისთვის, რომლებმაც განათლება უცხოეთში მიიღეს. [6]

ეკონომიკურ პოლიტიკაში პეკინმა სპეციფიკური მიდგომაა აირჩია. სისტემური რეფორმები ჩინეთმა არა პოლიტიკური, არამედ საბაზრო ცვლილებებით დაიწყო, ამ პირობებში კი, ავტორიტარული რეჟიმი მაინც შეინარჩუნა. თავდაპირველად ჩინეთმა ფასების დერეგულაცია მოახდინა, ახლა კი თანმიმდევრულად მისდევს ეკონომიკურ ლიბერალიზაციას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ექსპორტის მკვეთრი ზრდა ჩინეთის ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითად საკვანძო ფაქტორს წარმოადგენს. ჩინურ საქონელს ბევრი უპირატესობა გააჩნია, თუმცა, ამასთანავე, სახელმწიფო დამატებით ასტიმულირებს ექსპორტზე ორიენტირებულ მეწარმეობას. ქვეყანა საგარეო ბაზარზე მიმართულ საწარმოებს დაბალი გადასახადებითა და კრედიტებით უზრუნველყოფს, რაც კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს ეკონომიკურ მდგრადობას.

2017 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ მსოფლიოში წამყვან ეკონომიკებს შორის მეორე ადგილი დაიკავა. 12,2 ტრილიონი დოლარის მშპ-ს ოდენობით ის მთელი 7 ტრილიონით ჩამორჩება ლიდერ ამერიკას, თუმცა ამავე 7 ტრილიონით აღემატება მესამე პოზიციაზე მყოფ იაპონიას, რაც რეგიონში ლიდერობის განმტკიცების მთავარ ფაქტორადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ. ზრდის ტემპები ამით არ დასრულებულა და 2018 წელს სახელმწიფომ ორიენტირი სამომხმარებლო ბაზარზე გააკეთა. ამ წლის მონაცემებს თუ დავეყრდნობით, ვნახავთ, რომ უმუშევრობის მაჩვენებელი ჩინეთში 5%-ია, ინფლაცია კი 2.1%. [7]

ჩინეთის სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, პირველ რიგში, იაფი სამუშაო ძალის დიდ რაოდენობას უკავშირებენ. ეს ახსნა სრულ-

ფასოვანი არაა, რადგან იაფი მუშახელი ჩინეთს მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდეც ჰყავდა, თუმცა ქვეყანა, ფაქტობრივად, ვერ ვითარდებოდა. 1980 წელს ჩინეთის მოსახლეობის 80% სოფელში ცხოვრობდა, 2014 წლისთვის კი სოფელში მცხოვრებთა წილი 50%-მდე შემცირდა. ბოლო წლებში ჩინეთი მსოფლიო მრეწველობის ცენტრად იქცა: მისი პროდუქციის ექსპორტმა 2.2 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა და მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა. ჩინეთში ყოველწლიურად 100 მილიარდი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შედის. ბოლო წლებში ქვეყანამ მნიშვნელოვნად გაზარდა ინვესტიციები ტექნოლოგიებში, იმ იმედით, რომ ჩინური პროდუქცია თანდათანობით მაღალტექნოლოგიურ სექტორებშიც კონკურენტუნარიანი გახდება. [8]

დასკვნა

ჩინეთის ეკონომიკურ წარმატებას, როგორც უკვე აღინიშნა, კერძო სექტორზე აქცენტირება წარმოადგენს. პოლიტიკური და იდეოლოგიური პლატფორმა, როგორც წესი, არ აისახება სახელმწიფოს ბაზარზე ორიენტირებულ მიზნებზე. უნდა ითქვას ისიც, რომ სამთავრობო არასტაბილურობები, რომელიც საკმაოდ ხშირი იყო მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, შედარებით მოქნილმა პოლიტიკურმა სისტემამ ჩაანაცვლა. თუმცაღა, თანამედროვე ექსპერტების უმრავლესობა კორუფციას ჩინეთის მთავარ მტრად ასახელებს, რაც ლოგიკასთან საკმაოდ ახლოს დგას. მმართველი კომუნისტური პარტია, რაღაც კუთხით, ისევ აკონტროლებს საზოგადოებრივ აზრს, რაც დემოკრატიულობის ხარისხს კიდევ უფრო ამცირებს. აღნიშნული ფაქტების გაერთიანების საფუძველზე, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ჩინეთი ერთგვარ ფენომენს წარმოადგენს და მისი ანალოგის მოძებნა მსოფლიოში უბრალოდ შეუძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://en.wikipedia.org/wiki/China
2. თომას მაგშტადტი, გავიგოთ პოლიტიკა, გვ. 148
3. თომას მაგშტადტი, გავიგოთ პოლიტიკა, გვ. 248
4.https://www.amerikiskhma.com/a/article-101167144/53-1014.html
5. https://sinomedia.ge/economy-of-china/
6. https://bpi.ge/chinetis-ekonomikuri-saswaulis-7-mizezi/
7. https://www.bpn.ge/article/43329-chinetis-ekonomika-mso-plioshi-kvlav-meorea-ashsh-ki-isev-pirveli/
8. http://forbes.ge/news/816/msoflios-rva-yvelaze-swrafad-mzardi-ekonomika

REFERENCES:

1 . https://en.wikipedia.org/wiki/China
2. Thomas Magstadt, understanding politics, page 148
3. Thomas Magstadt, understanding politics, page 248
4.https://www.amerikiskhma.com/a/article-101167144/53-1014.html
5. https://sinomedia.ge/economy-of-china/
6. https://bpi.ge/chinetis-ekonomikuri-saswaulis-7-mizezi/
7.https://www.bpn.ge/article/43329-chinetis-ekonomika-mso-plioshi-kvlav-meorea-ashsh-ki-isev-pirveli/
8. http://forbes.ge/news/816/msoflios-rva-yvelaze-swrafad-mzardi-ekonomika

CHINA'S ECONOMIC PHENOMENON

Ana Lomaia, Kakha Kipiani
Bachelor Students of Political Science, TSU

RESUME

China is still the communist country, where the socialist system and capitalist economy are the main factors of its successes. Mao Zedong took main power to govern the country. This case is an epic example of starting revolutionary fight. This fight was started by low social layers. In the middle of XX century China changed its political system. In this period, in China there was Marxist economy model. At this time, the main enemy of people was not monopolist capitalist, but - enriched and greedy landowner. Today China is not strictly the communist state. In this country there is synthesis of socialism and capitalism. This synthesis has been the start of the new political system, which is very different from all political systems.

Key words: Chinese economy; socialism; planning; market.

ტრანსნაციონალური კორპორაციების უარყოფითი და დადებითი გავლენები

ლია ბაღდოშვილი,
მარიამ კოზოლაშვილი
თსუ სტუდენტები

რეზიუმე

ტრანსნაციონალური კორპორაციები, დიდი სამეწარმეო კორპორაციებია, რომლებიც ბიზნეს საქმიანობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ახორციელებენ. ტრანსნაციონალური კორპორაციები გლობალიზაციის ნათელი მაგალითია, რომელსაც როგორც დადებითი ასევე ბევრი უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მესამე მსოფლიოს ქვეყნებზე, განვითარებად სახელმწიფოებზე. ხშირად ვხვდებით მუშათა ექსპლუატაციის, არასათანადო სამუშაო გარემოს და ძალიან დაბალ ხელფასს, გარემოს დაბინძურების რისკების ზრდას. რაც შეეხება დადებით ასპექტებს ტრანსნაციონალური კორპორაციები განვითარებად ქვეყნებში ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს, ნერგავენ თანამედროვე ეკონომიკურ სტანდარტებს იზრდება ექსპორტი.

საკვანძო სიტყვები: ტრანსნაციონალური კორპორაცია, გლობალიზაცია, ეკონომიკა, განვითარებადი ქვეყნები.

შესავალი

ტრანსნაციონალური კომპანია დიდი საერთაშორისო კორპორაციაა, რომელსაც აქვს დიდი ბიუჯეტი და თავის საქმიანობას მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში ეწევა. ასეთი კომპანიები დიდ გავლენას ახდენენ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, ისევე, როგორც ადგილობრივ ეკონომიკაზე.

როგორც წესი, სათაო ოფისები დიდ მდიდარ ქალაქებში მდებარეობს, ხოლო საწარმოები შედარებით დაბალი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებში და პერიფერიულ რეგიონებში. კორპორაციები კონცენტრირებულნი არიან პროდუქტის დაბალ ფასად წარმოებაზე,შესაბამისად, ირჩევენ ისეთ ქვეყნებს, რომ-

ლებშიც შეძლებენ იაფი მუშახელის დაქირავებას. ტრანსნაციონალურ კორპორაციას გააჩნია სათაო ოფისი ერთ სახელმწიფოში და ფილიალები სხვა სახელმწიფოებში.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ტრანსნაციონალური კორპორაცია კარგ ზეგავლენას უნდა ახდენდეს მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე, ხშირად ვაწყდებით საპირისპირო შედეგებს.

ამ სამეცნიერო სტატიის მიზანია, აღწეროს ტრანსნაციონალური კორპორპორაციების დადებითი და უარყოფითი გავლენები განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე.

ძირითადი ნაწილი

როგორც უკვე აღვნიშნეთ ტრასნაციონალურ კომპანიებს განვითარებად ქვეყნებზე შეიძლება ჰქონდეთ როგორც დადებითი ისე უარყოფითი გავლენა. მოგებისთვის ტრასნაცონალურ კომპნიებს სჭირდებათ იაფი მუშახელი და ადვილად მოპოვებადი ნედლეული, ამიტომ მესამე მსოფლიოს ქვეყნები უფრო მიმზიდველია მათთვის. ისინი ასაქმებენ ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებიც დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან და სთავაზობენ ისეთ ანაზღაურებას, რომლითაც მხოლოდ პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა შესაძლებელი. მათი სამუშაო პირობები მკვეთრად განსხვავდება სტანდარტებისგან.

ადგილი, სადაც დასაქმებულებს უწევთ მუშაობა არის საზიანო ჯანმრთელობისთვის, ასევე გასათვალისწინებელია სამუშაო დროის ხანგრძილოვობა. ხშირ შემთხვევაში კომპანიები მათ არ სთავაზობენ ჯანმრთელობის დაზღვევას.

მკვლევარების დასკვნით ტრანსნაციონალური კომპანიების ქვეყანაში შემოსვლა მხოლოდ მაღალი სოციალური ფენისთვის იქნება მომგებიანი და ეს არ შეცვლის დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლების ცხოვრებას უკეთესობისკენ. არის შანსი, რომ პირირიქით ის გაუარესდეს კიდეც.

მაგალითად ინდონეზიაში არის "დონგ ჟოეს" ფეხსაცმლის ფაბრიკა, სადაც იკერება ბრენდი "რიბოკის" სპორტული ფეხსაცმელი. აქ დასაქმებული ადამიანების თვიური ხელფასი 39 დოლარს

შეადგენს. ეს თანხა კი რიბოკის ერთი წყვილი ფეხსაცმლის მთელი ღირებულების ნახევარიც არ არის.

ტრანსნაციონალური კომპანიები ამ გზით ცდილობენ თავი აარიდონ გადასახადებს და ირჩევენ ისეთ ქვეყნებს, სადაც ტარიფები დაბალია.

მიუხედავად იმისა, რომ ტნკ-ს (ტრანსნაციონალური კომპანია) მიმღები ქვეყნისთვის მოაქვს გარკვეული მოგება, მას ასევე ადვილად შეუძლია ამ შემოსავლის წყაროს სურვილის შემთხვევაში შეწყვეტა, ვინაიდან მას არანაირი პასუხისმგებლობა არ გაჩნია ქვეყნის მიმართ. ისინი გადაწყვეტილებებს იღებენ დამოუკიდებლად მათი დამფუძნებელი ქვეყნის სტანდარტების მიხედვით და არ ითვალისწინებენ მასპინძელი ქვეყნის მოთხოვნებს. თუ ეკონომიკური კლიმატი არსებულ ქვეყანაში წამგებიანი იქნება მისი ბიზნესისთვის ის ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დატოვებს სახელმწიფოს.

რაც უფრო მეტ მოგებას ნახულობს ტრანსნაციონალური კომპანია მით უფრო მეტ პროდუქტს გზავნიან მშობლიურ ქვეყანაში , რაც კიდევ უფრო ზრდის ეკონომიკურ განსხვავებას განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის. მაგალიათად კომპანია „ნაიკი“ ინდოეთში და ვიეტნამში აწარმოებს საკუთარ პროდუქციას, დაბალანაზღაურებადი მუშახელის და მცირე გადასახადების გამო. იქ მიღებული შემოსავალი არანაირად არ ხმარდება მასპინძელ ქვეყანას, არამედ ბრუნდება მშობლიურ ქვეყანაში, რათა განავითარონ უფრო მაღალი ტექნოლოგიები.

ტრანსნაციონალური კომპანიების ნეგატიური გავლენა არ აისახება მხოლოდ იქ დასაქმებულ ადამიანებზე, არამედ ასევე ქვეყნის ეკოლოგიაზე. როგორც უკვე ვიცით ფაბრიკა-ქარხნები აზიანებენ ადგილობრივ გარემოს გამონაბოლქვით და ნარჩენებით. ხშირად საწარმოს ასაშენებლად იჩეხება ტყეები, მის გარშემო ტერიტორია ხდება დაუსახლებელი და არის შემთხვევები როდესაც სასმელი წყალი ბინძურდება, რაც ხშირ შემთხვევაში მოსახლეობაში სხვადასხვა დაავადებების მიზეზი ხდება. ამასთანავე, წიაღისეულის მოპოვების დროს გამოყოფილმა აირებმა შეიძლება გამოიწვიოს მჟავე წვიმები და სასუნთქ გზებთან დაკავშ-

ირებული პრობლემები. ეს ყველაფერი ძალიან დიდ ყურადღებას და სიფრთხილეს საჭიროებს.

მიუხედავად იმისა, რომ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს ბევრი ნეგატიური ასპექტი ახასიათებთ, ისინი გარკვეული პოზიტივის მატარებლები მაინც არიან ქვეყნისთვის და კომპანიებში დასაქმებული ადამინაებისთვის.

- მთავარი დადებითი რაც ტრანსნაციონალურ კორპორაციებს ახასიათებთ ეს არის ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ კორპორაციებში მომუშავე ადამიანთა ანაზღაურება არც თუ ისე მაღალია, დასაქმებულები გარკვეული საჭიროებების დაკმაყოფილებას ახერხებენ, იძენენ გამოცდილებას, სოციალურ ქსელს და ა.შ.
- მუშაობის ახალი მეთოდების სწავლება- ტრანსნაციონალური კორპორაციები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მულტი კომპანეიბია, რომლებსაც, რა თქმა უნდა, ახასიათებთ დიდი გამოცდილება და მოწესრიგებული მენეჯმენტი. შესაბამისად განვითარებად გვეყნებში ისინი ნერგავენ ბიზნესის მართვის თანამედროვე მეთოდებს.
- ინფრასტრუქტურის განვითარება - ტრანსნაციონალური კორპორაციები ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობენ ქვეყნებში ინფრასტრუქტურის განვითარებას, გზების დაგებას, წყალგაყვანილობის სისტემის დანერგვას და ა.შ

დასკვნა

ამჟამად არც ერთი მნიშვნელოვანი პროცესი არ ხდება მსოფლიო ეკონომიკაში ტარნსნაციონალური კომპანიების მონაწილეობის გარეშე. ისინი პირდაპირ და ირიბად მონაწილეობენ მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში და, შეიძლება ითქვას, რომ ძირითად ძალას წარმოადგენენ, რომლებიც მსოფლიოს თანამედროვე და მომავალ იერსახეს აყალიბებს. ტრანსნაციონალურ კორპორაციებს დიდი გავლენა აქვთ განვითარებად ქვეყნებზე. ისინი პირდაპირ თუ ირიბად ერევიან მათ ეკონომიკასა თუ ყოველდღიურობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://unctad.org/en/Docs/diaeiia20083_en.pdf
2. https://core.ac.uk/download/pdf/82283168.pdf
3. https://www.researchgate.net/publication/289828984_The_role_of_transnational_corporations_in_the_globalisation_process
4. https://www.researchgate.net/publication/308739337_Transnational_Corporations_in_the_Global_World_Economic_Environment
5. https://www.researchgate.net/publication/309744126_Innovative_Strategies_of_Transnational_Companies_and_Synergy_Effect_of_Technologisation

ADVANTAGES AND DISADVANTAGES OF TRANSNATIONAL CORPORATIONS

Lia Bagdoshvili
Mariam Kozolashvili
PhD students of TSU

RESUME

Transnational Corporation (TNC) can be known as Multinational Corporation which has offices and factories in many different developing countries while their headquarters are located in developed countries.

Transnational Corporations are the great examples of Globalization. TNC can have both, the positive and negative impacts on developing countries. One of the disadvantages that TNC involve in trading include exploiting cheap labor, widening the gap between developed and developing countries and causing pollution. The advantages toward host countries- Positive Economic impact, Increase employment rate, Technology contribution, Enhancement of export.

Key Words: Transnational Corporation, Globalization, Economic impact.

გერმანიის ეკონომიკური სასწაული

მერი ზანდუკელი,
ია შაშვიაშვილი
თსუ სტუდენტები

რეზიუმე

გერმანია, როგორც ერთ-ერთი განვითარებული და მძვლავრი ეკონომიკის მქონე ქვეყანა, კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება მოკლე დროში ეკონომიკის სწრაფი აღმავლობის მიღწევა და მისი მდგრადობის შენარჩუნება. ამისთვის მას უამრავი რეფორმის გატარება დასჭირდა და აღსანიშნავია, რომ სტაბილურობას დღესაც ინარჩუნებს. სასწაულია ის, რომ ორი მსოფლიო ომის შედეგად დანგრეულმა ქვეყანამ, რამდენიმე წელიწადში მოახერხა მსოფლიოში უმძლავრესი ეკონომიკის შექმნა.

საკვანძო სიტყვები: გერმანიის ეკონომიკა, ეკონომიკური სასწაული, ეკონომიკური სიძლიერე.

ძირითადი ნაწილი

ადამიანთა უსაზღვრო და ზრდადი მოთხოვნილებების, შეზღუდული და კლებადი რესურსების, აგრეთვე, მოსახლეობის საკმაოდ სწრაფი ზრდის შეხამება კაცობრიობას აიძულებს მუდმივად გაზარდოს საქონლისა და მომსახურების წარმოება. ამ პროცესმა სამეცნიერო ლიტერატურაში მიიღო ეკონომიკური ზრდის სახელწოდება, რომელშიც იგულისხმება წლიდან წლამდე, თაობიდან თაობამდე, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქვეყნის წარმოებრივი შესაძლებლობის მყარი გადიდება. ეკონომიკური ზრდა ყველა ქვეყნისთვის სასურველი და აუცილებელია. მის მისაღწევად ძალიან დიდი შრომა და ხშირ შემთხვევაში დიდი დროა საჭირო, თუმცა, გერმანიამ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა და ძალიან მცირე ხანში სახარბიელო შედეგიც მიიღო.

დღეისათვის გერმანია ეკონომიკურად უმძლავრესი სახელმწიფოა ევროპაში, თუმცა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

გერმანიის ეკონომიკა ფაქტობრივად დანგრეული იყო. ომმა, ჰიტლერის "დედამიწის გადაწვის პოლიტიკის" მიხედვით, მთელი შენობების 20 პროცენტი გაანადგურა. 1947 წელს ერთეულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქციის რაოდენობა 1938 წლის დონის მხოლოდ 51 პროცენტი იყო. საოკუპაციო ძალების მიერ დაწესებული საკვების ოფიციალური რაციონი შეადგენდა 1,040 და 1,550 კალორიას დღეში. 1947 წელს სამრეწველო წარმოების შედეგები 1938 წლის მაჩვენებლის მხოლოდ მესამედი იყო. გარდა ამისა, შრომისუნარიანი გერმანელი მამაკაცების დიდი ნაწილი დაიხოცა. ექსპერტებს კი მიაჩნდათ, რომ გერმანია აშშ-ს „კეთილდღეობის სახელმწიფოს" სარჩენი გახდებოდა. მაგრამ, ოცი წლის შემდეგ გერმანიის ეკონომიკა მსოფლიოს უდიდესი ნაწილის შურს იწვევდა. ხოლო, ომიდან ათ წელზე უფრო ნაკლები დროის შემდეგ ხალხი უკვე გერმანიის ეკონომიკურ სასწაულზე ლაპარაკობდა.

რამ გამოიწვია ეს ე.წ. სასწაული? ამის მიზეზი ორი ძირითადი ფაქტორი გახდა: სავალუტო რეფორმა და ფასების კონტროლის გაუქმება, ორივე მოხდა 1948 წელს, სულ რამდენიმე კვირის განმავლობაში. შემდეგი ფაქტორი 1948 და 1949 წლებში გადასახადების ზღვრული დონის მნიშვნელოვანი დაწევა იყო. ამ და სხვა სწორად გადადგმულმა ნაბიჯებმა განაპირობა საოცრად მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

როგორც ვიცით, 12 წლის განმავლობაში, 1948 წლამდე გერმანელი ხალხი ფასების კონტროლის პირობებში ცხოვრობდა. ასეთი რეჟიმი მათ 1936 წელს ადოლფ ჰიტლერმა დაუწესა, ამ გზით მის მთავრობას საბრძოლო მასალების ხელოვნურად დაბალ ფასებში შეძენა შეეძლო. შემდეგში, 1945 წლის ნოემბერში, მოკავშირეთა საოკუპაციო ადმინისტრაციამ, რომელიც შეერთებული შტატების, ბრიტანეთის, საფრანგეთის და საბჭოთა კავშირისაგან იყო დაკომპლექტებული, ჰიტლერის მიერ დაწესებული ფასების კონტროლის შენარჩუნება გადაწყვიტა. ყოველი მოკავშირე სახელმწიფო გერმანიის ტერიტორიის განსაზღვრულ „ზონას" აკონტროლებდა. 1948 წელს შეერთებული შტატების ზონაში კონტროლირებულ ფასებში დათვლილი ცხო-

ვრების ღირებულების ინდექსი 1938 წლის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 31 პროცენტი იყო. ჯერ კიდევ 1947 წელს, გერმანიის ეკონომიკაში არსებული ფულის რაოდენობა - ნაღდ ვალუტას დამატებული დანაზოგები მოთხოვნაზე - 1936 წლის მაჩვენებელთან შედარებით ხუთჯერ იყო გაზრდილი. ფულის მასის მკვეთრი ზრდა, ნაწილობრივ გაზრდილ ფასებთან ერთად, დეფიციტის მიზეზი გახდა. საკვებზე ფასების კონტროლმა წარმოქმნა დეფიციტი, შედეგად ქალაქებში მცხოვრებთა გარკვეულმა ნაწილმა თავად დაიწყო საკვების მოყვანა, ხოლო ნაწილი დასვენების დღეებში სოფლებისკენ მიეშურებოდა, რომ ბარტერული გაცვლის გზით მოეპოვებინა. ბარტერი ასევე ფართოდ იყო გავრცელებული ბიზნესგარიგებებში და უმეტეს ფირმებში. საკმაოდ რთულ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი გერმანია. ხალხის მიერ გამომუშავებულ ფულს დიდი ღირებულება არ ჰქონდა, ამიტომ ხშირად აცდენდნენ სამუშაო საათებს, ნაწილობრივ ამასაც მოჰყვა ქვეყნის პროდუქტიულობის მაჩვენებელის შემცირება.

გერმანელ პოლიტიკოს ერჰარდს ესმოდა, რომ ინფლაციას, ფასების კონტროლსა და მაღალ გადასახადებს დიდი ზიანის მოტანა შეუძლია, ხოლო მაღალი პროდუქტიულობის მიღწევა ინფლაციის შეჩერებით, ფასების კონტროლის აღკვეთით და მაღალი გადასახადების ზღვრული განაკვეთის შემცირებითაა შესაძლებელი. მან გაატარა შესაბამისი რეფორმები:

- ფულადი რეფორმა;
- ფასებზე კონტროლის გაუქმება;
- საგადასახადო განაკვეთის შემცირება;

ამ ცვლილებებმა გაამართლა და გერმანიის ეკონომიკაზე კატალიზატორის ეფექტი მოახდინა. პირველ რიგში მნიშვნელოვანი იყო ფულის რეფორმა, ვინაიდან მოგვეხესენება რამხელა მნიშვნელობა აქვს ვალუტის სიმყარეს ქვეყნის ეკონომიკისათვის.ფულადი რეფორმის ძირითადი იდეა რაიხს მარკის უფრო ცოტა რაოდენობის სხვა ლეგალური ვალუტით შეცვლაში მდგომარეობდა. ახალ ვალუტას გერმანული მარკა ეწოდებოდა. ამის შემდეგ, ფულის მიწოდება მნიშვნელოვნად შეიზღუდა და

კონტროლირებული ფასების პირობებშიც კი, გერმანულ მარკებში ნაკლები დეფიციტი იყო მოსალოდნელი. ფულადი რეფორმა უაღრესად კომპლექსური იყო. საერთო მასშტაბით ფულის მიწოდება დაახლოებით 93%-ით შეიზღუდა და აღმოიფხვრა ინფლაცია, ამასთან, ფასებზე კონტროლის გაუქმების წყალობით, რომელიც შეეხო თითქმის ყველა სამომხმარებლო პროდუქტს, არსებული დეფიციტიც მოიხსნა.

ვოლტერ ჰელერი წერდა, რომ რეფორმებმა სწრაფად აღადგინეს ფული, როგორც გადახდის უპირატესი საშუალება და სავალუტო სტიმულები,როგორც ეკონომიკური აქტივობის წარმმართველი ძალა. ქვეყნის პროდუქტიულობის დონე გაიზარდა, რადგან აღარ იყო საჭირო სამუშაო საათების მიტოვება სოფელში ვაჭრობის მიზნით. გამომუშავებული ფული დასაქმებულთათვის ღირებული გახდა. გერმანიაში ლ.ერჰარდის რეფორმები დაიწყო ეფექტიანი ფულადი სისტემის,მოსახლეობისათვის თანაბარი სასტარტო პოზიციების და შესაბამისი ინსტიტუციონალური სტრუქტურების შექმნით. მცირე ბიზნესის განვითარების მხარდაჭერამ უზრუნველყო მასობრივი დემოკრატიული სოციალური ბაზა და იმ სამეურნეო სუბიექტის ჩამოყალიბება, რომლებმაც გერმანიის ეკონომიკურ ტრასფორმაციას შეუქცევადი მახასიათებელი მიანიჭა.

მართლაც, სასწაულს ჰგავდა ქვეყანაში მიღწეული ეკონომიკური პროგრესი. 1958 წლისთვის სამრეწველო წარმოების წლიური მაჩვენებელი ოთხჯერ გაიზარდა. ეს გამოწვეული იყო სტრუქტურული ცვლილებით, რომლებიც გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, რადგან ზოგი სექტორი მეტად ეფექტიანია, ვიდრე მეორე. გერმანიაში აგრარული სექტორის, რომელიც სხვა სექტორებთან შედარებით უფრო არაეფექტიანი იყო,წილის შემცირებამ და სამუშაო ძალის წარმოების სექტორში დასაქმებამ მშპ-ის ზრდის ტემპი გაზარდა. ქვეყნის განვითარება ასევე დააჩქარა ბიზნესის მოდერნიზებისა და მომსახურეობის სექტორის გასავითარებლად გადადგმულმა ნაბიჯებმა.

ამ ყველაფერს ხელს უწყობდა ის ფაქტიც, რომ ომის დასრულების შემდეგ ყველანაირი შეზღუდვები მოიხსნა ექსპორტსა

და იმპორტზე. გერმანიის ექსპორტი თითქმის გაორმაგდა. საერთაშორისო ვაჭრობის ასეთი ტემპებით ზრდა, რა თქმა უნდა, სასიკეთოდ წაადგა ეკონომიკას.

ამ პერიოდში გერმანიაში ვითარდება მრეწველობაც. უმაღლეს დონეზე ავიდა ქვანახშირის მოპოვება და მეტალურგია. გერმანია ქვანახშირის ერთ-ერთი მთავარი ექსპორტიორიც კი გახდა. მან სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებთან სამრეწველო მიმართულებით კავშირიც კი შექმნა. ჰიტლერს ომის დროს ბევრად კარგი შეიარაღება გააჩნდა, ვიდრე მის მტრებს. ეს იმიტომ, რომ დიდ ყურადღებას აქცევდა ტექნოლოგიურ წინსვლას. ომის დამთავრების შემდეგ გერმანიამ კიდევ უფრო განავითარა ეს პროგრესი, რაც, რა თქმა უნდა, აისახა დასავლეთ გერმანიის ეკონომიკაზე.

ასევე, ამ პერიოდში განხორციელდა მარშალის გეგმა და დღემდე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, რა ზეგავლენა მოახდინა ამ გეგმამ გერმანიის ეკონომიკაზე. მაგრამ ფაქტია, ის ჰუმანიტარული დახმარებები, სესხები და გრანტები, რომლებიც ამ პერიოდში გადაეცა ევროპის ქვეყნებს და მათ შორის გერმანიას, საკმაოდ წაადგა ეკონომიკას, მაგრამ ეს არ იყო ყველაზე მნიშვნელოვანი. რომ არა ის რეფორმები, რაც გერმანიამ გაატარა ამ პერიოდში, მარტო მარშალის გეგმა დიდ შედეგს ვერ მოუტანდა ქვეყანას.

ზემოთ ჩამოთვლილმა ფაქტორებმა განაპირობა ის, რომ ყოველწლიურად მშპ თითქმის 8%-ით იზრდებოდა, რაც ძალიან დიდი ეკონომიკური ზრდაა, მით უმეტეს ისეთი ეკონომიკური კრიზისის მერე, როგორიც გერმანიამ განიცადა.

გერმანიამ ბიძგი მისცა ეკონომიკის მძლავრ აღმავლობას იმითაც, რომ კერძო სექტორს მეტი თავისუფლება მიანიჭა და შეიქმნა „ფედერალური კარტერული ოფისი“, რომლის მიზანიც იყო მონოპოლიასთან ბრძოლა. კონკურენტული ბრძოლის შედეგად მრეწველობის ზოგიერთ დარგში, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობაში, წარმოების კონცენტრაციამ წარმოშვა გიგანტური სანარმოები, რომლებშიც გერმანიის სამრეწველო სიძლიერე მდგომარეობდა. მრეწველობის აღმავლობამ კი გა-

მოიწვია საბანკო საქმის განვითარებაც. შეიქმნა ახალი საფინანსო გიგანტები - "დოიჩე ბანკი" და "დრეზდენის ბანკი". გაიხსნა ცენტრალური ბანკი, „ბუნდესბანკი". 1948 წლის შემდეგ წარმოება განაგრძობდა ნახტომისებურად ზრდას. 1958 წლისთვის სამრეწველო წარმოების წლიური მაჩვენებელი ოთხჯერ გაიზარდა 1948 წელს ჩატარებულ ფულის რეფორმამდე ექვსი თვის პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, საწარმოო პროდუქცია ერთ სულ მოსახლეზე სამჯერ გაიზარდა

უამრავი მიზეზი შეიძლება კიდევ დავასახელოთ, რომელთა წყალობითაც გავხდით მომსწრენი გერმანული ეკონომიკის „სასწაულის". თუმცაღა რეალურად, ეს მოვლენა ნამდვილად არ იყო სასწაული. ასეთ შედეგს ლუდვიგ ერჰარდი და ფრაიბურგის სკოლის სხვა წარმომადგენლებიც ელოდნენ. მათ ესმოდათ, რომ ინფლაციას, ფასების კონტროლსა და მაღალ გადასახადებს დიდი ზიანის მოტანა შეუძლია, ხოლო მაღალი პროდუქტიულობის მიღწევა ინფლაციის შეჩერებით, ფასების კონტროლის აღკვეთით და მაღალი გადასახადების ზღვრული განაკვეთის შემცირებითაა შესაძლებელი. ყველაფერი იყო ჭკვიანური გათვლის შედეგი, რაც მოკლევადიანი არ აღმოჩნდა და დღემდე გერმანია ინარჩუნებს ძალიან მაღლ ეკონომიკურ ზრდას.

დღეისათვის ეკონომიკური პოტენციალით, გერმანია უძლიერესი ქვეყანაა ევროპაში, და არამარტო ევროპაში. „დიდი რვიანის" ქვეყნებს შორის, იგი მხოლოდ აშშ-სა და იაპონიას ჩამორჩება. მომსახურების სფეროს უდიდესი დარგებია ტრანსპორტი და საბანკო-საფინანსო საქმე. ენერტიკა ვითარდება როგორც ადგილობრივ, ასევე შემოტანილ ნედლეულზე. მანქანათმშენებლობა და ქიმიური ინდუსტრია ქვეყნის მრეწველობის წამყვანი დარგებია. მანქანათმშენებლობის წამყვანი სფეროა საავტომობილი ინდუსტრია, დარგის სიძლიერით მას კონკურენტი არა ჰყავს ევროპაში. პირველობით გამოირჩევა ქიმიური ინდუსტრიაც. „ბასცი" და „ბაიერი" ქიმიური გიგანტები არიან. აგრობიზნესი ევროკავშირში უმსხვილესია მეზობელი საფრანგეთის ანალოგიური დარგის შემდეგ. გერმანია მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა, მშპ-ს მოცულობით (2.321 ტრილიონი $) მსოფლიოში მე-3 ადგილი უკავია აშშ-სა და იაპონიის შემდეგ.

ბიბლიოგრაფია:

1) http://www.oecd.org/germany/economic-survey-germany.htm

2) https://www.weforum.org/agenda/2018/10/germany-is-the-worlds-most-innovative-economy/

3) https://bpi.ge/germaniis-ekonomikuri-saswauli/

GERMAN ECONOMIC MIRACLE

Meri Zandukeli, Ia Shavshiashvili,
PhD students of TSU

RESUME

Germany as one of the countries with the strongest economies is a bright example of the fact that it is surely possible for a country to achieve the great economy and keep on improving even in a short period of time. It is not easy though, as the government had to come up with multiple reforms to achieve the stability. We can agree, it is a miracle that this country managed to build the strongest economy in the world just after losing two world wars.

Key words: German, economy, reforms, government.

ჩინეთის როლი ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკურ განვითარებაში

უჩა ჩიტიძე
თსუ სტუდენტი

რეზიუმე

ჩინეთის ეკონომიკა ბოლო რამდენიმე ათწლეულია განვითარებას განაგრძობს და ამით მსოფლიოში საინტერესო პრეცენდენტს ქმნის.ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა 1978 წლის რეფორმების შემდეგ დაიწყო. დღეისთვის კი მისი ეკონომიკა ამერიკის შემდგომ მსოფლიოში უდიდესია. მსყიდველობით უნარის პარიტეტის მიხედვით კი იგი ამერიკის შეერთებულ შტატებსაც აჭარბებს (The World Bank.2018).

რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთს, იგი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მოუგვარებელი პრობლემაა.რეგიონში ერთი მხრივ ისრაელ-პალესტინის დაძაბული ურთიერთობა, სირიის კრიზისი და ირანის ბირთვული პროგრამის საკითხი,მეორე მხრივ კი გარე ძალების ინტერესები რთულ სიტუაციას ქმნის. ჩინეთი ბოლო ათწლეულია აღნიშნულ რეგიონთან ურთიერთობის გაღრმავებას ცდილობს და ეს უკანასკნელი აღარ გულისხმობს მხოლოდ ეკონომიკურ ინტერესებს. ახლო აღმოსავლეთში ისეთი დიდი სახელმწიფოები მოქმედებენ,როგორიც თურქეთი, რუსეთი, ირანი და ამერიკის შეერთებული შტატებია. ამიტომ ჩინეთის მცდელობამ, გაიღრმავოს რეგიონში პოზიციები, შეიძლება გარკვეული პრობლემები წარმოშვას.

ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგია არის თვისებრივი. გამოყენებული იქნება ქეისის შესწავლა, მეორადი წყაროების ანალიზი. ინფორმაციის შეგროვება მოხდა მეორადი წყაროების საფუძველზე: ინტერნეტში არსებული ნაშრომები, სტატიები, ოფიციალური განცხადებები.საკვლევი კითხვაა: რა ცვლილებები მოიტანა ეკონომიკური განვითარების კუთხით ჩინეთმა რეგიონში.

საკვანძო სიტყვები: ჩინეთი, ახლო აღმოსავლეთი, ,,ერთი სარტყელი, ერთი გზა“, ინვესტიცია.

ძირითადი ტექსტი

ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპს მთელი მსოფლიო ყუდაღებით აკვირდება.მიუხედავად იმისა,რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა 2010 წლიდან მკვეთრად კლებულობს,მშპ-ს ზრდის ტემპი მაინც ინარჩუნებს 6,4-6,5%-იან მაჩვენებელს(Trading Economics). აქვე უნდა ვთქვათ, რომ ჩინეთი მსოფლიოში უდიდესი ნავთობიმპორტიორი ქვეყანა გახდა და 2017 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებს გადაუსწრო. ჩინეთი უფრო მეტ ნავთობს ფლობს, ვიდრე სირია ეგვიპტე, იემენი და ომანი ერთად აღებული, მაგრამ სწრაფად განვითარებად, მილიარდზე მეტი მოსახლეობის მქონე ქვეყანას ეს არ ჰყოფნის. ამერიკის ენერგეტიკის საინფორმაციო ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით ჩინეთი ნავთობის წარმოებით მეხუთე, მოხმარებით კი მეორე ადგილს იკავებს(EIA.2018).

ჩინეთს სურს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის გაღრმავება და ეს არცაა გასაკვირი. აქ არსებული ნავთობის რესურსებით აიხსნება აზიის წამყვანი სახელმწიფოს გააქტიურება ისეთ არაკონტროლირებად და საფრთხის შემცველ რეგიონში, როგორიც ახლო აღმოსავლეთია.



ჩინეთი ახლო აღმოსავლეთში ცივი ომის შემდეგ იწყებს გააქტიურებას, რაც უპირველესად, ქვეყნის ენერგეტიკულ რესურსებზე მოთხოვნას უკავშირდებოდა.ჩინეთმა 2004 წელს ჩინე-

თ-არაბული ქვეყნების თანამშრომლობის ფორუმი (CASCF) დაარსა,რომლის მიზანიც ორ მხარეს შორის ვაჭრობასა და ტექნოლოგიურ სფეროში თანამშრომლობას გულისხმობდა.მას შემდეგ ფორუმი აქტიურად ფუნქციონირებს.ჩინეთმა სწრაფად გააფართოვა თავისი ეკონომიკური კავშირები აღნიშნულ რეგიონთან. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 2005 წლიდან 2009 წლამდე ჩინეთის მთლიანი სავაჭრო მოცულობა ახლო აღმოსავლეთთან 87%-ით გაიზარდა და 100 მილიარდი დოლარი შეადგინა. 2012 წელს კი ჩინეთის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით დაახლოებით 222 მილიარდ დოლარს მიაღწია(stats.gov.cn).ჩინეთის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ახლო აღმოსავლეთში სწრაფი ტემპით გაიზარდა და 2005 წელს საწყისი 1 მილიარდი დოლარიდან 2009 წელს 11 მილიარდი დოლარი გახდა წელს. ჩინეთის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ინვესტიციამ ირანში 2005 წლიდან 2012 წლამდე 18.6 მილიარდი დოლარი შეადგინა. მათ შორის 13.9 მილიარდი ენერგეტიკის სექტორში, 2.1 მილიარდი ტრანსპორტირებასა და 2.8 მილიარდი სხვადასხვა ძვირფას ლითონში. ჩინეთმა საუდის არაბეთში 13.6 მილიარდი დოლარის ინვესტიცია დააბანდა. თურქეთში კი 6.4 მილიარდი დოლარის ინვესტიცია შევიდა. ამას დაემატა ისიც,რომ ჩინეთი ერაყსა და ირანში ყველაზე მსხვილი უცხოელი ინვესტორი გახდა.

თვისობრივად ახალი ეტაპი დაიწყო ახალი ინიციატივის „ერთი სარტყელი, ერთი გზის" ("One Belt, One Road") წარმოშობის შემდეგ.იგი 2013 წელს ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინპინმა წარადგინა(აერთიანებს „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელისა" და „21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზის" პროექტებს). „ერთი სარტყელი, ერთი გზის" მთავარი მიზანი ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის ფინანსური ინტეგრაცია და ინფრასტრუქტურის დაკავშირებაა.თუმცა ჩინეთისთვის აღნიშნული ინიციატივა უპირველესად ახლო აღმოსავლეთის რესურსებზე გაადვილებულ წვდომას ნიშნავს. 2016 წლის 13 იანვარს პეკინმა პირველი პოლიტიკური დოკუმენტი გამოსცა არაბულ ქვეყნებთან დაკავშირებით,რასაც მალევე მოყვა პრეზიდენტ სი ძინპინის ვიზიტი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში:



საუდის არაბეთში, ეგვიპტესა და ირანში.

ჩინეთმა გასულ წელს 23 მილიარდი აშშ დოლარი გამოყო არაბულ ქვეყნებში, ინფრასტრუქტურისა და რეკონსტრუქციის პროექტების, ჰუმანიტარულ დახმარების და არაბულ სახელმწიფოთა სოციალური სტაბილურობის მხარდასაჭერად.სესხი დააფინანსებს ეკონომიკურ და ინდუსტრიულ პროექტებს, რაც მოიცავს თანამშრომლობას ნავთობისა და გაზის სფეროში, ასევე ბირთვული და სუფთა ენერგიების მიმართულებით. ახალი ინიციატივა გულისხმობს ჩინეთისა და არაბული ქვეყნების ბანკების გაერთიანებასაც, რომლის ფონდი 3 მილიარდი დოლარი იქნება. ჩინეთის დედაქალაქში შეკრებილ 21 არაბული ქვეყნის წარმომადგენელს, სი ძინპინმა განუცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთში უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტის გზა ეკონომიკურ განვითარებაშია.

ჩინეთი საკმაოდ ჭკვიანურ და პრაგმატულ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებს.იგი ინარჩუნებს მეგობრულ ურთიერთობას,როგორც საუდის არაბეთთან, ასევე ირანთან. ცნობილია,რომ ვაჰაბისტურ საუდის არაბეთსა და შიიტურ ირანს შორის ურთი-

ერთობა დაძაბულია. ჩინეთის რეგიონში მოქმედების ძირითადი მოტივი მატერიალური სარგებლის მიღება რომაა, მას გაეროს უშიშროების საბჭოში მისი მოქმედებაც ადასტურებს-იგი რუსეთთან ერთად ბლოკავდა ჯერ ირანის, შემდეგ კი სირიის წინააღმდეგ სანქციების მიღებას. ეს იმიტომ, რომ ჩინეთს საკუთარი ინტერესები აქვს ბაშარ ალ-ასადის მთავრობასთან.ირანი კი ჩინეთის მიერ ინიცირებულ „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ერთ-ერთი მთავარი საკვანძო მონაკვეთია, ამიტომ მასთან ურთიერთობის გაფუჭებას იგი ვერ დაუშვებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩინეთის ჩართულობა ახლო აღმოსავლეთში სცილდება ენერგეტიკული სფეროს. 2014 წელს ჩინეთმა ჩინეთ-არაბული ქვეყნების თანამშრომლობის ფორუმის მე-6 კონფერენციაზე ახლო აღმოსავლეთთან თანამშრომლობის “1 + 2 + 3” მოდელი წარადგინა. დოკუმენტმა გაფართოვა ორმხრივი თანამშრომლობა ვაჭრობასა და ენერგეტიკულ სფეროებში და ისეთი დარგებიც მოიცვა, როგორიცაა მაღალგანვითარებული ტექნოლოგიები, ბირთვული ენერგეტიკა და კოსმოსური თანამგზავრები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩინეთი მოლაპარაკებას აწარმოებს, როგორც პალესტინასთან(რომელსაც სამრეწველო პარკების მშენებლობას, მზის ენერგო სადგურების განვითარებასა და საინვესტიციო და ეკონომიკურ დახმარებას სთავაზობს) ასევე ისრაელთან თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნაზე. ორივე ქვეყანამ თანხმობა განაცხადა „ერთი სარტყელი, ერთი გზის”(“One Belt, One Road”) პროგრამაში ჩართვაზე.

დასკვნა

ჩინეთი მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა,რომელმაც თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა და შეაღწია ისეთ რეგიონში, როგორიც ახლო აღმოსავლეთია.პეკინის მმართველ წრეებში სჯერათ,რომ სწორედ ეკონომიკური ინტეგრაციითა და თანამშრომლობითაა შესაძლებელი რეგიონში დაძაბული სიტუაციის განმუხტვა. მიუხედავად ფართოდ გავრცელებული საგარეო პოლიტიკის ექსპერტთა მოსაზრებისა,რომ ჩინეთი რეგიონში ამერიკის უკან დახევის შედეგად დარჩენილ ვაკუუმს ავსებს და გავლენის მოპო-

ვებას ცდილობს, პეკინში ყველანაირ მოტივს უარყოფენ გარდა ეკონომიკური თანამშრომლობისა.მათი ძირითადი საზრუნავი სწორედაც ენერგეტიკული რესურსების მარაგის შევსება და ნავთობზე ხელმისაწვდომობაა. ამის უზრუნველსაყოფად ჩინეთი, ცდილობს რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებას, უხვად გასცემს გრანტებს და იწყებს ბაზების მშენებლობას.ზემოთ მოყვანილი რიცხვებიც ნათლად მეტყველებს თუ რა სახის ხარჯი გასწია ჩინეთმა.ამ ყველაფრის შედეგად, რა თქმა უნდა ვითარდება ახლო აღმოსავლეთი, ცალკეული ქვეყნების კეთილდღეობის ზრდისა და ინტეგრაციის ხარჯზე.თუმცა რეგიონულ პოლიტიკურ კლიმატზე გავლენის მოსახდენად ჩინეთს ჯერ კიდევ ბევრი აკლია.

გამოყენებული ლიტერატურა:/REFERENCES:

- U.S Energy information administration, Internet: https://www.eia.gov/; American Energy Information Administration. Last visit 01.25.2019
- https://data.worldbank.org/indicator/ Internet. Last visit. 01.25.2019
- https://tradingeconomics.com/china/gdp-growth-annual Internet. Last visit. 01.25.2019
- http://www.worldstopexports.com/ Internet. Last visit. 01.23.2019
- http://www.stats.gov.cn/english/ National Bureau of statistics of China
- Xiangming .Chen.2014. China and the Middle East: More Than Oil. Internet. http://citeseerx.ist.psu.edu last visit. 01.23.2019
- XI.CHEN .2018. China in the Post-Hegemonic Middle East: A Wary Dragon ?. Internet. HTTPS://WWW.E-IR.IN.FOFO /. Last View. 01.25.2019
- Scobell. Andrew, Nader .Alireza.2016. China in the Middle East. Internet .http: //www.rand.org/ .Last website. 01.25.2019
- Fulton .Jonathan. China's power in the Middle East is rising. Internet. Christina. Internet. http://www.css.ethz.ch/. Last visit. 01.25.2019

- Fulton .Jonathan. China's power in the Middle East is rising. Internet. https://www.washingtonpost.com. Last visit. 01.25.2019
- Daniels.Owen. China in the Middle East: Behind Xi's economic charm offensive. Internet. https://nationalinterest.org/
- https://www.aljazeera.com. The Internet. 01.25.2019

CHINA'S ROLE IN THE MIDDLE EAST'S ECONOMIC DEVELOPMENT

Ucha Chitidze,
PhD student of TSU

RESUME

The Chinese economy has been developing for the last few decades and thus creates an interesting precedence in the world. The economic progress of the country began after the 1978 reforms. For Today, its economy after U.S is the second world's largest and By purchasing power parity(PPP), it exceeds the United States (The World Bank2018).

As for the Middle East, it is one of the unresolved challenge of the modern world. In one side the tense relations between Israel and Palestine' crisis of Syria and Iran's nuclear program, and on the other side, the interests of external forces create a difficult situation in a region. China has been trying to deepen relations with the region over the past decade, and not only in economic section. In the Middle East, such large states as Turkey, Russia, Iran and the United States are playing political games. So China's attempts to deepen positions in the region may cause some problems.

The research methodology is qualitative. Thes case study, analysis of secondary sources will be utilized. The information was collected on the basis of secondary sources: papers, articles, official statements on the Internet. Research question: What changes have been brought by Chinese investitions in the region of Middle East.

Key words: China; Middle East; "One Belt, One Road", Investment.

ეკონომიკური სანქციების გავლენა; ქეისი: „აშშ-ის სანქციები ირანის წინააღმდეგ“

მაია გიოგრაძე,
ნათია ფერაძე
თსუ სტუდენტები

რეზიუმე

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოები ხშირად იყენებენ ვაჭრობას საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ვაჭრობის პოლიტიკურ იარაღად გამოყენების ერთ-ერთი სახე სანქციების დაწესებაა. სანქციები გულისხმობს ეკონომიკის სფეროში არსებული საშუალებების გამოყენებას ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის წინააღმდეგ, რათა დაარწმუნოს ეს უკანასკნელი, შეცვალოს საშინაო ან საერთაშორისო პოლიტიკა.

ნაშრომში გააანალიზებულია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითი- მასშტაბური ეკონომიკური სანქციები ირანის წინააღმდეგ და მისი ეფექტი. კერძოდ, ჩვენი საკვლევი კითხვაა: რამდენად ეფექტური აღმოჩნდა აშშ-ის მიერ დაწესებული სანქციები ირანის წინააღმდეგ?

კვლევის მიზანია, განსაზღვროს რამდენად ეფექტურია სანქციები პოლიტიკური კურსის შესაცვლელად. კითხვაზე პასუხის გასაცემად განვიხილავთ აშშ-ის მიერ ირანზე დაწესებული სანქციების მაგალითს, რომლის საფუძველზეც, ავხსნით, თუ რატომ არ აღმოჩნდა აშშ–ის სანქციები ეფექტური საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი ირანის პოლიტიკური კურსის ცვლილებისთვის.

მეთოდოლოგია**:** კვლევა ლიტერატურულ მიმოხილვაზეა დაფუძნებული, ვიყენებთ აკადემიურ სტატიებს, ექსპერტთა დასკვნებსა და მედიის მიმოხილვას. ნაშრომი არის თვისებრივი, ძირითადი მეთოდი არის შემთხვევის შესწავლა, ე.წ. case study.

საკვანძო სიტყვები: სანქციების როლი, ირანის ეკონომიკა, ეკონომიკური შედეგი, საერთაშორისო ვაჭრობა, ეკონომიკური ბერკეტი.

შესავალი და ისტორიული ანალიზი

აშშ-სა და ირანის ურთიერთობები 1970-იან წლებამდე პოზიტიური დინამიკით ვითარდებოდა, თუმცა მას შემდეგ, რაც სამოცდაათიან წლებში ირანმა დაიწყო ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევა ბირთვულ იარაღის შექმნასთან დაკავშირებით ხოლო ისლამისტმა რადიკალებმა 1979 წელს, თეირანში, ამერიკის საელჩოში, 52 ამერიკელი მძევლად აიყვანეს ერთ წელიწადზე მეტი დროით,ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. აშშ 1980 წელს, ირანთან გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები. სწორედ ამ დროიდან ამერიკის მხრიდან ირანის წინააღმდეგ პირველი სანქცია წესდება. პრეზიდენტმა კარტერმა აკრძალა ირანული ნავთობის იმპორტი და შემდეგ კი სრულებით გაწყვიტა მასთან სავაჭრო ურთიერთობები. თუმცა ტყვეების გათავისუფლების შემდეგ, ამერიკამ მოხსნა დაწესებული ემბარგო.

1983 წელს რეიგანის ადმინისტრაციამ ირანი გამოაცხადა ტერორიზმის მხარდამჭერ სახელმწიფოდ და შესაბამისად, ამერიკამ მოითხოვა ირანისთვის საერთაშორისო სესხების გაუქმება.მსგავსი პოლიტიკა სანქციებზე გაგრძელდა კლინტონის პრეზიდენტობის დროსაც, ხოლო 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებში ბუშის ადმინისტრაციამ კიდევ უფრო გაამკაცრა ირანზე დაკისრებული სანქციები.

პრეზიდენტი ობამა შედარებით მკაცრი აღმოჩნდა ირანის წინააღმდეგ სანქციებთან მიმართებით. 2010 წელს მან ირანული საკვებ პროდუქტებისა და ხალიჩების იმპორტი აკრძალა. მან ასევე წააქეზა სხვა ნავთობმომპოვებელი ფირმები, რომ ირანში შეეწყვიტათ ბენზინის გაყიდვა.. აშშ ისეთ უცხოურ საწარმოებს, რომლებიც თანამშრომლობდნენ ირანულ ბიზნესსექტორთან, აუკრძალა ამერიკული ბანკებით სარგებლობა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2011 წელს ამერიკამ სანქციები დაუწესა ვენესუელის ნავთობკომპანიას იმის გამო, რომ ვაჭრობდა ირანთან. ამავე წლის თავდაცვის დაფინანსების კანონპროექტით ამერიკამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაეუქმებინა გარიგებები ისეთ ფინანსურ ინსტიტუტებთან, რომლებიც ირანის ცენტრალურ ბანკთან აწარმოებდნენ ბიზნესს.

აშშ-სთან ერთად, ევროკავშირის ქვეყნებმა ირანის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების შემოღებას დაუჭირეს მხარი და შეეცადნენ ამ გზით ირანის ბირთვული პროგრამებისთვის შეეშალათ ხელი. ნავთობპროდუქტებით ვაჭრობასთან ერთად, აკრძალვები ირანის ცენტრალური ბანკის მუშაობასაც შეეხო. გამკაცრებული სანქციებით, აშშ-ის ტერიტორიაზე ყველა ირანული სახელმწიფო აქტივი, მათ შორის, ირანის ცენტრალური ბანკის აქტივები დაიბლოკა. ამერიკამ შეწყვიტა გარიგება ყველა ფინანსურ ინსტიტუტსა და კომპანიასთან, რომლებიც ირანის ცენტრალურ ბანკთან ასე თუ ისე თანამშრომლობდნენ. აშშ-ის პრეზიდენტმა ასევე დაავალდებულა ყველა უცხოური კომპანია, რომელთა აქციებით ამერიკულ ბირჟებზე ვაჭრობენ, წარედგინათ დოკუმენტი, სადაც მითითებული იქნებოდა ირანულ კომპანიებთან მათი კავშირის არარსებობა. ევროკავშირის გადაწყვეტილებით კი, აკრძალვები დაწესდა ნავთობპროდუქტების როგორც შესყიდვაზე, ასევე ტრანსპორტირებაზე, მათთან დაკავშირებულ საფინანსო და სადაზღვევო ოპერაციებზე. აიკრძალა ირანში ექსპორტი ნავთობქიმიური კომპლექსების ტექნოლოგიური აღჭურვისთვის, შეიზღუდა დაბანდებები ნავთობმოპოვებაში და ერთობლივი პროექტები ირანთან. აშშ-ისგან განსხვავებით, ევროკავშირი არასდროს ყოფილა ირანთან მწვავე დაპირისპირების მომხრე. თუმცა, მას შემდეგ, რაც ირანის ბირთვული პროგრამა ამოქმედდა, ევროპელებმაც დაიწყეს ირანთან ურთიერთობის შეზღუდვა. საბოლოოდ, ევროკავშირის ქვეყნებმა მხარი დაუჭირეს ირანის წინააღმდეგ სრული ეკონომიკური ემბარგოს დაწესებას, თუმცა კომპანიებს ადაპტაციისთვის დრო დაუტოვეს.

ევროკავშირისა და აშშ-ის სანქციები ირანს ძვირად დაუჯდა. 2013 წლის მაისისთვის ირანის ნავთობის ექსპორტი ყოველდღიურად 700 000 ბარელით შემცირდა. მაშინ როცა 2011 წლისთვის ირანი ყოველდღიურად დაახლოებით 2.2 მილიონ ბარელ ნავთობს ყიდდა საზღვრებს გარეთ. 2013 წლის დასაწყისში ირანის ნავთობის მინისტრმა განაცხადა, რომ სანქციები მხოლოდ ნავთობის გაყიდვის სექტორიდან ირანს ყოველ-

თვიურად 4-8 მილიარდი დოლარი უჯდება. 2011 წელს ირანის მთლიანი შემოსავალი ნავთობიდან 95 მილიარდი აშშ დოლარი იყო, 2012 წელს კი ეს მაჩვენებელი 26 მილიარდით შემცირდა. ნავთობიდან შემოსავალი კი ირანის სამთავრობო ხარჯების ნახევარია. ამასთანავე, ირანული ვალუტის ღირებულება აშშ დოლართან მიმართებაში 2/3-ით გაუფასურდა. ინფლაციამ კი 40% შეადგინა.2012-2016 წლებში ირანმა $160 მილიარდით იზარალა. ინფლაციამ 45% შეადგნა მაშინ, როცა 2000-2012 წლებში საშუალო მაჩვენებელი 15% იყო. უმუშევრობა კი 20%-მდე გაიზარდა. სანქციები გავრცელდა ყოველდღიური მოხმარების საშუალებებსა და ისეთ მნიშვნელოვან პროდუქტებზე, როგორიცაა მედიკამენტები (MACALUSO 2014) ამ მაჩვენებლების გათვალისწინებით, გასაკვირი არაა, რომ ირანმა ევროკავშირთან და აშშ-სთან მოლაპარაკებები დაიწყო სანქციების მოხსნასთან დაკავშირებით, რომლისთვისაც ირანს ბევრ დათმობაზე მოუწია წასვლა.(Zachary Laub, Julia Ro , Congressional Research Service, 2016)

2015 წელს შედგა ბირთვული გარიგება, რომელიც მიზნად ისახავდა ირანისთვის სანქციების შემსუბუქებას იმ შემთხვევაში, თუ ირანი შეწყვეტდა მისი ბირთვული ძალის გამოვლინებას. გარიგება შედგა. ამას შემდეგ მოჰყვა ე.წ. „პატიმრების ცვლა“ ამერიკასა და ირანს შორის. 2016 წელს კი ობამას პრეზედენტობის ქვეშ მიღებული სანქციები ირანის წინააღმდეგ ამერიკამ სრულიად გააუქმა, თუმცა 2017 წლის აპრილში, ამერიკის ახალმა პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა წამოაყენა იდეა რომ გადაეხედა 2015 წელს დადებული ბირთვული გარიგებისთვის ირანის ტერორისტული რეჟიმის გამო და მალავე გააუქმა კიდეც ეს შეთანხმება.

2015 წლის ივლისში გაუქმებულმა სანქციებმა გააჩინა მოლოდინი, რომ საერთაშორისო იზოლაციიდან გამოსვლა სწრაფად ააყვავებდა ქვეყნის ეკონომიკას. თუმცა, რეალობა ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა.

სანქციების მოხსნამ ირანს გარკვეული სახის სარგებელი უკვე მოუტანა. კერძოდ, ნავთობის ექსპორტზე ემბარგოს გა-

უქმებამ ქვეყანას საშუალება მისცა გაეზარდა ნავთობმოპოვება 2010 წლის დონემდე, დაახლოებით 3,6 - 3,8 მლნ. ბარელი დღე-ღამეში. 2016 წლის დასაწყისისთვის ჰასან როუხანის მთავრობამ მოახერხა ინფლაციის დაწევა რეკორდული 45%-დან 12, 6%-მდე. (Tradingeconomics.com, central bank of Iran, 2017)

თუმცა, მოლოდინის მიუხედავად, თვისებრივი გარდატეხა მაინც არ შეიმჩნევა. ქვეყნას ისევ აქვს ბიუჯეტთან დაკავშირებული პრობლემები, ნავთობზე დაბალი ფასები არ იძლევა დიდ შემოსავლებს. უცხოელი ინვესტორები ძირითადად საუბრობენ სამომავლო გეგმებზე, მაგრამ ამ ეტაპზე ირანში ფულის დაბანდებისგან თავს იკავებენ. მძიმეა სოციალური მგდომარეობაც. სიტუაციას ართულების ის, რომ სანქციების მოხსნა არ ნიშნავს მათი უარყოფითი გავლენის დაუყოვნებლივ გაქრობას. (Tradingeconomics.com, central bank of Iran, 2017)

სანქციების ქვეშ ყოფნის დროს თეირანმა თითქმის მთლიანად დახარჯა თავისი ფინანსური რესურსი, რომლის გამოყენება შეეძლო ეკონომიკის განვითარებისთვის. სანქციების გაუქმების შემდეგ ირანს დაუბრუნდა წვდომა უცხოურ ბანკებში განთავსებულ თანხებთან, თუმცა ეს არაა საკმარისი ფინანსური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, უცხოელი ინვესტორები და საფინანსო ინსტიტუტები კი ირანის ბაზარზე შესვლისგან თავს იკავებენ.

სანქციები არაა ირანის ეკონომიკური პრობლემების მთავარი წყარო. მათ მხოლოდ გააღრმავეს არსებული პრობლემები - მკაცრი კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან, სუსტი კერძო სექტორი, კორუფცია, კლანურობა და ნეპოტიზმი, რელიგიის ჩარევა ეკონომიკაში და გაბერილი პოპულისტური სოციალური პროგრამები.

სანქციების შედეგების შეფასება

შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ 2010 წლამდე ამერიკის მიერ დაწესებული სანქციები ვერ ასრულებდა საკუთარ მიზანს, რადგან ირანი არ ამბობდა უარს იმ ქმედებებზე, რომლებიც მისი დასჯის მიზეზი იყო. რეალური ცვლილებებისაკენ ირანის

სწრაფვა გამოჩნდა 2010 წლის შემდგომ დაწესებული სანქციების შედეგად. შეგვიძლია გამოვკვეთოთ რამდენიმე ფუნდამენტური მიზეზი რის გამოც 2010 წლამდე არსებული სანქციები არაეფექტური იყო.

თავდაპირველ სანქციებს ვერ მოჰქონდა შედეგი, რადგან მოკლებული იყო საყოველთაო ხასიათს. დიდი ხნის განმავლობაში ირანის წინააღმდეგ სანქციები აშშ-ის პრეროგატივად რჩებოდა, შესაბამისად მას არ ჰქონდა ძლიერი ეფექტი, ხოლო მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტომ დაადასტურა ირანის მიერ ურანის საიდუმლო გამდიდრების შესახებ ინფორმაციის სიცხადე ევროკავშირი შეუერთდა გამკაცრებულ სანქციებს. (MACALUSO 2014). 2006 წელს სანქციების დაწესება დაიწყო გაერომაც. 2010 წელს აშშ-მ აკრძალვები დააწესა III ქვეყნებზე, რომლებიც ირანთან საქმეს დაიჭერდნენ, რითაც სახელმწიფოთა მთელი რიგი არჩევანის წინაშე დადგა ირანთან ვაჭრობასთან დაკავშირებით. 2012 წლიდან კი ევროკავშირმა სრული ემბარგო დააწესა ირანულ ნავთობსა და ირანისთვის სანავთობო ტექნოლოგიების მიყიდვაზე.

მნიშვნელოვანი გარემოება 2010 წლამდე დაწესებული სანქციების შემთხვევაში იყო მათი შემუშავების დროში გაწელვა. სანქციებს ეფექტი შეიძლება ჰქონდეთ მაშინ, როდესაც მთელი ძალით ამოქმედდებიან, მზარდი სანქციები ნაკლებად ეფექტურია, რადგან ხანგრძლივ პერიოდში სანქციების სამიზნე სახელმწიფოს ხელისუფლება სწავლობს სანქციების უარყოფითი ეფექტების აცილებას (Ataev 2013).

შესაბამისად, საჭიროა სანქციების სწორი ინტერესთა ჯგუფთა წინააღმდეგ მიმართვა, რომლებსაც შეეძლებათ ხელისუფლებაზე ზეწოლა. ირანის შემთხვევაში, ავტოკრატიის პირობებში ამგვარი ჯგუფების გამოყოფა რთულია, რის გამოც სამიზნედ შეიძლება მთელი მოსახლეობა ქცეულიყო. მიუხედავად ამისა, პირველ ეტაპზე მოსახლეობაში სანქციებმა უკუშედეგი გამოიწვია, გამძაფრდა ნაციონალიზმის განცდა. გამოკითხვის მიხედვით, ირანის ბირთვულ პროგრამას 63% მხარს უჭერდა, ამასთან 54% აცნობიერებდა, რომ ამ პროგრამის გამო

ქვეყანა ზიანს განიცდიდა. სიტუაციის ცვლილება დროს საჭიროებს. ირანელები იწყებენ გაცნობიერებას, რომ ეკონომიკური პრობლემების მიზეზი მათი ხელისუფლების ქმედებებია. (Ataev 2013)

დასკვნა

სანქცირების პოლიტიკის ანალიზს შემდეგ დასკვნებამდე მივყავართ: ერთის მხრივ, სანქციები ყველაზე ეფექტურია, როდესაც მათ დამხმარე მექანიზმის ფუნქციას ვანიჭებთ და არ ვიყენებთ როგორც ცალკეულ გამოსავალს. მეორეს მხრივ, აშკარაა, რომ სანქციების ეფექტურობა იკვეთება მხოლოდ ისეთი სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც გარკვეულწილად პასუხისმგებლები არიან თავიანთი მოსახლეობის მიმართ. გარდა ამისა, გარკვეული მკვლევარების თვალსაზრისით, სანქციების ეფექტი უფრო გრძელვადიან პერსპექტივაშია აღქმადი და შესაბამისად, საჭიროა მოთმინება (პეტერსი, რ. 2017). სანქციებს გარკვეული ეფექტი გააჩნია, თუმცა ამ ეფექტის მასშტაბები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მახასიათებლებზე, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული აღნიშნული სანქციები.

აშშ-ის სანქციების, როგორც მისი საგარეო პოლიტიკური მიზნების იარაღის შეფასება ვერ იქნება დადებითი, მიუხედავად იმისა, რომ ირანმა მზაობა გამოხატა მოლაპარაკებებზე, შედეგი - ირანის ქცევა საერთაშორისო სისტემისა და აშშ-სთვის უსაფრთხო სახელმწიფოდ მიღწეულად ვერ ჩაითვლება. ამაზე მეტყველებს ბირთვული შეთანხმების დადების შემდეგ აშშ-ის მიერ ირანის წინააღმედ ახალი სანქციების შემოღება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. John Murray Brown, US extends Iran sanctions relief but warns on nuclear deal, 2017, https://www.ft.com/content/336787ae-99e3-11e7-a652-cde3f882dd7b (წვდომილი 2019 წლის 11, 01).

2. Tsvetana Paraskova, New Iran sanctions could send oil prices higher, 2017, https://www.usatoday.com/story/money/energy/2017/10/14/new-iran-sanctions-could-send-oil-prices-higher/758959001/ (წვდომილი 2019 წლის 11, 01).

3. Ammann, Daniel. Why Sanctions Against Iran Will (Almost Surely) Fail. 2017. https://www.huffingtonpost.com (წვდომილი 2019 წლის 11, 01).

4. Balaam, Devid, და Michael Veseth. Introduction To International Political Economy. Upper Saddle River: Pearson, 1996.

5. Jones, Steve. „A History Of U.S. Sanctions Against Iran.“ www.thoughtco.com. 2017 წლის 3 ივნისი. https://www.thoughtco.com/a-history-of-u-s-sanctions-against-iran3310088 (წვდომილი 2019 წლის 12, 01).

6. Levs, Josh. „A summary of sanctions against Iran.“ edition.cnn.com. 2012 წლის 23 იანვარი.http://edition.cnn.com/2012/01/23/world/meast/iran-sanctions-facts/index.html (წვდომილი 2019 წლის 12, 01).

THE IMPACT OF ECONOMIC SANCTIONS; CASE: "USA SANCTIONS AGAINST IRAN"

Maia Giorgadze, Natia Peradze;
PhD students of TSU

RESUME

Nowadays trade is often used by some states to achieve their own foreign policy goals. Trade as a mean of policy-making is imposing sanctions. Imposing sanctions implies cosercive measures adopted by a country or a group of countries against another state or individual(s) in order to elicit a change in their behavior. In our work we analyze one of the most important example of economic sanctions on Iran and its outcomes. In particular, our research question is how effective the US imposed sanctions against Iran are?

The goal of the research: This research aims to determine the effectiveness of the sanctions policy. In order to answer our question, we review the example of the US-Iran relations in the field of trading and then try to explain why sanctions policy was not an effective instrument in the case of USA sanction against Iran.

Methodology: The study is based on literature review, using academic articles, expert opinions and official documents. The work is qualitative and the main method is the case study.

Key words: The role of sanctions, Economy of Iran, Economic outcome, International trade, Economic leverage.

„თურქეთის ეკონომიკური და სატრანზიტო ინტერესები სამხრეთ კავკასიაში„

ლიკა ილურიძე,
ალექსანდრე შახნაზაროვი
თსუ სტუდენტები

რეზიუმე

სამხრეთ კავკასიას ყოველთვის გააჩნდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური დანიშნულება. სწორედ ამ რეგიონის სახელმწიფოებს ეკისრებოდათ შუა საუკუნეებში სატრანზიტო ფუნქცია, რომელიც დღესაც მიმზიდველს ხდის სამხრეთ კავკასიას. მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ რეგიონის უახლესი ისტორიის ის გეოპოლიტიკური ცვლილებები, რომლებიც აზერბაიჯანში ბუნებრივი რესურსების დიდი მარაგის აღმოჩენასა და შემდგომში საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა. ამ უკანასკნელმა მოვლენამ საშუალება მისცა თურქეთს, დაეწყო ბრძოლა რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად.

დღესდღეობით სამხრეთ-კავკასიის ენერგო-დერეფანი მნიშვნელოვანი იარაღია თურქეთისთვის. აღნიშნული სახელმწიფო თავდაც სატრანზიტო ქვეყანაა და აზერბაიჯანთან დამაკავშირებელი გაზსადენი თუ ნავთობსადენი მილების მშენებლობა თურქეთისთვის ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავების ერთ-ერთი გზაცაა. გარდა ამისა, ქვეყანა ცდილობს, გაზარდოს სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური დამოკიდებულება თურქეთზე, ხოლო მეორეს მხრივ შეამციროს ევროპის ენერგო-დამოკიდებულება რუსეთზე - რეგიონის უდიდეს პოლიტიკურ მოთამაშეზე.

ეკონომიკური აქტიურობის ფონზე, თურქეთის გავლენა განუხრელად იზრდება სამხრეთ კავკასიაში. აღსანიშნავია, რომ მას ძლიერი შეირაღების, სწრაფი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფონზე, აქვს სურვილი, თავისი გავლენის სფეროში მოაქციოს ჩვენი რეგიონი. თურქეთი მეზობლებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებით აძლიერებს საკუთარ პოზიციებს სამხრეთ კავკასიაში. მართალია, იგი არ არის რეგი-

ონის ერთადერთი ლიდერი და მას რუსეთი მნიშვნელოვან კონკურენციას უწევს ეკონომიკურ და სატრანზიტო საკითხებში, მაგრამ, ქვეყნის სწრაფი ტემპებიდან გამომდინარე, შესაძლოა დიდი სამომავლო პერსპექტივების შესახებ საუბარი.

ნაშრომში განხილულია თურქეთის ეკონომიკურ ბერკეტები ჩვენს რეგიონში, კავშირი თურქეთის გეოპოლიტიკურ მდებარეობასა და რეგიონში მისი გავლენის ზრდას შორის. ჩვენთვის მნშვნელოვანია მიმდინარე მოვლენების სიღრმისეული გააზრება და მათი ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: თურქეთი, სამხრეთ კავკასია, აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, ენერგორესურსები, სატრანზიტო.

შესავალი

თურქეთისა და კავკასიის ქვეყნების ურთიერთობა საბჭოთა კავშირის დაშლამდე საკმაოდ შეზღუდული იყო. იგი მთლიანად იყო დამოკიდებული საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაზე.

ხელისუფლებაში გორბაჩოვის მოსვლისას, არც ერთი ქვეყანა, მათ შორის არც თურქეთი არ მოელოდა საბჭოთა კავშირის ნგრევასა და სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას. სწორედ ამიტომ, თურქეთს კარგად დაგეგმილი პოლიტიკა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართ არ ჰქონია, თუმცა სსრკ-ს დაშლის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. თურქეთი ძალიან აქტიურად ჩაერთო სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკაში და ფეხი მოიკიდა ამ რეგიონში, როგორც ეკონომიკურმა აქტორმა.

სატრანზიტო ფუნქცია წარმოადგენს აღნიშნული რეგიონის უმთავრეს ღირსებას თურქეთისთვის.

თურქეთ-სომხეთის დაძაბული ურთიერთობები

თურქეთი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მონათესავე ერებს. მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ცენტრალური აზიის ქვეყნებთან და აზერბაიჯანთან მჭიდრო კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას. თურქეთი აქტიურად უჭერს მხარს აღნიშნულ სახელმწიფოთა პოლიტიკურ კურსს, რაც რიგ შემთხვევებში მისივე საგარეო

პოლიტიკასაც განსაზღვრავს ზოგიერთი ქვეყნის მიმართ. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება აზერბაიჯანიც.

საბჭოთა კავშირის დაშლის წინა წლებში განსაკუთრებით გამწვავდა სომხეთისა და აზერბაიჯანის დაპირისპირება მთიანი ყარაბაღის გამო. დაპირისპირება მნიშვნელოვან კონფლიქტში გადაიზარდა, რომელიც დღემდე არ დასრულებულა. აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თურქეთმა მიზანდ დაისახა ამ ქვეყნის რუსეთის გავლენისგან დახსნა და მასთან მაქსიმალური დაახლოება. გამომდინარე იქიდან, რომ თურქეთი აზერბაიჯანის მონათესავე ერია, რომელსაც კარგად ესმის კასპიის ზღვის ენერგორესურსების ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშნელობა, მან მხარი დაუჭირა აზერბაიჯანს ყარაბაღის კონფლიქტში და ყველა საშუალებასა და ტრიბუნალს იყენებდა, რომ საერთაშორისო არენაზე აზერბაიჯანის პოზიციები გაემართლებინა. მისი ინიციატივითვე მიიღეს გაეროში რამდენიმე რეზოლუცია, რომელიც გმობდა სომხეთის ქმედებებს და მხარეებს შეთანხმებისაკენ მოუწოდებდა. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გააუარესა ურთიერთობა, რომელიც ისტორიული წარსულის გამო (1915 წლის „სომეხთა გენოციდი“), ისედაც მნიშნელოვნად იყო დაძაბული. მართალია, საკმაოდ დაძაბული ურთიერთობები არსებობდა მანდამდეც, მაგრამ მთიანი ყარაბაღი იყო საბოლოო წერტილი თურქულ-სომხურ ურთიერთობებში. სწორედ მას შემდეგ შეწყდა დიპლომატიური ურთიერთობები და დაკეტა საზღვრები თურქეთმა სომხეთთან.

დღესდღეობით აზერბაიჯანისა და თურქეთის დამაკავშირებელი გაზსადენები სომხეთზე გვერდის ავლით გადის, რადგან, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ორ ქვეყანას შორის საზღვრები ჩაკეტილია. დაძაბული ურთიერთობები გავლენას ახდენს ენერგორესურსების სატრანზიტო გზის სიგრძეზეც, რადგან, თურქეთსა და სომხეთს შორის პარტნიორობის შემთხვევაში, ენერგოპროექტები სწორედ სომხეთის გავლით და შესაბამისად უფრო მოკლე და იაფი გზით განხორციელდებოდა. სომხეთს, ისევე როგორც რეგიონის დანარჩენს სახელმწიფოებს, კარგად ესმით თურქეთთან თანამშრომლობის ეკონომიკური მნიშნელობა. ქვეყანას მწვავე ურთიერთობები აქვს ორ მეზო-

ბელ ქვეყანასთან, რომელთან თანამშრომლობაც მას ძალიან წაადგებოდა. სწორედ ამიტომ, სომხეთს ჰქონდა თურქეთთან კავშირის გაუმჯობესების მცდელობა, ე.წ „ფეხბურთის დიპლომატია“ სახით, მაგრამ საბოლოოდ, არ შედგა მოლაპარაკებები.

თურქეთის გავლენა საქართველოს ეკონომიკასა და პოლიტიკაზე

სომხეთის მიზეზით დაწყებული მთიანი ყარაბაღის და ე.წ სომხების მიმართ განხორციელებული გენოციდის პრეტენზიის მთავარ მიზანს წაროადგენდა, რომ ხელი შეეშალათ თურქეთის დაახლოვებისათვის აზერბაიჯანთან და შუა აზიის ქვეყნებთან, ამ მიზეზით საქართველომ თურქეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, საქართველოც დაინტერესებული იყო მასთან ურთიერთობით, რადგან სურდა რუსეთის წნეხისგან გათავისუფლება და დასავლეთთან დაახლოება. თურქულ-ქართული ურთიერთობები ორივე მხარისათვის მნიშვნელოვანი და ურთიერთხლსაყრელი იყო.

თურქეთი ერთ-ერთი პირველი იყო იმ სახელმწიფოთა შორის, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა, კერძოდ 1991 წლის 16 დეკემბერს და მალევე, 1992 წელს დაიწყო დიპლომატიური ურთიერთობები, 1992 წელსვე ხელი მოაწერეს ხელშეკრყულებას „მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ“.მას შემდეგ აქტიურად მიმდინარებს ორ ქვეყანას შორის მრავალი სახის ურთიერთობები, მათ შორის, ვფიქრობთ, რომ აღსანიშნავია სავაჭრო ურთიერთობები, რომელიც სულ უფროდაუფრო იზრდება. მაგალითად, 1993 წელს სავაჭრო ბრუნვამ ორ ქვეყანას შორის 56,3 მილიონი დოლარი შეადგინა, 1999 წელს კი 207,5 მლნ. დოლარი და თურქეთი რუსეთის შემდეგ საქართველოსათვის რიგით მეორე სავაჭრო პარტნიორი გახდა. 2007 წლიდან მოყოლებული კი უკვე თურქეთი საქართველოს ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია.

საქართველოს გავლით თურქეთთან დამაკავშირებელი ორი მთავარი მილსადენი გადის. ბაქო - თბილისი - ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენი.

სამხრეთ კავკასიის გაზსადენი. 692 კმ. სიგრძის სამხრეთ კავკასიური მილსადენი კასპიის ზღვის აზერბაიჯანის სექტორში მდებარე შაჰ დენიზის საბადოდან საქართველოს ტერიტორიის გავლით საქართველო-თურქეთის საზღვრამდე გაზის ტრანსპორტირებისათვის დაპროექტდა.სამომავლოდ იგეგმება პროექტის გაფართოება. კასპიის ზღვაში შაჰ დენიზის კონდესირებული გაზის უდიდესი საბადოს აღმოჩენამ და განვითარებამ და სამხრეთ კავკასიის გაზსადენმა (SCP) აზერბაიჯანს შესაძლებლობა მისცა 2006 წლიდან გაზის მთავარი ექსპორტიორი გამხდარიყო. 2006 წლის შემდეგ, აზერბაიჯანელმა, ქართველმა და თურქმა მომხმარებლებმა მთლიანობაში 40 მილიარდ კუბურ მეტრზე მეტი გაზი მიიღეს. უკვე არსებული, 42 დიუმი დიამეტრის სამხრეთ კავკასიის გაზსადენის სისტემა ფართოვდება. კერძოდ, სამხრეთ კავკასიის გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტის, როგორც შაჰ დენიზის მეორე ეტაპის განვითარების პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია არსებული სიმძლავრეების განვითარება წელიწადში დამატებით 16 მილიარდი კუბური მეტრი გაზის საქართველო-თურქეთის საზღვართან ექსპორტის მიზნით. სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გაფართოების პროექტი ქმნის პირველ დამაკავშირებელ რგოლს მილსადენების ჯაჭვში, რომელიც სამხრეთის გაზის ახალ კორიდორს წარმოადგენს.

სამხრეთ კავკასიის გაზსადენის სისტემა დაუკავშირდება ტრანს-ანატოლიის გაზსადენს (TANAP) აღმოსავლეთ თურქეთის საზღვარზე, რომელიც, თავის მხრივ, დაუკავშირდება 1900 კმ-თ დაშორებულ ტრანს-ადრიატიკის გაზსადენს (TAP) დასავლეთ თურქეთის საზღვარზე.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მილსადენის საწყისი წერტილი აზერბაიჯანშია - სანგაჩალის ტერმინალი, საბოლოო კი თურქეთში - ჯეიჰანი. ნავთობსადენის სიგრძე-1768 კმ-ია, დღე-ღამეში გაატარებს 1,4 მლნ. ბარელს და წელიწადში 70 მლნ. ტონა ნავთობს, დანახარჯი-2,4 მლრდ. დოლარი. საქართველოს ტერიტორიაზე მონაკვეთის სიგრძე 248 კილომეტრს შეადგენს. მილსადენის ამ მონაკვეთში ყოველწლიურად დაგეგმილი მაქსიმუმის - 50 მილიონი ბარელი ნავთობის - გატარების სანაცვლოდ, საქართველო დაახლოებით

50 მილიონ აშშ დოლარს იღებს, ტრანზიტის საფასურის სახით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მილსადენში გამავალი ნავთობის მომხმარებელი არ არის და შესაბამისად ეკონომიკური მოგებაც განსაკუთრებულად არ აისახება საქართველოს ეკონომიკაზე, პროექტს მნიშნელოვანი პოლიტიკური დატვირთვა ენიჭება.

აზერბაიჯანი და თურქეთი - ურთიერთდამოკიდებულება

რაც შეეხება თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებს, მას შემდეგ რაც აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა მოიპოვა დაიწყო მრავალი განხრით ურთიერთობა, მათ შორის, განათლების, ტექნიკის, კულტურის სფეროში აქტიურად დაიწყეს თანამშრომლობა, განსაკუთრებით 1992 წლიდან, მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის პრეზიდნტი გახდა ელჩიბეი, განვითარდა და გაღრმავდა ურთიერთობები. აზერბაიჯანი თურქეთის თხოვნით კირილიციდან ლათინურ ანბანზე გადავიდა. თურქეთის განსაკუთრებულ ინტერესის სფეროს წარმოადგენდა აზერბაიჯანის ენერგორესურსები. მას კარგად ესმოდა კასპიის რეგიონის ენერგორესურსების ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა. ის მონათესავე ქვეყნებს, აზერბაიჯანს, ყაზახეთსა და თურქმენეთს ურჩევდა, რომ ამ რესურსების გასატანად მხოლოდ რუსეთსა და ირანზე არ ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი და შესთავაზა რესურსების თურქეთის გავლით ევროპისკენ გატანა, რაც ყველაზე მისაღები აღმოჩნდა აზერბაიჯანისთვის. ამ მხრივ კავშირები მას შემდეგ განვითარდა, რაც 1993 წლის მარტში თურქეთმა და აზერბაიჯანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას პირველი ნავთობსადენის შესახებ, რომელიც გაატარებდა 40 მილიონ ტონა აზერბაიჯანულ ნავთობს და ირანის გავლით თურქეთის ჯეიჰანის ნავსადგურიდან მიაწვდიდა მსოფლიო ბაზარს. ამ პროცესში არ იყო ჩართული რუსეთი, 1994 წელს კი შედგა ე.წ „საუკუნის შეთანხმება. 1998 წლის ოქტომბერში მხარეების სტატუსით თურქეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, ყაზახეთისა და უზბეკეთის პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილ იქნა „ანკარის დეკლარაცია.“ 1999 წლის კი საბოლოო ეტაპზე გადაინაცვლა

და ნოემბერში ეუთოს სტამბოლის სამიტზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის განხორციელების მიზნით სამი მასპინძელი ქვეყნის მიერ ხელი მოეწერა შეთანხმებას ფიქსირებული ფასით ჩაბარებასთან დაკავშირებით. თურქეთის მთავრობამ ასევე ხელი მოაწერა საგარანტიო შეთანხმებას, რომ აენაზღაურებინა ნავთობსადენის თვითღირებულება. მაგრამ აზერბაიჯანის სათავეში ჰეიდარ ალიევის მოსვლის შემდეგ აზერბაიჯანის პოზიცია გარკვეულწილად შეიცვალა თურქეთისადმი. მან დაიწყო დაბალანსებული პოლიტიკის გატარება თურქეთთან, რადგან არ სურდა რუსეთთან ურთიერთობების გაფუჭება. ამიტომ ალიევმა თურქულ TPAO-სა და რუსულ ლუკოილს გაუყო 6,75 % და 10 % წილი, რათა დაებალანსებინა სიტუაცია. ჰაიდარ ალიევის მოსვლის შემდეგ აზერბაიჯანი ამ საკითხებში უფრო მეტად დაშორდა თურქეთს და რუსეთისკენ გადაიხარა. თურქეთმა განაცხადა, რომ გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების მხრივ საშიში იყო ბოსფორის გამოყენება ნავთობის ტრანსპორტირებისთვის და ამით შეეწინააღმდეგა რუსეთის გეგმას, რომელიც გულისხმობდა ნოვოროსიისკიდან ნავთობის გატარებას. თურქეთმა გაეროსგან სრუტეების რეგლამენტი მიიღო და რუსეთთან კონკურენციაში მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა. საბოლოოდ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენმა ისე გაიარა, როგორც თურქეთს სურდა.

აქვე, გვინდა აღვნიშნოთ ბაქო-თბილისი-ერზრუმის გასადენის იგივე შაჰდენიზის ბუნებრივი აირის სატრანსპორტო მილსადენი, რომელიც შაჰდენიზის გაზს აზერბაიჯანის სექტორიდან საქართველოს გავლით თურქეთში გადაიტანს. გაზსადენი იმავე კორიდორში შენდება სადაც რამდენიმე წლით ადრე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი გაიყვანეს ბუნებაზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით. გაზსადენის სიგრძე დაახლოებით 692 კმ-ია, ხოლო წლიური გამტარობა 16 მილიარდი კუბური მეტრი. 2006 წლის 21 მაისს პირველი საცდელი ბუნებრივი აირი ჩაიტვირთა გაზსადენში სანგაჩალის ტერმინალიდან. გაზის პირველი გაშვება 2006 წლის 30 სექტემბრისთვის იყო დაგეგმილი. ტექნიკური მიზეზების გამო გაზსადენის ექსპლუატაციაში გაშვება 2006 წლის 20 დეკემბრამდე გადაიდო. ამ

გაზსადენის მნიშვნელობა საკმაოდ დიდია სამივე ქვეყნისთვის. თურქეთისათვის კიდევ ერთი საშუალებაა სამხრეთ კავკასიის რეგიონზე გავლენის მოსახდენად. საქართველოს, როგორც სატრანზიტო მნიშვნელობას, კი კიდევ უფრო ზრდის.

დასკვნა

თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობების ბაზისი ძირითადად ენერგორესურსების ტრანსპორტირებაა. სწორედ ამგვარ ეკონომიკურ კავშირებს ემყარება პოლიტიკური მოკავშირეობაც. მართალია, არსებობს გარკვეული სახის ბარიერები და გამოწვევები სომხეთისა და რუსეთის სახით, თუმცა აზერბაიჯანისა და საქართველოსთვის თურქეთთან ურთიერთობებისგან მიღებული სარგებელი იმდენად დიდია, რომ ახლომომავალში ამ ურთიერთობების გაფუჭება არ არის მოსალოდნელი. გარდა ამისა, თურქეთიც მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ სარგებელს იღებს კავკასიის რეგიონისგან. საგარეო ასპარეზზე თურქეთს მნიშვნელოვნად გაუუარესდა ურთიერთობები მეზობელ რეგიონებთან. დღესდღეობით მხოლოდ სამხრეთ კავკასია რჩება მისთვის მეტწილად სტაბილურ პარტნიორად, რომლის დაკარგვაც თურქეთს არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური თვალსაზრისით არ უღირს. როდესაც თურქეთსა და სამხრეთ კავკასიას შორის ურთიერთობებზე ვსაუბრობთ, რამდენიმე სიტყვით უნდა ვახსენოთ 1992 წლის 25 ივნისს სტამბოლში, თურქეთის პრეზიდენტის თურგუთ ოზალის ინიციატივით დაარსებული შავი ზღვის რეგიონის ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია (შემოკლებით ბისეკი), რომელშიც გაერთიანდა 11 სახელმწიფო. მათ შორის შავი ზღვის რეგიონის ექვსი სახელმწიფო. ამ ორგანიზაციის შქმნაც იყო ერთ-ერთი ბერკეტი რეგიონზე გავლენის მოსახდენად.

ბიბლიოგრაფია:

1. სვანიძე. მ., (2007) თურქეთის ისტორია. თბილისი: გამომცემლობა არტანუჯი.

2. მჭედლიძე, კ., (2006) რა ეკონომიკური სარგებელი მოაქვს

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს. https://www.radiotavisupleba.ge/a/1547799.html ბოლო ნახვა: 03.04.2018

3. სამხრეთ კავკასიის გაზსადენი https://www.bp.com/ka_ge/bp-georgia/about-bp/bp-in-georgia/south-caucasus-pipeline--scp-.html ბოლო ნახვა: 03.04.2018

REFERENCES:

1. Svanidze. M., (2007) Turkish history. Tbilisi: Publishing House Artanuji

2. Mchedlidze, K., (2006) What economic benefits are the Baku-Tbilisi-Ceyhan pipeline? https://www.radiotavisupleba.ge/a/1547799.html Last view: 03.04.2018

3. South Caucasus Pipeline https://www.bp.com/ka_ge/bp-georgia/about-bp/bp-in-georgia/south-caucasus-pipeline--scp-.html Last view: 03.04.2018

"TURKEY'S ECONOMIC AND TRANSIT INTERESTS IN THE SOUTH CAUCASUS"

Lika Iluridze, Aleksandre Shakhnazarov
TSU students

RESUME

The South Caucasus has always had a significant economic purpose. It was precisely the region's states' function as transit states in the Middle ages, which is still attractive to the South Caucasus. It is important to note the geopolitical changes in the recent history of the region that trace the large reserves of natural resources in Azerbaijan and subsequently dissolution of the Soviet Union. The latter event allowed Turkey to start struggling to gain influence in the region. The South Caucasus has always had a significant economic purpose.

Key words: Turkey, South Caucasus, Azerbaijan, Georgia, Armenia, energy resources, transit.

სამეცნიერო სტატიის
წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი Acadnusx; ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman; შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

ჟურნალი“ეკონომიკა“
გამოდის 1918 წლიდან.

გამოცემა გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით:
საქართველოს ეკონომისტი (1918 N1- N6),
ეკონომისტი (1925-1926),
საქართველოს ეკონომისტი (1926-1931),
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა (1931-1941),
საქართველოს ეკონომისტი (1958-1967),
საქართველოს სახალხო მეურნეობა (1967 N4 დან-1973),
ეკონომისტი (1974-1990),
ეკონომიკა (1991 წლიდან -).

სხვა სათაურით

საქართველოს ეკონომისტი.
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა.
საქართველოს სახალხო მეურნეობა.
ეკონომისტი.
ეკონომიკა.
Экономист Грузии.

ISSN: 0206-2828.
განახლებული ISSN 2587-4713

UDC: 338(922)(05)

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაეცა ასაწყობად 15.12.2018 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.01.2018 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14,25